ISSN 0132-6023
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

12

1990

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

12

დეკემბერი

1990

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლო". № 301. გამოცემის 33-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## პოეზია და პროზა


3. ანზორ აბულაშვილი — ლექსები
9. ვასილი გროსმანი — „ყველაფერი იცვლება". თარგმნეს ეთერ ბალიაშვილმა და ლია შარვაშიძემ
41. თეიმურაზ აბულაძე — იყავნ ამიერ შენივ თავის მონა და მეფე. ლირიკული პოემა
48. გიგა თუთბერიძე — აჩანჩურას ამნისტია. მოთხრობა
50. ეთერ ყამბეგაშვილი — რატომ არ თხოვდები? მოთხრობა
54. ბიძინა მინდაძე — ლექსები
57. ზაალ კასრელიშვილი — ტყუპის ცალი. მოთხრობა
76. ნოდარ კობერიძე — რომ გაიმარჯვო, ერეტიკოსი უნდა იყო. რომანი. დასასრული
100. გურამ კლდიაშვილი — ლექსები


## ახალი თარგმანები


102. შარლ ბოდლერი — ლექსები. თარგმნა დათო ადიკაშვილმა
104. ჰერმან ჰესე — პოეტი. თარგმნა თამუნია მამისაშვილმა


## პუბლიცისტიკა


109. უშანგი ბახტაძე — იყო კი სალი ძახილი?
122. ციალა არდაშელია — ძე შეცთომილი


## წერილები


133. ლია სტურუა — იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს. დასასრული
151. ზურაბ ჭუმბურიძე — საბავშვო ლექსის ოსტატი
154. ილია კუჭუხიძე — „საქართველო უპირველეს ყოვლისა"


## გამოსათხოვარი


156. ბიძინა მინდაძე
157. ჟურნალ „ცისკრის" 1990 წლის ნომრების შინაარსი



□ □ □

მთავარი რედაქტორი
იორამ ქემერტელიძე

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
დათო მაღრაძე
რევაზ მიშველაძე
გიგი სულაკაური
მორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ვახტანგ ხარჩილავა
მირონ ხერგიანი
ტარიელ ჭანტურია
მაკა ჯოხაძე

□ □ □

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ანზორ აბულაშვილი

### ჩვენი დღეების ქრონიკის ფრაგმენტები

ახალს რა ვუყო, თორემ წყლული ჯანდაბას ძველი...
კერად არ ითქმის, შავი მჭვარტლით რომელიც ბოლავს.
რა გემღერება, თუ სიმღერით ვერავის შველი,
ან რაა ცრემლი, თუკი შვებად არ დასწვეთს ღლოვას.
მოდებული აქვს ერთიანად მრავალ გულს ხავსი,
დღეა თუ ღამე — ვეღარც ვარჩევთ ხანდახან ახლა.
ჩხავილს კრძალულად შესციცინებს გალობა თვალში,
ქირქილებს ტყვის სინათლისთვის მზაკვრულად დახლა.
რად ხდება — დღესაც, ცა რომ ქუდად უთავოს ხურავს,
თანაც ამგვარი ქუდოსანი თავსაც გვაყვედრის.
ცინიკ-ოხუნჯი, წარბშეკრული, ხალხისთვის „ზრუნავს",
მაგრამ სანაცვლოდ — მორჩილებას ითხოვს სახედრის...
სწორედ ამიტომ ამ ბობოქარ მიტინგის სისხლში
ვერევი ჩემი გაფიცხებით, ვით ერთი წვეთი...
სხვაგვარ იფეთქებს,
მქუხარებაც სხვა არის მისი,
მორჩილებიდან კრისტალდება როდესაც დენთი.

### პატარა კახისადმი

ქებად შენდა, გმირთა-გმირო,
მოვიქარგე ენა მე,
შენს მაგივრად — ვალმოხდილის
პირის მინდა ჩენა მე.

რადგან ცრემლით — სინანულის
თვალიც ბევრის შენამე,
შენს ნაცვლადაც —
მინდა მეფევ,
თავში ხელის შენა მე.

### რუსუდან ყუბანეიშვილის ოჯახში სტუმრობისას — ტელევიზიით ფილმ „ნატვრის ხის" ნახვით გამოწვეული ფიქრი და განსჯა ნათქვამი ლექსად

ნისლში დანთქმული უდაბური ჩვენი მხარეა,
არ ეპოვება რამ მალამო იმის იარებს.
შეხედე, მისი გაზაფხული რა მწუხარეა
და მისი ბერწი შემოდგომა — რა მგლოვიარე.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხედე, როგორ იბადება ჭორიდან ჭორი,
ხოლო მარტოსულ მეოცნებეს, ჩემო რუსუდან,
გადაუხურავს მდუმარება პირველი თოვლის,
თვალიც თავისით დაუხუჭავს და გასუდრულა.
ვაი, რომ ამგვარ სასწაულის მოხილვის მსურველს
ეშმას თვალებზე აეფარვის ბურუსის რიდე,
თანაც პირს აღებს უწინ მიწა-სამარე თურმე
ცა გაიხსნება, უფლის ნებით, წამიერ ვიდრე.
ვაი, რომ იგივ ცაც და მიწაც ყრუ სოფელივით
დამგვანებია კრაზანების გესლიან ბუდეს,
სად სისპეტაკის მარტოობა — ტყვე და დევნილი
ვერ შეათრთოლებს ვერავის გულს,
რაც უნდა გსურდეს...
სად ერთად დგანან უმეცრება, შური და ღვარძლი,
მათ შხამის ღვარცოფს ვერ დაუდგენ სიგრძე-სიგანეს.
დანესტრილი ჰყავთ და სულს ერთად უმოსენ ძაძით,
ვინც განზე დარჩა და ვერაფრით ვერ დაიმგვანეს.
ესეც მარტოა, მაგრამ არ სცნო ბედი-მხლებელი
და ჰა, კავალრის — სიამაყის თანხლებით მოდის.
ჯერ ისევ უთრთის სავსე მკერდი ხელუხლებელი,
მორცხვი მხევალი ზმანებებში ნაგემი ცოდვის...
ბოლოს ეცემა დასეტყვილი თავთუხი ყანა
და ბროლისდარი ხორცი მხოლოდ ძონძმა უფარა
და გულქვაობას მიმტევებლად ეპკურა ნამად
სულგათოშილი მარტოობის ცრემლი — ფუფალა.
ხოლო მარიტა, ეკლის კაბით, მომსხლტარი ციდან,
ვისი ცისკრობა ვერ ვთქვა ჩემის სიტყვით მარტივით,
თითქოს ჩამოსჭრეს ცისარტყელას ბრიალა კიდე
და სოფელს მკერდზე დააბნიეს ბრილიანტივით...
ასევე დარჩეს... მწუხრის ზარი მწუხრისას რეკავს,
ხოლო სოფელმა ღმურძლოს ღვარძლის ქადა-ნაზუქი...
ანათებს სხივი ცრემლნარევი ოთახს და ეკრანს
ბაგეზე შემხმარ ღიმილიდან გამონაშუქი...
უკვე დრო არის, შეჰპარვია ზეცას სიბინდე
და გეთხოვები ჩვეულებრივ რიგით და წესით...
და მაინც მინდა, ბოლო სიტყვაც იყოს იგივე,
რითაც დავიწყე ეს გულმძიმე ფიქრი თუ ლექსი:
ნისლში დანთქმულიც მშობლიური ჩვენი მხარეა,
უნდა ვუძებნოთ რამ მალამო იმის იარებს.
მისი ზაფხულიც ყველამ იცის რა მწუხარეა
და თოვლ-ყინული მისი ზამთრის —
რა მგლოვიარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხუთი წლის მერეც...

გულიდან სისხლი ცრემლნარევი ძველებურ სწვეთავს,
ჩამყუდროებულ ბინდში ისევ შრიალებს ლელი.
ხუთი წელია შენს ცისკროვან ღამეებს — მთენთავს —
წაუჭერიათ ჩემთვის ყელში ორივე ხელი.
მაინც იმედით უარმყოფელს ვკითხულობ წერილს,
წარმოსახვასაც სურათისას იმგვარის — ვბედავ,
იანვრის სუსხი შეურიო მზერაში ბევრიც,
მე ჩემს სიზმრებში, სულერთია, მომღიმარს გხედავ.

## პაატა

შვილი მამას
                    სამშობლოსკენ
                                                  მიმავალს რომ აცილებდა,
ქვიშის ურიცხვ
                    იმის ლაშქარს
                                                  თვალს ვერაფრით აცილებდა,
მამისგან და მამულისგან მძევლის ხვედრი აცილებდა.
და ხედავდა
                    თავს ტანისგან
                                                  ეშმა როგორ აცილებდა.

## სიბერით დაწუნებულის ლექსი

დღევ შემოდგომის — გემოს გვაჩვევ მწარე სამსალის,
თუმცა ფიალა ბევრად ადრე ჩემი — ამივსეს...
ასაკს არ ამკობს არაფერი ჭაღარასავით,
ხოლო გვირგვინად ადგას ბრძნული სიდარბაისლე...
სცენიდან უკვე მივაშურე მყუდრო კულისებს,
ზურგს უკან კარზე გაჟღრიალდა მძიმე ურდული.
ჩჟუტავსლა სულის ტკივილებში მიმალული მზე,
ჰყინავს საღამო შეფიფქული და გასუდრული.
რა შორს დამირჩა გრძნობა იგი, რომლითაც მბანგე,
მაინც მადლს ვწირავ შემწუხრებულ ცასა და მიწას,
რომ დღემდე სიტყვა-ნაკვერჩხალი —
                                                  მიყვარხარ! — ბაგეს,
ჩემთვის ჩურჩულით წარმოთქმულიც, შანთივით მიწვავს.
— შე ბებეროო, — და მაგემე გემო სამსალის
და ემა სიტყვით რაწამს სული ჯანღით ამივსე,
არ მამახინჯებს არაფერი ჭაღარასავით,
ვით სისხლდამცხრალი, უმაქნისი სიდარბაისლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღევანდელ საქმიანთა მოუცლელობით დაყრუებულ მწერალთა ბაღის ბიოგრაფია — ისტორიისათვის

ვახო ჩხიკვაძეს

ვისხედით ხოლმე მწერალთა ბაღში,
ზაფხულის გრილ და მწვანისფერ
ტბაში,
ვისხედით, თითქოს აუხდენელის
სასწაულებრივ ახდენის ცდაში.
ვისხედით თითქოს შეთქმულთა
ბაღში,
ძმათაგან ჩემი — სუყველა ბავშვი,
ვისხედით ჩვენივ უმწეო ხელით
თუ ბედისწერის გაჩორკნილ ნავში.
ზოგჯერ ქარვისფერ,
გარინდულ დარში
გლოვას იტყოდა თავხედი შაშვი...
ასე ჟონავდა პაოლოს თოფის
გრიალი — ბაღის იდუმალ ხმაში.
ის ხმა სიჩუმით გრგვინავდა მაშინ,
შერეულიყო თოვლსა და ქარში...
და შიშით ხვალის ლოდინში ხშირად
ვისხედით ხოლმე მწერალთა ბაღში.

. . . . . .

ზეცის გამოჩნდა, ცოტაზე, თალი
და მზეც ამასთან — მზუუტავი ქალი,
მაინც ვერ გათბა უკვე ყველასგან
მიტოვებული მწერალთა ბაღი...

. . . . . .

რა ვქნა, ვერ გავწვდი საზრუნავ-
საწუხს,
ვერ მოვიძიე შემწეც ვერსაით
და ძლივას მწყალობს სალამზე
პასუხს
მზეც — პოპულარულ მოღვაწესავით.

●

ვინაც დეკემბრის შუაღამის ბნელსა და წკვარამს
თანდათანობით უცხოდ მკრთომარ ციაგში არევს,
ათინათებულს მერმე ფეხქვეშ გამიფენს შარას
და შემიძლვება ფერადოვან სიზმრების მხარეს, —
მანვე თქვას, ახლა, მზის როდესაც ბრიალებს ჭალი
და ამ მაისის ფერადი ზღვა ყვავილთა — მფარავს,
რად ჩამოწვება ხოლმე სულში უეცრად ღამე,
ვინ მიუძღვება გულისაკენ ბნელსა და წკვარამს?

## ბედის ირონია

ბედი ასეც სჯის ზოგჯერ — ზოგიერთს:
შენ კეთილისქმნად სული თუ გითრთის,
სატკივარს ათასს არ გამოგილევს —
სიყვარულისთვის, სიბრალულისთვის.
სულ უკუღმართად მოგაგებს წალმართს,
წყლულს აურაცხელს წვრილად მოგითვლის,
სიხარულს გიქცევს შხამად თუ ნაღვლად —
თანაგრძნობისთვის, თანადგომისთვის...
მკერდში ქვაგული არა მდებია,
წყენაც, იცოცხლე, ვპოვე მრავალი.
მე დეკემბრის მზეც შემცოდებია
შემცივნებული და ჩამავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უიღბლო მონადირის ამბავი

სალ კლდეებს ჩავდევ — მონადირე მარჯვე — ჯარჯივით,
მივდევ მშვენებას... როცა მწუხრი შლის ბინდის აფრას.
თუმც განგებისგან უიღბლობით მე ვარ დასჯილი,
მაინც უძირო უფსკრულების ვერა ვგრძნობ ზაფრას...
ზოგს სიყვარული გულით დააქვს და ზოგსაც — ენით,
ჩემთვის ამ ბინდშიც თვალმომჭრელი ანთია ცხრა მზე.
ვარ მონადირე უყისმათო, დაჭრილი შენით,
მთვარის სხივებით დაკიდული უფსკრულის თავზე.

## მოკარული ალერსი თანმმთხვევი ტექსტი — თითქმის ჩურჩულით

რა ლამაზი ხარ... არა, მეტი ხარ,
ვიდრე, უბრალოდ, მხოლოდ ლამაზი.
შენს პატრონს ავი ძაღლი სჭირდება,
კარი ურდულით გადასარაზი.
ეს გადარევა ზეცით გვებოძა,
მარტო სურვილმა ჩვენმა როდი შვა...
ნეტავ ვისი ხარ ასე ლამაზი,
სახლიდან მარტო ვინ გამოგიშვა...
ელვა-ავაზის მზერა მინახავს,
მომჩერებიხარ მზერით ავაზის...
ასე ლამაზი მაინც ვისი ხარ.
მაინც რამ გშობა ასე ლამაზი.
მაინც როგორ ხარ ასე ლამაზი.

მაინც რატომ ხარ ასე ლამაზი...
შენი ადგილი ბროლის კოშკშია,
არ უნდა გჭვრეტდეს თვალი
შარაგზის.
ეგ ღიმი გულში ისრად მეყრება,
ცისკრის ღიმილი — ჩემი დამქცევი
და გაუნძრევლად გავრბივარ შენგან,
მაგრამ სადღაა გზა გასაქცევი...
...მაინც რატომ ხარ ასე ლამაზი,
მაინც როგორ ხარ ასე ლამაზი...
რაკი ჩემთან ხარ,
მაშ დარჩენია
შენს პატრონს კარი გადასარაზი.

## ვერლიბრი პოლიტიკურ თემაზე

### დეკეშა

ეშმაკი სამოთხეშიც იყო,
თორემ ამ ჯოჯოხეთადქცეულ ედემში
ეშმანი და ტარტაროზნი განაგებდნენ ყველაფერს.
სწორედ მათი მიზეზით
ჩვენი საფეიქრო მრეწველობის მიღწევად
ლელვის ფოთოლი ითვლებოდა.
ხოლო გემო-კვების სამინისტრო,
თავისსავე გუშაგმიჩენილ,
უცოდველთა წამწყმედ — აკრძალულ ხილს
თითქმის ძალით გვაპარინებდა.
აბა, ღმერთს ჩვენთან როგორ დაედგომებოდა,
როცა ათეისტურ რელიგიას —
დაყუდებულს ლენინის მავზოლეუმში,
ადამიანთა გულები საქონლის სადგომ
ამყრალებულ ბოსლებად ექცია,

სადაც ბელადებად ქცეულ რეციდივისტებს,
სისხლიანი ყვავილებით შემკული,
ტყვიად ჩამოსხმული საკუთარი ძეგლები დაედგათ...
როგორც ვიეთნი იტყვიან,
ჩვენს ედემში
მშრომელთა ხელიდან წაგლეჯილ ჩაქუჩ-ნამგალს
პრეზიდიუმის სამკაულად იყენებდნენ,
ხოლო სცენის სიღრმიდან მომზირალი ვარსკვლავი
ყოველთვის მზეს უბღვერდა მაინც და მაინც.
ახლა ხმალივით შემართულ წითელ დროშას
აღარ იკითხავთ?
გულმოსული — ქვეყნიერების ოთხივე მხარეს,
მისი ჭკუით,
კანონიერი მუქარით გაცქეროდა...
ისე, წითელმა დროშამ — უცაბედად და,
ჩემდა გასაკვირად —
ამ თავშესაქცევის დასასრული არ მიკარნახა!
(კიდევ კარგი, თორემ იმ ალამივით საით მივდიოდი,
თავად არ ვიცოდი...)
მოდი, რკინის სერგოს, მისივე მიბაძვით,
გორის საქალაქო ფოსტიდან,
სამარადჟამოდ გავარვარებულ საკირე-საკანში შეგდებულს,
ყველას სახელით, ელდა დეპეშას გავუგზავნი:
— ლორეშის თავზე
დამოუკიდებელი საქართველოს
სამფეროვანი დროშა ფრიალებს!
ძრწოდე: ჩვენი გულები კვლავ
ღვთის მადლით ივსება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვასილი გროსმანი

# „ყველაფერი იცვლება"

11

ალიოშა, ანა სერგეევნას დისშვილი, ისეთი დაბალი იყო, რვა წლისა გეგონებოდათ. იგი მეექვსე კლასში სწავლობდა. როგორც კი შინ მივიდოდა, წყალს მოიტანდა, ჭურჭელს დარეცხდა და გაკვეთილებს მიუჯდებოდა.

ზოგჯერ იგი ივან გრიგორიევიჩს თვალებს მიანათებდა და ეტყოდა:

— გამომკითხეთ, გეთაყვა, ისტორია.

როცა ალიოშა ბიოლოგიას ამზადებდა, ივან გრიგორიევიჩმა თითო-თითოდ გამოძერწა სხვადასხვა ცხოველი, რომლებიც სახელმძღვანელოში დაეხატათ: ჟირაფი, მარტორქა, გორილა. ალიოშა გაქვავდა, ისე მოეწონა თიხის მხეცები. მადლიერი უცქერდა მათ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა, ღამით კი სკამზე დააწყო და საწოლთან ახლოს მიიდგა. უთენია, როცა რძეზე მიდიოდა, ბიჭმა აგზნებული ჩურჩულით ჰკითხა მდგმურს, ხელპირს რომ იბანდა დერეფანში:

— ივან გრიგორიევიჩ, შეიძლება თქვენი მხეცები სკოლაში წავიღო?

— ინებე, წაიღე, — უთხრა ივან გრიგორიევიჩმა.

საღამოს ალიოშამ ივან გრიგორიევიჩს ხატვის მასწავლებლის დანაბარები გადასცა:

„გადაეცი თქვენს მდგმურს, რომ მან აუცილებლად უნდა ისწავლოს".

მიხალევამ პირველად დაინახა გაცინებული ივან გრიგორიევიჩი და უთხრა:

— რა გაცინებთ, მიდით მასწავლებელთან, იქნებ საღამოობით ცოტაოდენი გამოიმუშაოთ, თორემ, რას გეყოფათ სამას სამოცდათხუთმეტი მანეთი თვეში.

— არაფერია, მეყოფა, — თქვა ივან გრიგორიევიჩმა. — სწავლით კი ოცდაათი წლის წინ უნდა მესწავლა.

და მაშინვე გაიფიქრა: ნუთუ კიდევ რაღაც მაწუხებს? ესე იგი, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, არ მოვმკვდარვარ?

როგორღაც ივან გრიგორიევიჩი ალიოშას თემურლენგის ლაშქრობაზე უამბობდა, უცაბედად შეამჩნია, ანა სერგეევნას საკერავი გადაედო და ყურადღებით უსმენდა.

— თქვენ არტელში რა გინდათ, — ჩაიცინა ქალმა.

— ოჰ, — თქვა ივან გრიგორიევიჩმა, — რას ამბობთ, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, უთავბოლო ცოდნა მაქვს.

თიხის ფიგურების უბრალო ამბავმა ააფორიაქა იგი. თვით მას, რა თქმა უნდა, ნამდვილი ნიჭი არა ჰქონდა, მაგრამ მის თვალწინ რამდენი ახალგაზრდა ფიზიკოსი, ისტორიკოსი, უძველეს ენათა მცოდნე, ფილოსოფოსი, მუსიკოსი, ახალგაზრდა რუსი სვიფტები და ერაზმ როტერდამელები გაამგზავრეს იმქვეყნად... რევოლუციამდელი ლიტერატურა ხშირად მისტიროდა ყმა მსახიობების, მუსიკოსებისა და მხატვრების ბედს. ვიღამ დაიჩივლოს იმ ჭაბუკებზე და ქა-

---

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიშვილებზე, რომელთაც თავიანთი სურათებისა და წიგნების დაწერა არ მოუწიათ. რუსული მიწა უხვად ბადებს საკუთარ პლატონებსა და გონებამკვირცხლ ნიუტონებს, მაგრამ რა საშინლად და უბრალოდ ნთქავს თავისსავე შვილებს.

თეატრები და კინოები ნაღველსა და შიშს ჰგვრიდნენ ივან გრიგორიევიჩს. ეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც ძალით აცქერინებდა სცენას და უკან აღარ გაუშვებდნენ. ბევრი რომანი და ლექსი თავმომაბეზრებელი და ძალით თავსმოხვეული ეჩვენებოდა. თითქოს წიგნებში სხვა, მისთვის უცნობ ცხოვრებაზე იყო ნაამბობი, სადაც არ იყო გაძლიერებული რეჟიმის ბარაკები, ბრიგადირები, ზედამხედველები, ოპერრწმუნებულები, საპასპორტო სისტემა და ყველა ის გრძნობა, ტანჯვა, ვნებები და წუხილი რითაც მის გარშემო მყოფი ხალხი ცხოვრობდა...

მწერლები თავად იგონებდნენ ადამიანებს, მათ გრძნობებსა და ფიქრებს, იგონებდნენ ოთახებს, რომლებშიც ისინი ცხოვრობდნენ, მატარებლებს, რომლებითაც მგზავრობდნენ... რეალისტურად წოდებული ლიტერატურა არანაკლებ პირობითი გახლდათ, ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის ბუკოლიკური რომანები. ლიტერატურული კოლმეურნეები, მუშები, სოფლელი ქალები იმ მოკაზმულ, წარმოსადეგ ახალმოსახლეებსა და თმახუჭუჭა მწყემს ქალებს ჰგავდნენ, რომლებიც სალამურს უკრავდნენ და მდელოზე ცისფერბაფთიან ქათქათა ბატკნებს შორის ცეკვავდნენ.

ივან გრიგორიევიჩმა ბანაკებში გატარებული მრავალი წლის მანძილზე ბევრი რამ გაიგო ადამიანის სისუსტეზე. ახლა იგი ხედავდა, რომ ეს სისუსტე მავთულხლართის ორივე მხარეს არსებობდა. ტანჯვა როდი გაწმენდდა. მხოლოდ ბანაკში სუპის ზედმეტი ყლუპის, სამუშაოზე შეღავათისათვის ბრძოლა სასტიკი იყო და სუსტები ხშირად ერთიანად ეცემოდნენ. ახლა, გარეთ, ივან გრიგორიევიჩს აგონდებოდა: სხვის დაცარიელებულ ჯამებში იფხიკებოდა კოვზით ან ნათალებისა და დამპალი კომბოსტოს ფურცლების ძებნაში სამზარეულოსთან ტურასავით დაწანწალებდა ესა თუ ის ერთ დროს მედიდური და ნაპატიები კაცი.

გათელილი, ძალადობით, უჯმელობით, სიცივითა და უთამბაქოობით დათრგუნვილი ხალხი, ბანაკის „ტურებად“ რომ ქცეულიყვნენ და შფოთიანი მზერით ეძებდნენ პურის ნამცეცებსა თუ დანერწყვილ ნამწვავებს, ყოველთვის ებრალებოდა ივან გრიგორიევიჩს.

რომანებსა და პოემებში კი, საბჭოთა ხალხი, როგორც შუა საუკუნეების ხელოვნებაში, ეკლესიისა და ღვთაების იდეას გამოხატავდა: ისინი აღიარებდნენ ჭეშმარიტ ღმერთს, ადამიანი არსებობდა არა თავისთვის, არამედ ღვთისათვის. არსებობდა, რათა ედიდებინა ღმერთი და მისი ეკლესია. ზოგიერთი მწერალი კი განსაკუთრებული გულმოდგინებით წარმოადგენდა ტანსაცმლის და მოწყობილობის წვრილმანებს და ცოცხალ დეკორაციებში თავიანთ გამოგონილ ღვთისმაძიებელ გმირებს ასახელებდნენ.

გარეთ და ბანაკშიც ადამიანებს არ სურდათ ეღიარებინათ, რომ თავისუფლების უფლება ყველას ჰქონდა. ზოგიერთი მემარჯვენე უკლონისტი თავს დამნაშავედ არ სცნობდა, მაგრამ მემარცხენე უკლონისტებისადმი რეპრესიებს ამართლებდა. მემარცხენე და მემარჯვენე უკლონისტებს ჯაშუშები არ უყვარდათ. ისინი, ვისაც უცხოეთში ნათესავებთან მიწერ-მოწერა ჰქონდათ, ისინი, რომელთა გარუსებული მშობლები პოლონურ, ლატვიურ და გერმანულ გვარებს ეფარებოდნენ.

რამდენიც უნდა ელაპარაკათ გლეხებს, მთელი ცხოვრება ოფლს ვღვრიდითო, პოლიტიკური პატიმრები არ უჯერებდნენ: „ვიცით, აბა, ტყუილად ხომ არ გააკულაკებდნენ ღარიბებს“.

ივან გრიგორიევიჩი ნარის მეზობელს, ყოფილ წითელგვარდიელ მეთაურს ეტყოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თვითონ თქვენ მთელი სიცოცხლით ბოლშევიზმის იდეის ერთგული, სამოქალაქო ომის გმირი ხართ და ახლა, აგერ შპიონაჟში ექვმიტანილი ზიხართ.

ის კი უპასუხებდა:

— ჩემს მიმართ შეცდომა მოხდა, განსაკუთრებული სტატიაა, შედარებაც არ შეიძლება.

როცა სისხლის სამართლის დამნაშავენი მსხვერპლს ამოარჩევდნენ და მის წვალებასა და ძარცვას იწყებდნენ, ზოგი პოლიტიკური პატიმარი ზურგს შეაქცევდა, სხვები გაქვავებული, არაფრისმთქმელი სახით ისხდნენ, ერთნი გარბოდნენ, მეორენი კი თავზე საბანს წაიფარებდნენ და თავს იმძინარებდნენ.

ასეულობით პატიმარი, მათ შორის ყოფილი სამხედროები და გმირები უძლურები ხდებოდნენ რამდენიმე სისხლის სამართლის დამნაშავის წინაშე. ისინი თავხედობდნენ, თავს პატრიოტებად თვლიდნენ, პოლიტპატიმრებს კი „ფაშისტებს", ხალხის მტრებს ეძახდნენ. ბანაკში ადამიანები გამომშრალ ქვიშის მარცვალსა ჰგავანან, ყველა თავთავისთვის, ცალ-ცალკე გაბნეული.

ერთი თვლიდა, რომ შეცდომა მხოლოდ მასთან დამოკიდებულებაში მოხდა, საერთოდ კი — „ტყუილად არავინ სვამს."

სხვები ასე მსჯელობდნენ: გარეთ გვეგონა, ტყუილად არავის სვამდნენ, ახლა კი საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ, რომ ტყუილადაც ბევრი ზის. მათ აქედან არავითარი დასკვნა არ გამოჰქონდათ, მხოლოდ მორჩილად ოხრავდნენ.

გაჩხინკულმა, ახალგაზრდობის კომინტერნის მუშაკმა, თალმუდისტმა და დიალექტიკოსმა ივან გრიგორიევიჩს აუხსნა, რომ პარტიის წინაშე დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ სამართალდამცველმა ორგანოებმა იგი როგორც ჯაშუში და ორპირი დააპატიმრეს. დანაშაული არ ჩაუდენია და მაინც პარტიის მტერთა ფენას ეკუთვნის. ფენას, რომელიც ორპირებს, ტროცკისტებს, პრაქტიკულ ოპორტუნისტებს და მცირედმორწმუნეებს შობს.

ბანაკელი „კარგი კაცი" ყოფილი საოლქო პარტიული მუშაკი როგორღაც გამოელაპარაკა ივან გრიგორიევიჩს:

— ტყეს რომ კაფავენ, ნაფოტები ცვივა. პარტიული სიმართლე კი სიმართლედ რჩება, იგი ჩემს უბედურებაზე მაღლა დგას, — მან ხელი მკერდზე მიიდო და დაუმატა: — მეც ნაფოტივით დავვარდი ტყის ჭრისას.

ბანაკელი დაიბნა, როცა ივან გრიგორიევიჩმა უთხრა:

— ჰოდა, უბედურებაც იმაშია, რომ ტყეს ჭრიან. რატომ უნდა გაჩეხონ ტყე?

ბანაკებში ივან გრიგორიევიჩს იშვიათად თუ შეხვედრია ისეთი ხალხი, ნამდვილად რომ იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მეფის ყოფილი ოფიცრები, ბანაკში იმისთვის კი არ ხვდებოდნენ, რომ მონარქიულ ორგანიზაციას აკოწიწებდნენ, იმისთვის ისხდნენ, რომ შეეძლოთ მისი შეკოწიწება.

ბანაკებში სოციალ-დემოკრატები და სოციალისტები, რევოლუციონერებიც იყვნენ. მრავალი მათგანი ლოიალობისა და ობივატელური უმოქმედობის გამო დააპატიმრეს. ისინი იმისთვის კი არ ჩასვეს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდნენ, არამედ იმ ვარაუდით, რომ შეეძლოთ ებრძოლათ.

ბანაკებში გლეხობა იმისათვის კი არ იგზავნებოდა, რომ კოლმეურნეობის მტრები იყვნენ. გადაასახლებდნენ მათ, ვინც, პირველი შესაძლებლობისთანავე, იქნებ კოლმეურნეობის წინააღმდეგაც გამოსულიყო.

ხალხი ბანაკებში უვნებელი კრიტიკისათვის ხვდებოდა; ერთს სახელმწიფოს მიერ წიგნისა და პიესის პრემირება არ მოსწონდა, მეორეს სამამულო წარმოების რადიომიმღებები და ავტომატური კალმები. შესაფერის პირობებში ამგვარი ადამიანები სახელმწიფოს მტრებიც გახდებოდნენ.

ბანაკში ასახლებდნენ მათაც, ვისაც საზღვარგარეთ მყოფ ნათესაობასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა მიმოწერა. ასახლებდნენ იმისათვის, რომ მათ ჯაშუშებად გახდომის უფრო დიდი შანსი ჰქონდათ, ვიდრე იმათ, ვისაც კორდონის ხაზის მიღმა ნათესაობა არ გააჩნდათ.

ეს გახლდათ ტერორი არა – დანაშავეთა, არამედ მათ წინააღმდეგ, ვისაც, დამსჯელი ორგანოების შეხედულებით, უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა დამნაშავე გამხდარიყო.

ამგვართაგან განსხვავდებოდნენ ადამიანები, სინამდვილეში საბჭოთა ხელისუფლების მტრები რომ იყვნენ, მის წინააღმდეგ იბრძოდნენ: ესერები, მენშევიკები, ანარქისტები, ან უკრაინის, ესტონეთის და ლიტვის დამოუკიდებლობის მომხრენი, ომის დროს გამოჩენილი ბანდერები.

საბჭოთა პატიმრები მათ თავიანთ მტრებად თვლიდნენ და მაინც აღტაცებული იყვნენ ადამიანებით, რომლებიც საქმისთვის ისხდნენ.

რეჟიმის ბანაკში ივან გრიგორიევიჩი ერთ მოსწავლეს, ბორია რომაშკინს შეხვდა, რომელსაც ათი წელი ჰქონდა მისჯილი. იგი მართლაც თხზავდა ტექსტებს, სადაც სახელმწიფოს უდანაშაულოთა მოსპობაში დებდა ბრალს, მართლაც ბეჭდავდა მათ საბეჭდ მანქანაზე და ფურცლებს მოსკოვის სახლების კედლებზე აკრავდა. ბორიამ უამბო ივან გრიგორიევიჩს: გამოძიებისას სახელმწიფო უშიშროების ათეულობით თანამშრომელი მიდიოდა თურმე მის სანახავად, მათ შორის რამდენიმე გენერალი. ყველას აინტერესებდა საქმისთვის დაპატიმრებული ბიჭი. ბორია ბანაკშიც ცნობილი იყო, მას ყველა იცნობდა, მეზობელი ბანაკების პატიმრებიც კი კითხულობდნენ მის ამბავს. როცა ივან გრიგორიევიჩი ეტაპით რვაასი კილომეტრით დაშორებულ ახალ ბანაკში წაიყვანეს, პირველ საღამოსვე ბორია რომაშკინის ამბავი მოისმინა. მთელ კოლიმას მოსდებოდა ამ ბიჭის სახელი. მაგრამ უცნაური იყო: საქმისთვის, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლისათვის ჩასმული ხალხი თვლიდა, რომ ყველა პოლიტპატიმარი უდანაშაულო და განურჩევლად ყველა თავისუფლების ღირსი იყო. ისინი კი, ვინც „ტყუილუბრალოდ“, შეთითხნილი, ყალბი საქმის წყალობით იჯდა, — ასეთები კი მილიონობით იყვნენ, — უფრო საკუთარი თავის ამნისტირებას ესწრაფოდნენ და სხვათა, ცრუ ჯაშუშების, კულაკების და მავნებლების დანაშაულის დამტკიცებასა და სახელმწიფოს სისასტიკის გამართლებას ცდილობდნენ.

პატიმართა და თავისუფალი ადამიანების სულს შორის ერთი დიდი განსხვავება არსებობდა. ივან გრიგორიევიჩი ხედავდა, რომ ბანაკის მკვიდრნი იმ დროის ერთგულნი იყვნენ, რომელსაც ისინი წარმოექმნა, ყოველი მათგანის ხასიათსა და ფიქრებში სხვადასხვა ეპოქის რუსული ყოფა ცხოვრობდა. აქ იყვნენ სამოქალაქო ომის მონაწილენი, თავიანთი საყვარელი სიმღერებით, წიგნებითა და გმირებით; აქ იყვნენ მწვანეები, პეტლიურელები, თავიანთი სიმღერებით, ლექსებითა და ჩვეულებით: მათში ჯერ კიდევ ბობოქრობდა ძველ დროინდელი ვნებანი; აქ ბრძანდებოდნენ ოციანი წლების კომინტერნის მუშაკები, თავიანთი პათოსით, ლექსიკონით, საკუთარი ფილოსოფიით, ქცევისა და სიტყვის წარმოთქმის მანერით; აქ სულ ძველებიც იყვნენ: მონარქისტები, მენშევიკები, ესერები. მათ ორმოცი, ორმოცდაათი წლის წინათ არსებული ლიტერატურული გმირები, იდეური სამყარო და ქცევები შეენარჩუნებინათ.

წამსვე იცნობდით ჩამოძონძილ მოხუცში სულმოკლე, დაცემულ, მაგრამ იმავე დროს კეთილშობილ კავალერგარდსა და მისი ნარის მეზობელ, მასავით ჩამოძონძილ, ჰაღარაწვერიან დაუმორჩილებელ სოციალ-დემოკრატს, მოხრილ „ბოთე“ სანიტარში კი — ჯავშნოსანი მატარებლის კომისარს.

აი, გარეთ კი ადამიანებს წარსული დროის განუმეორებელი ნიშნები უკვე აღარ გააჩნდათ. წარსული წაშლილიყო მათში, ადვილად მიეღოთ ახალი ეპოქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იერი. ისინი დღევანდელი დღის შესაბამისად ფიქრობდნენ და წუხდნენ; მოვლენათა მსვლელობისა და უფროსების ნებისდა მიხედვით მორჩილად, ადვილად იცვლიდნენ ლექსიკონს, აზრებს, ვნებებსა და გულწრფელობას.

რით აიხსნებოდა ეს განსხვავება: იქნებ ბანაკში, როგორც ანესთეზიის დროს, ადამიანი თითქმის კვდებოდა?

ბანაკში ყოფნისას, ივან გრიგორიევიჩი გამუდმებით ხედავდა ადამიანების ბუნებრივ სწრაფვას მავთულხლართისათვის თავი დაეღწიათ, ცოლ-შვილს დაბრუნებოდნენ. მაგრამ გარეთ იგი ხანდისხან ხვდებოდა ბანაკიდან გათავისუფლებულ ადამიანებს და მათი მორჩილი პირფერობა, შიში საკუთარი ფიქრის წინაშეც კი, ახალი დაპატიმრების საშინელება ისე ყოვლისმომცველად უზარმაზარი იყო, რომ ხალხი პატიმრობისას უფრო მტკიცენი ჩანდნენ, ვიდრე იძულებითი სამუშაოების დროს. ბანაკიდან გათავისუფლებულები და მოქირავედ მომუშავენი, რომლებიც უკვე თავიანთი ახლობლების გვერდით ცხოვრობდნენ, ხშირად იმაზე უფრო ულმობელი და სასტიკი პატიმრობისათვის იყვნენ განწირულნი, ვიდრე ბანაკის მავთულხლართის მიღმა მყოფნი.

და მაინც ბანაკური ცხოვრების წამებასა, ჭუჭყსა და ლაფში ბანაკის ბინადართა ნათელი წერტილი და ძლიერება თავისუფლება იყო. თავისუფლება უკვდავი გახლდათ.

პატარა ქალაქში, სერჟანტ მიხალევის ქვრივთან დასახლებული ივან გრიგორიევიჩი ახლა მთელი ძალით გრძნობდა თავისუფლების აზრს.

ცხოვრებისეულ ბრძოლაში, რომელსაც ხალხი ეწეოდა, მუშათა ეშმაკობებში, ღამეული შრომით ზედმეტი კაპიკი ეშოვნათ, პურისა და კარტოფილისათვის კოლმეურნეთა გარჯაში, ივან გრიგორიევიჩი მხოლოდ კარგად ცხოვრების სურვილს, ბავშვების მაძღრისად დანაყრებისა და ჩაცმის სურვილს როდი ხედავდა. ჩექმების კერვის, კოფთების ქსოვის, თესვის უფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელი თავისუფლებისადმი დაუძლეველი მისწრაფება მჟღავნდებოდა. ასეთივე მისწრაფება ჰქონდათ ბანაკის მკვიდრთ. თავისუფლება ბანაკის მავთულხლართის ორივე მხარეს უკვდავი იყო.

ერთ საღამოს, სამუშაოს შემდეგ, ივან გრიგორიევიჩს მეხსიერებაში ბანაკის სიტყვები წამოუტივტივდა. ღმერთო ჩემო, ალფაბეტის ყოველ ასოზე აღმოჩნდა სიტყვა... ყოველ მათგანზე კი შეიძლება სტატია, პოემები და რომანები დაიწეროს...

აყვანა... ბარაკი... ზედამხედველი... მაწანწალა... ქალთა ბანაკები... პატიმრები... ქსივა... ასე დაუსრულებლად შეიძლებოდა ჩამოთვლა. უზარმაზარი სამყარო, თავიანთი ენა, ეკონომიკა, მორალური კოდექსი. იმაზე უფრო დიდი თხზულებებით შეიძლება წიგნის თაროების ავსება, ვიდრე გორკის წამოწყებული „ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორიაა".

აი, სიუჟეტი — ეშელონის ისტორია: მისი ფორმირება, ეშელონი გზაში, ეშელონის დაცვა... რა გულუბრყვილო, შინაურული ეჩვენება თანამედროვე ეტაპირებულს ოციანი წლების ეშელონი, პოლიტპატიმრის ვოიაჟი სამგზავრო ვაგონის კუპეში ფილოსოფოს მცველთან ერთად, რომელიც დასაცავს ღვეზელებით უმასპინძლდება. ბანაკური კულტურის მოკრძალებული ჩანასახები, ჭაღარა ქვის ხანა, ეს-ესაა გამოჩეკილი წიწილი...

და ახლანდელი, კრასნოიარსკის მხარეში მიმავალი, სამოცვაგონიანი ეშელონი: მოძრავი ციხე-ქალაქი, სატვირთო ოთხღერძა ვაგონი, ცხაურიანი სარკმლები, სამსართულიანი ნარები, ვაგონ-საწყობები, ზედამხედველებით სავსე საშტაბო ვაგონები, ვაგონ-სამზარეულოები, მოსამსახურე ძაღლებიანი ვაგონები. ეს ძაღლები დაძრწიან ეშელონის გასწვრივ გაჩერებებზე: ზღაპრული ფადიშაჰივით მზარეულებისა და ხასაკახპების ლიქნით გარშემორტყმული ეშ-

გრომადული ბიბლიოთეკა

ელონის უფროსი: შემოწმებები, როცა ვაგონში ზედამხედველი შემოძვრება, დანარჩენები კი თბილანა ვაგონის ღია კარებისაკენ მიღერილი ავტომატებით, მოჰყვებიან და პატიმრები ამოუღიათ მიზანში. ერთმანეთს მიკვრია ხალხი, ზედამხედველი კი მარჯვედ ერეკება ხალხს ვაგონიდან ვაგონში და რაგინდ სწრაფად გარბოდეს პატიმარი, ზედამხედველი მაინც ასწრებს, ჯოხი სდრუზოს უკანალზე ან კინკრიხოში წაუტიალოს.

ცოტა ხნის წინ კი, უკვე სამამულო ომის შემდეგ, ბოლო ვაგონების ფსკერზე ფოლადის სავარცხლები დაამაგრეს. პატიმარი გზაში თუ იატაკს დაშლის და რელსებს შუა დააპირებს ჩახტომას, სავარცხელი დაიტაცებს და ბორბლის ქვეშ ჩააგდებს — არც თქვენ, არც ჩვენო. მათთვის კი, ვინც ჰერს აამტრევდა და ვაგონის სახურავზე აძვრებოდა, ხანჯლისებური პროჟექტორები დააყენეს. ისინი სიბნელეს ორთქლმავლიდან ბოლო ვაგონამდე ჰკვეთენ, ეშელონის გასწვრივ მოღერილმა ტყვიამფრქვევმა კი, თუ სახურავზე კაცი გაირბენს, თავისი საქმე იცის. ჰო, ყველაფერი ვითარდება. ეშელონის ეკონომიკაც დაიხვეწა: დამატებითი პროდუქტი, ბადრაგის ოფიცერთა ყოფითი ნეტარება შტაბვაგონში, ულუფა პატიმართა და ძაღლების ქვაბიდან, სამივლინებო ფული, რომელიც აღმოსავლეთ ციმბირისკენ ეშელონის სამოცდღიანი გადაადგილების პროპორციულად ერიცხებათ, შიდასავაგონო აღებ-მიცემობა, სასტიკი, სავაგონო ნივთთა დაგროვება და მისი პარალელური პაუპერიზაცია. ჰო, ყველაფერი იცვლება, არ შეიძლება ერთსა და იმავე ეშელონში შესვლა.

მაშ ვინღა აღწერს ამ სასოწარკვეთილ, ცოლ-შვილთან გამყრელ სვლას, ამ ღამეულ ალსარებებს, ბორბლების რკინისებურ რაკუნსა და ვაგონის ჭრიჭინში, მორჩილებას, ნდობას, ამ ჩანთქმას ბანაკის უფსკრულში, თბილანის წყვდიადიდან ტრამალის დიად საფოსტო ყუთის წყვდიადში გადასროლილ წერილებს. აკი მიდიოდნენ კიდეც ადგილამდე!

ეშელონში ჯერ კიდევ ბანაკის ჩვეულებები არ გაგჩენია, არ გრძნობ დაღლილობას, ბანაკის საზრუნავით თავი არ გამოგთაყვანებია: დაბოღმილი გულისათვის ყველაფერი უჩვეულო, „საშინელია": ბინდბუნდი, ჭრიჭინი, ხორკლიანი ფიცრები, მოწრიალე ქურდები და ბადრაგთა თვალგამოციებული მზერა.

აი, სარკმელთან ბიჭი ასწიეს. იგი ყვირის:

— ბაბუ, ბაბუ, საით მივყავართ?

და ყველას ესმის თბილანაში ბებრული, გაბზარული ხმა:

— ციმბირში, საყვარელო, კატორღაში...

უცებ ივან გრიგორიევიჩმა გაიფიქრა: ნუთუ ეს ჩემი გზაა, ჩემი ბედი. აი, ამ ეშელონებით დაიწყო ჩემი გზა და მხოლოდ ახლა დამთავრდა.

ასე ხშირად წამოჭრილი ბანაკის მოგონებები თავიანთი ქაოტურობით აწამებდნენ ივან გრიგორიევიჩს. იგი გრძნობდა, ახსოვდა, რომ ქაოსში გარკვევა შეიძლება, შეეძლო კიდეც ეს და ახლა, როცა დამთავრდა ბანაკის გზა, დადგა დრო ნათლის დანახვისა, ტანჯვათა ქაოსში კანონების გამორჩევისა, დანაშაულსა და უწმინდეს უდანაშაულობას შორის წინააღმდეგობების, ყალბი აღსარებებისა და ფანატიკური ერთგულების, მილიონობით უდანაშაულოთა უაზრო მკვლელობებისა, პარტიის ერთგულ ადამიანებისა და ამ მკვლელობათა რკინისებური აზრის გარკვევისა.

12

ერთი ხანია ივან გრიგორიევიჩი ერთთავად დუმდა, თითქმის აღარ ელაპარაკებოდა ანა სერგეევნას. მაგრამ სამუშაოზე ხშირად ფიქრობდა მასზე და თვალი სულ საზეინკლო საამქროში ჩამოკიდებულ საათისკენ გაურბოდა. მალე მაინც დადგებოდეს წასვლის დრო.

და რატომღაც ამ მდუმარე დღეებში, ივან გრიგორიევიჩი სულ უფრო ხში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ფიქრობდა ბანაკის ქალების სვებედზე.

...მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობა კათედრებსა და სოციოლოგების ნაშრომებში როდი დამტკიცებულა... ქალის თანასწორუფლებიანობა მხოლოდ ფაბრიკებში მუშაობით, კოსმოსში გაფრენითა და რევოლუციის ქარცეცხლში გამოვლით კი არ განმტკიცებულა. იგი რუსეთის ისტორიაში ბატონყმური, საბანაკო, საეშელონო და ციხის წამებებით დამკვიდრდა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ბატონყმური საუკუნეების, კოლიმის, ნორილსკის და ვორკუტის გამომვლელი ქალი მამაკაცს გაუთანასწორდა.

ბანაკმა, მეორე უბრალო ჭეშმარიტებაც დაამტკიცა. მამაკაცისა და ქალის ცხოვრება განუყოფელია.

სატანური ძალა აქვს აკრძალვას, კაშხალს. კაშხლით შებოჭილი მდინარეებისა და ნაკადულების წყალი თავის საიდუმლო, ბნელ ძალას ავლენს. ქვიშაში, მზის ათინათში და დუმფარათა შრიალში მიმალული დაფარული ძალა, წყლის შეუბრალებელ სისასტიკეს შეიცნობს: ამსხვრევს ქვებს და გიჟური სიჩქარით მიისწრაფვის ტურბინის ხახაში.

შეუბრალებელია შიმშილის ძალა, როგორც კი კაშხალი მოსწყვეტს ადამიანს პურს არსობისას. საჭმლის ბუნებრივი მოთხოვნილება მილიონთა სიცოცხლის გამანადგურებელ, სასტიკ და ურჯულ ძალად იქცევა. რომელიც დედებს შვილთა მჭამელებად მოგვივლენს.

აკრძალვა, ბანაკის ქალებს მამაკაცებისაგან რომ ჰყოფს, ღრღნის მათ სხეულებსა და სულებს.

ქალის სინაზე, მზრუნველობა, ვნება, დედობა, ცხოვრების წყალი და პურია. ყოველივე ეს ქალში იმიტომ იბადება, რომ ამქვეყნად ქმრები, შვილები, მამები და ძმები არსებობენ. ეს ავსებს მამაკაცის ცხოვრებას, რადგან არსებობს ცოლი, დედა, ქალიშვილი, დები.

მაგრამ აი, ძალაში შედის აკრძალვა, და ყოველივე უბრალო, კეთილი: ცხოვრების პური და წყალი, უცებ თავის მდაბალ ბოღმასა და სიბნელეს ამჟღავნებს.

ძალადობა, აკრძალვა ადამიანის არსებაში ერთი ხელის მოსმით სიკეთეს გარდუვალად ცვლის უკეთურობით.

...მამაკაცებისა და ქალების სისხლის სამართლის ბანაკებს შუა უცნაური მიწის სარტყელი განრთხმულიყო. მას ცეცხლსასროლ ზონას უწოდებდნენ. როგორც კი ამ მიწაზე კაცი გამოჩნდებოდა, ტყვიამფრქვევები ცეცხლს ხსნიდნენ. პატიმრები ცეცხლსასროლ ზონაში მუცლით მიხოხავდნენ, მავთულხლართებში მიძვრებოდნენ. ისინი კი, ვისაც ბედი არ გაუღიმებდა, იქვე რჩებოდნენ გახვრეტილი თავებითა და დამტვრეული ფეხებით. ეს კაშხლებით გადაკეტილ მდინარეებში ატოფებული თევზის შეშლილ, ტრაგიკულ ხეტიალს ჰგავდა.

როცა ქალთა ავისმომასწავებელ რეჟიმის ბანაკებში ქალებთან, რომელთაც მრავალი წელი კაცის სახეც კი არ ენახათ, ხმაც კი არ გაეგონათ, ზეინკლები, მძღოლები ან, დურგლები განწესით ხვდებოდნენ, მათ აწამებდნენ, სიკვდილის პირას მიჰყავდათ. სისხლის სამართლის დამნაშავე მამაკაცებს ეშინოდათ ამ ბანაკებისა, სადაც მკვდარი მამაკაცისათვის ხელის შეხებაც კი ბედნიერებად ითვლებოდა. იქ შესვლას ცეცხლსასროლი იარაღით დაცვის იმედითაც ვერ ბედავდნენ.

უბედურება ასახიჩრებდა კატორღელებს, მხეცებად აქცევდა.

კატორღაში ქალები ქალებს აიძულებდნენ არაბუნებრივ თანაცხოვრებას. ქალების ბარაკებში ყალიბდებოდა უცნაური ხასიათი ქალებისა — ქალი—კობლა, ჩახლეჩილი ხმით, გაბოტებული სიარულით, მამაკაცური მიხრა-მოხრით, ჯარისკაცურ ჩექმებში ჩატანებული შარვლით. მათ გვერდით ყოველთვის დაბორიალებდნენ საცოდავი, დაბნეული არსებები.

კობლა ჩიფირს სვამდა, წეკოს ეწეოდა, გამომთვრალი თავის მოღალატე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარაფშუტა სატრფოს მიბეგვავდა, მაგრამ სხვათა შეურაცხყოფისა და მიძალებისგანაც იცავდა მუშტითა და დანის ტრიალით. ურთიერთობათა სწორედ ეს ტრაგიკული, მახინჯი სამყარო გახლდათ სიყვარული კატორღულ ბანაკში. იგი საშინელი იყო. აქ ვერ გაიგონებდით სიცილს, მოსწრებულ ხუმრობას, მხოლოდ საშინელება გამეფებულიყო ქურდებისა და მკვლელების სულში.

კატორღის სასიყვარულო სასოწარკვეთას ტაიგის თვალუწვდენელი მანძილი ვერაფერს აკლებდა, ვერც მავთულხლართები, ქვის კედლები და დაცვა აკავებდა. იგი პირში უვარდებოდა მახრჩობელა ნაგაზებს, დანის პირს ეგებოდა და დაცვის ტყვიას მკერდს უშვერდა. სწორედ ასე გადმოკარკლული თვალებითა და გადამტვრეული ქედით მიაპობს ოკეანეს თევზი ტოფობისას და მთის ციცაბოებსა და ჩანჩქერის კლდეებს ეხლება.

ამავე დროს ბანაკის იგივე მკვიდრნი ცოლებისა და დედების სიყვარულს გულში სათუთად ინახავდნენ; ბანაკის „დაუსწრებელი" საცოლეები, რომლებსაც არასოდეს უნახავთ და ვერც ვერასოდეს ნახავენ თავიანთ დაუსწრებლად ამორჩეულ ბანაკის საქმროებს, ნებისმიერ ტანჯვას გაუძლებდნენ ბანაკის მიუსაფარი რჩეულის ერთგულებისათვის, გამოგონილისათვის.

რაღაც მაინც ეპატიება კაცს, თუკი იგი ბანაკური ძალადობის ლაფსა და წუმპეში მაინც ადამიანად რჩება.

13

ჩუმი მაშენკა... აი, უკვე აღარ აცვია თხელი წინდები და ცისფერი შალის კოფთა... ძნელია სატვირთო ვაგონში სიკოხტავის შენარჩუნება. დაძაბული უსმენს იგი ნარის მეზობლების, ქურდი ქალების უცნაურ ლაპარაკს, თითქოს რუსულსაც რომ არ ჰგავს, შიშით შესცქერის ეშელონის დედოფალს: როსტოველი ქურდის ტუჩგაფითრებულ, ისტერიულ საყვარელს.

აი, მაშამ ცხვირსახოცი გარეცხა ჭიქაში, დარჩენილი წყლით ფეხის გულები გაიწმინდა. ცხვირსახოცს მუხლებზე იშრობს და ბინდბუნდს ჩაკვირვებია.

ნისლით დაიბურა ბოლო თვეები: სამი წლის იულკას ტირილი, როცა დაბადების დღეზე ზომაზე მეტი ჭამა, ხალხის სახეები, ჩხრეკას რომ ატარებდნენ. თეთრეული, ნახაზები, თოჯინები და ჭურჭელი იატაკზე მიმოფანტულა, საქორწილოდ დედისაგან ნაჩუქარი, ქოთნიდან ამოგლეჯილი ფიკუსი, ქმრის უკანასკნელი, საცოდავი და ერთგულების მავედრებელი ღიმილი ზღურბლზე. ამ ღიმილის გახსენებაზე მაშენკა თავზე ხელს წაივლებდა და ყვიროდა. შემდეგ შეშლილი კვირეები დაიწყო, და არაფერი იცვლებოდა, იულკას ფაფის ქვაბის გვერდით კი ლუბიანკას გამყინავი შიში ჩასაფრდა, დაიწყო შიდა ციხის მისაღებში რიგში დგომა, ხმა სარკმლიდან: „გადაცემაზე უარი ეთქვა", ნათესავებში სირბილი, ახლობლების მისამართების დაზეპირება, სარკიანი კარადისა და „აკადემიის" გამოცემული წიგნების ნაჩქარევად, უგერგილოდ გაყიდვა, გულის ტკენა, იმისათვის, რომ და ქალი აღარ ურეკავდა. ისევ გამოჩნდნენ ღამეული სტუმრები, გათენებამდე ჩხრეკდნენ, მერე იულკას გამოეთხოვა, რომელიც ალბათ, ბებიას არ დაანებეს და თავშესაფარში წაიყვანეს. ბუტირკის ციხე... აქ ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. კერვისას ნემსებად ასანთებსა და სალაფავში ნაპოვნ თევზის ძვლებს ხმარობდნენ. ნაირფერად ელავდნენ ათეულობით გარეცხილი ცხვირსახოცები, ტრუსები, აზღუდები, რომელსაც პატიმარი ქალები ჰაერში ხელის ქნევით აშრობდნენ; ღამის დაკითხვაზე, პირველად სიცოცხლეში ვიღაცამ მუშტი მოუქნია, შენობით მიმართა, კახპა და ბოზი უძახეს. მას ქმრის დაუსმენლობა დასდეს ბრალად, ქმარს კი ათი წელი მიუსაჯეს მიმოწერის ნებართვის გარეშე ტერორის მზადების გაუმჟღავნებლობის გამო.

მაშას ვერ გაეგო, მას და მისთანებს, რატომ უნდა დაესმინათ ქმრები. ანდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეისა და ასეთულობით მისნაირს რატომ უნდა დაებეზღებინათ თანამშრომლები, ბავშვობის მეგობრები. გამომძიებელმა მამა მხოლოდ ერთხელ გამოიძახა. მერე რვა თვე გავიდა ციხეში. დღე და ღამე, დღე და ღამე. სასოწარკვეთა ბედის ჩლუნგ მოლოდინად ექცა და მაინც, უეცრად, ზღვის ტალღასავით გალუმპავდა იმედი, ქმარ-შვილთან მალე შეხვედრის რწმენა.

ბოლოს და ბოლოს ზედამხედველმა მას პაპიროსის ქაღალდის წვრილი ლენტი მიაწოდა და ქალმა წაიკითხა: 58-6-12.

მაგრამ მას შემდეგაც არ დაუკარგავს იმედი: იქნებ გააუქმონ განაჩენი, ქმარი გამართლებულია, იულიაც შინაა. ისევ ერთად იქნებიან და აღარ გაიყრებიან. ამის გაფიქრებაზე ტანთ სიხარულის ჟრუანტელი უვლიდა.

ღამით მაშა გააღვიძეს: „ლიუბიმოვა, ნივთებით!“ მანქანაში ჩასვეს, კრასნაია პრესნიას ციხეს ჩაუარეს და იაროსლავის რკინიგზის სატვირთო სადგურს მიადგნენ ეშელონებში ჩასასხდომად.

განსაკუთრებით დაახსომდა ქმრის დაპატიმრების მეორე დღე, თითქოს უსასრულოდ გაგრძელებულიყო მას შემდეგ ეს დილა.

წინკარში კარი მიეხეთქა, მოტორი აგუგუნდა და სიჩუმე ჩამოწვა. სულში შიშმა დაისადგურა. დერეფანში ტელეფონი რეკავდა, ლიფტი მათ სართულზე გაჩერდა, მეზობელი ქალი ტუფლების ფრატუნით მოდიოდა სამზარეულოდან და უეცრად ფრატუნის ხმა მიჩუმდა.

მაშა იატაკზე მიყრილ-მოყრილ წიგნებს ჩვრით წმენდდა და თაროებზე ალაგებდა. გაფანტული თეთრეული ფუთად გამოკრა. მერე გამოხარშავდა. ახლა ყველაფერი წაბილწული ჩანდა ოთახში. ფიკუსი ქოთანში ჩადო და მის ტყავისებურ ფურცელს მოეფერა. ამ ფიკუსზე ხშირად იცინოდა ანდრიუშა, იგი მეშჩანობის სიმბოლოდ გამოაცხადა და გულში მაშაც ეთანხმებოდა ქმარს, მაგრამ ფიკუსის ხელყოფის უფლებას არავის აძლევდა და არც სამზარეულოში გატანის ნებას რთავდა. ეცოდებოდა უკვე მოხუცებული დედა, რომელმაც მთელი მოსკოვი გამოატარა, მეხუთე სართულზე ამოათრია, რადგან ლიფტი არ მუშაობდა და ქალიშვილს საქორწილო საჩუქრად მიართვა.

ირგვლივ სიჩუმე იდგა! მაგრამ მეზობლებს არ ეძინათ. მათ ეცოდებოდათ მაშა, თან ეშინოდათ კიდეც და ღმერთს მადლობას სწირავდნენ, მათთან რომ არ მისულან დაპატიმრებისა და ჩხრეკის ორდერით. იულენკას ეძინა. მაშა კი ოთახს ალაგებდა. ჩვეულებრივ ასე არასოდეს ბეჯითობდა სახლის დალაგებაში. საერთოდ გულგრილი გახლდათ ნივთებისადმი, არასოდეს აინტერესებდა ჭაღები, ძვირფასი ჭურჭელი. ზოგს იგი ცუდ დიასახლისად მიაჩნდა, ფეთხუმს ეძახდნენ, მაგრამ ანდრეის მოსწონდა მაშას გულგრილობა ნივთებისადმი და არეულ-დარეული ოთახიც. ახლა კი ქალს ეჩვენებოდა, რომ თუკი ყველა ნივთს თავის ადგილს მიუჩენდა, უფრო დამშვიდდებოდა და წუხილი შეუმსუბუქდებოდა.

მაშამ სარკეში ჩაიხედა და მილაგებული ოთახი მოათვალიერა. აი „გულივერის მოგზაურობა“ ისევ იმ ადგილასაა, სადაც გუშინ იდო, ჩხრეკამდე. ფიკუსიც კვლავ მაგიდაზე იდგა. იულიასაც, რომელიც დილის ოთხ საათამდე ტიროდა და დედას ებღაუჭებოდა, ახლა ეძინა. დერეფანში სიჩუმე იდგა, სამზარეულოდან მეზობლების ხმაური ჯერ არ ისმოდა.

და თავის მოწესრიგებულ ოთახში მაშენკამ გულისმომწყვლელი სასოწარკვეთა იგრძნო. იგი ერთიანად მოეცვა ანდრეისადმი სინაზისა და სიყვარულის გრძნობას და მაშინვე, ამ სიჩუმეში, ჩვეული ნივთებით გარშემორტყმულმა ქალმა იგრძნო, ისე, როგორც არასდროს, სასტიკი ძალა, რომელსაც დედამიწის ღერძის მოგრეხა ძალუძდა. ამ ძალამ მოიცვა ერთიანად იგი, იულკა, პატარა ოთახი, რომელზეც იტყოდა ხოლმე:

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მეტი არაფერი მინდა. რადგან აქაც ბედნიერი ვარ.

იულია! ანდრიუშა! მაშა შორდება მათ! ბორბლების რაკუნი სულს უბურღავს. სულ უფრო სცილდება იულიას და უახლოვდება ციმბირს. ადგილს, რომელიც მაშას მათთან ცხოვრების სანაცვლოდ ერგო, ვინც უყვარდა.

ახლა მაშენკას უჯრულა ქვედატანი აცვია; მისი სავარცხლით კი ტკაცუნა, ელექტრულ თმებს ივარცხნის თხელი, ტუჩებგაფითრებული ქურდი ქალი.

ალბათ, მხოლოდ ახალგაზრდა ქალის გულში სუფევს ერთდროულად ორი მტანჯველი გრძნობა: დედობრივი, გულმხურვალე სურვილი გადაარჩინოს საკუთარი უმწეო შვილი და იმავ დროს, თავადაა უძლური სახელმწიფოს მრისხანების წინაშე და სურს ბავშვივით დედის უბეს შეაფაროს თავი.

ამ ჭუჭყიან, დახეთქილ ფრჩხილებს ოდესღაც მანიკიური ამშვენებდა. ლაქის ფერი მოსწონდა იულკას, ერთხელ კი მამამისმა უთხრა თავის სამი წლის გოგონას: „დედიკოს ფრჩხილები თევზის ქერცლს მიუგავსო", არც თმა აქვს უკვე დახვეული. ანდრიუშას დაპატიმრებამდე ერთი თვით ადრე გაიკეთა ვარცხნილობა. ქმართან ერთად დაბადების დღეზე მიდიოდა და ქალთან. სწორედ იმასთან, ტელეფონზე რომ აღარ ურეკავდა.

იულენკა, იულენკა, მორცხვი, ნერვიული. როგორ იქნება თავშესაფარში. მაშა ჩუმად, საბრალობლად ღმუის, თვალები ებინდება: როგორ დაიცვას გოგონა სასტიკი ძიძების, ცელქი, უკეთური ბიჭების, დაძონძილი და უხეში ტანსაცმლის, ჯარისკაცური საბნისა და თივის ჩხვლეტია ბალიშისაგან. ვაგონი კი ჭრიალებს, ბორბლები მირაკუნებენ. სულ უფრო შორსაა იულია და ახლოვდება ციმბირი.

ღმერთო ჩემო, სიზმარი ხომ არაა ყველაფერი? ეს დახუთული სიბნელე, ალუმინის ჯამი. ხორკლიან ნარებზე ქურდები თუთუნს ეწევიან. თეთრეული ბინძურია, სხეული ერთიანად ექავება მაშენკას და გულს დარდი შემონთებია; „მალე მაინც გავჩერდებოდეთ, ბადრაგი მაინც დამიცავს ამათგან". გაჩერებაზე კი მოქნეული კონდახებისა და დაცვის ლანძღვა-გინების შიში უღრღნის გულ-მუცელს: „მალე მაინც დავიძვრებოდეთ", — ფიქრობს ილაჯგაწყვეტილი. თვითონ ქურდებიც ამბობენ: „ვოლოგდელი ბადრაგი სიკვდილზე უარესია".

ჭრიალა ნარებში, ღუმელის ჩაქრობისთანავე ვაგონის მოყინულ კედლებში, დაცვის სისასტიკესა და ქურდების ძალადობაში როდია მაშას უბედურება. უბედურება ის იყო, რომ ციხის კამერაში რვა თვის განმავლობაში ყოფნით გამოთაყვანებული, ახლაღა მოვიდა გონს ვაგონში.

მაშა მთელი არსებით შეიგრძნობს ამ ცხრაათასკილომეტრიან მოძრაობას ციმბირის სამარისებურ სიღრმეში.

აქ არ არსებობს ციხის უაზრო იმედი, რომ კამერის კარი გაიღება და ზედამხედველი დაიყვირებს: „ლიუბიმოვა, თავისუფალი ხარ!" და იგი ნოვოსლობოდსკაიაზე გამოსული, სახლამდე ავტობუსით მივა. იქ კი მაშას ანდრეი და იულია ელოდება.

ვაგონში ბანაკის საშინელ დაღლილობას ვერ გრძნობ. მხოლოდ გული ბოღმით გაქვს გასენილი.

ვაითუ იულიამ ჩაისველოს, ახლა ხელების დაბანა, ცხვირის მოწმენდა. მას ბოსტნეული ჭირდება, ღამღამობით კი სულ შიშველი წევს.

ახლა მაშენკას ტუფლები აღარ აქვს. ფეხთ ჯარისკაცური წაღები აცვია, ერთს ლანჩიც ამძვრალი აქვს. ნუთუ ისაა, მარია კონსტანტინოვნა, ბლოკს რომ კითხულობდა, ფილოლოგიურზე სწავლობდა. ანდრეის მალულად ლექსებს წერდა: „მაშენკა! პარიკმახერთან, ივან ვასილიევიჩ-ყანთან ჩასაწერად მირბოდა არბატზე. მაშენკა! მარტო წიგნების კითხვა კი არა, ბორშჩის მომზადება და ტორტ „ნაპოლეონის" ცხობაც, კერვაც და ბავშვის გემრიელად გამოკვებაც რომ შეეძლო. მაშენკა! მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ აღფრთოვანებული ანდრიუშას შრომისმოყვარეობით, მოკრძალებითა და, ირგვლივ უკლებლივ ყველას რომ ხიბლავდა თავისი ერთგული სიყვარულით ქმარ-შვილისადმი. მაშა, რომელსაც ტირილიც შეეძლო, დაცინვაც და კაპიკების დათვლაც.

ეშელონი კი მიდის. მაშას, მგონი, ტიფი დაემართა: თავი დამძიმებია და დაბინდვია. მაგრამ ტიფი არ აღმოჩნდა. იგი ჯანსაღია, და აქაც, ეშელონში, მონახა იმედმა. აი, ჩავლენ ბანაკში და დაუყვირებენ: „ლიუბიმოვა, გამოდი რიგიდან. აქ შენ სახელზე ტელეგრამა მოვიდა: თავისუფალი ხარ!“ და ასე შემდეგ. და ამგვარად. მაშა მოსკოვში სამგზავრო მატარებლით მიდის. აი, სოფრინო, პუშკინო და ბოლოს, იაროსლავლის სადგური. იგი ხედავს, ანდრეის ხელთ იულია რომ აუყვანია.

და იმედი აწვალებს: მალე მაინც მიაღწევდნენ ციმბირის საბოლოო პუნქტამდე, ტელეგრამა რომ მიიღოს გათავისუფლებაზე. მაშენკა თითქოს ცხადლივ ხედავს, როგორ ადევნებიან იულენკას პატარა, სუსტი ფეხები მოძრაობაშენელებულ ვაგონს.

ეშელონიდან ქურდებისაგან გაძარცული ჩამოვიდა. მაშა გაქონილი, დაბამბული ჯუბის სახელოებში მალავს გაყინულ თითებს. თავი ჭუჭყიანი ხაოიანი პირსახოცით აქვს გაკრული. გვერდით კი ასობით მოსკოველი ქალის ფეხსაცმელი თოვლზე მინასავით ჭრაჭუნებს. ამ ქალებს ათი წლით ბანაკში ყოფნა მხოლოდ იმიტომ აქვთ მისჯილი, რომ საკუთარი ქმრები არ დაასმინეს.

აბრეშუმისწინდებიანი ფეხები მიაბიჯებენ, წაიბორძიკებენ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. მაშასი შურთ — ის „მეუღლეებთან“ ერთად კი არა, ქურდებთან ერთად მგზავრობდა; მართალია, გაქურდეს, მაგრამ, სამაგიეროდ ეხლა დაბამბული ჯუბა აქვს, ყელიან ფეხსაცმელებში კი შეიძლება ქაღალდისა და ჭინჭების ჩატენა.

ხალხის მტრების ცოლები ფეხს რაღაცას წამოჰკრავენ. ჩქარობენ, ეცემიან, ფაცხაფუცხით იღებენ თოვლში მიმოფანტულ ბოხჩებს — ტირილის კი ეძინიათ.

მაშამ მიმოიხედა: ზურგს უკან სადგურის ფარდული და ქათქათა თეთრ სხეულზე წითელი მძივებივით ასხმული სატვირთო ვაგონებია. წინ კი ქალთა ეტაპი მუქი გველივით იშლება. ირგვლივ თოვლწაყრილი შეშის გროვებია; ბადრაგს ზღაპრულად თბილი მოკლე ჯუბა აცვია; ფუმფულაბეწვიანი ქოფაკებიც ყეფენ. ეშელონში გატარებული ორი თვის შემდეგ, დამათრობლად სუფთა ჰაერი სამართებლის პირზე მჭრელი ჩანს. ქარი ამოვარდა, მშრალი თოვლის კორიანტელი ყამირისკენ წაიღო. კოლონის თავი თეთრ ფიფქებში ჩაიძირა. სიცივე სახესა და ფეხებზე სცემს, მაშას თავბრუ ესხმის.

ამ თოვლის ნისლში დაღლილმა, მოყინვითა და განგრენით შეშინებულმა, სითბოსა და ბანაობაზე მეოცნებემ, თოვლზე რაღაც უცნაური, უაზროდ ჭირვეული სახის მქონე, ზონზროხა, პენსნეიანი მოხუცის დანახვით დაბნეულმა ოცდაექვსი წლის მაშამ, თავისი ბანაკური ბედი განჭვრიტა... უწინდელ ბედს კი, მის ზურგს უკან ათასი კილომეტრის დაშორებით, სპასოპესკოვსკის შესახვევში რომ დარჩა, ლუქის ბეჭედი ჰკიდია და ქანაობს. ნისლში გამოჩნდნენ კოშკურები და ტყაპუჭიანი ჩაფრები. გამოჩნდა ფართოდ გაღებული ჭიშკარი. აი, ამ წამში მაშამ ნათლად დაინახა თავისი ორი ცხოვრება: ერთი, რომელიც წავიდა და მეორე, რომელიც მოვიდა.

ის გარბის, წაიბორძიკებს, გაყინულ თითებს იორთქლავს, თან გადარეული იმედი არ ასვენებს — აი, მივლენ ბანაკამდე და სწორედ იქ ეტყვიან, რომ მის სახელზე განთავისუფლების ქაღალდია მოსული. მაშა ამიტომ გარბის ასე, სიჩქარისგან სული ეხუთება.

რა რთული სამუშაო ჰქონდა მაშას! როგორ სტკიოდა მუცელი. მაშას ქალისთვის შეუფერებელი კირის უზომოდ მძიმე ნატეხების თრევა სულს ხდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და წელს სწყვეტდა, ცარიელი ჯალამბარები თუჯისად ეჩვენებოდა; რა უსაშველოდ მძიმე იყო ნიჩბები, ძალაყინები, ფიცრები, მორები და ჭუჭყიანი წყლით სავსე ავზები, ბინძური პარაშები, სველი, გარეცხილი თეთრეულის მრავალფუთიანი გროვები.

რა რთული იყო სამსახურისკენ გარიჟრაჟის ბინდბუნდში გასავლელი გზა, როგორი მძიმე და დამღლელი იყო შემოწმებები თოვლ-ჭყაპსა და ყინვაში, გულის ამრევი და ამავე დროს სანატრელი ეჩვენებოდა სიმინდის სალაფავი შიგნეულის ნაჭრით ან საზიზღარი, სასაზე აკრობილი თევზის ქერცლით; ბარაკებშიც უნამუსოდ და უწყალოდ ქურდობდნენ. ღამე ნარებზე საშინელ ლაპარაკს გაიგონებდით — გულისგამაწვრილებელი ფუსფუსი და შარიშური იყო; ყველა ნატრობდა გამხმარ, ობშეპარულ შავ პურს.

მაშას გვერდით ნარზე თექვსმეტი წლის ლენა რუდოლფი იწვა. მასთან საქვაბის ცეცხლფარეში, სისხლის სამართლის დამნაშავე „მუხა“ ცხოვრობდა; ლენა ათაშანგით დაავადდა, ხელის ფრჩხილები დასძვრა, თმაც გასცვივდა. სანნაწილმა ლენა ინვალიდთა ბანაკში გადაიყვანა. ლენას დედამ კი, თაფლისფერთვალებიანმა, კეთილმა და დაუზარელმა სუზანა კარლოვნამ, ბანაკშიც კი შეინარჩუნა სიკოხტავე; თუმცა თმა გაჭაღარავებული ჰქონდა, მუშაობას კვლავ განაგრძობდა. სუზანა კარლოვნა დილაუთენია ვარჯიშობდა და თოვლით იზელდა სხეულს.

მაშა დაღამებამდე ჭაკი ცხენივით, აქლემივით, ფაშატი ვირივით შრომობდა. რეჟიმული ბანაკი იყო, მიმოწერის უფლება არ ჰქონდათ, ამიტომ არ იცოდა, ცოცხალი იყო თუ არა მისი ქმარი, არც ის იცოდა, სად იყო მისი იულკა, რა იქნა. უსახელო პატარა ნადირივით დაიკარგა. მიმღებში მოხვდა თუ მაშას დედამ მიაგნო? ისიც კი არ უწყოდა, ცოცხალი იყო თუ არა დედამისი ან ძმა, ვალოდია? თითქოს ახლობლებზე არაფერი რომ არ იცოდა, ამასაც შეეჩვია. გეგონებოდა, უკვე აღარც წერილებზე ოცნებობსო, ოღონდ კი უფრო მსუბუქი სამუშაო ეშოვა — ყინვასა და ტაიგაში კი არა, მუმლი რომ გჭამს — სადმე სამზარეულოში ან საავადმყოფოში.

თუმცა ქმარზე და შვილზე დარდი მაინც კლავდა. ეგონა, რომ იმედი აღარ არსებობდა, სინამდვილეში ის არ მომკვდარა, მხოლოდ ეძინა. მაშაც მიძინებულ იმედს ისევე გრძნობდა, როგორც დედა ხელში ატატებულ მძინარე ბავშვს. ზოგჯერ, როცა იმედი გამოიღვიძებდა, ახალგაზრდა ქალის გულიც ბედნიერებით, სინათლითა და მწუხარებით ივსებოდა.

მას კიდევ ეღირსება იულიასა და ქმრის ნახვა. ოღონდ დღეს და ხვალ არა. წლები გავა და ისიც ნახავს მათ. ოჰ, როგორ გაჭაღარავებულხარ, რა ნაღვლიანი თვალები გაქვს... იულენკა, იულენკა! ეს ფერმკრთალი სიფრიფანა გოგონა მისი ქალიშვილია. მაშაც ღელავს — ნეტა თუ იცნობს იულია? ნეტა თუ გაახსენდება ბანაკში ნამყოფი დედა, იქნებ უარყოს კიდეც?

მაშა უფროსმა ზედამხედველმა ძალით გაიხადა საყვარლად. ორი კბილი ჩაუმტვრია, საფეთქელშიც მოადო — ყველაფერი ეს ბანაკში გატარებულ პირველ შემოდგომაზე მოხდა. მაშამ თავის ჩამოხრჩობა სცადა, მაგრამ თოკი დამპალი გამოდგა და ვერ მოახერხა. ზოგიერთს მაშასი შურდა კიდეც, შემდეგ გულის გამაწვრილებელი გულგრილობა დაეუფლა. კვირაში ორჯერ სემისოტოვთან საწყობში მილასლასებდა, იქ ცხვრის ტყავით გადაფარებული ხის ნარები იყო. სემისოტოვი ყოველთვის დუმდა, პირქუში კაცი გახლდათ. მაშასაც მისი არანორმალურად ეშინოდა. გალეშილი სემისოტოვი ღრიალს რომ დაიწყებდა, მაშა ისე შეშინდებოდა, რომ გულიც კი ერეოდა ხოლმე. მან, ერთხელ როგორღაც გაიმეტა და მაშას ხუთი კანფეტი მისცა. მაშამ გაიფიქრა: „რა კარგი იქნება, რომ იულიას ბავშვთა სახლში გადავგზავნო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ არ შეჭამა და ნარზე ნაალის ქვეშ დამალა. კანფეტები მოიპარეს. ერთხელ სემისოტოვმა გალანძღა კიდეც: „ჭუჭყიანი ბრძანდებით, ბილწო, ესე სოფლელიც კი არ გალორდებოდა“. მაშას ყოველთვის „თქვენობით“ მიმართავდა, როგორი მთვრალიც უნდა ყოფილიყო. მაშა სემისოტოვის ნათქვამმა გაახარა, თუმცა მაინც გაიფიქრა: თუ გამაგდებს, კვლავ კირის დუღაბის რევა მომიწევს.

ერთ საღამოს სემისოტოვი წავიდა და აღარც გამოჩენილა. მაშამ გვიან შეიტყო, რომ სხვაგან გადასულიყო, მასაც უხაროდა საღამოობით ბანაკში ნარზე რომ იჯდა და საწყობში თავჩაქინდრული აღარ მიდიოდა. შემდეგ იმ კანტორიდანაც გამოაბუნძულეს, სადაც სემისოტოვის დროს იატაკებს რეცხავდა და ღუმელს ახურებდა; გამოაგდეს, რადგან მაშასგან სარგებელს ვერ ხედავდნენ. მის ადგილზე კი ის ქურდი ქალი მიიყვანეს, ეშელონში მაშას შალის კოფთა რომ მოპარა. მაშას თან უხაროდა და თანაც სწყინდა, სემისოტოვმა ძაღლადაც რომ არ ჩააგდო, არ დამშვიდობებია, სიტყვაც კი არ უთქვამს. მაშა ხომ ერთ დროს მოსკოვში მუდმივად იყო ჩაწერილი, იულიასთან და ქმართან ერთად იზოლირებულ ბინაშიც ცხოვრობდა, აბაზანაში იბანდა, თეფშიდან ჭამდა.

ბანაკში მუშაობა ზამთრის თვეებშიც, ზაფხულშიც, გაზაფხულზეც და შემოდგომაზეც ერთნაირად მძიმე იყო. მაშაც არბატს და ანდრეის კი არ იხსენებდა, სემისოტოვი აგონდებოდა, იგონებდა იმ დროს, როცა კანტორაში იატაკებს რეცხავდა. არც კი სჯეროდა, ოდესღაც ბედი თუ ასე წყალობდა.

იმედი კი მაინც ჰქონდა. ისინი აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს... ის უკვე სულ გაჭაღარავებული მოხუცებული იქნება. იულიას ბავშვები ეყოლება — კი, აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს, არ შეიძლება, რომ არ შეხვდნენ.

თავი მღელვარებით, დარდითა და უბედურებით ჰქონდა სავსე. ხან პერანგი ეხეოდა, ხან ჩირქგროვები უჩნდებოდა, ხანაც მუცელი ასტკივდებოდა და სანნაწილში არ უშვებდნენ. ზოგჯერ ქუსლებზე ტყავი უსკდებოდა და მაშა კოჭლობდა, ფეხსახვევებიც სისხლის ლაქებით ჰქონდა გაშავებული, ხან ნაბდის ჩექმები დაეხეოდა, ხანაც მომდევნო აბანომდე აუცილებელი იყო დაბანვა და რაღაცის გარეცხვა. ზოგჯერაც უამინდობაში დასველებული ბამბულას გაშრობა იყო საჭირო... ყველაფრისთვის კი ბრძოლა უხდებოდა — იქნებოდა ეს ერთი ქვაბი ცხელი წყალი თუ დასარუფიავებელი ძაფი, კოვზი და საკერებლის დასადები ნაკუწები. ნემსი, რომ ნემსია, იმასაც ქირაობდნენ. როგორ უნდა დაიძვრინო თავი ქინქლისგან, ან სახე და ხელები ბანაკის ბადრაგასავით გაბოროტებული ყინვისგან?

ბანაკში მუშაობაზე უფრო უარესი პატიმარი ქალების ლანძღვა-გინება და ჩხუბი იყო.

ბარაკული ცხოვრება კი თავისი გზით მიედინებოდა.

ორლოდან ჩამოსული დამლაგებელი დეიდა ტანია ჩურჩულებს: „ვაი დედამიწაზე მცხოვრებლების ბრალი...“ მას ტლანქი, გლეხური სახე აქვს. ამიტომ თითქოს უხეში, ბრაზიანი გეჩვენება. მაგრამ სინამდვილეში არც უხეშია და არც ბრაზიანი, პირიქით, სიკეთით სავსე ქალია. რატომ, რისთვის აღმოჩნდა ეს წმინდანი ბანაკში? ის აკი ყოველთვის მზად არის საოცრად მშვიდად რეცხოს იატაკები, სხვის მაგივრად იმორიგეოს.

მოხუცი მონაზვნები — ვარვარა და ქსენია ერთმანეთს ეჩურჩულებიან. ცოდვილი ერისქალების მოახლოებისთანავე დადუმდებიან ხოლმე. ისინი განსაკუთრებულ სამყაროში ცხოვრობენ, სადაც ყველაფერი ცოდვად ითვლება: ქაღალდზე ხელისმოწერა, საერო სახელის გაცხადება, საეროებთან ერთად ერთი ჭიქიდან წყლის დალევა; ბანაკის ბუშლატის ჩაცმაც კი ცოდვაა. ისინი მოკვდებიან და თავიანთ სიწმინდეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეარყევენ. მოხუცი მონაზვნების სიწმინდე კი მათ ტანსაცმელში: თეთრ თავსაფრებსა და მოკუმულ ტუჩებშია. თვალები ცივი აქვთ. თვალებში ბანაკის ტანჯვის და ცოდვის სიძულვილი აღბეჭდვიათ. მათი წმინდა შინაბერობა ეწინააღმდეგება ქალურ გატაცებას, დედაკაცურ უბედურებებს, დედებისა და ცოლების ტანჯვას. ყველაფერ ამას ისინი უწმინდურებად თვლიან. მთავარია — თავსაფარი და მაქმანი იყოს სუფთა, მთავარია, ბანაკის ცოდვილ ცხოვრებას ცხვირაბზუებული ახლოს არ გაეკარო. ქურდები მათ ვერ იტანენ, არც „მეუღლეებს" არ უყვართ მაინცდამაინც, თავს არიდებენ.

ბანაკი სავსეა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, როსტოვიდან გადმოსახლებული მეუღლეებით. ვის არ ნახავთ, დანაღვლიანებულებს და პრაქტიკულებს, არაამქვეყნიურებს, ცოდვილებსა და სუსტებს, წუწარებსა და ბოროტებს — ყველანი ესენი — მოღიმარე ბანაკის ბუშლატებში გამოწყობილი რუსი და არარუსი ქალები არიან. შეხვდებით ექიმების, ინჟინრების, მხატვრების და აგრონომების მეუღლეებს, აქ არიან მარშლებისა და ქიმიკოსების, პროკურორებისა და განკულაკებული ხუტორის მცხოვრებლების, რუს და ბელორუს მიწათმოქმედთა ცოლები. ყველა ისინი ბარაკის სკვითური ყორღნების წყვდიადში ქმრების გზაზე დააყენეს.

რაც უფრო კარგად იცნობდნენ ხალხის გარდაცვლილ მტერს, მით უფრო გრძელი იყო გადასახლებული ქალების ნუსხა: ცოლი, ნაცოლარი, პირველი მეუღლე, დები, მდივნები, ქალიშვილი. ცოლის მეგობარი, ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან.

ზოგიერთ მათგანზე ამბობდნენ: „საოცრად უბრალო და სადაა...", ზოგზე კი ბრაზობდნენ: „ოჰ, მთლად აუტანელი, მედიდური ქალბატონია, აქაც ისე იქცევა, თითქოს კრემლში იყოს". ასეთებს აქაც ჰყავდათ თავიანთი სამადლოდ სარჩენები და მლიქვნელები. მათ გარშემო ძალაუფლებისა და განწირულების შარავანდედი ერტყათ, ასეთებზე ჩურჩულებენ: „არა, ესენი აქედან ცოცხლები ვერ გავლენ."

ბანაკში დაღლილ და მშვიდთვალება მოხუცებსაც ნახავდით. ეს ადამიანები ჯერ კიდევ ლენინის დროს ჩასვეს ციხეში, ისინი ციხეში და ბანაკში ყოფნის ათობით წელს ითვლიდნენ. მათ შორის უმეტესობა — ხალხოსნები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალ-დემოკრატები არიან, რომელთაც დაცვა პატივს სცემს, ქურდებიც მოკრძალებით ეპყრობიან. ისინი ნარებიდან მაშინაც არ დგებიან, როცა ბარაკში თვით ბანაკის დირექტორი შემოდის. ამბობდნენ, რომ ერთ-ერთი მათგანი, პატარა, ჭაღარა მოხუცებული ოლგა ნიკოლაევნა რევოლუციამდე ანარქისტი ყოფილა. მან თურმე ვარშავის გუბერნატორს კარეტაში ბომბი შეუგდო, ჟანდარმერიის გენერალსაც კი ესროლა. ეხლა კი ოლგა ნიკოლაევნა ბანაკის ნარებზე ჩამომჯდარი წიგნს კითხულობს, ტოლჩიდან ადუღებულ წყალს სვამს. ერთხელ, ღამით, მაშა სემისოტოვის საწყობიდან რომ დაბრუნდა, მოხუცი მიუახლოვდა, თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა: „ჩემო საბრალო გოგონა". ოჰ, როგორ ატირდა მაშინ მაშა.

მაშასთან ახლოს ნარზე სუზანა კარლოვნა რუდოლფი წევს. მისი მეუღლე პროფესორი, ქრისტიან-სოციალისტი, გერმანელი წარმოშობის ამერიკელია, ის ოჯახით საბჭოთა რუსეთში ჩამოვიდა და საბჭოთა ქვეშევრდომობა მიიღო. პროფესორი რუდოლფი, რომელსაც მიმოწერის უფლების გარეშე ათი წელი ჰქონდა მისჯილი ლუბიანკაზე დახვრიტეს; სუზანა კარლოვნა და მისი სამი ქალიშვილი: აგნესა, ლუიზა და ლენა რეჟიმის ბანაკებში აღმოჩნდნენ. სუზანა კარლოვნამ არაფერი იცის შვილების შესახებ. უმცროსი, ლენაც უკვე მასთან აღარ არის, ინვალიდთა ბანაკში გადაიყვანეს. სუზანა კარლოვნა მოხუც ოლგა ნიკოლაევნას არ ელაპარაკება, რადგან მან სტალინს ფაშისტი, ხოლო ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინს — რუსული თავისუფლების მკვლელი უწოდა. იგი თვლის, რომ თავისი შრომით ახალი სამყაროს შექმნაში შეაქვს წვლილი; ეს ატანინებს ქმართან და ქალიშვილებთან განშორების სიმძიმეს. სუზანა კარლოვნა ყვებოდა, რომ ლონდონში ცხოვრებისას, ისინი ჰერბერტ უელსთან მეგობრობდნენ, ვაშინგტონში კი რუზველტს ხვდებოდნენ ხოლმე. პრეზიდენტს მის მეუღლესთან საუბარი უყვარდა. სუზანა კარლოვნას ყველაფერი ესმის, მისთვის ყველაფერი ნათელია. ოღონდ ერთი რამ კარგად ვერ გაურკვევია: მან, პროფესორ რუდოლფის დაპატიმრებისას დაინახა, რომ ერთ-ერთმა ჩეკისტმა ჯიბეში დიდი, ბავშვის ხელისგულისოდენა ასი დოლარის ღირებულების უნიკალური ოქროს მონეტა ჩაიდო. მონეტაზე ინდიელის პროფილი იყო გამოსახული. იმ კაცმა, ვინც მათი სახლი გაჩხრიკა, ეს მონეტა თავის პატარა ვაჟს წაუღო, ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა, რომ მონეტა ოქროსი იყო.

ყველანი — წმინდა და დაცემულები, გატანჯულები და ბევრის ამტანნი იმედით ცოცხლობდნენ. მათ იმედს ხან ეძინა, ხანაც ილვიძებდა, ქალების გულებს კი არასდროს სტოვებდა.

მაშასაც იმედი ჰქონდა, თუმცა იმედი ტანჯავდა, მაგრამ სუნთქვის საშუალებას მაინც აძლევდა.

გადასახლების ვადასავით გაჭიმულ ციმბირულ ზამთარს უფერული გაზაფხული მოჰყვა. მაშას , ორ სხვა ქალთან ერთად, გზის შესაკეთებლად უკრეს თავი. ეს გზა სოციალისტურ ქალაქთან მიდიოდა. იქ უფროსები და დაქირავებული პერსონალი ძელურ კოტეჯებში ცხოვრობდნენ.

მაშამ შორიდან მაღალ ფანჯრებზე თავის არბატულ ფარდებს მოჰკრა თვალი, ფიკუსი დალანდა. მერე დაინახა სკოლის ჩანთიანი გოგონა პარმაღზე რომ ავიდა და რეჟიმული ბანაკის სამმართველოს უფროსის სახლში შევიდა.

ბადრაგამ უყვირა: „შენ რა, აქ კინოს საცქერლად ხარ მოსული?“. მწუხრის სინათლეზე ბანაკისკენ მიმავლებმა სახერხი მასალების საწყობიდან მაგადანის რადიოს ხმას მოჰკრეს ყური.

მაშა და ის ორი ქალი, ტალახში ფეხებს რომ მიათრევდნენ და ძლივს მილასლასებდნენ, გაჩერდნენ, ნიჩბები დაბლა დაუშვეს.

უფერული ცის ფონზე კოშკები ჩანდა, მათზე დიდრონი ბუზებივით შავ ჯუბაჩებიანი გუშაგები გაშეშებულიყვნენ; მომცრო ბარაკები სოკოებივით მიწიდან ამოსულებს ჰგავდნენ და თითქოს უკან, მიწაში დაბრუნებაზე ყოყმანობდნენ.

მუსიკა სევდიანი კი არა, მხიარული, საცეკვაო იყო. მაშაც უსმენდა ამ მუსიკას და ცხოვრებაში არასდროს რომ არ უტირია, ისეატირდა. მაშასთან ერთად, ის ორი ქალიც ტიროდა — ერთი განკულაკებული, მეორე ლენინგრადელი, ხანში შესული ქალი იყო, მინებდაბზარული სათვალე ეკეთა. გეგონებოდა, სათვალის მინები მისმა ცრემლებმა დაბზარესო.

ბადრაგა დაიბნა: პატიმრები, ხომ იშვიათად ტიროდნენ. მათი გულები ტუნდრასავით გაყინულიყო.

ბადრაგა ქალებს ზურგზე ხელს ჰკრავდა და ეხვეწებოდა:

— გეყოფათ, თქვე დამპლებო, თქვენი დედაც, პატიოსნებას გაფიცებთ, ბოზებო, გთხოვთ.

ის აქეთ-იქით იყურებოდა, აზრადაც არ მოსდიოდა, რომ ქალები რადიომ ატირა.

მაშა თვითონაც ვერ ხვდებოდა, ასეთი ნაღველი და სასოწარკვეთილება რად დაეუფლა; თითქოს მის გულში ცხოვრების ყველა ეპიზოდმა ერთად მოიყარა თავი: ყველაფერი ერთად გაახსენდა: დედის სიყვარული და ძალიან რომ უხდებოდა ის შალის კუბოკრული კაბა, ანდრიუშა, ლამაზი ლექსები, გამომძიებლის სიფათი, განთიადი — სოხუმთან ახლოს კელასურში ლურჯი ზღვა უცბად რომ გაანათა, იულკას ტიკტიკი, სემისოტოვი, მოხუცი მონაზ-

ვნები და კობლების გაცოფებული ჩხუბი; გულში იმაზეც დარდობდა, რომ ბრიგადირი ქალი თვალებმოჭუტული, სემისოტოვივით შეავლებდა ხოლმე მზერას. რატომ შეიგრძნო მხიარული საცეკვაო მუსიკის ფონზე მაშამ სხეულზე მიკრობილი ჭუჭყიანი პერანგი, ტენიანი, უთოსავით მძიმე, ყელიანი ფეხსაცმელი და მჟავას სუნით აქოთებული ბუშლატი? რატომ უსერავდა გულს ეს კითხვა — რატომ, რატომ უნდა იყოს მაშა ამ ყინვაში, რისთვის უნდა გაიხრწნას სულიერად? რამ გაუჩინა კატორღული ბედისადმი ასეთი მორჩილება?

იმედი კი, თავისი არსებობით ყოველთვის გულზე ლოდივით რომ აწვა, გაქრა და მოკვდა.

დიახ, ამ მხიარულ საცეკვაო მუსიკის ფონზე მაშამ სამუდამოდ დაკარგა იულიას ნახვის იმედი, მიმღებებში, კოლექტორებში, კოლონიებსა და ბავშვთა სახლებში, ვეებერთელა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში რომ დაკარგულიყო; ყმაწვილები საერთო საცხოვრებლებსა და კლუბებში ასეთ მხიარულ მუსიკაზე ცეკვავდნენ. მაშა იმასაც მიხვდა, რომ მისი ქმარი აღარ იყო, მიხვდა, რომ ის დახვრიტეს და უკვე ვეღარასოდეს ნახავდა.

მაშა უიმედოდ მარტოდმარტოდ დარჩა... იულიასაც ვეღარასოდეს ნახავს, ვერც დღეს და ვერც მერე ჭაღარა მოხუცი რომ იქნება.

ღმერთო, ღმერთო, შეიბრალე, ღმერთო, შეიცოდე, შეიწყალე საცოდავი!

ერთი წლის შემდეგ მაშა ბანაკიდან წავიდა. იგი ცივ მიწურში, ფიჩვის ნაფენზე იწვა. მორჩა, სამუშაოზე აღარ აჩქარებდნენ, აღარავინ აწყენინებდა; სანიტრებმა მაშა ლიუბიმოვა ტექნიკური კონტროლის განყოფილების მიერ დაწუნებული ფიცრებისგან შეკრულ ოთხკუთხა ყუთში ჩაასვენეს და უკანასკნელად დახედეს. მაშას სახეზე მიმზიდველი ბავშვური აღფრთოვანება და დაბნეულობა აღბეჭვდოდა. ისეთივე გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც მაშინ, როცა სახერხი მასალების საწყობთან მხიარულ მუსიკას უსმენდა.

და აი, ივან გრიგორიევიჩმა გაიფიქრა — კოლიმის კატორღაში კაცი ქალის თანასწორუფლებიანი არ არის, — მამაკაცის ბედი ბევრად, ბევრად უფრო მსუბუქიაო.

14

ივან გრიგორიევიჩს დედა დაესიზმრა, დედა გზას მიჰყვებოდა, საწევრებსა და თვითსაცლელებს ერიდებოდა; ვაჟიშვილს ვერ ხედავდა, შვილი კი ყვიროდა: „დედა, დედა, დედა!..“ მაგრამ მის ხმას ტრაქტორების ძლიერი გუგუნი ახშობდა.

ივან გრიგორიევიჩს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ დედა ამ ორომტრიალში შენიშნავდა თავის ჭაღარა, პატიმარ ვაჟიშვილს, მთავარია, ხმა გაიგოს, მთავარია, მოიხედოს.

სასოწარკვეთილმა ივან გრიგორიევიჩმა თვალები გაახილა, მისკენ თითქმის ჩაუცმელი ქალი დახრილიყო — იგი ხომ სიზმარში დედას უხმობდა, ცხადში კი ქალი მისულიყო მასთან.

ქალი მის გვერდით იდგა. ივან გრიგორიევიჩმა მაშინვე მთელი არსებით იგრძნო მისი სიმშვენიერე. ქალს ესმოდა, როგორ ყვიროდა მისი მდგმური ძილში და ამიტომ სინაზისა და სიბრალულის გრძნობით გამსჭვალული მივიდა მასთან. ქალი არ ტიროდა, მაგრამ მან ქალის თვალებში თანაგრძნობის ცრემლებზე უფრო მეტი დაინახა, დაინახა ის, რაც ადამიანების თვალებში არასდროს უნახავს.

ამ ქალს სიკეთე ამშვენიერებდა. ივან გრიგორიევიჩმა მას ხელი მოჰკიდა. ანა გვერდით მიუწვა და კაცმა შეიგრძნო ქალის სითბო, მისი ნაზი მკერდი, მისი მხრები, მისი თმა. ეჩვენებოდა, რომ ამას ცხადად კი არა, სიზმარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავდა: ცხადში ის არასდროს ყოფილა ბედნიერი.

ქალი თვითონ იყო სიკეთე და კაცი მთელი თავისი ფიზიკური არსებით ხვდებოდა, რომ ქალის სინაზე, სითბო და ჩურჩული მშვენიერი იმიტომ იყო, რომ გული სიკეთით ჰქონდა სავსე, რადგან სიყვარული სიკეთეა.

პირველი სასიყვარულო ღამე.

—ამის გახსენება არ მინდა, ძალიან მიმძიმს. დავიწყებითაც ვერ დავივიწყებ. ის ცოცხლობს — ხან სძინავს, ხან არა. გულში რკინის ნამსხვრევივითაა. თავიდან ვერ მოიცილებ. როგორ დავივიწყო... მე კარგა დიდი ვიყავი.

ჩემო ძვირფასო, ქმარი ძალიან მიყვარდა. ლამაზი ვიყავი და მაინც ცუდი, სიკეთე მაკლდა. ოცდაორისა შევსრულდი. თუმცა კოხტა გარეგნობა მქონდა, მაინც არ შემიყვარებდი. ვიცი, ქალური ინტუიციით ვგრძნობ: მთავარი ის არ არის, შენთან რომ დავწექი. ნუ გამიბრაზდები და, როგორც ქრისტეს, ისე გიყურებ. შენს წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე ერთთავად მონანიება მინდება. ჩემო კარგო, სანატრელო, მინდა ყველაფერი, რაც იყო, გიამბო. ყველაფერი გავიხსენო.

არა, განკულაკების დროს შიმშილობა არ ყოფილა, მხოლოდ ცხენები ილუპებოდნენ. შიმშილობა ოცდათორმეტში, განკულაკების მეორე წელიწადს დაიწყო.

მე რაიალმასკომში იატაკებს ვრეცხავდი, ჩემი მეგობარი კი სამიწათმოქმედო განყოფილებაში მუშაობდა. ამიტომ, ბევრი რამ ვიცოდით. შემიძლია ყველაფერი ისე გიამბო, როგორც იყო. მოანგარიშე მეუბნებოდა ხოლმე: „შენ მინისტრი უნდა იყოო..." მართლაც ადვილად ვხვდები ყველაფერს და მეხსიერებაც კარგი მაქვს.

განკულაკება ოცდაცხრაში, წლის ბოლოს დაიწყო, ოცდაათის თებერვალ-მარტში კი კარგად გაჩაღდა.

აი, გამახსენდა: დაპატიმრებამდე ხალხი დაბეგრეს. მათ ერთხელ გაჰირვებით გადაიხადეს და შეასრულეს ბეგარა. მეორედ რომ დაბეგრეს — ვისაც რისი გაყიდვა შეეძლო, იმას ჰყიდდა, ოღონდ კი ბეგარა გადაეხადა. ეგონათ, სახელმწიფო მათ შეიწყალებდა, თუ ბეგარას გადაიხდიდნენ. ზოგიერთი კი პირიქით, საქონელს კლავდა, მარცვლეულისგან შინ არაყს ხდიდა — სვამდა, ჭამდა, ამბობდა, სულ ერთია, სიცოცხლემ ფუჭად ჩაიარაო.

შესაძლოა, სხვა ოლქებში ვითარება სხვაგვარი იყო, ჩვენთან კი ყველაფერი ზუსტად ასე ხდებოდა. თავიდან მხოლოდ ოჯახის უფროსები დაიჭირეს, ძირითადად ისინი ვინც დენიკინის დროს კაზაკთა ნაწილებში მსახურობდა. დაპატიმრებით მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო აპატიმრებდა, აქ აქტივი არ იღებდა მონაწილეობას. პირველად დაპატიმრებულთაგან ყველა დახვრიტეს, ცოცხალი არავინ დარჩენილა. ისინი კი, ვინც დეკემბრის ბოლოს დააპატიმრეს, ჯერ ორიოდ სამი თვე ციხეებში გააჩერეს, შემდეგ კი სპეცგადასახლებაში გააგზავნეს. როცა მამები მიჰყავდათ, ოჯახებს ხელს არ ახლებდნენ, მხოლოდ მეურნეობას აღწერდნენ, და ოჯახი მესაკუთრედ უკვე აღარ ითვლებოდა. მას მხოლოდ მეურნეობა უნდა დაეცვა.

ოლქი რაიონებს უგზავნიდა გეგმას, თუ რამდენი კულაკი უნდა დაეპატიმრებინათ. რაიონები — სოფლსაბჭოებს, სოფლის საბჭოები კი სიებს ადგენდნენ. აი, სწორედ ამ სიებით აპატიმრებდნენ. ვინ ადგენდა? სამეული. საეჭვო ხალხი წყვეტდა — ვის ეცოცხლა და ვინ მომკვდარიყო. ჰოდა, აშკარაა — აქ უკვე ყველაფერი მოქმედებდა — ქრთამიც, დედაკაციც, ძველი წყენაც, და ისე ხდებოდა, რომ ღარიბ-ღატაკნი კულაკები გამოდიოდნენ, უფრო მდიდრები კი — თავს გამოისყიდდნენ ხოლმე.

ეხლა კი ვხედავ, უბედურება ის როდი იყო, სიებს ზოგჯერ თაღლითები რომ ადგენდნენ. თაღლითებზე მეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტივში პატიოსნები იყვნენ. მაგრამ ბოროტებას ერთნიც და მეორენიც თანაბრად თესდნენ. მთავარი ის არის, რომ ყველა ეს სია ავაზაკური და უმართებულო იყო და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის შეიტანდნენ მასში. ივანეც უდანაშაულო იყო და პეტრეც. ვინ დააწერა რუსეთს ეს ციფრი? ვინ შეადგინა გლეხობისთვის ეს გეგმა? ვინ მოაწერა ხელი?

მამები ციხეში სხედან. ოცდაათის დასაწყისში კი ოჯახებსაც ჩამოუარეს. დაპატიმრებებს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო მარტო უკვე ვეღარ აუდიოდა, ამიტომ აქტივის მობილიზაცია მოახდინეს. სულ თავისიანები, ნაცნობები შეკრიბეს. ისინიც მონუსხულებივით გამოთაყვანდნენ. იარაღით იმუქრებოდნენ, ბავშვებს კულაკის ნაბიჭვრებს ეძახდნენ, დაპატიმრებულებს — „სისხლისმსმელებს“ .თავად სისხლისმსმელებს კი შიშით სისხლის წვეთიც კი არ შერჩენოდათ, ქაღალდივით გათეთრებულიყვნენ. თვალები აქტივს კატასავით გამოსციებოდა. სოციარია — უმრავლესობა ხომ შინაურია. მართლა, მოჯადოებულებივით იქცევიან, ისე აქვთ შთაგონებული, რომ არაფერს ეკარებიან: პირსახოცი ბინძურია, პარაზიტულ სუფრას არ მიუსხდებიან, კულაკის ბავშვი ამაზრზენია, ქალიშვილი — მკბენარზე უარესი. განკულაკებულებს კი ისინი, როგორც საქონელს, როგორც ღორებს ისე უყურებდნენ. კულაკში ხომ ყველაფერი საზიზღარია; კულაკი არც პიროვნებაა, და არც სული აქვს, ისინი აქოთებულებიც არიან, ვენერიული სნეულებაც სჭირთ და, რაც ყველაზე მთავარია — ხალხის მტრები და სხვისი შრომის ექსპლუატატორები არიან. რაც შეეხება ღარიბ-ღატაკობას, კომკავშირს და მილიციას — ყველა ესენი მხოლოდ გმირები და ჩაპაევები იყვნენ. სინამდვილეში კი შეხედავ მათ აქტივს: ჩვეულებრივი ხალხია, ცინგლიანებიც ჰყავთ და არამზადებიც.

თანდათან მეც მოვექეცი ამ სიტყვების გავლენის ქვეშ — პატარა გოგო ვიყავი. აქ კი ყველგან ერთსა და იგივეს ამბობდნენ: კრებებსა და სპეციალურ ინსტრუქტაჟზეც. რადიოშიც ამას გადმოსცემდნენ, კინოშიც ამას უჩვენებდნენ, მწერლებიც იგივეს წერდნენ. თვით სტალინიც იმას ამბობდა, რომ კულაკები პარაზიტები არიან, პურს წვავენ, ბავშვებს კლავენ. პირდაპირაც გამოაცხადეს — დავრაზმოთ ხალხის მასების რისხვა მათ წინააღმდეგ, გავანადგუროთ წყეული კულაკობა, როგორც კლასი... ჰოდა, მეც ვინუსხებოდი, ერთთავად მეჩვენებოდა, რომ ყველა უბედურება კულაკებისგან მოდიოდა და თუ მათ გავანადგურებდით გლეხობას მაშინვე ბედნიერი დრო დაგვიდგებოდა.

არავითარი სიბრალული მათ მიმართ: ადამიანები კი არა, ვერც კი გაარკვევ რა — პირუტყვები არიან. ჰოდა, მეც აქტივისტი გავხდი. აქტივში ყველანაირები იყვნენ: ისეთებიც, ვისაც სჯეროდა, პარაზიტები სძულდა და ღარიბეს გლეხობას ემხრობოდა. ისეთებიც — ვინც თავიანთ საქმეებს ჩარხავდა; მაგრამ ყველაზე მეტნი მაინც ბრძანების ბრმა შემსრულებლები იყვნენ — ასეთები საკუთარ დედ-მამასაც კი დაკლავდნენ ოღონდ კი ინსტრუქციისთვის არ გადაეხვიათ. ყველაზე ცუდი ის ხალხი არ იყო, ვისაც სჯეროდა, რომ კულაკობის განადგურების შემდეგ ბედნიერად იცხოვრებდნენ. ყველაზე საზარელი ის ადამიანები იყვნენ, ვინც სისხლით თავიანთ საქმეებს ჩარხავდნენ, შეგნებულობაზე გაჰკიოდნენ, თვითონ კი პირად ანგარიშსწორებაზე და ძარცვაზე იყვნენ გადასულები. ჰოდა, ასე, ინტერესის, ხარახურის, ერთი წყვილი ჩექმის გამო ღუპავდნენ ხალხს. დაღუპვა კი ადვილია — დაწერე, რომ მოჯამაგირე ან სამი ძროხა ჰყავდა და, ხელის მოწერაც არ უნდა — კულაკი მზად გახლავს. ყველაფერ ამას მე ვხედავდი, რასაკვირველია, ვღელავდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გულით არ განვიცდიდი. ფერმაში საქონელი უწესოდ რომ დაეკლათ, აშკარად ავღელდებოდი, მაგრამ ისე არა, რომ ძილი დამკარგვოდა.

...ნუთუ აღარ გახსოვს, რა მიპასუხე? მე კი შენი სიტყვები არასოდეს დამავიწყდება. ალბათ, იმიტომ, რომ შენი სიტყვები სუფთა და ხალასია. მაშინ მე გკითხე, როგორ მოგუდეს გერმანელებმა ებრაელი ბავშვები კამერებში, ან ამ ბოროტმოქმედების შემდეგ, როგორღა ცხოვრობდნენ ქვეყანაზე-მეთქი. ნუთუ ისინი არც ხალხის და არც ღვთის სამჯავროს წინაშე არ წარსდგებიან? შენ კი მიპასუხე: ჯალათისთვის სამსჯავრო ერთია — ის თავის მსხვერპლს, როგორც ადამიანს ისე არ უყურებს, იგი თავადაც კარგავს ადამიანობას, თავის თავში ადამიანს სიკვდილით სჯის, ის საკუთარი თავის ჯალათია; დაღუპული კი, როგორც უნდა კლა, საუკუნის მანძილზე ადამიანად რჩება. გაგახსენდა?

ეხლა კი ვხვდები, რატომ წავედი მზარეულად, აღარ მინდოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა. მე ამაზე ადრეც გელაპარაკებოდი.

ეხლა კი განკულაკებას რომ ვიხსენებ, ყველაფერს სხვაგვარად ვხედავ — ჯადო მომეხსნა, ადამიანები დავინახე. ნეტა მაშინ რამ გამაქვავა ასე? როგორ იტანჯებოდა ხალხი, რას არ უკეთებდნენ საცოდავებს! მე კი გავიძახოდი: ეს ხალხი არ არის, ეს კულაკობაა. ვიხსენებ, ვიხსენებ და ვფიქრობ: ვინ მოიგონა სიტყვა — კულაკობა? ნუთუ ლენინმა? როგორი სატანჯველი იკისრა! კულაკები რომ დაეხოცათ, აუცილებლად უნდა ელიარებინათ, რომ ისინი ადამიანები არ არიან. ზუსტად ისევე, როგორც გერმანელები ამბობდნენ: ურია — ადამიანი არ არისო. ლენინიც და სტალინიც იგივეს ამბობდნენ: კულაკები ადამიანები არ არიანო. ტყუილია! ადამიანები არიან! ისინი ადამიანები არიან! აი, ეხლა კი ვხვდები, რომ ყველა ადამიანია!

ოცდაათის დასაწყისში ოჯახების განკულაკება დაიწყეს. ყველაზე დიდი ციებ-ცხელება თებერვალ-მარტში იყო. რაიონი აჩქარებდა — თესვის დაწყებამდე კულაკები უკვე აღარ უნდა ყოფილიყვნენ და ცხოვრებაც ახლებურად დაიწყებოდა. ჰოდა, ჩვენც გავიძახოდით: პირველი საკოლმეურნეო გაზაფხულიო.

აქტივი ცხადად ასახლებდა. გასახლების ინსტრუქცია არ არსებობდა. თავმჯდომარე ურმებს მოიყვანდა, მაგრამ გასახლებულებს ზედ დასადებიც აღარაფერი ჰქონდა, კულაკებს ეძახდნენ, ურმები კი ნახევრად ცარიელა მოდიოდა. ჩვენი სოფლიდან განკულაკებულებს ფეხით ერეკებოდნენ, მათ მარტო ის გაატანეს, რაც აუცილებელი იყო — ლოგინი და ტანსაცმელი. ისეთი ტალახი იყო, ჩექმები ფეხებიდან სძვრებოდათ. ცუდი შესახედავები იყვნენ. ხალხი კოლონად მოდის, უკან ქოხებზე რჩებათ თვალები, თავიანთი ღუმლიდან აყოლილი სითბოც თან მიაქვთ; რა გადაიტანეს! ისინი ხომ ამ სახლებში დაიბადნენ. ამ სახლებში ათხოვებდნენ ქალიშვილებს. ღუმელიც გაახურეს, მაგრამ შჩი მოუხარშავი დარჩათ, რძე ბოლომდე ვერ შესვეს, საკვამურიდან კი ჯერ კიდევ კვამლი ამოდის, ტირიან ქალები, ყვირილის კი ეშინიათ. ჩვენ ვითომცდა არაფერიაო: აქტივს ერთი სიტყვა გვინდა. ხალხს ბატკნივით მივერეკებით. უკან კი საზიდარია; საზიდარზე სხედან: ბრმა პელაგია, მოხუცი დიმიტრი ივანოვიჩი — ათი წელი ქოხის ზღურბლზე ფეხი რომ არ გადმოუდგამს, და სულელი, კულაკის დადამბლავებული ქალიშვილი, მარუსია, რომელსაც ბავშვობაში ცხენმა საფეთქელში ჩლიქი მიარტყა და იმ დღიდან საცოდავს გონება დაებინდა.

რაიონული ცენტრი ციხეების ნაკლებობას განიცდიდა, ანკი, რა ციხეა იქ — ერთი პატარა საპყრობილე. ცენტრში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოველი სოფლიდან ხალხის თითო კოლონა მორეკეს. კინოც, თეატრიც, კლუბიცა და სკოლებიც დაპატიმრებულებს დაუთმეს. მაგრამ, ხალხს დიდხანს არ აჩერებდნენ. ისინი სადგურზე წაასხეს, სადაც სათადარიგო ლიანდაგებზე ცარიელი სატვირთო ვაგონების ეშელონები იცდიდა. მილიცია და სახელმწიფო პოლიტსამმართველო მკვლელებივით დაცვის თანხლებით მიერეკებოდა პაპებსა და დიდედებს, დედაკაცებსა და ბავშვებს. მამები აქ არ იყვნენ, ისინი ხომ ჯერ კიდევ ზამთარში დააპატიმრეს. ხალხიც ისე ჩურჩულებდა მათზე, თითქოსდა, დაპატიმრებულები მგლები იყვნენ. „კულაკობას ერეკებიან“. ზოგიერთები უყვიროდნენ კიდეც: „თქვე წყეულებო“, ისინი კი უკვე აღარ ტიროდნენ, გაქვავებულები მოდიოდნენ...

როგორ მიჰყავდათ, მე თვითონ არ მინახავს, მაგრამ ხალხისგან გამიგია. ჩვენები შიმშილობის დროს თავი რომ გადაერჩინათ, კულაკებთან, ურალს იქით გაემგზავრნენ. მე მეგობარი გოგონასგან მივიღე წერილი; მოგვიანებით, სპეცგადასახლებებიდან ორ გამოქცეულს ველაპარაკე კიდეც...

ისინი დალუქული თბილანა ვაგონებით მიჰყავდათ. ბარგი ცალკე იგზავნებოდა, თან მხოლოდ პროდუქტი მიჰქონდათ, რაც ხელთ ჰქონდათ. მეგობარი გოგონა მწერდა, რომ ერთ სატრანზიტო სადგურში მამებიც ეშელონებში ჩასხეს, იმ დღეს თბილანა ვაგონებში დიდი მოთქმა და სიხარული იყოო... თვეზე მეტხანს მგზავრობდნენ მატარებლით: გზები ეშელონებით იყო გადატენილი, გლეხები რუსეთის ყველა კუთხიდან მოჰყავდათ. ხალხი ძალიან ახლო-ახლო იწვა, საქონლის ვაგონებში ნარები არ იყო. რა თქმა უნდა, ავადმყოფები დანიშნულების ადგილას ვერ აღწევდნენ, გზაში კვდებოდნენ. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ საკვანძო სადგურებში სალაფავსა და ორას გრამ პურს აჭმევდნენ.

ბადრაგა სამხედრო პირი იყო. მეგობარი გოგონა მწერდა, ბადრაგები პირუტყვებივით გვექცევიანო.

იქ რაც ხდებოდა, ლტოლვილების ნაამბობიდან ვიცი; ოლქმა ისინი ტაიგაში გაანაწილა. ტყის პატარა სოფელში ქოხები, ეშელონების მსგავსად, შრომის უუნაროებით გამოტენეს. იქ, სადაც ახლომახლო სოფელი არ იყო, ადამიანებს პირდაპირ თოვლზე ასახლებდნენ. სუსტები იხოცებოდნენ. შრომისუნარიანებმა კი ხე-ტყის ჭრა დაიწყეს, კუნძები ხელს არ უშლიდათ და ამიტომ, არ ძირკვავდნენ. ხეებს მოათრევდნენ და ქოხმახებს, ბუდრუგანებს აშენებდნენ, დღეს და ღამეს ასწორებდნენ, ოღონდ კი ოჯახები არ გაჰყინოდათ. შემდეგ ქოხების აგება დაიწყეს. ქოხში ორ პატარა ოთახს აკეთებდნენ, თითო ოთახს თითო ოჯახზე. ქოხებს ხავსზე აგებდნენ და ხვრელებსაც ხავსითვე გმანავდნენ.

შინსახკომისგან შრომისუნარიანები ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობებმა შეისყიდეს. ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობა ამარაგებდა და კმაყოფაზე მყოფთ ულუფას აძლევდა. ამ ადგილს შრომითი დაბა ერქვა — თავისი კომენდანტითა და ათისთავებით. მონაყოლით ვიცი, რომ გასახლებულებს ისევე უხდიდნენ, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ მათ მთელი გასამრჯელო სასურსათო წიგნაკებზე ეხარჯებოდათ. ჩვენმა ძლიერმა ხალხმა მალე ადგილობრივ მკვიდრებს აჯობა და მეტის გამომუშავება დაიწყო. გადასახლებულებს უფლება არ ჰქონდათ საზღვარს გასცილებოდნენ. ისინი ან დაბაში უნდა ყოფილიყვნენ, ან ტყესაკაფში. ვიცი, რომ მოგვიანებით, ომის დროს, მათ რაიონის ფარგლებში გასვლის ნება დართეს. ომის შემდეგ კი, შრომის ვეტერანებს რაიონის ფარგლებს გარეთაც უშვებდნენ, ზოგიერთებს პასპორტებიც კი მისცეს.

მეგობარი გოგონა მწერდა: შრომისუუნარო კულაკობისგან ისეთ კოლონიებს ადგენდნენ, რომლებსაც ჯერ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ ჰქონდათ უნარი, საკუთარი თავი ერჩინათ. თესლი ვალით მისცეს და შინსახკომიც მათ პირველი მოსავლის აღებამდე ულუფას აძლევდა. აქ კომენდანტიც და დაცვაც ჩვეულებრივად ისევე იყო, როგორც შრომით დაბებში. შემდეგ ეს ხალხი არტელებში გადაიყვანეს, მათ იქ, კომენდანტთან ერთად, არჩეული პირები ჰყავდათ.

ჩვენ კი, სოფლად, განკულაკებულების გარეშე, ახალი ცხოვრება დავიწყეთ. კოლმეურნეობებში ხალხს ძალით ყრიდნენ — დილა კრებებით, ყვირილით და დედის გინებით იწყებოდა. ნაწილი გაიძახის: არ წამოვალთ! დანარჩენები კი: კარგი, წამოვალთ, ოღონდ ძროხებს არ მოგცემთ. შემდეგ სტალინის სტატიაც გამოქვეყნდა — „წარმატებებისგან თავბრუდახვევა“. ხელახალი არეულობა დაიწყო: ეხლა უკვე გაჰკივიან, რომ სტალინი კოლმეურნეობებში ხალხის ძალით შეყვანას კრძალავს. ხალხმა გაზეთის ნაგლეჯებზე განცხადებების წერა დაიწყო: ერთპიროვნულად გამოვდივართ კოლმეურნეობიდანო. მერე ისინი ისევ ძალით შეჰყავდათ კოლმეურნეობებში. განკულაკებულების მონარჩენი ნივთების დიდი ნაწილი კი დაიტაცეს.

ჩვენც ვთვლიდით, რომ კულაკის ბედზე უარესი არაფერია. შევცდით! სოფლელებს დიდსა თუ პატარებს ნაჯახი ჩასცხეს.

მშიერი სიკვდილი მოვიდა.

მაშინ იატაკებს უკვე აღარ ვრეცხავდი. მოანგარიშე ვიყავი, და როგორც აქტივისტი, კოლმეურნეობის გასაძლიერებლად უკრაინაში გამგზავნეს. აგვიხსნეს, რომ იქ, რსფსრ-თან შედარებით კერძომესაკუთრული სული უფრო ძლიერია. მართლაც, ჩვენთან შედარებით ისინი უარეს დღეში იყვნენ. მე შორს არ გავუგზავნივართ — ჩვენ ხომ უკრაინის საზღვარზე ვართ. სამი საათის სავალიც კი არ იყო იქამდე. ადგილი ლამაზია. ჩავედი — ჩვეულებრივი ხალხია. მათი გამგეობის მოანგარიშე გავხდი.

ასე მგონია, ყველაფერში ვერკვეოდი. ჩანს, ტყუილად არ მეძახდა ბერიკაცი მინისტრს. მხოლოდ შენ გეუბნები, შენ, როგორც საკუთარ მეს, უცხოსთან არასდროს ვიქებ თავს. მთელი ანგარიშგება ქაღალდის გარეშე თავში მქონდა. ყველა საუბარს ვუსმენდი ინსტრუქტაჟის დროსაც, სამეულის სხდომაზეც და მაშინაც ხელმძღვანელობა არაყს რომ სვამდა.

რა ხდებოდა? განკულაკების შემდეგ სათესი ფართობები ძალიან შემცირდა და მოსავლიანობაც დაეცა. ცნობები კი ისეთი ქვეყნდებოდა, თითქოს კულაკების გარეშე მაშინვე აყვავდა ჩვენი ცხოვრება. სოფლსაბჭო რაიონს ატყუებს, რაიონი — ოლქს, ოლქი — მოსკოვს. ყველაფერი ისეა, როგორც საჭიროა: ცენტრი — ოლქებს, ოლქები — რაიონებს. ჩვენც სოფელში ისეთი დავალება მოგვცეს — ათი წელი ვერ შევასრულებდი! სოფლსაბჭოში ვინც არ სვამდა, ისინიც კი შიშით გაილეშნენ. ჩანს, მოსკოვი ყველაზე დიდ იმედს უკრაინაზე ამყარებდა. ამიტომ იყო, რომ უკრაინას ყველაზე დიდი გულისწყრომა ხვდა წილად. ისევ ის ნაცნობი ლაპარაკი — ვერ შეასრულე, მაშასადამე, თავად გასანადგურებელი კულაკი ხარ!

დავალებას, რასაკვირველია, ვერ შეასრულებდი, რადგან ფართობები შემცირდა, მოსავლიანობა დაეცა. საიდან უნდა მოიტანო საკოლმეურნეო ხორბლის ზღვა? გამოდის, რომ გადამალეს! ესე იგი, ისევ არიან გაუნადგურებელი კულაკები და უსაქმურები. კულაკები თავიდან მოიშორეს, კულაკური სული კი დარჩა. გლეხის თავში კი მხოლოდ ერთი აზრი — კერძო საკუთრება ტრიალებდა.

მასობრივ მკვლელობებზე ხელი ვინ მოაწერა? ხშირად ვფიქრობ — ნუთუ სტალინმა? ჩემი აზრით, რუსეთის არსებობის მანძილზე მსგავსი ბრძანება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამოცემულა. ასეთ ბრძანებას არამც თუ მეფე, თათრებიც და გერმანელი ოკუპანტებიც კი არ აწერდნენ ხელს. ნაბრძანებია, — შიმშილით ამოხოცო გლეხობა უკრაინაში, დონზე, ყუბანში, პატარა ბავშვებიანად ამოწყვიტო. ხორბლის მთელი ფონდის ჩამორთმევის მითითებაც იყო. ხორბალს ისე ეძებდნენ, თითქოს პური კი არა, ბომბები ან ტყვიამფრქვევები ყოფილიყო. მიწას ხიშტებით და ზუმბებით ჩიჩქნიდნენ. ყველა სარდაფი გადათხარეს, იატაკები დაამტვრიეს, ბოსტნებშიც კი ეძებდნენ. ზოგისგან ის ხორბალიც წაიღეს, რაც ქოხებში — ქოთნებსა და ვარცლებში ეყარა. ერთ ქალს გამომცხვარი პურიც კი წაართვეს, ურემზე დადეს და რაიონში გააქანეს. დღე და ღამე ისმოდა ურმების ჭრიალი. არემარე მტვრით გავსებულიყო. ელევატორები არ იყო, ამიტომ ხორბალს პირდაპირ მიწაზე ყრიდნენ, გარშემო კი გუშაგები დადიოდნენ. ზამთრისთვის ხორბალი უკვე კარგად იყო წვიმით გაჟღენთილი, ფუჭდებოდა — საბჭოთა ხელისუფლებას ბრეზენტი არ ეყო, რომ გლეხკაცის პურისთვის გადაეფარებინა.

სოფლებიდან მარცვალს რომ ეზიდებოდნენ, ირგვლივ მტვრის კორიანტელი იდგა: ყველაფერი მტვრით დაბინდულიყო: სოფელიც, მინდორიც, მთვარეც. ერთი კაცი გაგიჟდა და გაჰკიოდა: იწვის, ცა იწვის, მიწა იწვის! არა, ეს ცა კი არა, ცხოვრება იწვოდა.

ჰოდა, მაშინ მივხვდი, რომ საბჭოთა ხელისუფლებისთვის მთავარი გეგმაა. შეასრულე გეგმა! გაანაწილე და მოამარაგე! პირველ რიგში — სახელმწიფო, ხალხის ფასი კი — ნულია.

მამებსა და დედებს შვილების გადასარჩენად სულ ცოტაოდენი პურის გადამალვა უნდოდათ, მათ კი უკიჟინებდნენ: თქვენ უსაზღვროდ გძულთ სოციალისტური სახელმწიფო, თქვენ გინდათ, რომ გეგმა ჩაშალოთ. მუქთახორები, კულაკისნაირები და საზიზღრები ხართო. ეჰ, გეგმის ჩაშლა კი არა, ბავშვების და საკუთარი თავის გადარჩენა გვინდოდა. ხალხს ხომ უნდა ჭამა! მოყოლით კი ყველაფრის მოყოლა შეიძლება, ოღონდ თხრობაში სიტყვებია. აქ კი ყველაფერია — ცხოვრება, ტანჯვა და შიმშილით სიკვდილი. სხვათა შორის, პური რომ მიჰქონდათ, აქტივს ეუბნებოდნენ, რომ საკვებს ფონდებიდან გაანაწილებდნენ. ეს ტყუილი აღმოჩნდა, მშივრებისთვის მარცვალიც კი არ მიუციათ.

ვინ ართმევდა პურს? ძირითადად შინაურები: რაიაღმასკომიდან, რაიკომიდან, კომკავშირიდანაც; თავიანთი ბიჭები, ახალგაზრდები და, რასაკვირველია, მილიცია, შინსახკომი, აქა-იქ ჯარებიც კი იყო; ერთი მობილიზებული მოსკოველი ვნახე, რატომღაც სულ არ ცდილობდა თავი გამოეჩინა, ერთთავად წასვლაზე ეჭირა თვალი. და აი, როგორც განკულაკების დროს, ხალხი ისევ გამოყეყეჩდა და გამხეცდა.

მილიციელ გრიშა საენკოს, ცოლად ადგილობრივი, სოფლელი ქალი ჰყავდა. აქ დღესასწაულებზე საქეიფოდ ჩამოდიოდა ხოლმე. მხიარული კაცი იყო, ტანგოს და ვალსს კარგად ცეკვავდა, მღეროდა უკრაინულ ხალხურ სიმღერებს. ჰოდა, მასთან სულ გათეთრებული მოხუცებული მივიდა და ლაპარაკი დაუწყო: „გრიშა, თქვენ ყველას მათხოვრად გვაქცევთ, ეს სიკვდილზე უარესია. გლეხობის წინააღმდეგ ამას რატომ სჩადის მუშურ-გლეხური ხელისუფლება? ეს ხომ მეფესაც არ გაუკეთებია?..“ გრიშამ მოხუცს გაარტყა, შემდეგ ხელების დასაბანად ჭასთან მივიდა. მოუბრუნდა ხალხს და უთხრა: „ამ პარაზიტული სიფათის შეხების შემდეგ, კოვზი ხელში როგორღა დავიჭირო!“

მტვერი — სანამ პურს ეზიდებოდნენ, დღე და ღამე მტვერი იდგა. ირგვლივ ყველაფერი ველური ჩანდა. ღამღამობით აუტანლად ცხელოდა. სასიკვდილო განაჩენივით მიწასთან გასწორებული მინდორიც საზარელი სანახავი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხიც რაღაც დაბნეული გახდა, საქონელიც გაველურდა, რაღაცის ეშინია, ბღავის. ღამღამობით ძაღლებიც ძლიერ ყმუიან, მიწაც დასკდა.

აჰა, მშრალი შემოდგომაც დადგა, მას თოვლიანი ზამთარი მოჰყვა. პური კი არ არის.

საბარათო სისტემის გამო პურს რაიცენტრშიც ვერ შეიძენ. სადგურშიც ვერ იყიდი, რადგან გასამხედროებული დაცვა ხალხს ფარდულს ახლოს არ აკარებს. კომერციული პური კი არ ჩანს.

შემოდგომიდან კარტოფილს მიადგნენ, უპუროდ ისიც მალე გათავდა. საშობაოდ საქონლის დაკვლა დაიწყეს. მაგრამ საქონლის ხორცი ძვალზე მჭლეა. ქათმებიც დაკლეს, რასაკვირველია. ხორცი სწრაფად შესანსლეს, რძის წვეთიც კი არ დარჩა, მთელ სოფელში კვერცხს ვერ იშოვიდა კაცი და, რაც მთავარია, არ იყო პური. სოფელს ხომ პურის უკანასკნელი მარცვალიც კი წაართვეს. საგაზაფხულო ხორბალს ვერ თესავენ, სათესლე ფონდი პირწმინდად წაიღეს. მთელ იმედებს საშემოდგომო ნათესებზე ამყარებენ. შემოდგომის ნათესები ჯერ კიდევ თოვლის ქვეშაა, გაზაფხული არ ჩანს, სოფელი კი იმშევა: გლეხებმა ხორცი სულ შეჭამეს, ფეტვის ბურღული. რაც იყო, ერთიანად გააჩანაგეს, დიდ ოჯახებს კარტოფილიც სულ გამოელიათ.

შიშის ზარმა ჩამოჰკრა. დედები უყურებენ დამშეულ შვილებს და შიშით ყვირილს იწყებენ. ისე ყვირიან, თითქოს გველი შემოცოცებულა სახლში. ეს გველი კი — სიკვდილია, შიმშილია. რა აკეთონ? გლეხებს ერთი საფიქრალიღა აქვთ — რა სჭამონ. გლეხებს, ყბები ამოყრილი აქვთ, ნერწყვი მოსდით, ყლაპავენ ნერწყვს, მაგრამ ნერწყვით ხომ ვერ გაძღები... ღამე გაიღვიძებ და ირგვლივ სიჩუმეა, არც გარმონი, აღარც საუბარი. ისეთი სიჩუმეა, როგორც საფლავში. მხოლოდ შიმშილი დადის, შიმშილს არ სძინავს. ბავშვები ქოხებში დილიდან ტირიან, პურს ითხოვენ. დედამ კი რა მისცეს — თოვლი? შველა არავისგან ჩანს. პარტიულებს ენაზე ერთი პასუხი აკერიათ — უნდა გემუშავათ, უქმად არ უნდა გდებულიყავით. ამასაც არ აკმარებენ და უმატებენ კიდეც: თქვენთანვე ეძებეთ, სოფელში სამი წლის პურის მარაგია დამარხული.

ჯერ სადა ხარ, ნამდვილი შიმშილობა ზამთარში არ ყოფილა. მართალია, ხალხმა ხალისი დაკარგა, კარტოფილის ნაფცქვენებით მუცლები გამოებერათ, მაგრამ გლეხები არ გასიებულან. თოვლში რკოს ეძებდნენ. მერე ახმობდნენ. მეწისქვილემაც უფრო ფართო დოლაბები დააყენა და ფქვილივით ფქვავდა რკოს. ხალხი მისგან პურს, უფრო სწორად, შაფართხელებს აცხობდა. შაფართხელა ძალიან მუქი, ჭვავის პურზე შავი გამოდიოდა. ამას ზოგი ქატოს ან კარტოფილის დანაყილ ნაფცქვენებსაც უმატებდა. რკოც მალე გამოილია. მუხნარი პატარა იყო, მას კი ერთდროულად სამი სოფელი შეესია. ქალაქიდან ჩამოსულმა რმწუნებულმა კი სოფლსაბჭოში განაცხადა: აი, პარაზიტები. ოღონდ ნუ ამუშავებ და მზად არიან თოვლში შიშველი ხელებით რკო ეძებონ.

უფროსკლასელები თითქმის გაზაფხულამდე დადიონენ სკოლაში, პატარებმა კი ზამთარშივე შეწყვიტეს სიარული. გაზაფხულზე სკოლა დაიკეტა — მასწავლებელი ქალაქში წავიდა. მედპუნქტიდან ფერშალიც გაიქცა, — აღარაფერი იყო საჭმელი და იმიტომ. ან კი, შიმშილს წამლებით როგორ მოარჩენდა. სოფელი მარტოდმარტო დარჩა — გარშემო უდაბნოა, ქოხებში — დამშეულები არიან. ქალაქიდან სხვადასხვა წარმომადგენელი უკვე აღარ ჩამოდის — რაზე იარონ? მშივრებისგან წასაღები აღარაფერია, ესე იგი, ჩასვლა აღარ არის საჭირო. აღარც მკურნალობაა საჭირო და არც სწავლება. თუ სახელმწიფოს ადამიანისგან ვერაფერი მიაქვს, მაშინ ის უსარგებლო ხდება, მაშ, რაღატომ უნდა ასწავლო და უმკურნალო?

სოფლელები მარტო დარჩნენ. მშივრებს სახელმწიფო განუდგა. ხალხმა სოფელ-სოფელ დაიწყო სიარული, ერთმანეთს სთხოვდნენ, მათხოვარი-მათხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარს, მშიერი—მშიერს. მარტოხელებს და იმათ, ვისაც ერთი ბავშვი ჰყავდა, გაზაფხულისთვის ზოგი რამ რჩებოდათ ხოლმე, ჰოდა, მრავალშვილიანებიც მათ სთხოვდნენ. და ზოგჯერ ერთ პეშვ ქატოს ან ერთ-ორ კარტოფილს აძლევდნენ კიდეც. პარტიულებს ვერაფერს გამოართმევდი — სიძუნწის ან ბოღმის გამო კი არა — ძალიან ეშინოდათ და იმიტომ. სახელმწიფომ მშივრებს მარცვალიც არ მისცა, თავად კი გლეხკაცის პურით ედგა სული. ნუთუ სტალინმა ყველაფერი ეს იცოდა? მოხუცები ყვებოდნენ: ნიკოლოზის დროსაც იყო შიმშილობა — მაგრამ ხალხს მაინც გვეხმარებოდნენ, ვალსაც გვაძლევდნენ. ღვთის წყალობით, გლეხობა ქალაქებშიც მათხოვრობდა და მათთვის არაჩვეულებრივ სამზარეულოებს აღებდნენ,ღარიბ-ღატაკებისთვის სტუდენტები შენაწირს აგროვებდნენ. ხოლო მუშურ-გლეხურმა მთავრობამ მარცვალიც კი არ მოგვცა. გზებზე ყველგან საგუშაგოები, ჯარები, მილიცია და შინსახკომია: დამშეულებს სოფლებიდან არ უშვებენ, ქალაქს ვერ მიუდგები, სადგურის გარშემო დაცვაა, ყველაზე პატარა სადგურშიც კი მცველები დგანან. მარჩენლებო, თქვენთვის არ არის პური. სამაგიეროდ, ქალაქში ბარათებზე მუშებს რვაას გრამ პურს აძლევდნენ. ღმერთო ჩემო, გაგონილა — ამდენი პური — რვაასი გრამი! სოფლის ბავშვებს კი გრამიც არ ჰქონდათ. ზუსტად ისე იქცევიან, როგორც გერმანელები, ებრაელ ბავშვებს გაზით რომ გუდავდნენ, ბავშვებს რომ ეუბნებოდნენ — თქვენ არ უნდა იცოცხლოთ, თქვენ ურიები ხართო. აქ კი, ვერაფერს გაიგებ: ესენიც საბჭოელები არიან—ისინიც საბჭოელები, აქაც რუსები არიან და იქაც. ხელისუფლებაც მუშურ-გლეხურია, მაშ, ხალხს რაღაზე ღუპავენ?

თოვლმა დნობა დაიწყო, მაშინ კი სწვდა სოფელს ყელში შიმშილი.

ბავშვები ყვირიან, არ სძინავთ: ღამეც პურს ითხოვენ. ადამიანებს სახე მიწისფერი, თვალები კი ამღვრეული და დაბინდული გაუხდათ. შიმშილით გამორეტებულები, ფეხქვეშ მიწას სინჯავენ და კედელ-კედელ დადიან. შიმშილი ხალხს აბარბაცებს. ისინი ნაკლებად მოძრაობენ, ძირითადად წვანან. ერთთავად ეჩვენებათ — თითქოს აღალი ჭრიალებს, სტალინმა რაიცენტრიდან ბავშვების გადასარჩენად ფქვილი გამოაგზავნა.

მამაკაცებზე უფრო ძლიერები დედაკაცები აღმოჩნდნენ, ისინი უფრო გამწარებით ებღაუჭებოდნენ ცხოვრებას. ქალებმა უფრო მეტი სიმწარე ნახეს — ბავშვები საჭმელს ხომ დედას სთხოვენ. ზოგი ქალი პატარებს არწმუნებს, ართობს, კოცნის: „ნუ, ნუ ყვირით, მოითმინეთ, საიდან მოგიტანო?“ სხვები კი ცოფიანებივით გიჟდებოდნენ: „ნუ წკმუტუნებ, მოგკლავ“ ოღონდ კი რამენაირად გაეჩუმებინათ და, რაც ხელში მოხვდებოდათ, ბავშვებს იმით სცემდნენ. ზოგი ქალი სახლიდანაც კი გარბოდა. მეზობელთან იჯდა ბავშვის კივილი რომ არ გაეგონა.

აღარც კატები და ძაღლები შერჩათ ყველა დახოცეს. მათი დაჭერაც გაჭირდა ისინი ადამიანებს უფრთხოდნენ. ძაღლებს და კატებს თვალები გაუველურდათ. ადამიანები გაძვალტყავებულ, გამხმარ, ძარღვებად დარჩენილ კატებისა და ძაღლების ხორცს ხარშავდნენ, თავებისაგან კი ლაბას ამზადებდნენ.

თოვლი რომ დადნა, ხალხმა გასივება დაიწყო; შიმშილით შუპდებიან — სახე უსივდებათ, მორებივით ფეხები აქვთ, მუცელში წყალი უდგებათ, ეზოში გასვლას ვერ ასწრებენ და ყოველ წუთს ისველებენ. გლეხის ბავშვები კი! გაზეთში გინახავს გერმანელების ბანაკებში გაღალებული ბავშვების სურათები? ყველა ერთნაირია: ბირთვივით მძიმე თავებით, ყარყატებივით წვრილი კისრებით, ხელებზე და ფეხებზე ემჩნევათ პატარა ძვლები როგორ მოძრაობენ, ტანქვეშ, როგორ ერთდება სახსარი; მათ ჩონჩხს კანი ყვითელი დოლბანდივით აკრავს. ბალღებს სახეები კი ისეთი დამჭკნარი და ნატანჯი აქვთ, თითქოს ამქვეყნად უკვე სამოცდაათი წელი დაჰყვეს. გაზაფხულისთვის კი სახეებიც აღარ შერჩათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს ჩიტის ნისკარტიანი თავი, მეორეს კი ბაყაყივით სიფათი გაუხდა — თხელი, განიერი ტუჩებით. მესამე ციმორივით პირლიაა. არაადამიანური სახეები აქვთ. თვალები კი, ღმერთო! ამხანაგო სტალინ, ღმერთო ჩემო, გინახავს ეს თვალები? შესაძლოა, სტალინმა მართლაც არ იცოდა ეს. მან ხომ წარმატებით თავბრუდახვევაზე წერილიც დაწერა.

ყველაფერს ჭამდნენ — თაგვებს და ვირთხებს იჭერდნენ, გველებს, ბეღურებს, ჭიანჭველებს, მიწის მატლებს თხრიდნენ, ძვლებს ფქვილივით ნაყავდნენ; ტყავს, ლანჩასა და ძველ აყროლებულ ზონრებს ატრიად ჭრიდნენ, წებოს ხარშავდნენ. ბალახი რომ წამოიზარდა, ფესვების თხრა დაიწყეს, ფოთლებსა და კვირტებს ხარშავდნენ — ყველაფერს იყენებდნენ: ბაბუაწვერას და ოროვანდს, მაჩიტას და თხაწართხალას, ხბოსშუბლას და ველურ დიყს, ჭინჭარსაც და კლდის დუმასაც; ცაცხვის ფოთოლს ახმობდნენ, მისგან ფქვილს ნაყავდნენ, მაგრამ ჩვენთან ცაცხვი ცოტა იდგა. ცაცხვის კვერები მწვანეა; რკოს შაფართხელებზე უარესი.

საშველი კი არ ჩანს! შველას მაშინ უკვე აღარც ითხოვდნენ! ეხლაც ამაზე ფიქრს რომ ვიწყებ, ვ[illegible]დები — ნუთუ სტალინმა უარყო ხალხი? ნუთუ ასეთ საშინელ მკვლელობაზე წავიდა? სტალინს პური ხომ ჰქონდა, მაშასადამე, ხალხს განზრახ კლავდნენ შიმშილით. არ უნდოდათ ბავშვებს რომ დახმარებოდნენ. ნუთუ სტალინი მართლა ჰეროდეზე უარესი იყო? ხან იმასაც ვფიქრობ, ნუთუ ჯერ პური და მარცვლეული წაართვა, მერე კი შიმშილით ამოხოცა ხალხი? არა, ასეთი რამ არ შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ რომ მოხდა! და იქვე უარვყოფ: არა — არ შეიძლება. რომ ყოფილიყო.

ჰოდა, დამშეულებს არაქათი სანამ სულ გამოეცლებოდათ, მინდვრით რკინიგზისკენ მიდიოდნენ, სადგურზე კი არა, სადგურში გუშაგები არ უშვებდნენ, პირდაპირ ლიანდაგთან. ჩქარი მატარებელი კიევი-ოდესა როგორც კი გამოჩნდებოდა, მუხლებზე ეცემოდნენ და ყვიროდნენ: პური, პური! ზოგიერთები თავიანთ საზარელ ბავშვებს მაღლა სწევდნენ. ზოგჯერ მგზავრები მართლაც ყრიდნენ პურის ნატეხებსა და სხვადასხვა ნარჩენებს. მატარებელი ჩაიგრუხუნებს, მტვერი დაჯდება, სოფელი კი ლიანდაგის გასწვრივ დაბობღავს, ქერქებს ეძებს. შემდეგ განკარგულება მიიღეს: მატარებელი უმოსავლო — მოშიმშილე ოლქებში რომ შედიოდა, დაცვა ფანჯრებს ხურავდა და ფარდებს უშვებდა. მგზავრებს ფანჯრებთან არ აკარებდნენ. სოფლელებმა თავად შეწყვიტეს სიარული — ლიანდაგებამდე მისვლის ძალა კი არა, ქოხიდან ეზოში გამობობღების თავიც კი აღარ ჰქონდათ.

მახსოვს, ერთმა ბერიკაცმა თავმჯდომარეს გაზეთის ნაგლეჯი მოუტანა, რომელიც ლიანდაგთან ეპოვნა. იქ ასეთი ცნობა იყო: რუსეთში ჩამოსული სახელოვანი ფრანგი მინისტრი დნეპროპეტროვსკის ოლქში წაიყვანეს, სადაც ყველაზე საშინელი ჟამიანობა იყო, ჩვენზე უარეს დღეში იყვნენ; იქ კაცი კაცს ჭამდა. მინისტრი სოფლის საკოლმეურნეო საბავშვო ბაღში მიიყვანეს. მან იკითხა: „რა ჭამეთ დღეს სადილად?“ ბავშვები პასუხობენ: „ქათმის წვნიანი ღვეზელით და ბრინჯის კატლეტები“. მე თვითონ წავიკითხე, თითქოს ეხლა ვხედავ გაზეთის იმ ნახევს. რა არის ეს? გამოდის, რომ ჩუმად მილიონობით ადამიანს კლავენ და მთელ მსოფლიოსატყუებენ! გაზეთში წერენ — „ქათმის წვნიანი!“ „კატლეტები!“ აქ კი ჭიაყელებიც აღარ დატოვეს. ბერიკაცმა თავმჯდომარეს უთხრა: „ნიკოლოზის დროს მთელი მსოფლიოს გასაგონად, გაზეთები შიმშილობაზე წერდნენ: დაგვეხმარეთ, გლეხობა იღუპებაო, თქვენ კი, მტარვალნო, წარმოდგენებს მართავთ“.

სოფელმა თავისი სიკვდილი დაინახა და ძაღლივით აყმუვლდა. მთელი სოფელი ერთხმად ბღაოდა — გონებით არა, არც გულით, ისე, როგორც ქარისგან ახმაურებული ფოთლები ან, როგორც ჩალა შრიალებს ხოლმე. მაშინ ვბრაზობდი

კიდეც — ასე საცოდავად რა აყმუვლებთ. იქნებ ადამიანები აღარც არიან. ქვის უნდა იყო ეს კვნესა გესმოდეს და საკუთარ ულუფას ჭამდე. ზოგჯერ ჩემი ლუკმაპურით მინდორს მივაშურებდი. ყმუილი იქაც მესმოდა. განვაგრძობდი გზას — აი, თითქოს მიყუჩდა, ცოტას კიდევ გავივლიდი: და კვლავ იგივე ხმა მესმოდა. — ეს უკვე მეზობელი სოფელია. ასე გგონია — მთელი დედამიწა ადამიანებთან ერთად აყმუვლებულაო. ღმერთი არ არის, ვინ გაიგებს?

ერთმა შინსახკომელმა კაცმა მითხრა: „იცი, ოლქში რას ეძახიან თქვენ სოფლებს: „უმოწყალო სკოლის სასაფლაოს". პირველად ამ სიტყვების მნიშვნელობა ვერ გავიგე.

ეჰ, რა კარგი ამინდი იყო! ზაფხული შხაპუნა, მსუბუქი წვიმებით დაიწყო, წვიმას ცხელი მზე ენაცვლებოდა. ჰოდა, ხორბლის კედელი წამოიმართა, ხორბალი ადამიანზე მაღალია, იმსიმაღლეა. ნაჯახით თუ მოჭრი. იმ ზაფხულმა ბევრჯერ დაგვატკბო ცისარტყელით, ჭექაქუხილით და თბილი, შხაპუნა წვიმით.

მთელი ზამთარი იმის ფიქრში იყვნენ, მოსავალი იქნებოდა თუ არა. მოხუცებს ეკითხებოდნენ, წარსულის მაგალითები მოჰყავდათ, მთელი იმედები საშემოდგომო ხორბალზე იყო დამყარებული იმედმაც გაამართლა, მაგრამ მომკა ვეღარ შესძლეს. ერთ ქოხში შევედი. ვხედავ— ხალხი წევს, თითქოს ჯერ ისევ უდგათ სული, თითქოს აღარც სუნთქავენ, ზოგი საწოლზე წევს, ზოგი ღუმელზე; მასპინძლის ქალიშვილი, მე მას ვიცნობდი, იატაკზე გონდაკარგული გდია და ტაბურეტის ფეხს კბილებით ღრღნის. ოჰ, რა საშინელებაა! — ჩემი შესვლა გაიგო, არ მოუხედავს, მაგრამ ისე დაიწყო ღრღნა, როგორც ძაღლმა იცის ხოლმე, ძვალს რომ ხრავს მაშინ თუ მიუახლოვდები.

სოფელს საშინელი ჭირი მოედო. ჯერ ბავშვებს და მოხუცებს, შემდეგ საშუალო ასაკის ხალხს დარია ხელი. თავიდან მიცვალებულებს მიწაში ფლავდნენ, მერე უკვე აღარც მარხავდნენ. მკვდრები ისევე ეყარა ქუჩებში, ეზოებში, ზოგიერთი კი ქოხებში დარჩა. არემარე დადუმდა. მთელი სოფელი ამოწყდა. ბოლოს ვინ მოკვდა, არ ვიცი. ჩვენ, გამგეობის მუშაკები, ქალაქში წაგვიყვანეს.

თავიდან კიევში მოვხვდი. სწორედ იმ დღეებში დაიწყო კომერციული პურის დარიგება. რა ხდებოდა! ნახევარკილომეტრიანი რიგები იყო, რიგში საღამოობით დგებოდნენ. ხომ იცი, რიგები მრავალგვარია — ერთში დგანან, იცინიან, მზესუმზირას აკნატუნებენ, მეორეში — ქაღალდის ნაგლეჯებზე ნომრებს წერენ, მესამეში კი — იქ, სადაც არ ხუმრობენ, ნომრებს ან ხელისგულზე, ან ზურგზე ცარცით აწერენ ხოლმე. მაგრამ აქ განსაკუთრებული რიგებია — ასეთი რიგი არსად მინახავს: ერთმანეთს წელზე ეხვევიან და დგანან ასე ერთიმეორის უკან. საკმარისია, ვინმემ წაიბორძიკოს, რომ მთელი რიგი ატორტმანდება, თითქოს ტალღამ გადაუარაო. გეგონება, ცეკვასაც იწყებენ, აქეთ-იქით ირწევიან. მერე და მერე უფრო მეტად აქანავდებიან. ეშინიათ, ვაითუ, წინმდგომის ჩაჭიდების ძალა აღარ ეყოთ. ვაითუ, ხელი გაეშვათ — ჰოდა, ამ შიშის გამო ქალები კივილს იწყებენ... აი, ასე ზუზუნებს მთელი რიგი. მნახველს კი ჰგონია, რომ რიგში მდგომნი დაგიჟდნენ, მღერიან და ცეკვავენ. ზოგჯერ რიგში ხულიგნები შემოვარდებიან: აკვირდებიან, სად უფრო ადვილად გაწყდება ჯაჭვი. ხულიგნების მოახლოებისას ყველა შიშით ისევ ზუზუნს იწყებს, გეგონება მღერიანო. კომერციული პურის რიგში ქალაქის მოსახლეობას — გაჭირვებულებს, უპარტიოებს, ხელოსნებს ან გარეუბნის მცხოვრებლებს ნახავდით.

სოფლიდან კი გლეხობა დაიძრა. ვაგზლები გარშემორტყმულია, ყველა შემადგენლობას ჩხრეკენ. ყველგან გზებზე საგუშაგოებია — ჯარები და შინსახკომი. მაგრამ ამის მიუხედავად, გლეხები კიევამდე მაინც აღწევენ, ოღონდ კი გზებზე საგუშაგოებს ასცდნენ და მინდორ-მინდორ, ყამირზე მოცოცავენ, ჭაობების, ტყეების გავლით მიდიან. მთელ დედამიწაზე საგუშაგო რაზმებს ხომ ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააყენებენ. საცოდავებს სიარული აღარც კი შეუძლიათ, ძლივს მილასლასებენ. ქალაქში ხალხი თავის საქმეზე მიიჩქარის: ზოგი სამსახურში, ზოგი — კინოში, ტრამვაი დადის, დამშეული ბავშვები, ძიაკაცები და გოგონები კი ხალხში მოხოხავენ, ოთხზე დადიან და ამიტომ გგონია. რომ ხალხი კი არა, საზიზღარი კატები და ძაღლები მოდიან. მაგრამ ეს არსება ჯერ კიდევ ადამიანია, მას სირცხვილის გრძნობაც აქვს. აი, გასივებული გოგონა მობობღავს, მაიმუნივით წრიპინებს, მაგრამ კაბას მაინც ისწორებს, სცხვენია, თმას თავშლით მალავს, სოფლელი გოგოა — კიევში პირველად არის. იღბლიანებმა ქალაქამდე ჩამოაღწიეს, ასეთი ათი ათასიდან ერთია, მაგრამ, მათი საშველი მაინც არ ჩანს — დამშეული მიწაზე წევს, ხავის, საჭმელს ითხოვს, ჭამის თავი კი არა აქვს, პურის ყუა იქვე გდია, ის კი უკვე ვეღარაფერს ხედავს, ვერაფერს ხვდება.

დილაობით ღია ოთხთვალა და სინიბები ჩამოივლიდნენ ხოლმე, ღამით დახოცილებს აგროვებდნენ. მე ერთი ოთხთვალა ვნახე, რომელზეც ბავშვები ეყარა. ისეთი ბავშვები იყვნენ ადრე რომ გიამბობდი — გაწვრილებული და გაჩხინკულები, სახეები ისეთი ჰქონდათ, მკვდარ ჩიტებს რომ აქვთ — წაწვეტებული ნისკარტებით. მოფრინდნენ ეს ჩიტუნები კიევამდე, მაგრამ, რა ხეირია. ბავშვებიდან ზოგი ჯერ კიდევ წრიპინებდა, თავებს აქეთ-იქით იქნევენ, მზიდავს ვკითხე, მან კი ხელი ჩაიქნია: დანიშნულების ადგილამდე სანამ მივიყვან — ჩაწყნარდებიანო.

ერთი გოგონა ვნახე, ტროტუარზე გარდიგარდმო ამომობღდა, მეეზოვემ წიხლი ჩასცხო. საცოდავი ქვაფენილზე ჩასრიალდა. უკან არც კი მოუხედავს, სწრაფად მიხოხავს, ცდილობს, ან კი საიდან აქვს ძალა; თანაც კაბას იბერტყავს, — ხედავ, გამტვრიანებულა! იმ დღეს მოსკოვის გაზეთი ვიყიდე, წავიკითხე მაქსიმ გორკის სტატია — ბავშვებს კულტურული სათამაშოები სჭირდებათო. ნუთუ მაქსიმ გორკიმ არ იცოდა იმ ბავშვების არსებობა, რომლებსაც სინიბებით სანაგვეზე ეზიდებოდნენ — განა ეს მათ სჭირდებათ სათამაშოები? იქნებ, იცოდა კიდეც? და სხვებივით დუმდა. იქნებ ისიც სხვებივით წერდა, რომ ეს დახოცილი ბავშვები ქათმის წვნიანით იკვებებოდნენ. მეფორნემ მითხრა: ყველაზე მეტი გვამი კომერციულ პურთანაა — დაღეჭავს გასიებული პურის ნაჭერს და მზად არის. ეს კიევი კარგად დამამახსოვრდა, თუმცა იქ მხოლოდ სამი დღე დავყავი.

ჰოდა აი, რას მივხვდი. თავიდან შიმშილი კაცს სახლს ატოვებინებს. ჯერ ცეცხლივით წვავს და წიწკნის, ნაწლავებსა და გულს გლეჯს — ადამიანიც გარბის სახლიდან. ხალხი ჭიაყელებს და ბალახს აგროვებს, ხომ ხედავ, კიევამდეც აღწევდნენ. ყველა, ყველა გარბის სახლიდან. მაგრამ ერთ დღეს დამშეული უკან, თავის ქოხში შელასლასდება, რაც იმას ნიშნავს, რომ შიმშილმა გაიმარჯვა, ადამიანი უკვე აღარ ცდილობს თავის გადარჩენას. ლოგინში წვება და ასე წევს. ადამიანს ერთხელ თუ სძლია შიმშილმა, მას ვეღარ წამოაყენებ — არა, მარტო იმიტომ კი არა, რომ ძალა აღარ აქვს — ინტერესიც აღარ აქვს, სიცოცხლეც აღარ უნდა. თავისთვის წყნარად წევს — ნუ ახლებ ხელს. დამშეულს აღარც ჭამა უნდა, ყოველ წუთას ისველებს, ფაღარათიც აქვს; ჰოდა, მშიერი მძინარედ იქცევა, ნუ მიეკარები: ოღონდ კი სიჩუმე იყოს. წვანან და აღსასრულს ელოდებიან. სამხედრო ტყვეებიც იგივეს ყვებოდნენ — თუ ტყვე მეომარი ნარებზე დაწვება და ულუფისკენ აღარ იხედება, ეს იმას ნიშნავს, რომ მოახლოვდა მისი აღსასრულის დღე. ზოგიერთები ჭკუიდან იშლებოდნენ. ისინი ბოლომდე არ მშვიდდებოდნენ. ასეთებს თვალებზევე ეტყობათ — თვალები უელავთ. ჰოდა, ესენი მკვდრებს ატყავებდნენ და ხარშავდნენ, საკუთარ შვილებს ხოცავდნენ და ჭამდნენ. მათში მხეცი იღვიძებდა. ერთი ქალი ვნახე რაიცენტრში, ბადრაგას თანხლებით მოიყვანეს — სახე ადამიანის ჰქონდა, თვალები კი მგლისა. ამბობდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაციჭამიებს ყველას უკლებლივ ხვრეტდნენო. მაგრამ ისინი დამნაშავეები არ არიან. დამნაშავე ის არის, ვინც დედა იმ ზომამდე მიიყვანა, რომ საკუთარ შვილებს ჭამს. მაგრამ, ვისთანაც გინდა იკითხე, დამნაშავეს მაინც ვერ იპოვი. დედები ამ ზომამდე თურმე იმიტომ მიიყვანეს, რომ ამას მთელი ხალხის კეთილდღეობა მოითხოვდა.

კარგად შევამჩნიე, რომ ყველა დამშეული — კაციჭამიასავითაა. საკუთარ ხორცს თვითონვე შემოიჭამს, მარტო ძვლებიღა რჩება, ქონიც ბოლო წვეთამდე შემოადნება. შემდეგ გონებაც ებინდება, მაშასადამე, საკუთარი ტვინიც შეჭამა. დამშეულმა საკუთარი თავი შთანთქა.

იმასაც ვფიქრობდი, რომ ყველა მშიერი თავისებურად კვდება-მეთქი. ერთ ქოხში ომია გაჩაღებული, ერთმანეთს უთვალთვალებენ, ერთმანეთს ხელიდან ნამცეცებს გლეჯენ. ცოლი—ქმარს, ქმარი ცოლს უპირისპირდება, დედა ბავშვებს ვერ იტანს. მეორე ქოხში კი ურყევი სიყვარულია. ერთ ასეთ ქალს ვიცნობდი, ოთხი ბავშვი ჰყავდა. შიმშილი რომ დავიწყებოდათ, ბავშვებს ზღაპრებს უამბობდა, თვითონ კი პირში ენას ძლივს ატრიალებდა; ბავშვებს ხელში იყვანდა, თავად კი ხელის განძრევის თავიც არ ჰქონდა. მაგრამ ამ ქალში სიყვარული ცოცხლობდა. ხალხი ამჩნევდა, უფრო მალე იქ იხოცებოდნენ, სადაც სიძულვილი იყო. ეჰ, რა სიყვარული, სიყვარულმა მაინც ვერავინ იხსნა, შიმშილმა მთელი სოფელი მიაწყო. ცოცხალი აღარავინ დარჩა.

მოგვიანებით შევიტყვე, რომ ჩვენი სოფელი მთლად დადუმდა. აღარც ბავშვების ხმა ისმოდა. არც სათამაშო იყო საჭირო და აღარც ქათმის წვნიანი, აღარავინ ყმუოდა. არავინ იყო, რომ ეყმუვლა. გავიგე, რომ ხორბალი ჯარის ნაწილებმა აიღეს, ოღონდ წითელარმიელებს მკვდარ სოფელში არ უშვებდნენ, ისინი კარვებში იდგნენ. აუხსნეს, რომ სოფელში ეპიდემია იყო, ისინი კი ჩიოდნენ, სოფლიდან საშინელი სუნი მოდისო. საშემოდგომო ხორბალიც ჯარმა დათესა. მეორე წელს კი ორლოვის ოლქიდან ახალმოსახლეები ჩამოიყვანეს — უკრაინის მიწაა, შავმიწა, ორლოვსკელების კი მწირი ნიადაგია. ქალები ბავშვებით სადგურთან ბარაკებში დატოვეს, მამაკაცები კი სოფელში წაიყვანეს, ფიწლები დაურიგეს და უბრძანეს ქოხებში ჩამოევლოთ და გვამები გარეთ გამოეთრიათ — იწვნენ გარდაცვლილი ქალები და კაცები, ზოგი იატაკზე, ზოგიც — საწოლზე. ქოხებში საშინელი სუნი იდგა. მამაკაცებმა ცხვირ-პირზე თავსაფრები გაიკრეს და გვამების გამოთრევას შეუდგნენ, გვამები კი ნაჭერ-ნაჭერ იშლებოდა. ეს ნაგლეჯები სოფლის განაპირას დაფლეს. აი, მაშინ კი მივხვდი რა ხდებოდა ჩვენს თავს. ქოხები მიცვალებულთაგან გაათავისუფლეს თუ არა, იატაკების მოსარეცხად და კედლების შესათეთრებლად ქალები მოიყვანეს. ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც საჭიროება მოითხოვდა. სუნი კი მაინც იდგა... კედლები მეორედ შეათეთრეს, იატაკსაც ხელახლა თიხა გადაუსვეს — სუნი არ გადიოდა, ადამიანებმა ამ ქოხებში ჭამა და ძილი ვერ შეძლეს, ორლოვის მხარეში დაბრუნდნენ. რასაკვირველია, მიწა ცარიელი არ დარჩენილა — მიწა და თანაც, როგორი!

შიმშილით დახოცილებს თითქოს არც უცხოვრიათ. თავის დროზე კი აქ ყველაფერი იყო: სიყვარულიც, გაყრაც, ქალიშვილებსაც ათხოვებდნენ, მთვრალები ჩხუბობდნენ კიდეც, სტუმრებიც ჩამოსდიოდათ, პურსაც აცხობდნენ... და, როგორ მუშაობდნენ! სიმღერებსაც დაამღერებდნენ ხოლმე. ბავშვები სკოლაში დადიოდნენ... მოძრავი კინოც ჩამოჰქონდათ, უხუცესებიც კი დადიოდნენ კინოში.

აღარაფერი დარჩა. სადღაა ეს ცხოვრება, სად არის საშინელი ტანჯვა? ნუთუ არაფერი დარჩა? ნუთუ ამაზე პასუხს არავინ აგებს? ნუთუ ასე უსიტყვოდ დაივიწყებენ ყველაფერს? ბალახი გაიზარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ გეკითხები. კი. მაგრამ. ეს. როგორ?

ხომ ხედავ. ჩვენი ღამეც გავიდა. უკვე თენდება. დროა. სამუშაოდ გავემზადოთ.

15

ვასილ ტიმოფეევიჩი დაბალ ხმაზე მოსაუბრე. მორცხვი კაცი იყო. საუბარს დაიწყებდნენ თუ არა. ჰანა თაფლისფერ თვალებს დაბლა დახრიდა და ძლივსგასაგონად პასუხობდა.

ქორწინების შემდეგ კი მთლად დაიმორცხვეს: სამოცი წლის კაცი. მეზობლის ბავშვები „ბაბუს“ რომ ეძახდნენ. დაიბნა და რცხვენოდა. რომ უკვე თმაჭაღარა. მელოტმა. სახედაღარულმა კაცმა ცოლად ახალგაზრდა გოგონა შეირთო. თავისი სიყვარულით ბედნიერია. უყურებს მას და ჩურჩულებს: „ჩემო გვრიტო... ჩემო სულო და გულო“. ოდესღაც გოგონას თავისი მეუღლე სოფლის საუკეთესო მეგარმონედ წარმოედგინა; ის შჩორსიც[1] იყო, ტარას შევჩენკოსავით გულშიჩამწვდომი ლექსებიც უნდა ეწერა. მაგრამ ქალის უწყინარმა გულმა კარგად იცოდა მარცხიანი. ღარიბი. მუდამ სხვისი ცხოვრებით მცხოვრები. ხანში შესული კაცის სიყვარულის ფასი. კაციც კარგად ხვდებოდა ჰანას ახალგაზრდულ ოცნებას. — აი. ერთ დღეს სოფლის რაინდი მოვა და მამისეული ღარიბული ქოხიდან წაიყვანს... მასთან კი — ვასილ ტიმოფეევიჩი მივიდა. ძველი ჩექმები ეცვა. დიდი გაშავებული გლეხური ხელები ჰქონდა. დროდადრო დამნაშავესავით ახველებდა. ქალს გაგიჟებით. ბედნიერებით. დანაშაულის გრძნობით და მწუხარებით შესცქეროდა. ქალიც მის წინაშე დამნაშავესავით გაჩუმებული და თვინიერი იდგა.

ბიჭი შეეძინათ — გრიშა. ისიც წყნარი იყო. არასდროს არ ტიროდა: მშობიარობის შემდეგ გამხდარ გოგონას დამსგავსებული დედა ზოგჯერ ღამე აკვანთან მივიდოდა და თვალებდაჭყეტილ ბიჭს რომ დაინახავდა. ეტყოდა ხოლმე:

— გრიშენკა. ცოტა წამოიტირე მაინც. სულ ჩუმად რომ ხარ.

ცოლ-ქმარი ქოხშიც კი ხმადაბლა საუბრობდა. მეზობლებს კი უკვირდათ:

— ასე ჩუმად რატომ ლაპარაკობთ...

— უცნაურია, მაგრამ ახალგაზრდა ქალი და ხანშიშესული უშნო მამაკაცი თავიანთი თვინიერი გულებით და მოკრძალებულობით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს.

ორივე მუხლჩაუხრელად შრომობდა. მაშინაც კი რცხვენოდათ ამოსუნთქვის, როცა ბრიგადირი ცოლ-ქმარს უმართებულოდ. რიგგარეშე ამუშავებდა ყანაში.

ერთხელ საკოლმეურნეო საჯინიბოს განაწესით ვასილ ტიმოფეევიჩი თავმჯდომარესთან ერთად რაიცენტრში გაემგზავრა. სანამ თავმჯდომარე რაიფინგანში და რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებაში თავის საქმეებზე იყო. ვასილ ტიმოფეევიჩმა ცხენები ბოძზე მიაბა. რაიონულ მაღაზიაში შევიდა და ცოლს საჩუქარი უყიდა — ხაშხაში. შაქარყინული. ბლითები. კაკალი. ყველაფერი ცოტ-ცოტა ასორმოცდაათასორმოცდაათი გრამი. ქოხში შესულმა პატარა თეთრი ხილაბანდის ფუთა გახსნა, გახარებულმა ცოლმა. ბავშვივით ტაში შემოჰკრა და წამოიძახა: „ოი. დედილო!“ დამორცხვებული ვასილ ტიმოფეევიჩი წინკარში გავიდა. მეუღლეს მისი ბედნიერი. აცრემლებული თვალები რომ არ შეემჩნია.

ჰანამ ქმარს ხატობისთვის პერანგი ამოუქარგა. ქალმა ვერც კი გაიგო. რომ იმ ღამეს ვასილ ტიმოფეევიჩ კარპენკოს თითქმის არ სძინებია. — ფეხშიშველი მივიდოდა კომოდთან. სადაც პერანგი იდო, პერანგს ხელისგულს გადაუსმევდა და ჯვრებით ნაქარგს სინჯავდა. მან რაიონული საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებიდან ცოლი გამო-

[1] შჩორსი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე — სამოქალაქო ომის გმირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვანა. ქალს ხელში ბავშვი ეჭირა; ვასილ ტიმოფეევიჩს ეგონა, რომ ათასი წელიც რომ ეცოცხლა, ეს დღე არასოდეს დაავიწყდებოდა.

ზოგჯერ შიში შეიპყრობდა ხოლმე. — წარმოგიდგენია, როგორი ბედნიერია, — წარმოგიდგენია, რა ბედნიერებაა, ღამე გაიღვიძო და ცოლისა და ვაჟიშვილის სუნთქვას უგდო ყური.

ჰოდა, ესე... სამსახურიდან შინ მომავალი წნულ ღობეზე გასაშრობად მიფენილ ბავშვის სახვევებს და საკვამურიდან ამოსულ კვამლს ხედავდა. უყურებდა ცოლს — ქალი კი აკვანზე დახრილა, მაგიდაზე ბორშჩიან თეფშს დგამს და, რაღაცაზე იღიმება. კაცი უყურებს მის ხელებს, ხილაბანდიდან ჩამოყრილ თმას, უსმენს ჩვილ ბავშვსა და მეზობლის ცხვარზე მოსაუბრე ქალს. ზოგჯერ ქალი წინკარში რომ გავიდოდა, ქმარი მის ლოდინში მოიწყენდა და დარბოდა კიდეც. ცოლი დაბრუნდებოდა თუ არა, კაცი ხარობდა, ქალი კი მის მზერას დაიჭერდა და წყნარად, ნაღვლიანად გაუღიმებდა ხოლმე.

ულლესა და ერთი წლის წყნარ ბიჭუნას შიმშილით სიკვდილი?

გახრწნილ ძონძებში გამოიზამთრეს ქმრის, ახალგაზრდა ცოლის და მათი პატარა ვაჟის ძვლებმა. ისინი სიკვდილის შემდეგაც განუყრელები თეთრად იღიმებოდნენ.

მერე, გაზაფხულზე, შოშიები რომ მოფრინდნენ, ქოხში სამიწათმოქმედო განყოფილების რწმუნებული შევიდა, ცხვირ-პირს ცხვირსახოცით იფარავდა. მან აათვალ-ჩაათვალიერა უშუშო ნავთის ლამპა, ხატი, კომოდი, თუჯის ქვაბები, საწოლი და თქვა:

— აქ ორი მოზრდილი და პატარა ბავშვია.

სიყვარულისა და სიმშვიდის წმიდათაწმინდა ზღურბლზე მდგარმა ბრიგადირმა თავი დაიქნია და ქაღალდის ნაგლეჯზე რაღაც ჩაინიშნა.

ჰაერზე გამოსულმა რწმუნებულმა გადახედა თეთრ ქოხებს, მწვანე პატარა ბაღებს და თქვა:

— გვამების გატანის შემდეგ, ამ ნანგრევების აღდგენას აზრი არა აქვს.

ვასილ ტიმოფეევიჩი პირველი გარდაიცვალა, პატარა გრიშაზე ორი დღით ადრე. თითქმის მთელ საჭმელს უკანასკნელ ნამცეცამდე ცოლს და ბავშვს აძლევდა, ამიტომაც მათზე ადრე მოკვდა. ალბათ, მსოფლიოში არ არსებობდა იმაზე მეტი თავდადება, რაც მან გამოავლინა; ალბათ, არავინ ყოფილა ისეთი სასოწარკვეთილი, როგორც ის, როცა დამახინჯებულ, სასიკვდილოდ გასივებულ ცოლსა და მომაკვდავ ბიჭს უყურებდა.

ვასილ ტიმოფეევიჩი სიკვდილის ბოლო წუთამდე არ გამოხატავდა არც საყვედურს, არც სიბრაზეს იმ დიადი და უაზრო საქმეებისადმი, რასაც სახელმწიფო და სტალინი სჩადიოდნენ. მას არც კი უკითხავს: „რატომ — რისთვის?", რატომ მიუსაჯეს მას, მის მშვიდ, მორჩილ, შრომისმოყვარე მე-

16

სამსახურში ივან გრიგორიევიჩს ხშირად ესმოდა, ქალაქის სასამართლოში ქრთამს იღებენ, რადიოტექნიკუმში საკონკურსო გამოცდებში მონაწილე ყმაწვილებისთვის ნიშნების ყიდვა შეიძლება, ქარხნის დირექტორი ქრთამს იღებს და ისე ანაწილებს ძლიერ დეფიციტურ ლითონს ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებელ არტელებზე. მეწისქვილემ ნაქურდალი ფულით ორსართულიანი სახლი აიშენა და იატაკზე მუხის პარკეტიც კი დააგო; ისიც გაგონილი ჰქონდა, რომ მილიციის უფროსმა ცნობილი საქმოსანი იუველირი იმის შემდეგ გაათავისუფლა, რაც მისი ნათესავებისგან წარმოუდგენელი თანხა — ექვსასი ათასი მანეთი ქრთამი აიღო, ივან გრიგორიევიჩმა იცოდა, თვით ქალაქის მამა და მარჩენალი, ქალაქკომის პირველი მდივანიც კი ქა-

ლაქის საბჭოს თავმჯდომარეს მთავარი ქუჩის ახალი სახლის ბინის ორდერებს ქრთამით ანაწილებინებდა.

ინვალიდები დილიდან ღელავდნენ. ღელავდნენ იმიტომ, რომ ქალაქში ყველაზე მდიდარი არტელის „ბეწვკერვის“ საწყობის გამგის საქმის თაობაზე ოლქიდან მოსული დასკვნა შეიტყვეს. არტელში ქურქებს, ქალის პალტოებს, ჩრდილოეთის ირმის ნუკრისა და ყარყუმის ბეწვის ქუდებს კერავდნენ. მართალია, მთავარი დამნაშავე თავმდაბალი საწყობის გამგე აღმოჩნდა, მაგრამ საქმე მაინც გრანდიოზული იყო, ის დიდი ქალაქის საქმიანობასა და ცხოვრებას რვაფეხასავით ხლართავდა. დასკვნას უკვე დიდი ხანია ელოდნენ, ჩვეულებრივ, შესვენებაზე, სადილობის დროს, ამაზე დავობდნენ კიდეც. ნაწილი თვლიდა, რომ ოლქში მოსკოვიდან ჩამოსული განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი არ შეშინდება და ამ საქმეში ქალაქის ხელმძღვანელობის როლსაც გამოააშკარავებსო.

ქალაქში ბავშვმაც კი იცის, რომ ქალაქის პროკურორი, ქაჩალი და ენაბლუ საწყობის გამგის ნაჩუქარი „ვოლგით“ მგზავრობს, რომ ქალაქკომის მდივანს რიგიდან ჩამოუტანეს საწყობის გამგის მიერ ნაჩუქარი ავეჯი — საძინებელი და სასადილო გარნიტური; იმასაც ამბობდნენ, რომ მილიციის უფროსის ცოლი არტელის საწყობის გამგის ხარჯებით გადაფრინდა ადლერში, სადაც მინისტრთა საბჭოს სანატორიუმში ორი თვის განმავლობაში ისვენებდა; ისიც იცოდნენ, მილიციის უფროსის ცოლს გამგზავრების დღეს ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი, რომ უსახსოვრეს.

სკეპტიკოსები თვლიდნენ, მოსკოველი გამომძიებელი ვერ გაბედავს და ქალაქის ბატონ-პატრონების წინააღმდეგ საქმეს ვერ აღძრავს, ამიტომ ყველაფერი, ალბათ, საწყობის გამგეზე და არტელის გამგეობაზე გადატყდება.

და აი, ოლქიდან თვითმფრინავით ჩამოფრინდა საწყობის გამგის სტუდენტი შვილი. მან ასეთი მოულოდნელი ამბავი ჩამოიტანა: განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა დანაშაულის არარსებობის გამო საქმის მსვლელობა შეწყვიტა; საწყობის გამგე პატიმრობიდან გაათავისუფლეს, ხოლო არტელის თავმჯდომარისა და მისი ორი წევრის ხელმოწერა ქალაქიდან გაუსვლელობის შესახებ გააუქმესო.

რატომღაც „დიდებული“ მოსკოველი იურისტის გადაწყვეტილებამ არტელში ყველა — სკეპტიკოსიცა და ოპტიმისტიც — ერთნაირად გააცინა და გაამხიარულა. შესვენებაზე ინვალიდები პურს, ძეხვს, პამიდორს და კიტრს ჰამდნენ, იცინოდნენ და მასხრობდნენ — ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის ადამიანურმა სისუსტემ გაამხიარულა, თან ქაჩალ და ენაბლუ საწყობის გამგის ყოვლისშემძლეობაზე იცინოდნენ.

ივან გრიგორიევიჩი თვლიდა, რომ გზამ, რომლის დასაწყისშიც უანგარო, ფეხშველა მოციქულები და ფანატიკოსი კომუნარები იყვნენ, ის შემთხვევით არ მიიყვანა იმ ხალხთან, რომლებიც ძვირფასი აგარაკების, საკუთარი ავტომანქანებისა და ფულის დასტების გულისთვის უკან არაფერზე დაიხევდნენ.

საღამოს, სამუშაოს შემდეგ, ივან გრიგორიევიჩი პოლიკლინიკაში შევიდა და იმ ექიმის კაბინეტს მიაშურა, რომელსაც ანა სერგეევნა ახსენებდა ხოლმე. ექიმს მიღება დაემთავრებინა და ხალათს იხდიდა.

— ექიმო, ანა სერგეევნა მიხაილოვას ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მინდა გკითხოთ.

— რა ხართ მისი, — მეუღლე თუ მამა? — იკითხა ექიმმა.

— არა, ნათესავი არა ვარ, მაგრამ ის ჩემთვის ახლობელი ადამიანია.

— აჰა, — თქვა ექიმმა. — რა გაეწყობა, გეტყვით, მას ფილტვის კიბო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს. ამას ვერც ქირურგი და ველარც აგარაკი ვერ უშველის.

17

სამი კვირა გავიდა და ანა სერგეევნა საავადმყოფოში დააწვინეს.

დამშვიდობებისას ივან გრიგორიევიჩს უთხრა:

— ჩანს, საქაოში ბედნიერება არ გვიწერია.

დილისით, ივან გრიგორიევიჩი სახლში რომ არ იყო, ანა სერგეევნას და ჩამოვიდა და ალიოშა სოფელში წაიყვანა.

ივან გრიგორიევიჩი რომ დაბრუნდა, ოთახი ცარიელი დახვდა. სიჩუმე იყო. მთელი ცხოვრება სიმარტოვეში გაატარა, ფაქტიურად კი მხოლოდ ახლა იგრძნო მარტოსულობა.

ღამე არ ეძინა, ფიქრობდა. არ გვიწერიაო... ბედნიერი მარტო შორეული ბავშვობა ეჩვენებოდა.

ეხლა კი, როცა ბედნიერების სიომ დაუბერა და თვალებში ჩახედა, ივან გრიგორიევიჩმა მთელი თავისი სიმძაფრით აწონ-დაწონა ის ცხოვრება, რომელიც მას წილად ხვდა.

ძალიან მწარე იყო საკუთარი უმწეობის აღიარება, იმის გაცნობიერება, რომ მას ანა სერგეევნას გადარჩენის ძალა არ შესწევდა, არ შეეძლო მისი სატანჯველის შემსუბუქება. უცნაურია, მაგრამ, მგონი, შვებას მხოლოდ ბანაკებში და ციხეებში გატარებულ ათწლეულებზე ფიქრი ანიჭებდა.

ივან გრიგორიევიჩი იმ მწარე დღეებზე ფიქრობდა და ცდილობდა რუსული ცხოვრების სინამდვილე გაეგო, წარსულსა და დღევანდელობას შორის არსებული კავშირი გაერკვია.

მას იმედი ჰქონდა, რომ ანა სერგეევნა საავადმყოფოდან დაბრუნდებოდა და ივან გრიგორიევიჩიც ყველაფერს მოუყვებოდა, ყველაფერს — რაც გაახსენდა და, რაც მოიფიქრა.

ანა სერგეევნა ყველაფერს გაუგებდა, ივან გრიგორიევიჩის მწუხარებას სიყვარული ანუგეშებდა.

თარგმნეს ეთერ ბალიაშვილმა და ლია შარვაშიძემ

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეიმურაზ აბულაძე

## იყავნ ამიერ შენივ თავის მონა და მეფე

### ლირიკული პოემა

1.

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო სიხარულო!
სულმოქანცული მოვდივარ შენთან...
რა მაქვს! —
ისეთი რა მოგართვა, რომ გაგახარო?
თუმცა რა გინდა! —
შენ ხომ თავად სიხარული ხარ!
შენ ხომ ჩემს სულში უკანასკნელ ნუგეშად ფეთქავ!
სიხარულს რაღა გახარება სჭირდება ნეტავ?!

შენ ტკივილიდან ჩაისახე და ტანჯვით იშვი.
შენი დედაა მწუხარება და სიმწრით ყოფნა.
შენი დედაა მწუთხე ცრემლი, —
გულში რომ წვეთავს...
მწუხარებიდან იბადება დღე სიხარულის,
სიხარულია მწუხარების დამბადებელიც.

რა მაქვს! —
ისეთი რა მოგართვა, რომ გაგახარო?
თუმცა რა გინდა! —
შენ ხომ თავად სიხარული ხარ!
სიხარულს რაღა გახარება სჭირდება ნეტავ?!
ერთს მოგახარებ, —
ათასების სასიხარულოს:
სხვა ქართა ქროლვას...
სხვა გრიგალთა გამოღვიძებას...
თვალის ახელას თვალებდათხრილ საქართველოსი
და სანთლით დგომას ხავსმოდებულ საკურთხეველთან...

2.

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო მწუხარებავ!
სულშეგუბული მოვდივარ შენთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მაქვს! —
რა გიძღვნა?
რა მოგართვა?
რით დაგამშვენო?
შენ ხომ ისედაც მწუხარების შნოებით შნოობ...

სიხარულია დედა შენი...
მაგრამ ის მოკვდა...
მაგრამ ის მოკვდა, —
დაბადებას გადაჰყვა შენსას...
შენ დაიბადე,
შენ გადარჩი, მაგრამ ის მოკვდა
გამთენიისას,
მისი ცრემლით ტიროდა ზეცა...
ფრთებით დაფარეს ანგელოსთა სიშიშვლე მისი...
არვინ ჰგიოდა
მაშინ იმ შენს რიადაგეზე,
არსად ლიობდა
მაშინ კარი ჩემს ბარობაზეც...
და გიპატრონე...
და გიშვილე...
და გამოგზარდე...
მას შემდეგ ყუმ და ყრუ ღამეში დავეხეტებით,
ერთად ვბერდებით...
დავბურბუსალობთ ამ გაუღწევ, მტვრიან ქაოსში
და ამ წრიალში, ალბათ, სადღაც ერთად ჩავკვდებით...
შენ რომ მოკვდები,
ის სულმნათი დედაშენი დაიბადება...
აყვავილდება...
ათქვირდება...
ატკარცალდება...
მერე ვიღაცა ურჯუკს ისევ ცოლად გაჰყვება
და ისევ შენზე, ისევ შენზე დაორსულდება...

...აგერ, ახლახანს, შენ კინაღამ ხელში ჩამაკვდი,
როცა იხილე დაჩოქილი სანთლების გმინვა...
რა დაგავიწყებს **9 აპრილის** გასისხლულ დილას,
იმ გულუბრყვილო ალიონის ჩაჩეხილ სხივებს...
შენ, — გამოვლილი ათას ჭირში და ჯანდარაში, —
შენ გაგაკვირვა იმ უზნეო ზიზღის ზვირთებმა...
ქვეყნის დაქცევა,
ქვეყნის წარღვნა,
ქვეყნის კირთება, —
აღარაფერი აწი შენ არ გაგიკვირდება...
მაგრამ ღმერთი ხომ ყველას, ყველას თვის წილს მიაგებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო მოთმინებავ!
შენ მაშინ გაჩნდი,
როცა სული კბილით მეჭირა
და სისხლმდინარი შევყურებდი ვარსკვლავთა ციალს...
ცივა! —
შენს „ზე"-ში უსაშველოდ ცივა და ბნელა,
მაგრამ შორს, სადღაც, ულურჯესი ნათელიც ელავს...
შენ დიდი ტანჯვით იბადები დიდი მწუხრიდან
და მწუხრეული შეჰმწუხარებ ნათელს უხილავს...
შენი დედაა გლოვა, დარდი,
დარდი და გლოვა
და ფიქრი, ფიქრი: — მოვა? მოვა? მოვა?
მოთმინებითა შენითაო! — გვითხრა უფალმა
და უფლის ნებით
ნუთისოფელს ვლევთ მოთმინებით.

მოთმინებითა შენითაო...
და, აჰა, ვითმენ! —
კბილს კბილზე ვაჭერ და ვიმტვრევ თითებს...
მოთმინებითა შენითაო...
და აჰა, ვლაგმავ
სიხარულს, — ცრემლით გამოზრდილ ნაგრამს...
მოთმინებითა შენითაო...
და, აჰა, ვბორკავ
ვნებებს, და ჩემსავ ცეცხლშივე ვბორგავ...
მოთმინებითა შენითაო...
და, აჰა, ვმარხავ
სათქმელს, და სიტყვის ვინახავ მარხვას...
მოთმინებითა შენითაო...
და, აჰა, ვანგრევ
კოშკს ოცნებისას, და ვიკვნეტ ბაგეს...
ჰა: — ვლაგმავ! ვბორკავ!
ვმარხავ და ვანგრევ!
აგერ, ბატონო, მოთმინება
და... ჯვარცმაც — აგერ!

კი, ჯვარზე გვაცვეს,
კი, ჩაგვაცვეს შავი სუდარა,
კი, ზეცას წვდება დაჩოქილი სანთლის მუდარა...
გადაბინდბუნდდა რიჟრაჟები კაენის ფრთებით...
გადალიპლიპდა მოთმინების ფიალა ცრემლით...
— იყავნ ამიერ შენივ თავის მონა და მეფე! —
წყვდიადებიდან აწყვეტილი ქარები ყეფენ.

შენ ჩვენთან იყავ მუდამ,
მუდამ ჩვენში ფეთქავდი,
შენ მუდამ ბეწვის ხიდი იყავ კაცით-ღმერთამდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შენს ძუძუს წოვდა ყოველ დროში
ყველა ქართველი,
ყველა ქართველი შენს უბეში ვაჟკაცდებოდა.
ახლაც ჩვენთან ხარ, —
ამ აწყვეტილ ქართა ყეფაში,
შენი წამებით,
შენი ტანჯვით და ნუგეშინით.
დაეხეტები იმპერიის წითელ ბნელეთში
და ბნელეთიდან გამოლანდული
ცისარტყელას დააფრიალებ...
. . .
— იყავნ ამიერ შენივ თავის მონა და მეფე! —
წყვდიადებიდან აწყვეტილი ქარები ყეფენ.
სულ ცოტა კიდევ,
ც-ო-ო-ტაც კიდევ, ჩემო მოთმინებავ!

4.

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო სიყვარულო!
განგების ხელი ურევია შენს გაჩენაში
და მიტომაც ხარ ღვთაებრივი და ცაებრივი...
ვერ შემოგბედავს შენ მიწიერ ცოდვების მონა,
შენ ღვთისნიერთა,
ცისნიერთა ღირსი ხარ მხოლოდ;
მათი, —
ვის სულშიც სათნოების სანთელი ღვივის,
მათი, —
ვის სულშიც სასოების ანთია სხივი.
შენა ხარ ნიჭი, —
არ ებრძვის ყველას რომელიც;
ნიჭი და ძალა, — კაცთა მოდგმის ძლიერებისა.

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო სიყვარულო!
რა მაქვს! —
რა გიძღვნა?
რა მოგართვა?
რა გისახსოვრო?
ჰა, ჩემი წრფელი სიყვარული მომირთმევია!
ის კიდევ ფეთქავს,
ის კიდევ ძგერს,
ის არ ჩამქრალა,
ის კიდევ ელის ტკბილი ბანგით მკვნესარ ღამეებს...

...თუმც მეც მიმწარდა სული ბევრჯერ ბევრი რამეთი,
ვარ ბედნიერი,
ვარ ამაყი,
ვარ მხნე, რამეთუ
მთელ ჩემს სიცოცხლეს სიყვარული ერქვა სახელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სახელი არც მიძებნია არსად, არასდროს.
...ვბერდები,
ჩემი სიყვარული კი არ ბერდება, —
ბავშვობის მინდვრებს უბრუნდება,
ცას ბავშვობისას...
დიდება შენდა, ღმერთო! — ვბავშვდები ნუთუ?!

მე რომ მოვკვდები,
ჩემს სიყვარულს მოვუკვდები, ჩემს თავს კი არა!
მე მოვუკვდები,
ის კი ივლის,
ივლის და ივლის
და ერთ დღეს სხვაში აფეთქდება ატმის ტოტივით...
ნეტავი იმ დღეს!
ნეტავ იმ სხვას!
ნეტავ იმ ყოფნას!

მე რომ მოვკვდები,
ჩემს სიყვარულს მოვუკვდები, ჩემს თავს კი არა!
მიჭირსუფლეთ, სიყვარულნო, და დამიტირეთ,
თქვენ დამიტირეთ! —
ეს იქნება ჩემი ცხონება.
ჩემს საფლავზე რომ ამოწვერავს ლორთქო ბალახი,
ის მე ვიქნები, —
თქვენი თბილი ცრემლით გაზრდილი.

ასეთ სიყვარულს, მრწემნო ჩემნო, ნუ ეხუმრებით!
ციდან არ ცვივა სიყვარულის მარგალიტები,
ის ზღვის ფსკერიდან სიმწრით უნდა ამოამზევო...
ჩვენ დაგვინგრიეს სიყვარულის სალოცავები,
გაგვითახსირეს სიყვარულის ციხე-ტაძრები.
მგლებად ვეძეცით ჩვენც ერთმანეთს,
ჩვენც მთლად გავაფთრდით
და სიყვარული ერთურთს ხელში გამოვაჭამეთ.
ვილასთვის გვინდა ის ნანატრი თავისუფლება?!

დროა! —
შევიდეთ გაუქმებულ ციხე-ტაძრებში
და განვიწმინდოთ,
განვიწმინდოთ სულით ხორცამდი.
დროა!
ვეძებოთ ჩვენივ თავი ამ ქაოსებში,
რომ გავხდეთ ისევ ჩვენვე ჩვენივ თავის უფალნი,
რომ გავხდეთ ღირსნი ღვთაებრივი სიყვარულისა.
სიყვარულს ძალუძს მხოლოდ პოვნა შენივ თავისა!

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო სიყვარულო!
შენა ხარ ნიჭი, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ ებოძების ყველას რომელიც;
ნიჭი და ძალა, — კაცთა მოდგმის ძლიერებისა.
შენ ხარ ტაძარი სიკეთის და სათნოებისა.
შენა ხარ ჩემი ლოცვა, ჩემი სარწმუნოება.
შენა ხარ დედა, — უკვდავი და მარადიული, —
დედა, — ყველაზე დიდი მადლის დამბადებელი.

. . .

ღმერთო, მოჰმადლე ქართველს ნიჭი სიყვარულისა,
ნიჭი და ძალა, — კაცთა მოდგმის ძლიერებისა.

5.

დაბადების დღეს გილოცავ, დღეო ხვალისა!
შენ სხვა სიცოცხლედ იბადები ბნელ წიაღიდან.
ღამე შენა გშობს და შენა ხარ ღამის მშობელი.
სხვაა ქვეყანა,
სხვაა სივრცე, — ღამით მოცული,
სხვაა ქვეყანა,
სხვაა სივრცე, — გადღევებული.

ჩვენს დღეში ბნელა...
ბნელა ჩვენს ლურჯ განთიადებში...
სისხლი მოწვეთავს,
სისხლი,
სისხლი ჩვენს ალიონებს...
დაეხეტება მოთმინება წითელ ბნელეთში
და შორეთიდან გამოლანდულ
ცისარტყელას დააფრიალებს...
წყვდიადებიდან აწყვეტილი ქარები ყეფენ:
— იყავ5 ამიერ შენივ თავის მონა და მეფე!

ვაჰ, ჩვენს მოსწრებას!
ვაი, ჩვენს დღეს!
ვაი, ჩვენს ყოფას! —
თუ დანესტილი სული ჩვენი არ გამზიურდა...
ინთხევა ირგვლივ სატანის ცოფი,
ჩვენს ფიქრს, ნათლიერს, ჩაჰფრენია ბნელი იუდა.

ჩემს წყალზე და
ჩემს მიწაზე
სხვა გადის და გამოდის...
თანაც თავი ისე მოაქვს,
ვით მოციქულს სამოთხის.
ვაი, ჩემო მიწა-წყალო!
ვაი, ჩემო სამოთხევ! —
სანამ უნდა ენაცვალო
შენი ფესვის ამომთხრელს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაი, ჩემო მიწა-წყალო!
ვაი, ჩემო სამოთხევ!

დრო მიჰქრის,
მიჰქრის,
მიიხვეტავს მზეს, წვიმებს, ქარებს.
წლები დღეების დაღლილ თვალებს ახამხამებენ...
და ამ გამომხმარ, გამოქარულ საუკუნეში
ვის გათენება ეძნელება,
ვის — დაღამება:
„ამაღამდელო ღამეო,
ნუ გათენდები მალეო!..“
„რა კარგი დღე ხარ,
ნეტავ არ დაღამდე!..“
მაინც თენდება და ღამდება მაინც ღვთის ნებით,
ვთენდებ-ვღამდებით ჩვენც, —
ღვთის ნებას ვემორჩილებით.
არავინ იცის, დრო რამდენ დღეს გადაიღამებს
და ღამე კიდევ რამდენ დილას გამოადღევებს.
სხვაა სამყარო,
სხვაა სივრცე, — ღამით მოცული,
სხვაა სამყარო,
სხვაა სივრცე, — გადღევებული.
. . .

ვდგავარ ღამეში,
ვდგავარ მწუხრში,
ვდგავარ წკვარამში
და მწუხრეული შეგმწუხარებ: — **დღეო გათენდი!**

ივლისი. 1990.
ბიჭვინთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგა თუთბერიძე

# აჩანჩურას ამნისტია

მოთხრობა

— აჩანჩურ, არ გინდა თავისუფლება? — ვეკითხები ბუნჩულა ლეკვს. აჩანჩურას თავისუფლება უკანა თათებზე ჰკიდია. კბილები ექავება და ცდილობს საკბენად რაიმე მკვრივი საგანი მოიხელთოს.

ოციოდე დღის წინ აჩანჩურამ სახიფათო მალაყი გააკეთა მაღალი კედლიდან. გოჭით ასცდა სიგნალიზაციის მავთულებს, ბედად, გასაშრობად დაკიდებული საბნის კონვერტში გაადინა ტყაპანი, ჩაისველა და აწკმუტუნდა.

გარესამყაროს ეს პატარა ნამცეცი დღითიდღე მრგვალდება, სახელის გაგონებისთანავე გვეხმიანება და საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს, როდესაც ხაკისფერი ტანისამოსის დანახვაზე წვრილი ხმით იწყებს ყეფას, ზედამხედველებიც იცინიან, ოქროს კბილებს აჩენენ, მაგრამ ვატყობ, გულის სიღრმეში სწყინთ და ხელსაყრელ შემთხვევას არ გაუშვებენ აჩანჩურას მოსაშორებლად, ამიტომ ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს.

აჩანჩურას არც ვირთხები ეხატება გულზე. მათ დანახვაზე ფაფხურობს და იქაჩება. ჩვენ ვაკავებთ, ვირთხები კი აინუნშიაც არ აგდებენ. დინჯად მიდი-მოდიან.

აჩანჩურას დაძაბული დღის რეჟიმი აქვს: გამოღვიძება, ჭამა, ღრენა-კბენა, ძილი, ზონის ტერიტორიის შემოვლა, ძილი, ჭამა, თუ ბიჭებთან გაგვეპარა — ჩამომათხოვრება და ისევ ძილი.

თავშენახულიცაა.

—თუ კიდევ ვიპოვი ჩემს ჩექმაში მკვდარ თაგვს, სიგრძეს-სიგანედ ვუქცევ! — იმუქრება ჯარჯი. აჩანჩურას კი სიგრძე-სიგანე ისედაც ერთი აქვს.

ხალხი ამნისტიას ელოდება.

— მალე აქედან გავალთ! — ვითომ აჩანჩურას ეუბნება ჯარჯი. თორმეტი წელი აქვს მისჯილი.

არ მინდა ყალბად გამომივიდეს, ამიტომ სრული სერიოზულობით ვამბობ:

— აჩანჩურას მე წავიყვან, გაისად კი ერთად წავალთ მთაში.

ჯარჯი თავს აქნევს:

— ვის ფეხსაცმელებში აგროვებს რაღაცრაღაცეებს?! მაშასადამე, ვის უფრო ენდობა?!

— მე! ჰოდა, მე წავიყვან!

— რაღაცებს კი არა, ნაგავს! შენი' თქმით ნაგვის მიძღვნა ნდობისა და პატივისცემის გამოხატულებაა, არა?!

ჯარჯი დუმს, აღარ მისმენს. კუთხეში მიყუდებულ, დიდ, ლამაზ ჯვარს მიშტერებია.

ჯარჯის თვალებზე ცრემლი არ მინახავს, მაგრამ ვგრძნობ, რომ ტირის, უხმოდ, უცრემლოდ. აჩანჩურაც გრძნობს, მიდის მასთან, თათს აბჯენს ფეხის ცერზე, და თვალებში შესცქერის. ჯარჯის ლეკვი ხელში აჰყავს და სახეზე იხუტებს, ვდგები და შენობიდან გავდივარ, თან დაუდევრად ვამბობ:

— გავალთ, აბა, რას ვიზამთ!

და უმისამართოდ ვიგინები.

გარეთ თითქმის აუტანელი სიცხეა. ათიოდე წუთს დავეხეტები და კედლის გადაღმა, მდინარის მეორე ნაპირზე მდგარ, მაღალ, ვერცხლისფერ ალვებს გავცქერი. ისევ ნაცნობი, დაუოკებელი გრძნობა მეხეთქება ტალღებად. მყისვე თვალს ვარიდებ თავისუფლებას, ხეებს, მდინარეს, ცას და ყველაფერს, რაც კედლის გადაღმაა, ამ ერთი სიტყვით აღვიქვამ.

ოთახში შევდივარ. ჯარჯი აჩანჩურასათვის ვერმიშელს ხარშავს.

— ცხელა? — მეკითხება ჯარჯი, ოთახი კი ხურს.

— ჰო, — აჩანჩურას ბეწვზე ვუსვამ ხელს. ასეც ვფიქრობდი, ცალი გვერდი ოდნავ სველი აქვს.

„ჩებურეკა“ შემოდის.

— მშია, — ქვაბს დაჩყურებს.

— ეგ აჩანჩოსია.

— ჰოო... საჩვენო არაფერია?

— მეზარება... პური და მდოგვია, — ბურტყუნებს ჯარჯი.

„ჩებურეკა“ პურზე მდოგვს უსვამს და ჭამს.

— ასე კუჭი და ღვიძლი გადაგიგვარდება, — საქმიანი კილოთი ამბობს.

— შენ სული თქვი, თორემ... ე! არ მისცე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩებურეკას“ მდოგვიან პურს ვტაცებ და ვაგდებ. „ჩებურეკა“ აჩანჩურას ულმის:

— რა ვქნა, ძმაო, არ მისცეო.

თვე მიიწურა აჩანჩურას თათები დაუგრძელდა, საკმაოდ კარგად დარბის.

— რა დაემართა? —ლეკვის ყმუილნარევ წკმუტუნზე ეღვიძება ჯარჯის.

— რა ვიცი, — გაღიზიანებული ვარ, არც მე მაძინებს.

ჯარჯი ხვნეშის და დგება:

მაინც აღარ დამეძინება, გავალ, ამასაც გავიყვან.

გადიან.

ნახევარ საათში ჯარჯის ხმა მაღვიძებს.

— რა მოხდა?

— ჯანომ თავი ჩამოიხრჩო!

— ?!

— აგან იპოვა, — აქასქასებულ ლეკვს დაჰყურებს ჯარჯი.

თეთრად ვათენებთ.

დილით — სასწრაფო დახმარების მანქანა, თავჩაქინდრული ბიჭები, აღრენილი ზონის უფროსი.

უხმაუროდ. ყველაფერი უხმაუროდ...

რამდენიმე თვეც გადის და ამნისტიას აღარავინ ელოდება.

აჩანჩურა უკვე აზროვნებს. არჩევს ავსა და კარგს.

საწოლზე ვზივარ და კალენდარზე გასულ თვეებს ვჯღაბნი.

ხვალ შაბათია, — მახსენდება, —კარგია! თუმცა რითაა შაბათი კარგი... და ჩემს თავს იმ აზრზე ვიჭერ, რომ შაბათი იმითაა კარგი, რომ ფილმებს მოიტანენ.

მძულს საკუთარი თავი.

ჯარჯი შემოდის:

— ამნისტია!!!

— რაა? — ვეკითხები სახეალეწილი, ჯარჯი უხერხულად იღიმება:

— აჩანჩურას ამნისტია...

აჩანჩურა სახელის გაგონებაზე ყურებს ცქვეტს.

— ბიძაჩემია ჩამოსული, — ამბობს ჯარჯი. — ველაპარაკე და, თუ თანახმა იქნები, გავატანოთ, რაიონში ცხოვრობს, კარგად მოუვლის.

ვუყურებ აჩანჩურას და ვხვდები, რომ მართლაც დროა, აქედან წავიდეს. ძაღლია უკვე.

მივდივართ და მიგვყავს აჩანჩურა პაემნის ოთახისაკენ. დაბნეული გვიყურებს ხან ერთს, ხან მეორეს.

— მხოლოდ ამანათების მისაღები სარკმლიდან! — გვეუბნება ოფიცერი.

— მიდი, აჩანჩო, — ვეუბნები ძაღლს.

არ იძვრის.

თავს ძალას ვატან და აჩანჩურას სარკმელში ვსვამ. ძლივს ეტევა. წკმუტუნებს და ფართხალებს.

სწრაფად ვტრიალდები და ზონაში ვბრუნდები. ჯარჯიც შორიახლო მოგვყვება.

საამქროს სახურავზე ავდივართ და იქიდან გავცქერით მანქანიდან თავგამოყოფილ აჩანჩურას. დაძახება მინდა, მაგრამ თავს ვიკავებ.

მანქანა თითქოს განგებ, ნელი სვლით შორდება ზონას, თანდათან იკარგება და მიჰყავს ჩვენი აჩანჩურა, ჩვენი აჩანჩო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთერ ყამბეგაშვილი

# რატომ არ თხოვდები?

მოთხრობა

ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე გავიცანით ერთმანეთი. შუალამეს არაფერი აკლდა, ნაწერების გასწორებას და უფრო მოსაწყენ საქმეს — უწყებაში ნიშნების გადატანას რომ მოვრჩით. მიკა ინსტიტუტის წინ, მანქანაში ჯდებოდა, მეც მიმიპატიჟეს. უკან, სავარძელზე ორ მამაკაცს შორის აღმოვჩნდი.

— შეგაწუხეთ, — მითხრა ჩემზე უფრო შეწუხებულმა, ჩემს გვერდით მჯდომმა მიკამ.

— არა, არა, თავისუფლად ვარ-მეთქი ვუპასუხე, თუმცა სულს ძლივს ვითქვამდი. მძღოლმა უკან მოიხედა.

— ეგ გოგო არ გაჭყლიტოთ!

— შენ საჭეს მიხედე! — წყრომით შეელაპარაკა მიკა მძღოლს და მომიბრუნდაა:

— გინდა, ჩავიდეთ? გაგაცილებ.

— არ არის საჭირო, მწყრალად შემომხედა.

ჩემს სახლთან რომ მივედით, მიკამ ქაღალდის ფურცელი ამოიღო, ტელეფონის ნომერი გამომიწოდა.

— დამირეკავ?

— ნომერი გამოვართვი და თავი დავუქნიე.

მეორე დღესაც გვიანობამდე დავრჩით ინსტიტუტში. კვლავ ერთად გამოვედით.

— გინდა, ჩემთან ავიდეთ?

მიკასგან ასეთ სითამამეს არ ველოდი.

— გავისეირნოთ, კარგი საღამოა.

ცოტა ხნის შემდეგ თხოვნა გამიმეორა.

— შენთან რა ვაკეთოთ? გარეთ ყოფნა არ სჯობია?

— დავისვენებთ, თან ვისაუბრებთ, — განმიმარტა მიკამ.

— შენთან ვინ იქნება?

— ალბათ, დედა.

— მართლა?

— დედას გეფიცები.

მიკას ბინა რუსთაველზე აქვს. არცთუ ურიგოდ მოწყობილი. უპირველეს ყოვლისა, ოჯახური „მუზეუმი“ დამათვალიერებინა.

— ეს ძველი ლანგარი? — ვკითხე აღტაცებულმა.

— მამაჩემს აჩუქეს.

მიკას დედა, თუმცა კბილი სტკიოდა, კვნესით, მაინც გულმოდგინედ მაკვირდებოდა. საუბარში გავერთეთ...

— ა, თქვენ თბილისში არ ცხოვრობთ?

— დღესდღეობით კი. საერთოდ, რაიონიდან ვარ.

— სად მუშაობთ?

— სკოლაში.

— სასიამოვნოა...

ცოტა ხანში ბოდიში მოგვიხადა და თავის ოთახში გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხერხულობას ვგრძნობდი. მიკა ხვდებოდა და თეფშზე საჭმელს თვითონ გადმომიღებდა ხოლმე. ვახშამი რომ დავამთავრეთ, ლია ფანჯარაში დავიწყეთ ყურება.

— შეგჭამა ვინმემ? — მკითხა მოულოდნელად.

— მაგას რაზე მეკითხები?

— რომ არ მომყვებოდი. არ გინდა ჩემს ოთახში გავიდეთ?

მიკას ოთახში დადუმებული ვიჯექი. საუბარს ძლივს ვახერხებდით. ჩემს თავს არ ვეკუთვნოდი.

— ჰო, მართლა, რატომ არ თხოვდები? — მკითხა მოულოდნელად. იცი ახლა რამხელა შვილი უნდა გყავდეს?.. კარგ შვილებს გააჩენდი.

— შენ თვითონ? შენც ხომ?..

— რა ვიცი, აბა — თან დაჟინებით შემომაჩერდა. — რა იყო, რა გემართება?

— არაფერი.

— თუ ასეა, მაშ რა ყველაფერზე მახვეწიებ, — ნებივრად გადაწვა სავარძელში: — შენ ერკვევი ერის ეთნოსის ზნეობის საკითხში? იცი საიდან მოდის ქართველი ერის ისტორია? — ნიშნის მოგებით შემომხედა. — მე არ ვიცი, რა გადაარჩენს საქართველოს. ერის მომავალი სიჯანსაღე სწორედ ჯანმრთელმა ქალმა უნდა უზრუნველყოს — ჯანსაღი ფსიქიკით.

— ...იცი, რა? — განაგრძო შემდეგ. — მაინც არ მესმის, რატომ არ შეიძლება ქალი და მამაკაცი იყვნენ ერთად, თუკი ისინი იზიდავენ ერთმანეთს? — თქვა და თვითდამაჯერებელი იერით, ნერვიულად წამოიწია წინ, თან დაჟინებით დამაცქერდა: — გრძნობის სიწრფელე სწორედ მაშინაა, ჯანმრთელი ბავშვიც მაშინ დაიბადება. მე, მაგალითად, რაც მსურს, ის მხოლოდ იმ წუთში უნდა შევისრულო, რაც დღეს მსურს, ის ხვალ აღარ მინდა, ზეგ მით უმეტეს, აღარაფერი მენდომება. მე ახლა შენთან მსურს ყოფნა. შენ, კი არ გინდა ჩემთან.

— შენ მხოლოდ ამაზე ფიქრობ. მაინც როგორ გაიხედე საყვარლად. ხომ? — ვკითხე ნიშნის მოგებით.

მიკამ მხრები აიჩეჩა, ცხვირი აიბზიკა, თავი გაიუცხოვა. — ამ ქართველი გოგონების გამკვირვებია. რას თხოულობენ, თვითონაც არ იციან. მე არ მესმის ქალი — საყვარელი და ქალი — საცოლე. ქალი მთლიანობაში უნდა მინდოდეს. საყვარელიც უნდა იყოს და ცოლიც.

— აი, ჩვენ, ქალებსაც, ბევრი რამ გვსურს, მაგრამ...

— მე შენი არ მესმის და, საერთოდ, ყველაზე ძალიან ნერვები მეშლება იმ გოგონებზე, რომლებიც მატყუებენ, თავს მიამიტად მაჩვენებენ, — მითხარი, ჩემამდე რამდენი გიყვარდა?

— შენ, ქართველი გოგონების პროვინციალიზმი გიკვირს, და იმით ინტერესდები, მიყვარდა თუ არა ვინმე? მე უკვე ოცდაექვსი წლისა ვარ. როგორ გგონია, აქამდე არავინ შემხვედრებოდა?

მიკამ გამჭოლი მზერა მესროლა.

— აი, მე კი ისეთ ბიჭებზე მეშლება ნერვები, ერთი და იგივეს რომ თხოულობენ ყველა ქალისაგან. შენ იმ კატეგორიას ეკუთვნი, მუდმივი ნიღაბი რომ აქვთ აფარებული, ცხოვრებას პოზიორობაში რომ ატარებენ. ვითომ არაფერი უკვირთ, სინამდვილეში კი ყველაფერი აოცებთ.

მიკამ ცხვირი უფრო აბზიკა. გაღიზიანდა.

— კაი დაქოქილი ხარ. მე უფრო გულუბრყვილო მეგონე.

— რაც უფრო მიამიტი მსხვერპლი გეყოლებოდა, მით უფრო გაწყობდა, არა?

მიკა წამოდგა, ახლოს მოვიდა, თითები ლოყასთან მომიახლოვა, ცხვირი — ცხვირთან... — რა სულელი ხარ?

— წავიდეთ! — ვთქვი რამდენიმე წუთის მერე.

— რატომ? არ მოგწონვარ?

— არა! — ვუპასუხე ორჭოფულად და სახე მოვარიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—კი ბატონო, როგორც გინდა! — მიკას ხასიათი წაუხდა და კარისაკენ გაემართა. მეც გავყევი. კართან შეყოვნდა, ხელი მხარზე დამადო და შეეცადა გაღიმებას. — მოდი, დავრჩეთ, რა? მუსიკას მოგასმენინებ.

მე გამეცინა. — სხვა დროს.

— როგორც გინდა. ოღონდ სხვა დროს მე არ მენდომება, გაბრაზებით გადმომიგდო სიტყვები, თვალი მომარიდა და გარეთ გამიძღვა. გავყევი, სადარბაზოს კიბე უსიტყვოდ ჩავიარეთ.

ჩემს სახლთან ტაქსით მიმიყვანა. მადლობა გადავუხადე. ის იყო დავემშვიდობე, რომ ხელი მომკიდა, — რატომ არ დარჩი ჩემთან? — ისეთი კილოთი მკითხა, თითქოს დიდი შეურაცხყოფა მიმეყენებინოს.

— ვერ გავიგე, რა გინდა ჩემგან?.. ხვალ შეგხვდები.

— ან დღეს დავბრუნდებით ჩემთან, ან არასოდეს...

— არ მესმის ასეთი ახირება, დღეს უკვე გვიანია,

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. მოდი რა, დავბრუნდეთ?

— არა! არა! ხვალ გნახავ.

— ხვალ ჩვენ აღარ შევხვდებით, არც არასდროს.

— ნუ მიბრაზდები, რა.

— გადაწყვიტე, ან დღეს, ან არასოდეს!

სადარბაზოში შევედი და ხელი დავუქნიე.

მეორე დღეს კვლავ შევხვდით ინსტიტუტში.

— როგორ ხარ? — თამამად მოვიკითხე.

— გადასარევად.

— მიბრაზდები?

— რატომ უნდა გიბრაზდებოდე? ვისაც როგორ უნდა, ისე იქცევა.

არ მესიამოვნა მისი პასუხი.

...საღამოს ისევ ერთად გამოვედით.

— გისმენთ, ქალბატონო, სად გინდათ წავიდეთ? — მკითხა გამომწვევად. შენ სად გინდა?

სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

— ისევ ჩვენთან ავიდეთ.

— შენთან დედა იქნება?

— კი.

— რას იფიქრებს?

— რა უნდა იფიქროს, ჩემს ოთახში შევიდეთ.

ავედით.

— რატომ არ გინდა ჩემთან დარჩე? — მკითხა ოთახში შესვლისთანავე.

— რატომ უნდა დავრჩე, არ მესმის...

— არ გინდა ჩემთან? მაშ რატომღა მხვდები?

— შენ თუ გინდა ჩემთან? — შევუბრუნე კითხვა.

— რომ არ მდომოდა, რატომ წამოგიყვანდი?

— მოგწონვარ?

— კი.

— დღეს რას ფიქრობდი, შენთან რომ მოვდიოდი?

— რასაც გუშინ.

— გამოდის, ძალიან არ გინდა ჩემთან და არც მოგწონვარ.

— როგორ არ მინდა, — გაიცინა და უფრო მომიახლოვდა. — მე შენ თავიდანვე შეგამჩნიე. ხშირად ვფიქრობ... ნუთუ არ გიცნობდი უნივერსიტეტში?

— მე ნამდვილად არ მახსოვხარ, თუმცა სულ მგონია, რომ დიდი ხანია გიცნობ.

გაეცინა, — ასე ხდება ხოლმე. ჩვენ, ალბათ კარგად გავიცნობთ ერთმანეთს და სულ გვეგონება, რომ დაბადებიდან ერთად ვიყავით, ხომ დარჩები ჩემთან?

— ახლა არა, სხვა დროს. ახლა სადმე წავიდეთ, ან გავისეირნოთ.

— არა! არა! — გაღიზიანდა უცებ მიკა და ხმას აუწია. — ჩვენ აღარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს. მომბეზრდა კატათაგვობანას თამაში.

— როგორც გინდა, — კარისკენ გავემართე.

— კარგი ეშმაკი ხარ, ხომ იცი! — თითქმის აყვირდა მიკა. — ნერვები მეშლება ისეთ ქალებზე უცოდველე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალ რომ უნდათ მომაჩვენონ თავი, — მომადევნა სალანძღავი სიტყვები.

— თქვენ ვერავინ უნდა მიგიხვდეთ, ისევ ირონიული სიცილით შევესიტყვე, — ჩვენ, გოგონები, ოჯახებში არ ვიზრდებით და ტრადიციისა არა გაგვეგება რა, ღირსეულად მხოლოდ თქვენ იზრდებით.

— მე ცუდს არაფერს გთავაზობ, — გამომეპასუხა შეცბუნებული. — შეიძლება ძალიანაც შემიყვარდე.

— თუ არ შეგიყვარდები, თავი რომელ ქვას ვახალო?

— რატომ უნდა ახალო თავი ქვას. ყველა ისე ცხოვრობს, როგორც სურს. შენც ისე იცხოვრებ, — ისევ ცხვირი აიბზიკა მიკამ.

სწრაფად გამოვედი ოთახიდან. მიკაც გამომყვა. სიბრაზისაგან სახე მოღრეცოდა. ქუჩაში ტაქსი გავაჩერე. მიკამ ფული გადაუხადა მძღოლს.

— სულით წამხდარი და არანორმალური ხარ? ჩემთან მოგინდა ნომრების დაჭერა?

— შენსავით ყალბი მაინც არა ვარ. რაცა ვარ, ეგა ვარ. შენზე მეტი მიხვედრა და გამოცდილება თუ აღმოაჩნდა ვინმეს, ის გარეწარია. არ გინდა შეიგნო, რომ იმ ნამდვილ გარეწრებსაც შენისთანები წარმოშობენ.

— შეურაცხყოფაზეც გადადიხარ?

— ჩვენს ერს თუ ვინმე გადაარჩენს, შენისთანა ბედოვლათი გადაარჩენს.

— სულაც იმიტომ არ მიბრაზდები, რომ ვერ გამაგიჟე?! სია ჩამოწერე რამდენი გოგო გადარიე...

— არანორმალური ხარ! — მომაძახა ისევ და ტაქსიც დაიძრა.

ერთი თვის შემდეგ მიკას ტელეფონის ნომერი ავკრიფე.

— ჰო? ეს შენა ხარ? კიდევ არ გათხოვდი? — მომაყარა მიკამ კითხვები.

— ვერ გავთხოვდი, თვითონ როგორ ხარ?

— მე ცოლი მოვიყვანე, იცი?

— მართლა?

— იცი რა, მე ის დღეობაზე გავიცანი, ვთხოვე გამომყევი-მეთქი და გამომყვა. სამედიცინოზე სწავლობს. მამამისი კვლევითი ინსტიტუტის დირექტორია.

— ჰოო? ასე უცებ როგორ შეგაყვარა თავი? მასაც სთხოვდი ქორწინებამდე შენთან დარჩენას?

— ჰმ? რა ვიცი, — დაიბნა მიკა. — იცი რა, ის შენზე უმცროსია.

— მართლაა? ის თუ ერკვევა ერის ეთნოსის ზნეობის საკითხში? იცის ქართული ერის წარმოშობის ისტორია?

— მაგას რაზე მეკითხები?

— შენს ქართველობას ხაზს იმით უსვამდი, ამ საკითხებზე ქალებთანაც რომ შეგეძლო კამათი და თავის მოწონება. იმაზე თუ დაფიქრებულხარ, შენისთანა ბიჭები თავისი ერის ქალებს თვითონ რომ ურყვნიან ზნეობას?

— ქალს თუ არ უნდა, ძალით ვერავინ გარყვნის, — გამომეპასუხა მიკა.

— ეგ მხოლოდ ხმამაღალი სიტყვებია. გავიწყდება, რომ კაცი ერის სახეა, ქალი მისი ხელწერაა... — ყურმილი დავუკიდე.

ერთი თვის შემდეგ მიკა ისევ ინსტიტუტში ვნახე, ხელფასის რიგში.

თბილი მოკითხვით შემხვდა.

— რას შვრები, ბედნიერი ხარ? — ვკითხე სხვათა შორის.

— ისე რა, არც ბედნიერი, არც უბედური, ბედნიერება არ არსებობს. ყველაფერი ილუზიაა, იცი, რა? ნურც ელოდები... მთავარია, გათხოვდე, მერე ყველაფერი ჩვეულებრივად მიდის.

— ჰოო? იქნებ მასწავლო, როგორ გავთხოვდე?

მიკას გაეცინა.

— შენთან სალაპარაკო მაქვს, გაგაცილო? — მკითხა და თვალებში შემომაცქერდა.

— არ არის საჭირო! — ვუპასუხე და განზე გავიხედე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძინა მინდაძე

## გალიიდან გალიაში

1.

გალიიდან გალიაში
შეფრენილი ჩიტივით,
გამოვლილი ალიაში
აწმყო-ნამყოს მივტირი.

— ფრთა გაშალე, საქართველოვ,
აბიბინე ედემი...
ოცნება არ მოეცელოს,
ვისაც ეიმედები!

გასათელად დაუყრიათ
ურო-ჩაქუჩ-მედლები...
დამსხვრეულა იმპერია,
ვით ბერლინის კედელი.

— ფრთა გაშალე, საქართველოვ,
აბიბინე ედემი...
ოცნება არ მოეცელოს,
ვისაც ეიმედები!

გზავ, რაც გინდა იყო შორი,
ბრმა ხარივით მოგყვები,
დატორილო დათვის ტორით,
ურა ცხენის ფლოქვებით...

— ფრთა გაშალე, საქართველოვ,
აბიბინე ედემი...
ოცნება არ მოეცელოს,
ვისაც ეიმედები!

ტალღასა და ტალღას შუა
ასხლეტილო ჩიტივით...
აწმყო ბრმაა, ნამყო ყრუა...
მხოლოდ მყოფადს მივტირი.

— ფრთა გაშალე, საქართველოვ,
აბიბინე ედემი...
ოცნება არ მოეცელოს,
ვისაც ეიმედები.

2.

უბედობა მუდამ მდევდა.
მივეჩვიე — მაცინებს...
ქარი ღრუბლებს ისე ხევდა,
როგორც პროკლამაციებს.

გალიიდან გალიაში
მიმიწვიეს ჩიტებმა.
ლოზუნგებით, ჩქარი ტაშით,
თურმე, ციხეც იშლება.

გალიაში ისე შემხვდნენ,
გუგულები გაოგნდნენ...
სადაც ყვავს არ აჩხავლებენ,
ბულბულს ვინ აგალობებს...

გალიიდან გალიაში
მიმიწვიეს ჩიტებმა
და მუდმივი მომცეს საშვი —
გალია არ იშლება.

გარეთ ისევ წვიმა ცრიდა,
დღე არ დადგა მზიანი,
არწივი ფრთებს მაინც შლიდა,
მგონი ორთავიანი...

გალიიდან გალიაში
მიმიწვიეს ჩიტებმა,
ამ გალიას მე არ დავშლი,
რადგან — თვითონ იშლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა...
ანდაზებით გავერთოთ,
უბატონო ქიზიყო და
უბატონო სვანეთო.

აქეთ ხრამი ამიხირდა,
იქით რიწა — ცისფერი...
დავიგრძელოთ მკლავი ხმლითა,
ან და, ჩემი კიპერი...

ანდა, სხვამ რამ გამიწელოს
ჩემი მოკლე დღენი...
საქართველოვ, საქართველოვ,
ამაყი ვარ შენით.

●

მტერი იცვლის კანსა, ფერსა,
მაგრამ მაინც მტერია.
— გულო, ჩადექ საგულესა,
უმტერობაც ძნელია.

ბოლმით სავსე მთელ თასს დავლევ
დასანგრევი ძეგლის წინ.
— მე თქვენ სულებს ვენაცვალე
ჩვენი გალვიძებისთვის.

## ბავშვობიდან სიბერემდე

ჩემი გვარის დარჩენისთვის
ორს დავანთებ სანთელს.
ორი ძე მყავს, მადლობა ღმერთს
და დიდება გამჩენს.

სხვისი არის დღე ნათელი.
ჩრდილი მერგო ბედად,
მაგრამ ისე, რომ რაც მინდა,
იმას სიზმრად ვხედავ.

...და მოფრინავს ლექსი — მტრედის
მოტანილი წერილი,
სიტყვა-მსუყე, თავთუხებში
მოგოგმანე მწყერივით...

ეს რაც ითქვა, სხვათა შორის,
თუმც, რაც ითქვა — ითქვა, —
დღე შავი მაქვს და ამიტომ
ღმერთს შევბედავ სიტყვას:

ბავშვობიდან სიბერემდე
ერთ მოტივზე ვტირი:
დაიწყო და არ დამთავრდა
საქართველოს ჭირი.

ჩემი გვარის დარჩენისთვის
მადლობის ვარ მთქმელი.
ორი ძე მყავს, მაგრამ ალვირს
გავგლეჯ ჩემი ხელით.

## ოცნება

მღაღადებელს ურიათა
ვგავარ წალკოტს შინა.
გალიმება მწყურია და
სიხარული მშია.
და ცრემლების წვიმის ფარდა
ჩემს ფანჯრებში ტირის.
დაიწყო და არ დამთავრდა
საქართველოს ჭირი.
არ შეხორცდა, თურმანიძევ,
ის იარა, გახსნილი.
ასი ტყვია გულში მიდევს
დღეს ზურგში ვარ დაჭრილი.
დამაბერტყე, ღვთიშობელო,
როგორც დათქვი, კალთა.
საომარი ერთ დროს ლელო
საყვავყორნო გახდა.
დაჭრილი ვარ, ობოლი ვარ,
რის ლხენა და ედემი...
ბაბილონის გოდოლი ვარ,
დანგრეული კედელი,
უქარავნო მექარავნე,
უდაბნოში, ქვიშაში...
ღმერთო, თვალი გადმომავლე
ამ ცრემლების წვიმაში...
თორემ გული ვერ გაუძლებს
ბედის ბორბლის ტრიალს...
გალიმება მწყურია და
სიხარული მშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო, ერთხელ გამახარე,
საანაულით მაოცე,
გამაყოლე მერე ხარებს,
თუ გინდ, სასაკლაოზე

იწექ გულხელდაკრეფილი,
ოლეს ორი ტოტი
და ღიმილი გქონდა თბილი —
მაპატიეთო, მოვკვდი...

●

ვოვა სიხარულიძეს

შენ კუბოში როცა იწექ,
კელაპტრობდა სანთელი.
თუ გინდ, ხატზე დავიფიცებ,
შუბლს გეფინა ნათელი.

პაემანი ჩვენი მოვა,
ციდან რეკავს ზარი...
ვოვა, ვოვა, ჩემო ვოვა,
რატომ გამისწარი?..

შენ კუბოში როცა იწექ
მზე და მთვარე დავობდა.
საქართველო ცრემლს იწმენდდა,
სამოთხე კი, ხარობდა.

პაემანი ჩვენი მოვა,
ციდან რეკავს ზარი...
ვოვა, ვოვა, ჩემო ვოვა,
რატომ გამისწარი?..

## ვინ-ვინ

ვინ-ვინ იყო,
კარგად ვიცი,
დავიწყება ძნელია.
ვინ-ვინ არის,
ვინ იქნება —
ჩემთვის აუხსნელია.

თუ კი იცი
ვინ-ვინ არის,
ბედს არ უნდა გინება...
ეს ცხოვრება —
მღვრიე მტკვარი,
მდორედ მიედინება.

ვინ-ვინ იყო
კარგად ვიცი.
გარდასახვა ძნელია,
მაგრამ ხვალ რა გველოდება —
ჩემთვის აუხსნელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალ კასრელიშვილი

# ტყუპის ცალი

მოთხრობა

შემოდგომაა. გრილა დილაობით.

ცა მოწმენდილია, მაგრამ ქარია. მალე მზეც ამოვა.

მზიან დღეს ქარი ყოველთვის აფორიაქებდა, შინ იყო და, სულ ვიღაცას ელოდა, გარეთ გამოსულს კი ყველაფერი ეუცხოებოდა, თითქოს ვიღაც მართავდა სხეულს უიმისოდ.

ღილები შეიკრა, ფანჯარას მოსცილდა, სარკეში თმა შეისწორა, გავიდა.

ნელი ნაბიჯით გაიარა მიწისქვეშა გადასასვლელი და გაჩერებასთან ავიდა. ბევრი ხალხი იდგა, ზოგი — ძილით დასივებული, ზოგიც — უძილობით, ზოგი დაბანილ-დავარცხნილი, ზოგიც— დაუბანელ-დაუვარცხნელი. ჩვეულებრივ, მშვიდად ელოდნენ ტრანსპორტს, მაგრამ ამ ლოდინში კიდევ რაღაცის გაუცხოებული ლოდინი იგრძნობოდა.

ახალმოსული გვერდულად აათვალიერეს.

ავტობუსი მოვიდა. ლოდინით დაღლილი ხალხი შუა კარს ისე მიაწყდა, ჩამოსვლა არავისთვის უცლიათ.

როცა გამოერკვა, ფეხები ჰაერში ჰქონდა. ორჯერ გაიბრძოლა კიდეც მიწაზე დასადგომად, მაგრამ ტალღამ კიბეზე აიტანა.

კარი დაიხურა. დაიძრნენ.

სალონში ციოდა. ერთმანეთს ჩამოკიდებული და ერთმანეთით უკმაყოფილო ხალხი ვერაფერს გრძნობდა. მინით აკედლილი მძღოლის კაბინიდან მუსიკა ისმოდა.

შემდეგ გაჩერებაზე ხალხი ისევ მოაწყდა კარს, „ძველებმა“ თავისთავად გადაიწიეს წინ.

თავადვე იგრძნო, — ცუდად დაადგა ფეხი ვიღაცას. თავდასაცავად მოემზადა და მერელა დახედა. წინა სკამზე ახალგაზრდები ისხდნენ, ბიჭს მარჯვენა, ბეჭდიანი ხელი გადაეხვია გოგოსათვის, თავი თავზე მიედოთ. შეწუხებული სახეები ჰქონდათ სიცივისაგან მობუზულებს. ბიჭს თავი არ აუწევია, ისე ააყოლა წყლიანი და სისხლიანი თვალები ფეხის დამდგმელს, ცოტა ხანს უყურა, ნელა ჩამოაცოცა მზერა. გოგოც შეიშმუშნა. მეტი სითბოს ძებნაში უფრო მიეკრა ბიჭს, ლამაზი. ფერმკრთალი სახე ჰქონდა.

—რაფერ უხვევს, თუ იცი, ტროლეიბუსი?

— რა ვიცი მეეე!

— არ იცი-მეთქი, ცხოვრება, რო გეუბნები, დეიჯერე, მტერი კი არ ვარ შენი. ყველაფერი უნდა იცოდე და ძლიერიც უნდა იყო, თუ გინდა რო, თავი გეიტანო, გეიგე?! — სერიოზული სახით უტევდა ახალგაზრდა მძღოლი გვერდზე მდგარ, გაბურძგნილ მეგობარს და თან მუსიკას აყოლებდა მაზუთში დასვრილი თითების მოძრაობას.

ბოლო გაჩერებაზე მძღოლმა მხოლოდ წინა კარი გააღო, თვითონ კი ხელგამოწვდილი იქვე დადგა. ხალხი ჩასასვლელისაკენ დაიძრა. ბევრს არც ეჩქარებოდა, მაგრამ მაინც წინ გაჭრასა და ვიღაცის გასწრებას ცდილობდა.

დინებამ გვერდზე, გოგო-ბიჭისკენ მიაგდო უნებურად, ისევ დახედა ზემოდან, თან ხალხი გაატარა.

რწევაში და ხმაურში ბიჭმა თვალები გაახილა. გაიხედ-გამოიხედა. შეცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებული ხელი მსუბუქად გადაასცურა მხრებიდან მკლავებისკენ. გოგონა შეიშმუშნა. ბიჭს ორივე ხელი წელზე შემოაჭდო და თბილი იღლიის ქვეშ შეიყუჟა. მერე დიდი თვალები მის შეჭმუხნილ სახეს მიაშტერა, გაიღიმა.

ჩავიდნენ.

ჩაჰყვა, იქვე, შორიახლოს გაჩერდა.

ერთმანეთს შეაჩერდნენ. გოგომ მარცხენა ხელით გრძელი, შავი თმა უკან გადაიწია, მარჯვენათი ჯიბიდან ორი მანეთიანი ამოიღო, გაუწოდა. თავჩახრილმა ბიჭმა გამოართვა ფული, სევდიანი ღიმილით გაუღიმა, შუბლზე და ცხვირზე აკოცა. წავიდნენ. ერთხელ კიდევ მოძებნეს თვალებით ერთმანეთი და ხალხში ჩაინთქნენ.

ცოტა ხანს კიდევ უყურა მიმავალთ. წავიდა, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა, გზაჯვარედინის პირზე შეჩერდა. შუქი ჯერ არ გამოერთოთ და მოპირდაპირე კედელზე გაკრული „სიბრძნე“, რომლის ფერები საგულდაგულოდ შეერჩიათ (წითელი, ლურჯი, მწვანე), დიდი გაჭირვებით, ასოჩაგდებით ქრებოდა და ინთებოდა.

„ბოროტსა სძლია კეთილმან-ო“, — ეწერა.

ოცდაექვსი წელია, ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც გადადის ამ გზაჯვარედინზე, მაგრამ დღეს ხელმწიფის სასახლიდან ბედის საძებნელად წამოსული უფლისწულივით შეაჩერდა კედელს. მარჯვნივ და მარცხნივ წამსვლელთათვის არაფერი ეწერა.

მეხსიერების სიღრმიდან, დედის ხელს გამოკიდებული, ექვსი-შვიდი წლის აბუზღუნებული, უკან ჩამორჩენილი, შავი, გაკვირვებული თვალებით კედელს მაცქერალი ბიჭი ამოუტივტივდა. არაფერი გაეგებოდა საუკუნეებისაგან განმტკიცებულ, ძნელად გასათავისებელი სიბრძნისა, მაგრამ ბავშვურად სუფთა, ონავარი გონება თავისას შვრებოდა. სახლში ან ეზოში მოთამაშეს ხშირად გაჰკენწლავდა უშვილოდ და უპატრონოდ დარჩენილი, მოღიმარი სახის სათვალიანი მოხუცის, ბესო პაპას გამოჩენა. ისე, უბრალოდ. არასოდეს ჩაუვლია მოთამაშე ბავშვების გვერდით, ყოველთვის შეჩერდებოდა, ჯერ ცოტა ხანს უყურებდა, მერე დაუძახებდა: — მოდით, შვილებოო, და კანფეტებს ურიგებდა გარს შემოხვეულთ, თუ ჰქონდა, თუ არადა, ლექსებს მოუყვებოდა, ზოგს თმას შეუსწორებდა. ხელს თავზე ისე ნაზად ადებდა, თითქოს ეშინოდა, არაფერი ვატკინოო, თამაშებიც ასწავლა, ხშირად არიგებდა, ზღაპრებსაც უყვებოდა გმირობასა და რაინდობაზე. წაჩხუბებულებს ჩვეული სიმშვიდით გადახვევდა ხელს, „როგორ შეიძლება, თქვენ ხომ კარგი ბიჭები ხართ! არა გრცხვენიათ?“ — მიიხუტებდა ჩაცუცქული, და სანამ ჯოხს დაყრდნობილი, გასწორდებოდა, ორივე მხარეს დიდი დაკვირვებით მოუსმენდა, — „ეხლა გადაკოცნეთ ერთმანეთი“, — დასძენდა სათვალის სწორებით.

სკოლაში მიმავალს ბევრჯერ მოუკრავს თვალი, როგორ ახვევდა ხელსახოცში იაფფასიან ფუნთუშას, რომ შინ მისულს, ჩაისათვის მიეტანებინა. სულ ორჯერ თუ სამჯერ იყო მასთან სახლში ნამყოფი და სხვა საჭმელი იქ არც უნახავს.

ზამთრის ერთ მოკლე და ცივ დღეს, ფანჯარასთან აკრულ მოუსვენარ ფიქრებს ბესო პაპა მოჰყვა. პირველად მაშინ შევიდა მის ერთადერთ, წიგნებითა და გაცრეცილ-გაყვითლებული რუკებით სავსე ოთახში. გაუხარდა მოხუცს ბავშვის მისვლა. საწოლზე დასვა, თვითონ სკამზე ჩამოჯდა. ბევრი ელაპარაკა, ლექსებიც უთხრა, წამოსვლისას კანფეტი მისცა, თან ჰკითხა, — დიდი ბიჭი როცა გაიზრდები, რა გამოხვალო?!

— ცხოველების პატრონი და მწრთვნელი, — დარცხვენით გაიღიმა, კანფეტს ჭამდა.

მოხუცმა თაროდან წიგნი ჩამოიღო, რაღაც წააწერა, მერე ბიჭს ყელზე კაშნე კარგად შემოახვია და გარეთ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულს, ცხოველებზეაო, — გაუწოდა. ეზოში ცქვიტად გამოვარდნილმა, თვალი მოჰკრა, როგორ უწეწავდა თეთრ თმას ქარი, კართან მარტოდ დარჩენილს. პირველივე ლამპიონთან გაჩერდა და წარწერა ამოიკითხა: „ჩ... ე...მს პ... ა... ტ...არა გ.. ი.. ო რ... გის ბე. სო პ. ა.. პ.. ა..ს აგან".

მხარი წაჰკრა ვიღაცამ, გამოერკვა. ხალხი მობევრებულიყო გზაჯვარედინზე. თვალებში შესჩერებოდა თეთრ ხალათიანი გამყიდველი. გვერდზეც რამდენიმე კაცი ამოსდგომოდა და ხან ცას ასცქეროდნენ, ხან — კედელს.

წავიდა, კიბე ჩაიარა, მეტროს ვაგონშიც ხალხის ნაკადმა შეიყვანა.

გაზაფხულამდე რამდენიმეჯერ თვალი მოჰკრა საფუნთუშესთან ფერგადასულ, გრძელ შავ პალტოში ჩაცმულ მოხუცს, თავზე „ცილინდრი" რომ ეხურა. გაზაფხულის პირას კი სკოლიდან მომავალი, ამოჩაჩული, დაჭმუჭნილი პერანგითა და ტალახიანი ჩანთით ხელში პირისპირ შეეჩეხა.

მოხუცმა სათვალე შეისწორა: — იჩხუბე?

— ჰო, — თავი ჩახარა.

— მერე?! დედა არ გაგიბრაზდება?

— ჰო, — გაიღიმა.

— წამოდი ჩემთან, — ჩანთა გამოართვა, ხელი მოხვია, სახლში შეიყვანა, კოსტიუმი გაიხადა, ხელები დაიკაპიწა. ბავშვსაც გახადა პერანგი და სააბაზანოში გავიდა.

მარტოდ დარჩენილმა გიორგიმ კედელზე გაკრულ სურათს ახედა: ახალგაზრდა ქალსა და კაცს თავმოხოტრილი ბიჭი ეჯდათ შუაში. ხელის ცაცუნით გაჰყვა იმავე კედელს, კუთხეში მიდგმულ დიდ კარადაში ლამაზად ჩალაგებულ წიგნებთან გაჩერდა, ცოტა ხანს უყურა, მერე პატარა გლობუსი აიღო და სიცილით რამდენჯერმე დაატრიალა.

სველი პერანგით ხელში შემობრუნდა ოთახში მოხუცი. — მოგწონს?! — გლობუსზე ანიშნა.

— ჰო!

— სახელო და ქვედა კუთხე წავურეცხე, ეხლა გავაუთოოთ, არა?

თავი დაიქნია გიორგიმ, გაიცინა.

— სკოლაში იჩხუბე? — მოხუცი მიტრიალებულიყო და აუთოებდა.

— არაა, ქუჩაში, — საწოლზე ჩამოჯდა, ფეხები აათამაშა.

— ვისთან?

—ჩვენზე დიდია ის ბიჭი, გია ჰქვია, მესამე პირველშია.

— რატომ ეჩხუბე? — შემოხედა.

— დათოს წიხლი ამოარტყა და აბა, რა! — წამოწითლდა, ფეხები გააჩერა.

— დათო ვინ არის?

— ჩემი „ძმაკაცია".

— რისთვის ამოარტყა? — ისევ უთოობა განაგრძო.

— ეეე! მაიას ჩანთა რატო მოგაქო, მაია და დათო კიდე.. შეყვარებულები არიან, — აღელვებული ალაპარაკდა. მეც იქ ვიყავი, თანაც ლუბა მასწავლებელმა გვითხრა, დათოს მამიდა ზრდის და არ დაჩაგროთო!

— მერე? — უთო დადგა, არ შემობრუნებულა.

— მერეე!.. — დათომ ტირილი დაიწყო, მაიას ჩანთას ძირს ხო ვერ დააგდებდა... მეც ავდექი და მუშტები დავუშინე, დათოც მომეხმარა, მაიამ კიდე, ტირილი დაიწყო... — გაჩუმდა, უცებ წამოვარდა, — რა მაგის საქმეა, ვაა?!

ცოტა ხანს კედლისკენ მიბრუნებული, თავჩახრილი იდგა მოხუცი. მობრუნდა. პერანგი ჩააცვა, შარვალში ჩაუტანა.

— კარგი გოგოა მაია? — ჩაიცუცქა, აპრიალებულ შავ თვალებში ჩახედა.

— ჰო, — დაიმორცხვა. — დათოს ფანქარი აჩუქა, ყვითელი იყო! მამაჩემმა ა..ვ..ს..ტრალიიდან ჩამომიტანაო.

— ჩხუბი რო არ შეიძლება? — დინჯად წამოდგა. — შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ, — წიგნების კარადისკენ წავიდა. — გია ცოდო არ არის?

— ლუბა მასწავლებელმა რო თქვა?!

მოუახლოვდა, ისევ ჩაიცუცქა ნელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელა: — შოთა ძიას ბიჭთანაც გიჩხუბია გუშინ.

— იმიტომ რო, მაბეზღარაა!!

თმაზე ხელი გადაუსვა. პატარა ხელებში ჯვარგამოსახული შავყდიანი წიგნი ჩაუდო, შეხედა, — ძალიან დიდი ბიჭი როცა გაიზრდები და ბევრ „დათოებსა“ და „მაბეზღარებს“ ნახავ, ეს მაშინ წაიკითხე... აქ ყველაფერი წერია, შვილო, ხომ გაიგე?

— ჰო, — გაიღიმა.

მიიხუტა. ჯოხს დაყრდნობილი წამოდგა, კოსტიუმი ჩაიცვა, ბავშვს ჩანთა მიაწოდა. გარეთ გამოვიდნენ...

სადგურებზე ხალხი მატულობდა და დამძიმებული ვაგონები ნელა, რწევარწევით იძვროდნენ ადგილიდან.

ორივე ხელით საკიდარს ჩამოკიდებულმა, დაბლა დაიხედა.

ქვემოდან ახალგაზრდა დედის კალთაში მჯდარი ხუთიოდე წლის, შავგვრემანი ბიჭი ამოჰყურებდა.

გაუღიმა, თავზე ხელის გადასმა დააპირა.

შეკრთა ბავშვი, მკერდზე მიეკრა მშობელს და ხელებით ქურთუკის ღილს დაუწყო ქაჩვა, მერე მოღიმარმა ისევ ამოხედა თავაუწევლად.

ეზოში, მანქანის რეცხვით გართულ შოთას არ გამოჰპარვია მოხუცისა და ბავშვის გამოჩენა. — გამარჯობა, ბესო ძია! — ჩაიხითხითა.

— გაგიმარჯოთ! — მორჩილად დაუკრა თავი.

— რა არი? — წიგნისკენ გაიშვირა სველი, ჩვრიანი ხელი. — ბერებად გინდა ბავშვები დაზარდო? — გაიცინა. ისედაც წითელი, ცხიმიანი სახე სულ გაუწითლდა.

— ყველა ადამიანს თავისი დანიშნულება აქვს. ეს წიგნი ნამდვილ ადამიანად გაზრდის. მე რამდენჯერმე ვცადე თქვენთვის ამის ახსნა, — ხელებით ჯოხს დაეყრდნო, მტკიცედ ლაპარაკობდა.

გიორგი შოთას მიაშტერდა. ხშირად უნახავს როგორ ვარჯიშობდა გირებით, წელზემოთ გახდილი და გაოფლილი. რამდენიმე დღის წინ კი ბატკანი მოიყვანა, საცოდავად რომ კიკინებდა ფარდულის ბოძს გამობმული, მერე ღონიერი ხელებით წამოაქცია და ყელი გამოსჭრა. ბატკანი უმწეოდ იქნევდა ფეხებს, მაგრამ ესეც არ აცალა, იქვე, მარგილზე ჩამოჰკიდა და გატყავება დაუწყო. როცა ნელი დეიდამ უთხრა, — ბავშვებს რად აყურებინებო, — გაიცინა: — უზიზღოები უნდა იყვნენ თუ ცხოვრება უნდათო!

ბავშვებმა ახლა ბესო პაპას მტკიცე, მაგრამ მშვიდ სახეს შეხედა, მიბრუნდა და გაიქცა.

ორივემ თვალი გააყოლა.

— ეეე! ჩემო ბესო, რა დროს ეგენია, ვერა ხედავ, რა ცხოვრება მოდის?!

ზაფხულში კიდევ ერთხელ შეიყვანა შინ, „გლობუსი“ აჩუქა. არდადეგებზე სოფელში წასვლის წინა დღეს ბავშვები მოაგროვებინა. ჯერ კანფეტები დაურიგა, მერე მზიან ადგილას ორმო ამოათხრევინა და ნერგი ჩაარგვევინა. ცოტა ხანს უყურა, როგორ უსხამდნენ წყალს გახალისებული ბავშვები, მერე მიბრუნდა და წავიდა.

თამაშსა და სიცილ-კისკისში გაიარა ზაფხულმა. სახედამწვარ, გაშავებულ ბავშვს ბესო პაპა ცოცხალი აღარ დახვედრია, გაუკვირდა, გაუჭირდა დაჯერება, რომ შეიძლებოდა ბესო პაპა აღარ ყოფილიყო. ეგონა კიდეც, თვალს მოჰკრავდა სადღაც, მაგრამ თანდათან შეეგუა. „გლობუსი“ თუ გაახსენებდა დროდადრო მოხუცის სახეს, თორემ შავყდიანი წიგნი კარგა ხანია მასწავლებელმა წაართვა, მშობელიც მოაყვანინა. აღარც უნახავს იმის შემდეგ ის წიგნი.

ერთ საღამოს თამაშით დაღლილი ბავშები წყლის ონკანთან მიცვივდნენ სიცილ-კისკისით. გვერდით ფარდულში, როგორც ყოველთვის, კაცები ისხდნენ. შოთა ფეხზე იდგა და როხრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხით ლაპარაკობდა. ყველა უსმენდა. — სუთ თქვე მამაძაღლებო! — წამოუბრუნდა, დაუცაცხანა ბავშვებს, მერე ისევ კაცებისკენ შებრუნდა.

— მერე? — იკითხა უკბილო, გამხდარმა კაცმა, ისე, ჭკვიანი მოხუცი კი იყო, საწყალი!

— ბევრი წიგნებიცა ჰქონდა, — ჩაურთო სქელმა, თეთრთმიანმა.

— მერე?! მერე?

— ჰოდა, რო დაუჯერიათ, ცოლი გასცილებია. მერე კარგ ბიჭსაც გაჰყოლია, — აქ ბინა, ზღვაზე ბინა, მოკლედ, კარგადა ყოფილან, რა! — ორივე ხელი წინ წამოსწია. — არ ვიცი, სად იყო, მაგრამ რო გამოსულა, მიუკითხნია. არ მიუღიათ... რად უნდა ეგეთ ხალხს ცოლ-შვილი, თავის თავს ვერ უვლიან!

— მერე?

— ბიჭი თვრამეტი წლისა მოჰკვდომია, ანგელოზივით ლამაზი ყოფილა საცოდავი. არც სატირალზე მიუშვიათ, მერე საფლავზეც მალულად დადიოდა თურმე.

— მეც მინახავს იქით მიმავალი, — ისევ სქელმა ჩაურთო.

ხალხი ჩადიოდა, ვაგონში მეტი თავისუფლება იყო. შავგვრემან ბიჭს თავი აეწია დედის მკერდიდან და გიორგის მისჩერებოდა.

გაუღიმა, ენა გამოუყო.

ბიჭმა დედას ახედა, უხმოდ გაიცინა და ხელების მოძრაობით რაღაც ანიშნა. ქალმა თავი დაუქნია. შუბლზე აკოცა უცხოსაკენ ეშმაკურად მაცქერალს, მერე ასევე მუნჯურად, ხელებით ანიშნა რაღაც. ადგნენ, ჩასასვლელად მოემზადნენ.

ჩავიდნენ.

უკან მიჰყვა.

დედის ხელს გამოკიდებულმა ბავშვმა გვერდულად გამოხედა, გაიღიმა. ხალხს შეერივნენ.

გაჩერდა. ცოტა ხანს იდგა, მერე კიბეს აუყვა ნელ-ნელა, გაჩერებასთან ავიდა. ქარი ქროდა, მზეც ამოწვერილიყო, მაგრამ ჯერ ვერ ათბობდა. იქვე, თეთრ შენობებს შუა მოქცეულ პატარა ბაღში ახალგაზრდები ირეოდნენ. ზოგს მხრებზე მოეხურა თეთრი ხალათები, ზოგს კი დაეკეცა და იღლიაში ამოედო.

შენობაში შევიდა, კიბე აიარა და, მარჯვნივ, პირველივე კარი შეაღო.

— ბოდიში, გია მინდოდა!

— რომელი?.. ასისტენტი? — ყავა მოსვა შუახანს მიტანებულმა ქალმა.

— დიახ.

— მარცხნივ, სულ დაბლა, ერთი კარია, — წამოდგა. — სტუდენტები ჰყავს, მგონი პროფესორიც იქ არის.

— გმადლობთ, — მარცხნივ კიბეს ჩაჰყვა, ფართო დერეფანი გაიარა და თეთრი ხის კარი შეაღო.

რამდენიმე ახალგაზრდამ ერთად შემოხედა ახალშემოსულს და ისევ მაგიდისაკენ მიბრუნდნენ.

მაგიდაზე ახალშობილი ესვენა, თმა თითქმის არ ჰქონდა, ჯერ ისევ თბილი ჩანდა. უცოდველ სხეულთან გასჭირვებოდა სულს გაყრა და ბავშვიც ხელფეხმოკრუნჩხული, თვალგახელილი იწვა. თავი გვერდზე გადაეგდო, თითქოს ვიღაცას უყურებდა.

ოთახში რძის სუნი იდგა.

დაბნეულმა თვალი მოავლო მაგიდასთან დახრილებს. გია იქ არ იყო, მაგრამ უნებურად მაინც შევიდა. კუთხეში მიდგა.

ბავშვის თავთან მდგარი მაღალი ბიჭი დაიხარა.

— შენ რო წახვედი, მე, თამაზა და მამამისი შევასკდით ერთმანეთს... ის ათლიტრიანიც გავხსენით.

— ჰოოო! — ხელი თმაზე გადაისვა დაბალმა. — აქედან, ჩვენკენ გავიდეთ, იქ კარგი ლუდია.

იმათ იქით, მარჯვნივ სხვებზე უფროსი, სათვალიანი გამხდარი ბიჭი იდგა, აქეთა მხრიდან ხალათის ჯიბეებში ხელჩაწყობილი გოგო და ხელკავგაყრილი გოგო-ბიჭი იდგნენ ზურგშექცევით.

თეთრი კარიდან შუახანს გადაცილებული ექიმი შემოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდად დაუკრა თავი ყველას და სათვალიანს გადახედა.

— დავიწყოთ!

სათვალიანმა დანა აიღო, ფურცლის ჭახჭის ხმა გაისმა და ბავშვის თეთრი, გაბერილი მუცელი ამოწითლდა.

— გულით დავიწყოთ! გული ყურეში არ არის შეუშვა და გაუშვა, თუკი რამეს შეუშვებ, ყველაფერი იქ რჩება. ჰმ... ჰმ, — ჩაეღიმა ექიმს, სტუდენტებმაც გაიღიმეს.

ბავშვის თავი შეირხა, თითქოს ტუჩებიც ამოძრავდა.

ყელში რაღაც მოაწვა გიორგის, თავი ჩახარა. შიშით არ შინებია, მაგრამ უცხო, უცნაური რიდი ყოველთვის ჰქონდა მიცვალებულთა მიმართ. საპანაშვიდო რიტუალებიდან ან სასაფლაოდან მობრუნებულს, სიცოცხლის სიყვარულის სითბო ავსებდა, თავიც ებრალებოდა და ირგვლივმყოფნიც. სინანულით ევსებოდა მკერდი, გულის სიღრმეში კი უკეთესობას ჰპირდებოდა მიცვალებულთ. თან ისე წრფელად, თითქოს იმ წუთში მარტო მისგან ითხოვდა ამას სულამომხდარი.

პატარაობისას იშვიათად დარჩენილა სოფელში მარტო. მაგრამ როცა კი რჩებოდა, უეჭველად კლდის თავზე უნდა აცოცებულიყო. მასა და სოფელს შორის რკინის ჯებირით შემოღობილი, ქვაში ამოჭრილი მთელი ცხოვრება იდგა. შუადღით, სოფლიდან გამომავალ გზაზე, მხრებზე ლაბადამოსხმული, თეთრთმიანი კაცი გამოჩნდებოდა, ნელა. სიგარეტის წევითა და ყვავილების კოეფით ამოივლიდა აღმართს. ჯვარჩასობილ, უქვო და უჯებირო საფლავთან მივიდოდა, ძველ ყვავილებს აკრეფდა, ახლებს დააწყობდა, — „მოვედი, ციალ!..“

ჩამოჯდებოდა და ძალიან დიდხანს, თითქმის ბინდამდე, გაურკვეველი ბუტბუტით ნაზად უსვამდა ხელს ამობურცულ მიწას.

არც სასახლისათვის შეუხედავს, როგორც ჩვეულებრივი დურგლის ნახელავისათვის. ერთხელ მეგობრებში ისიც კი თქვა, კინოსა და თეატრში სიარულთან ერთად, ხალხი ხანდახან სასაფლაოებზეც უნდა დადიოდესო. მაშინ „უცნაური“ ბიჭის ასაკი ჰქონდა და გაიცინეს, მანამდე ბევრჯერ ტყუილად დაუსჯიათ „ახირებული“ ხასიათისთვის. ეხლა „თავისებურია“ და ვერავინ ვეღარაფერს უბედავს, განსაკუთრებით ისინი, ვინც იცის, რომ, რასაც ამბობს, გრძნობს კიდეც.

„ჩადი! ჩადი!.. ლვიძლთან ჩადი!“

ყმაწვილობისას უფროსებს გაჰყვა საავადმყოფოში თანაკლასელის ბებიის წამოსასვენებლად. ადრე მოუვიდათ მისვლა, „ვამუშავებთო“, — უთხრეს. კაცები იქვე ჩამოსხდნენ, ლაპარაკი დაიწყეს, თვითონ უცხო შენობას შემოუარა, ღია კარში შევიდა, ვიწრო, მინებში ჩასმულ დერეფანს გაჰყვა და დაკეტილ მინისავე კართან გახევდა. თეთრი ფილებით მოპირკეთებულ ოთახში, ალუმინისსაფარიან მაგიდაზე დასვენებულ, გულმკერდგადახსნილ მოხუცს ორი კაცი დასტრიალებდა. ერთი ზურგშექცევით იდგა და ლითონის დიდ ნემსში რაღაც სითხეს ასხამდა, მეორე ორივე ხელით ნაწლავებს აცლიდა. იქვე, გვერდიგვერდ, ორი შიშველი მიცვალებული ესვენა.

კაცმა სითხის ჩასხმა მოამთავრა და სტვენით მაგიდას მიუახლოვდა. მეორე უკვე ჩვრით იწმენდდა ხელებს. მერე მიცვალებულის ხელთან დადებული პატარა ნაჯახი აიღო, რაფაზე შემოდო და ეხლაღა შეამჩნია მინის კარიდან რომ უყურებდათ ვიღაც.

— ვინ გინდა?! — წამოვიდა. მეორეც შემობრუნდა.

გიორგიმ ერთი ნაბიჯით უკან დაიწია.

— ვინ გინდა, ვინ?! — მიუახლოვდა, თან სიგარეტს მოუკიდა, მშვიდი სახე და ფართო, უაზრო თვალები ჰქონდა.

გიორგი შეცბა, მუშტები მოკუმა და დაიძაბა. — არავინ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი!.. წადი!.. — მშვიდად გააბოლა კარს იქიდან მოახლოებულმა, ფრჩხილებში სისხლი ჩარჩენოდა.

ერთხელ კიდევ შეავლო თვალი მიცვალებულს.

ეს ის ბაბო, ტკბილი მოხუცი, აღარ იყო.

თავი ასწია, სტუდენტები კარისკენ მიდიოდნენ. გამოვიდა, ცოტა ხანს შეჩერდა გაოფლილი, ექიმიც მალევე გამოჰყვათ უკან.

— ეთერიიი! სადა ხარ, ქალო?! — ხალათი გაიხადა ექიმმა.

— მორჩით, ბატონო?

— ჰო, ჰო! ჩაალაგეთ.

გიორგი ეზოში გავიდა. გრილი ნიავი ესიამოვნა.

ხალხს შეერია. ცოტა ხანს გაჩერებაზე იდგა, მერე დაღმართს ჩაუყვა.

ფიქრები აერია მკერდდამძიმებულს. სითეთრე ჩამოწვა გარშემო და გამვლელებიც ვეღარ გაარჩია.

გონებაში დაძირულ ტკივილს სახეები ამოჰყვა. ნელ-ნელა განსხეულდნენ და გარს შემოეხვივნენ, სადღაც უნახავს ეს სახეები, ბევრს დახმარებია კიდეც, მაგრამ ეხლა ყველა რაღაცას ითხოვს, თითქოს დასცინიან და თანაც რაღაცაში ავალდებულებენ გახელებულები.

გაოგნდა, მოიბუზა.

ყიჟინა თბილი ხმით გაჰრა ღია იასამნისფერმა, ზურგშექცევით მდგარმა უსახომ და უსახელომ: თამამად შეება მომხდურთ, აკი გაჩუმდნენ, უსმენენ კიდეც. ლაღია და აზრიანი, მშვიდად დაუწყო რაღაცას ახსნა.

მიენდო, კარგად დააკვირდა, მაგრამ სახე ვერ გაარჩია. ის ამის სათქმელს ამბობს, ეტყობა, რომ დასჭირდეს, საქმესაც გააკეთებს. მიჰყვა მხსნელს, მიუახლოვდა და იცნო, ხმაც, სახეც. ის არის, ის არის, ის, მიპარვით ზურგში დანაჩარტყმულს და ადამიანთა მოდგმაზე გამწარებულს რომ არ სტოვებდა საავადმყოფოში, ყოველ საღამოს მასთან იყო და გაურკვეველი დუდუნით შურისძიებაც კი გადააფიქრებინა.

ვინ არის? ან რა უნდა?

გვერდი წაჰკრეს. გამოერკვა. ვიღაცის გაკვირვებით მაცქერალ თვალებს წააწყდა, უაზროდ რიგში ჩამდგარი ხალხი ყაყანებდა. აქ ყველაფერი სხვანაირია, თან აქ არავინ იცის, რომ ეს იქ იყო, იმათთან, სადაც არავინ ჩივის, არავინ კვნესის, არავინ ბერდება.

ერთი წუთიც და ნელ-ნელა ქრება ღრუბლებივით გაძაბული სითეთრე. არ აპატია გიორგის უყურადღებობა. მიწაზე მარტოდ დარჩენილმა უცებ იგრძნო, რომ ეს და ის ერთნი არიან. სახეებიც ტყუპებივით უგავდათ. ის, მაშინ მოდის, როცა ამას უჭირს და იმას აკეთებინებს, რაც უნდა, იცავს, მაგრამ ხელსაც უშლის ხორციელ ტკბობაში, ის ისე ცხოვრობს, ამას რომ უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. „არას“ თქმას, „არ ვიცი“, ამჯობინა, „ჰო“-ს კი, — „მე მგონი“ და იმიტომ.

ბრაზმორეულმა სითეთრეში ძალით მოძებნა, ვითომ დასამარცხებლად მოძებნა თავისი მსგავსი, მაგრამ ვერაფერი გაუბედა სიმართლესავით ლაღსა და სიკეთესავით თბილს. შეცბა. უფრო გამწარდა. მტრები მოუნახა მოკიჟინე მთხოვნელებში იასამნისფერ გაურკვევლობას. მიუსია, მაგრამ, რა ხდება? ყველაფრისათვის გამეტებულს, ვერას აკლებენ.

სულ გახელდა გიორგი, ხელით ანიშნებს სისუსტეებზე, მალე დამცირებულს, გამტყუნებულს და გამასხარავებულს ნახავს. სიცილისათვისაც ემზადება, იმისი მარცხი, ამისი ცხოვრების წესის გამართლებაა. მაგრამ მაინც ვერას აკლებენ, ყველაფრისთვის მზად არის.

ბურთივით გაეჩხირა ყელში მრისხანება: მოჰკალით! მოჰკალით!.. ღმერთოოო!.. ღმერთო, რა ლამაზად კვდება!.. ღიმილით წაიჩოქა. ბეჭებში დაჭრილმა, წამოდგომა სცადა, ვერა, ვეღარ ადგება. მიშველება დააპირა, არ გაუშვეს, ეხლა ამას დასცინიან სიბრალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისთვის. ხომ გაიმარჯვა, გული რალად ეწურება, იქნებ იმიტომ, რომ აქაც აჯობა, ლამაზად მოკვდა, თან ვილაცისთვის.

ღმერთოოოო! შემინდე და მომეც ძალა.

— დამეხმარეთ, ხალხო! ღვთის გულისათვის, დამეხმარეთ!

— ჰა?!. — გამოერკვა, სადარბაზოს წინ იდგა თავჩაქინდრული.

— დამეხმარე, შვილო!

წინ ჰუჰყიანი, ხელგამოწვდილი დედაბერი იდგა.

ჯიბიდან ხურდა ამოიღო, ჩაუყარა.

ქალი კოჰლობით წავიდა.

თვალი გააყოლა მიმავალს.

— როგორა ხარ, გიორგი? — ზურგიდან ორმოცს გადაცილებული, ჰაღარა კაცი მიუახლოვდა.

— ვაა, — გაიკვირვა. — რეზოო! — გადაკოცნეს ერთმანეთი.

— საიდან მოდიხარ?

— მეგობართან ვიყავი, — გაიხედ-გამოიხედა. კარგა დიდი მანძილი გამოევლო ფეხით.

— დათოსთან ადიხარ?

— შინაა?

— ჰო, იქიდან ჩამოვედი, შენ, როგორა ხარ? — გაიღიმა, — მანქანიდან დაგინახე, — ორივემ მანქანას გახედა, საჭესთან მჯდარმა ახალგაზრდამ ხელი აუწია. გიორგიმ ვერ იცნო, ვინ იყო, მაგრამ მაინც მიესალმა. — უკვე გასვლას ვაპირებდი, ორჯერ დაგიძახე, რამ ჩაგაფიქრა?

— რა ვიცი, ნასვამი ხარ?

— უჰჰჰ! მაგარი! მე და დათო დილიდანვე ჩავუსხედით, — მხარზე ხელი დაადო. — გატეხილია, დასუსტებულიც, გუშინდლა გავიგე, რომ განთავისუფლდა, შენ როდის ჩამოხვედი?

— ორი დღეა, შენ რა იცი?

— დათომ მითხრა, ის ღამე ერთად გაგვითენებიათ.

— ჰოო! წამოდი-მეთქი. არაო.

— ისე, ეხლა ნუ ახვალ, გოგო მოვუყვანე, — სიგარეტს მოუკიდა. — გაიხაროს, მონატრებულია. საღამოს თვითონ აპირებს შენთან გადმოსვლას.

— ცოლ-შვილი როგორა გყავს, რეზო?

— არიან, რა! როგორ იქნებიან ჩემ ხელში.

— რატომ?

— ეჰჰჰ! — სიგარეტი ამოიღო. — მრცხვენია, ბიჰო, მთელი დღე ვმუშაობ და ოჯახს მაინც ვერ ვინახავ, მაგის... მუშაობას და უმუშევრობას ერთი ფასი აქვს, ხო იცი?

— პატარა რა ხნისაა ეხლა?

— შვიდი თვისაა უკვე, უუუ! ისეთი მამაძაღლი იზრდება, ან ამაშენებს, ან სულ დამაქცევს, — გადაეხვია. — ეჰჰ! ოხვრას სასმლის სუნი ამოაყოლა. — მაგრად მიყვარხართ ორივე, თავიდანვე მართალი და ჰკვიანი ბავშვები იყავით, შვილებს გეფიცები, მიხარია თქვენი ნახვა. ვერავინ მიგებს, ამ შობელძაღლებს ან უნდა სჰირდებოდე, ან უნდა ეშინოდეთ, ისე არაფრად გაგდებენ. სიტყვით, იცოცხლე, დალესილი ენები აქვთ, არადა, ვერც ვერავის ვამტყუნებ, ყველას თავისი უჰირს. ხომ არ ვწუწუნებ? — გაიღიმა.

— არა გრცხვენია?

— გახსოვს, „ზონაში“ სკოლის ფორმებით რო ჩამომაკითხეთ?

— ჰო, — გაიცინა, თავი დააქნია.

— მეც კარგად მახსოვს. რა ვქნა, ეგეთი კაცი ვარ, არც ცუდი მავიწყდება და არც კარგი, — ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა, თან მკერდიდან ფერფლი ჩამოიბერტყა. ამ ბოლო დროს ერთი-ორჯერ ძალიან ჩაფიქრებული დაგინახე, რაღაცა გიჰირს და არ იმჩნევ, ჰა? არა? ან რომც თქვა, გაგიგებენ თუ დაგეხმარებიან, ჰა?! ხომ მართალი ვარ? — თავი გააქნია. — შენ რაღად, ამათი დედა ვატირე, — შავ თვალებში ჩახედა. — ჩემსავით ოთხჯერ ნასამართლევი გქვია, თუ ამ უბედურივით კაცის მკვლელი, — ხელი დათოს აივნისკენ აიშვირა. — შენი მაგრად სჯერა. ეხლა თუ ეგ წელში არ გავასწორეთ, სულ დაიღუპება, — ხელი ჩამოიღო, მანქანისკენ გაიხედა. — წავედით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად?

— თითო ბოთლი დავლიოთ, — გაიღიმა. — მეტის თავი ნაღდად აღარა მაქვს, ცოტაც ვიჭიკჭიკოთ, ჰა?

— არა, არა, რა, რეზო, საქმეზე ვარ გასასვლელი! — ხელკავი გაუყარა. მანქანისკენ წავიდნენ. — სხვა დროს!

— მაშინ, ხვალ დილით გამოგივლით და, სადაც გაგვეხარდება, იქ დავსხდეთ, ჰა! მოსულა?

— ჰო.

— წავალ მაშინ და ცოლ-შვილს მივეხუტები, მიყვარან ეგ ვირიშვილები და რა ვქნა, — გადაეხვივნენ. მანქანაში ჩაჯდა, წავიდნენ.

მობრუნდა. სადარბაზოს წინ ხეებს შუა საგულდაგულოდ ჩადგმულ მაგიდისკენ წავიდა. ჩამოჯდა. იქვე მდგარ ორ ჭიქაში ლუდი იყო ჩარჩენილი და თევზის ძვლები ეყარა. კატები მაგიდიდან ჩამოხტნენ, მაგრამ არ გაქცეულან, იქვე გაისუსნენ.

ლოგინიდან აყოლილ ფიქრებს მარტოობის სურვილი მოჰქონდა. საათობით შეეძლო გაუნძრევლად ჯდომა, მერე ლაპარაკი მოსწყურდებოდა, თან სჯეროდა, რომ ვიღაცას თუ რამეს აუხსნიდა, აუცილებლად შეიცვლებოდა მსმენელი, მაგრამ ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრა ყოველთვის, „არა მიშავს“, „ისე რა“, „ჰო“ ან „არათი“ მთავრდებოდა, თითქოს ნაფიქრალი მარტო თვითონ ეკუთვნოდა და ვალდებულიც იყო, ემალა.

ბოლო ორი თვე განსაკუთრებულად ემზადებოდა დათოსთან შესახვედრად. სათქმელი დაალაგა, მაგრამ ვერაფერი უთხრა.

მთელი ღამე იატაკზე ისხდნენ ჩუმად, შეხედავდნენ ერთმანეთს და მეორედ შეხედვამდე თავებს ჩახრიდნენ.

დილით, წასვლისას, დათომ უძინარი, მაგრამ მშვიდი თვალებით კიდევ ერთხელ გამოხედა, ცოტა ხანს იდგნენ.

— არა, დათო! მაია დედაა უკვე! ამას წინათ ვნახე, რო გამოვა, აუცილებლად გამაგებინეო, — სახე მოისრისა გიორგიმ.

— წელიწადზე მეტია, აღარ მოუწერია.

— ეგ არაფერი.

— ბიჭი ვინ არის?

— მამამისის მეგობრის შვილი.

— შენ მალე ჩამოხვალ? — თავი ჩახარა.

— ორ-სამ კვირაში... წამოსვლა ხომ არ გინდა?

— არაა, ხვალ მამიდაჩემის საფლავზე გავალ, ცოტა ფული ჩამომყვა და საფლავს მოვუწესრიგებ.

— ყველაფერი მოწესრიგებულია.

— ვიცი, ვნახე... დიდი მადლობა! — თავი ასწია, გავიდა.

დამნაშავესავით დარჩა მარტო. თავის გამართლება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. რვა წლის მანძილზე სულ რაღაცას ელოდა, გეგმებიც დაალაგა თითქოს, ერთმა ღამემ კი ყველაფერი შეცვალა. უცბად ისიც მოეჩვენა, რომ მთელი ღამე უცხო კაცთან გაატარა, კაცთან, ვისთანაც საერთო აღარაფერი ჰქონდა ბავშვობის წლებისა და წერილების გარდა.

იმ ღამეს ქუჩიდან წაიყვანეს გიორგი, ისე რო დათო არც უნახავს. — ჩვენებს გააგებინეთო, — ბიჭებს გასძახა. კარი ცხვირწინ მიუხურა ახალგაზრდა მილიციელმა.

ცხელოდა მანქანაში. ბევრი არ უვლიათ.

მძღოლმა გვერდით მჯდარ მაიორს ჩუმად ჰკითხა:

— როდის მოკვდა?

— დღეს დილით!

ნახევრად ბნელ საკანში მძაფრი სუნი იდგა. ხის საწოლზე ორმოცდაათს გადაცილებული, კარგად ჩაცმული, მელოტი კაცი იჯდა. ახალშემოსული მშვიდად აათვალიერა და დაჯდომაც არ დააცადა, ბოხი ხმით ჰკითხა:

— რაზე დაგიჭირეს?

— არ ვიცი, — ხის საწოლზე ჩამოჯდა.

— რამდენი წლისა ხარ?

— თვრამეტის.

კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ.

გაბრუებული იყო. ახალგამოღვიძებულის სიზმარს ჰგავდა ყველაფერი. კარი ხმაურით გაიღო.

— გამოდი! — ცბიერი თვალები ჰქონდა ზედამხედველს. — გურამ! შენც გამოდი, გამომძიებელმა, ამოვიდესო.

საღამოს იმავე ზედამხედველმა, საკნის კარი გააღო, ორი კოლოფი სიგარეტი ნემსი და პატარა წერილი მისცა გურამს.

— წაიკითხე? — წერილი დაკეცა.

— არა გრცხვენია, გურამ?

— კარგი! კარგი! — ქაჩალ თავზე ხელი მოისვა. საკანში შევიდა.

ახალმოყვანილი გულაღმა იწვა. სახეზე სველი ტილო ეფარა, ოდნავ შესივებული ხელი შუბლზე ედო. ხმაურზე ტილო მოიცილა, წამოჯდა. თვალის უპეები დასივებული და დალურჯებული ჰქონდა, ტუჩგახეთქილმა თავი ჩახარა. კარი ისევ ხმაურით დაიკეტა.

— რა გქვია, ბიჭო? — სიგარეტი გაუწოდა.

— გიორგი.

დილით ორივე ერთად გაიყვანეს.

საღამოს, საკანში დახვედრილ გურამს ხმა არ ამოუღია. ისე, ჩუმად უსმენდა გიორგის კვნესასა და ხველებას.

მესამე დღეს ნასადილევს გაიყვანეს მარტო. გაყვანამდე ზედამხედველმა სიგარეტი, ფული და რაღაც, საგულდაგულოდ შეხვეული გადასცა საწოლზე ფეხმორთხმულ გურამს.

გვიან ღამით საკნის ზღურბლზე ძლივს გადალასლასდა.

ბოლთის ცემა შესწყვიტა გურამმა. მძიმედ სუნთქავდა. ქაჩალ თავზე ხელი ჩამოისვა და ბუტბუტით მიეშველა წაბარბაცებულ გიორგის.

დაწვა და ისე გადაბრუნდა, არც შეუხედავს გურამის დასივებული, მიბნედილი თვალებისათვის.

— ცუდად ხო არა ხარ, შვილო? — ცხვირი მოიქექა.

— არაა! — მარცხენა ხელი მარჯვენა მკლავზე მოიჭირა. მოიკუნტა.

— ხო არ მოსწევ? — პაპიროსი მიაწოდა. — კარგი რამეა!

— არაა! — დალურჯებული მკლავზე დაიხედა, სისხლი ჩაქცეოდა.

— ვინ მოკლა? — საწოლზე ჩამოჯდა.

— არ ვიცი!.. ჩამომკიდეს. — პირგამშრალმა ამოთქვა საიდანღაც.

მთელი ღამე არყის კომპრესები ადო. ცოტა დაალევინა კიდეც. ყველაფერს ჩუმად აკეთებდა, ხმას თუ ამოიღებდა, იგინებოდა მხოლოდ.

მეოთხე დღეს არც ერთი არ გაუყვანიათ.

მეხუთე დილით ცოტა ხნით გაიყვანეს გურამი.

— რეზო რა არის შენი? — ჩუმად იკითხა შემობრუნებულმა.

— ჩემი უფროსი მეგობარია.

— ამ წერილს, სადაც მიხვალ, იქ მიიტან.

— რატო? რა მოხდა? — მისავათებულმა თავი ასწია.

— ვიღაც დათო დაუჭერიათ, ის იღებს თავის თავზე.

— როდის?

— არ ვიცი, — გაზეთში რაღაც გაახვია. — თანამონაწილეობა არ აცდება, — ღია კარისკენ წავიდა... გასასვლელში გაჩერდა, ჯიბიდან მეორე დაჭმუჭნილი წერილი ამოიღო, საწოლზე დაუგდო. თუ რამე გაგიჭირდეს, მომწერე, სად ვიქნები, ყველას ეცოდინება. აქ მტოვებენ, — გაიღიმა. — ღმერთი შენკენაა, — გავიდა.

„ჩემ ხელში გაზრდილია.

რეზო“.

ეწერა ერთში.

„ჩემთან იჯდა. ვაჟკაცი და მართალი ბიჭია, რეზოსი და ჩემი პატარა ძმაა. მიმიხედეთ.

გურამი“.

ეწერა მეორეში.

სახლში დიდი, მაგრამ შეფარული სიხარულით წაიყვანეს. ბანაობის დროს ცოტა გაღიზიანდა, როცა წარმოიდგინა, როგორ ეძინათ თბილ ლოგინებში ოჯახის წევრებს ეს დღეები, მაგრამ მალევე დამშვიდდა, თავის ოთახში ჩაიკეტა. მშობლებს კითხვებით აღარ გაუღიზია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებიათ. მამამ ჩუმად ჰკითხა ლოგინზე წამოწოლილ გიორგის: — გცემეს?

— დედამ იცის? — კითხვითვე უპასუხა.

— არა! უთხრეს, დაკავებისას წინააღმდეგობა გაგვიწიაო.

ამაზე არასოდეს, არავისთან, აღარაფერი უთქვამს. ტოლებსაც და უფროსებსაც გამოკვეთილი რიდი გაუჩნდათ. ზოგს კი, კამათისა და წინააღმდეგობის სურვილს ამჩნევდა, მაგრამ არც ერთისთვის არ მიუცია მნიშვნელობა. გულის სიღრმეში მძიმე გაურკვევლობა აწუხებდა.

რამდენიმე ხნის მერე, როცა ფიზიკური ტკივილი გაქრა, დათოს თვალები გაახსენდა, შიშითა და გამარჯვების სურვილით სავსე თვალები მეგობრისა. მაშინ, გიორგიმ, თავისზე ბევრად უფროსს, დაუნდობლობით ცნობილ მოკამათეს, მოულოდნელად მუშტი სთხლიშა სახეში. უცბად ყველა დაიბნა, მერე კი დიდი ჩხუბი ატყდა, კარგადაც იცემნენ, მაგრამ ცემის შემდეგ არც დათოსა და არც სხვებს, თვალებში შიში აღარ ჰქონდათ. ზოგიერთებმა, გიორგიზე მეტის გაკეთების სურვილით, გააგრძელეს კიდეც შეხვედრები. ყველაფერი იმ ღამემ დაამთავრა. ოთხი თვის ძიების შემდეგ, დათოს რვა წელი მიუსაჯეს.

რამდენჯერმე სცადა, წერილით მიეწერა სიმართლე. მიეწერა, რომ იმ ღამით გაურკვეველი შიშით დაარტყა ხელი და არა ვაჟკაცობით. რომ დათმობა, თურმე, უფრო მეტი კაცობაა, ვიდრე აყოლა, მაგრამ ვერ მისწერა, ვერც მაშინ უთხრა ვერაფერი, სიჩუმეში რომ გაეპარათ ღამე და ვერც ეხლა მოაბამს თავს. იქნებ არც ჰქონდეს აზრი რამის ახსნას და ამიტომაც აიძულებს რაღაც ძალა, ჩუმად იყოს. ის ხომ სულ სხვაა უკვე. შეიძლება შეგნებულადაც არ გაიგოს, რადგან სხვა, მისთვის მისაღები ცხოვრებით არის ნაცხოვრები, თან სჯერა, რომ ეს ცხოვრება ერთია და განუმეორებლად მართალი.

ერთი ცხოვრების გასისხლხორცებამ, შიში და კრთომა იცის სხვა, უფრო მართალი ცხოვრების მიმართ. ერთისთვის ჯანის გატეხისა და ფიზიკური ტკივილის განცდაა მხოლოდ ეს წლები, მეორისთვის — თავის თავში დამნაშავის ძებნისა და სინანულის.

ატანით ბევრი აიტანა, მაგრამ ფიზიკურ ტკივილს ვეღარ იხსენებდა. რაც უფრო მეტად სტკიოდა, მით უფრო მაღლიდან ხედავდა საკუთარ თავს. პირველად ისე დაიბნა, რომ სცოდნოდა, უნებლიედ შეიძლება წამოსცდენოდა კიდეც, მერე კი ნატრობდა, ნეტა სცოდნოდა, რო არ ეთქვა, არ ეთქვა და საკანში ჩაყვანილს, ჩუმი გამარჯვება ეზეიმა.

წლების მანძილზე ნანობდა, ტკივილის შიშით როგორ იფიქრა ყველაფრის თქმა, მაგრამ გარშემო მყოფთაგან ვერავინ შეატყო სინანული.

გამოშვების დღეს ერთმა პოდპოლკოვნიკმა სახეში შეაფურთხა სკამზე მიგდებულ, არაქათგამოცლილ გიორგის, როგორ თუ ვერაფერი გათქმევინეო. წლების მანძილზე ტანჯავდა დუქის სითბოსა და მყრალი სუნის შეგრძნება, დროდადრო რო გაახსენდებოდა ხოლმე, მაგრამ მერე თავს ფიცი მისცა, არასოდეს იგივე არავისთვის ეკადრებინა.

ფიქრმა და განცდამ სინანული აღუძრა, მაგრამ მიმტევებლებმა მომნანიებლივით ვერ იგრძნეს მოსმენილი. შეკრთა, რაღაცისაგან ვერ გათავისუფლდა, გული დაეხურა, ჩუმად მიჰყვა დინებას ხალხს მოწყვეტილი. ნუგეშად რამდენიმე ხნის წინ სასიკვდილოდ გამეტებული შინაგანი ხმა გაიჩინა, მშვიდად, თბილად, მაგრამ უეცრად და დამამშვიდებლად რომ ამოსკდებოდა ხოლმე გულის „კოვზიდან“ და ყელამდე ცრემლად ამოსული, ბაგეებს სევდით წუდებოდა: „ეს ის არ არის“, „რაღაც უნდა მოხდეს“, „ყველაფერი შეიცვლება“.

ფიქრითა და სინანულით დაღლილი, ვითომ ერთობოდა კიდეც, მაგრამ მერე, მერე ხვდებოდა, რომ ყველაფერს თავის მოსატყუებლად აკეთებდა. ამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობაში თვალებში ნაღველი ჩააწვა, სახეზე ნაოჭი მოეძალა, თმაში — ჭაღარა.

წამოდგა, იქვე, შადრევანთან მივიდა, წყალი დალია, კიდევ ერთხელ ახედა დათოს აივანს, ხელები უკან შემოიწყო და ნელა, თავჩახრილი გაუყვა სევდითა და ყვითელი ფოთლებით სავსე ქუჩას.

ფიქრის ტალღამ ეხლა იქით მიახეთქა, სადაც ძილშიაც კი არ სცილდება განსახიერებული სახელი. მაია, — თითქოს არც შეიძლებოდა სხვა რამე რქმეოდა.

დიდი ქალაქის აეროდრომზე, სადაც ყველა ჯერ საკუთარ თავზე ფიქრობს, მერე კი სხვა დანარჩენებზე და სადაც ყველაფერი ფულზე იყიდება, არავინ დახვდა, იცოდა, მისი გულისთვის საქმეს არავინ მოსწყდებოდა, მაგრამ მაინც გული დასწყდა.

დანიშნულ ადგილზე თბილად შეხვდნენ. სასტუმროში არ გაუშვეს. ცოლქმრობამდე მასპინძლებს ცალ-ცალკე ჰქონდათ ბინა, დაოჯახების შემდეგ, კაცთან გადავიდნენ საცხოვრებლად, ქალის ბინა ცარიელი იყო.

დააბინავეს და ჯასალებების მთელი ასხმა, როგორც ერთადერთ პატრონს, მაგიდაზე დაუდეს, თვითონ კი სამსახურებში დაიფანტნენ.

ბარგი ამოალაგა და დასარიგებელი საჩუქრები დაახარისხა, მერე იბანავა, ტელევიზორს უყურა. ძველ ნაცნობებს დაურეკა, მოიკითხა. საღამო ხანს გაისეირნა, მაგრამ ნამგზავრს, დაღლილობა მოერია და შინ მალევე აბრუნდა.

დილით ტელეფონის ზარმა გააღვიძა

— აა! კოლია, შენა ხარ?.. გაუმარჯოს... გუშინ. ჰო... შინ არ იყავი და დედაშენს დავუტოვე ტელეფონის ნომერი. როგორა ხარ?, ჰაა! ჯერ არაფერს, ვწევარ, ისე. სახლში მინდა დავრეკო, გავაგებინო, რო კარგად ჩამოვფრინდი... ერთ საათში? ეს სადა? ჰო! ცენტრალურთან, არა? კარგი, კარგი... ერთ საათში.

ტელეგრაფის შესასვლელთან მაღალი, ქერა ბიჭი ელოდა.

— ეს რა არის? — ღიმილით, ნიკაპთან იარაზე ანიშნა გიორგიმ.

— სამრეწველო ტრამვაა, — გაიცინა, — ვის ბინაში ხარ?

— არ იცნობ.

— გავიცნობ?

— ჰო.

მალე დარეკეს. გზაზე გამოვიდნენ.

— შენ მანქანა გააჩერე, მე დავრეკავ, ეხლავე მოვალ, — ჯიხურისკენ მიბრუნდა კოლია.

გიორგი გზის პირისკენ წავიდა.

ტროტუარზე, საშუალო ტანის ორი გოგო იდგა, ერთს ხელები გულზე დაეჭდო. მეორეს ხელი ჰქონდა გაშვერილი და თვალი გაშტერებოდა.

გაჩერდა. დააკვირდა.

ლამაზი, სწორი ცხვირი, უკან ავარცხნილი თმა კისრის მალებზე პატარა ნაწნავით მთავრდებოდა. დიდი, სევდიანი თვალები ჰქონდა, მოკლე, ნახევრად გამჭვირვალე კაბაში უსუსური და დამცირებული ჩანდა.

ცოტა ხანს უყურა, მერე გვერდზე ამომდგარ კოლიას ახედა.

— დარეკე?

— ჰო! რას უყურებ? მოგეწონა?

— ჰო, — ისევ იქით გაიხედა.

— წამო, წამო, საღამოსთვის უკეთესებია შეკვეთილი, — გაიღიმა.

აბრუნდნენ, რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს.

ისევ იმათკენ გაიხედა.

— მგონი, მართლა მოგეწონა, არა?

— ძალიან.

— მოიცა! — მიბრუნდა და ხელით მოიხმო გოგოები. მალევე მობრუნდა.

— ათ წუთში მანქანა მოვა, — საათს დახედა. — ერთ პატარა საქმეზე გავირბენთ, შენ მანქანაში იჯექი, ნუ გადმოხვალ. საღამოს სადმე დავსხდეთ, თუ ისინი არ მოგეწონა, მაგას წამოვიყვან.

— მაგას?

— ჰო, მაგას.

— იცნობ?

— არი ერთი, რა! — გზას გახედა. — ცოტა მეძვირეა, მაგრამ შენსას პროფკავშირი იხდის. — მხარზე ხელი გადახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვია — ღიმილით. — თქვენებური სახელი ჰქვია, მაია, თქვენებურია, არა?

— ჰო.

მანქანა მოვიდა, ახალგაზრდა ბიჭი გადმოვიდა. — ეს პაშაა, — დაბალი, ჩაფსკვნილი მძღოლი გააცნო. წავიდნენ.

ბევრი იარეს. სიარულის დროს რამდენჯერმე წამოუტივტივდა გოგოს სახე, თითქოს სადღაც ენახა ასეთი თვალები.

რესტორანში, როგორც ყოველთვის, თითქმის ხმა არ ამოუღია, ღიმილის დროს, თვალის უპეებთან გაჩენილი ნაოჭები და თეთრი კბილები იქცევდა ყურადღებას. სუფთად, გემოვნებით ჩაცმული, მარტო შავგვრემანი იერით არ გამოირჩეოდა სხვებისაგან. მაია გვერდით ეჯდა. მოკლე კაბას, შავი წინდები ამგზნებ იერს აძლევდა, თმაც გაეჩეჩა, მაგრამ სევდა არ სცილდებოდა თვალებიდან, არც მხიარულად იყო სხვებივით, რამდენიმე ჭიქის შემდეგ სიცილხარხარსა და სიგარეტის კვამლში რო იხრჩობდნენ თავებს.

სტუმარს, მასპინძლების ხათრით, განსაკუთრებული თავაზით ეპყრობოდა ოფიციანტი, თუმცა უამისოდაც რაღაცნაირად რიდის მომგვრელი იყო გიორგი. გოგოებს არც ეს გამოჰპარვიათ მხედველობიდან.

— სტუმარს გაუმარჯოს! — მაიამ ჭიქა აიღო და მთელი ტანით შებრუნდა გიორგისაკენ.

— სტუმარს კი არა, მეგობარს! — პაშამ ჯერ კოლიას შეხედა, მერე დანარჩენებს მოავლო თვალი.

დალიეს. საცეკვაოდ გავიდნენ თავთავიანთ გოგოებთან.

— შენ რა, არ ცეკვავ? — მაიას გახედა.

— მერე ვიცეკვოთ... დიდი ხანია ჩამოხვედი?

— გუშინწინ.

— საქმეებზე?

— ისე! — გაიღიმა. გოგო უაზროდ მისჩერებოდა დიდი, მწვანე თვალებით.

გვიანი იყო. კოლია თავის საკმაოდ ნასვამი გოგოთი უკან ჩაჯდა, პაშა საჭეს მიუჯდა.

— არ გაგაჩერონ! ფრთხილად იარეთ! — მანქანაში შეიხედა გიორგიმ.

— ჩვენები არიან, ნუ გეშინია, დაჯე... დაჯე! — მაიას მეგობარს გასძახა გვერდულად, იმანაც, თავი ანება მოჩურჩულე მაიას და ჩაჯდა.

— შენ რას იზამ? — კოლიამ საზურგედან ოდნავ წამოიწია.

— ცოტას გავისეირნებ ფეხით.

— ჰოო!.. ეგეც აქვე ცხოვრობს, — ჩაიხითხითა, — ხვალ დარეკე.

წავიდნენ.

ქუჩაში არავინ იყო. ალაგ-ალაგ ნასვამი წყვილები და ჩქარად მოსიარულეები ჩაივლიდნენ ხოლმე. ცოტა ხანს ჩუმად იარეს.

— კოლიას დიდი ხანია იცნობ?

— საკმაოდ. — ხელი მკლავში გაუყარა გიორგიმ, — რამდენი წლისა ხარ?

— ოცდასამის.

— სახელი ვინ დაგარქვა?

— არ ვიცი, ყველა მაგას მეკითხება... რომელ სასტუმროში ცხოვრობ?

— მეგობრის ბინაში ვარ, — ზურგს უკან თითი გაიშვირა.

— სასტუმროში ვერ იშოვე ადგილი?

— არაა, „სასტუმროს“ ცხოვრება არ მინდა.

— მეც აქვე ვცხოვრობ, ერთი გაჩერების შემდეგ, — ბიჭის მშვიდ სახეს გვერდულად გამოხედა გოგომ.

— წესით, ეხლა უნდა მეალერსებოდე, განუმეორებელ ღამეს მპირდებოდე... სხვა შენს ადგილზე, მაგას რესტორანშივე დაიწყებდა, ჰა? არა?.. თუ მუქთა მუშტართან არ გინდა სიყვარულისგან დაიცალო?

ცოტა ხანს ჩუმად იარეს.

— მე სიყვარულით არ ვაკეთებ ამას. ისე... თუ იცი, რამდენი ვლირვარ? ჩაიღიმა. თმა უკან გადაიწია. — აქ სკამზე ჩამოვსხდეთ, რა! სიგარეტი მოვწიოთ.

დასხდნენ.

ქუჩის პირას, პატარა ბაღში არავინ იყო. ცოტა მოშორებით, წვენების ჯიხურთან ვიღაც უცნობი გაწოლილიყო.

ფეხებთან წითელ-ყვითელი ფოთლები ეყარა, ქარისგან მოგროვილი.

გრილოდა.

ხელი მოხვია გიორგიმ. თითები ყურის შეციებულ ბიბილოს შეახო. გოგო, უხმოდ დაჰყვა ნებას და თავი ისე დაადო მხარზე, არც შეუხედავს მისთვის. სიგარეტის, სუნამოსა და სასმელის არეული სუნი შეჰყვა გრილ ჰაერს ნესტოებში.

— აქ ჩამოსვლამდე, რამდენიმე კვირით ადრე, მეგობარს გავყე, ქალაქგარეთ სტუმრები ჰყავდა დაპატიჟებული, — ლოყა დაადო თავზე გოგოს და მშვიდად განაგრძო: — უფროსები ჰყავდა დაპატიჟებული, თითქოს ყველა ქალთან ერთად მოვიდა, მაგრამ არც ერთი ცოლი არ იყო. კარგად მოილხინეს, მოილხინეს კი არა, გაძღნენ, ჭამა-სმითა და სისულელეებით. ერთ-ერთის, ყველაზე დაფასებული სტუმრის ქალბატონმა, ისე მაგრად მოილხინა, ყველას ყურადღება მიიპყრო. ანეკდოტები მოჰყვა, იცეკვა, იმღერა, დახოცა ხალხი სიცილით.

ზოგჯერ გვერდზე მჯდარ, ჩასუქებულ მეგობარსაც გახედავდა ხოლმე მორჩილად, როგორც ძაღლი პატრონსა და მწყალობელს, ისიც კმაყოფილი ქვითქვითებდა სიამოვნების ნიშნად.

მოკლედ, ყველაფერი რო მორჩა, მთავრობისაგან მძღოლიანად ნაბოძებ მანქანებში სიცილითა და შეუფერებელი, სადღაც ნანახი „რევერანსებით" დაიწყეს ჩაჯდომა, ჩემდა უნებურად თვალი გვერდით გამექცა და ის ქალი შემრჩა, იქით მიმავალი, სადაც პატივით უნდა ჩამჯდარიყო, ყველაზე დაფასებული.

მანქანამდე მიაცილე, კარი გავუღე, ღიმილით დაემშვიდობა ყველას, მერე შემომხედა, — გმადლობთო, — ჩაჯდა. საზურგეს მიეყრდნო, სევდიანად ამოიოხრა და წყლიანი თვალები დახუჭა. გავხევდი. დაბერებული მომეჩვენა, მერე ხალხს გამოვხედე, სხვა ვინმე ხომ არ ჩავსვი-მეთქი სუფრაზე მოკისკისე ქალის მაგივრად. — გაჩუმდა. კარგა ხანს უხმოდ უცქეროდა. როგორ ჩადიოდა და ამოდიოდა კვამლი გოგოს ფილტვებიდან. — შენც ისეთი სახე და თვალები გქონდა დღეს დილით, გაჩერებაზე. დამნაშავე ბავშვის თვალები, რომელმაც რაღაც გატეხა და რომელსაც დასასჯელად უახლოვდებიან. ის მზად არის. მიხვდა, რომ არ უნდა გაეტეხა, შეიძლება ინანა კიდეც, მაგრამ თავი დასასჯელად არ ემეტება... არ იცის, რა დააშავა და იმიტომ. ის ქალი ქალურობისათვის და სილამაზისათვის დასჯილი მომეჩვენა, თან ყველაფერს შეგუებული.

წამოდგა. გოგოს თმა უკან გადაუწია, ცხვირზე აკოცა. — წავიდეთ! — ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ნელა წავიდა. ისიც, ქუსლების ბაკაბუკით უკან გაედევნა.

ქუჩაში მოხუცი კაცი ძაღლს ასეირნებდა.

მუშაობით, უმუშევრობით, ყბედობით, ტყუილით, ლოთობით, ბოზობით, სპეკულიაციითა და ფუსფუსით დაღლილი ქალაქი, ხმაურით იძინებდა.

სახლში არ აჰყვა. სადარბაზოსთან ტელეფონის ნომერი ჰკითხა და უკან გაბრუნდა.

ჩრდილოური შემოდგომა მძლავრობდა. გრილი ნიავი აქეთ-იქით დაარბენინებდა ძირს მოფანტულ ფოთლებსა და სიგარეტის ნამწვავებს.

მთელი საღამო კარგ გუნებაზე იყო რესტორანში. არაფრის თქმას არ აპირებდა, მაგრამ, სკამზე რო ჩამოსხდნენ, ყველაფერი აერია. გრძნობდა, როგორ ლაპარაკობდა. სიტყვები კი არ ესმოდა, ვერც გარშემო ამჩნევდა ვერაფერს და არც ძალა ეყო გასაჩუმებლად.

მაშინაც ასე დაემართა, როცა ის ქალი შეხვდა შემთხვევით ქუჩაში, ისეთივე დაღლილი სახით, მანქანაში რომ ჩასვა. მზის სინათლეზე ფერმკრთალი აღარ ჩანდა. მიესალმა, თავი შეახსენა. იქვე, კაფეში თითო ჭიქა ყავას მიუსხდნენ: უთხრა, რომ ის სულ სხვა ქალია. სხვანაირად კი ცხოვრობს. ასე ხდება, როცა ქალურობასა და სილამაზეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერი, ყურადღებიანი მამაკაცი არ იცავს. როცა მიწიერი ყოფით დაღლილი, იქვე ეძებს დამამშვიდებელ, მეგობრულ ურთიერთობებს. ამ დროს შეგხვდება ვინმე დაახლოებით ისეთი, როგორზეც ფიქრობ, თუ საუბრით მოგხიბლა, ყურადღებით დაგატყვევა და საჩუქრებით ან პატივისცემით დაგაბნია, უნებურად შენში გაღვიძებული ქალური მორჩილება გადაგადგმევინებს მისკენ ნაბიჯს. ისიც დაგეწაფება და რამდენჯერმე ერთად წოლის მერე, შუაღამისას ხვრინვით შეგაკრთობს მისი სიცივე და მოუქნელობა. დამცირებული, დაპატარავდები. შენს არჩევანში ეჭვი შეგეპარება და ჩუმად აათვალიერებ კიდეც გვერდზე გადმობრუნებულს. მოგეჩვენება, რომ საუბრით ველარ გატკბობს, უფრო ცოტა დროს გითმობს ან საკუთრებასავით გექცევა მაგრამ თავს არ უტყდები, გეშინია ყველაფრის თავიდან დაწყებისაც, და იმისიც, იგივე არ დაგემართოს შემთხვევით შემხვედრთან და ერთი ღამის საჯიჯგნი არ გახდე. სინამდვილეში აღარ გინდა ასე, შეცვლით კი არაფერს ცვლი.

ქალს გაეღიმა. მთელი საუბრის მანძილზე თვალი არ მოუცილებია. ფინჯანს ჩააშტერდა... რა ვქნა?

მერეღა მოეგო გონს, ამის თქმას სულაც არ აპირებდა. რა უნდა ერჩია?.. — არ ვიცი!

იმავე საღამოს მეგობარს უამბო ყველაფერი.

— ეგრე არ არის, გიორგი, მაგას ჩემ უფროსამდე ქმარი და მაგაზე უარესი მეგობარიც ჰყავდა.

სართულები აათვალიერა. ავიდა. მალე დაეძინა.

დილით ადრე გაეღვიძა. არ ამდგარა, რაღაც წიგნის წაკითხვა სცადა. თავში არაფერი შესდიოდა, ერთ აბზაცს რამდენჯერმე დაუბრუნდა. წიგნი დახურა. ფანჯრის რაფაზე მტრედები ისხდნენ. მაიას ღიმილი გაახსენდა, წუხელ, ნაღვლიანად, მაგრამ ლამაზად გაიღიმა ერთხელ, თითქოს თვალსაც ვერ უსწორებდა. ლოყაზე სითბო იგრძნო. ტელეფონს დასწვდა:

— დიახ! — მშვიდმა ხმამ გააგონა. სითბომ დაუარა ტანში.

— გიორგი ვარ!

— რომელი?

— წუხანდელი.

— აა! როგორა ხარ?

— არა მიშავს, შენ როგორა ხარ?

— ისე, რა!.. ნასმურზე გაგახსენდი? — გაიცინა.

— მე არ დამილევია.

— ჰოო! თუმცა...

— საღამოს გცალია?

— არ ვიცი, ჯერ არავის დაურეკია.

— შვიდ საათზე სადარბაზოსთან დაგელოდები.

— ექვსზე მოდი, ოღონდ მთელი ღამით არა... გაწყობს?

— ჰო! — ყურმილი დადო. ძვლების ტკივილი იგრძნო, მიწაზე დახეთქებულივით.

ღრუბლიანი, უნალექო დღე იყო. საღამომდე უსაქმოდ იხეტიალა. ხან გამვლელებს აკვირდებოდა, ხან სანაყინეებში იჯდა.

ექვსი საათისთვის ყვავილები იყიდა, სადარბაზოსთან მივიდა.

მაია გუშინდელი კაბით ჩამოვიდა. ქუთუთოები ოდნავ შესივებოდა ნამძინარევს.

მიესალმა. მთელ დღეს ისე გაევლო, არაფერზე ეფიქრა. დამშვიდდა, ყვავილები მიაწოდა.

— გმადლობთ, — ნაპერწკალმა გაუელვა თვალებში. გაიღიმა.

— მანქანას გავაჩერებ, — გზისკენ მიბრუნდა უაზროდ და ხელი გაიშვირა, ცოტა ხანს იდგა. გამოხედა.

ყვავილები ძირს დაეშვა გოგოს, გაკვირვებული იყურებოდა.

ხელები ჯიბეში ჩაიწყო. მოუახლოვდა. — სად წავიდეთ?

— არ ვიცი, — თმაზე ხელი გადაისვა.

— შენ სად გინდა?

— სულ ერთია... მთელი ღამით ვერ წამოვალ.

— ისე გავისეირნოთ?

— ისე, როგორ?

— ჩვეულებრივად! — ხელკავი გამოსდო.

ქუჩას ჩაუყვნენ, მერე კაფეში შევიდნენ, წვენიც დალია გოგომ და ყავაც. საუბრის დროს, ხანდახან თავისთვის ჩაეღიმებოდა ხოლმე. უფრო ხშირად კი დაკვირვებული მიშტერებოდა მოლაპარაკე გიორგის.

იმავე ქუჩას ამოჰყვნენ.

— შემცივდა! — კაბაზე დაიხედა.

— შინ წახვალ?

— ...ჰო.

— ხვალ რას აკეთებ?

— იცი, მე...

— რვის ნახევარზე თეატრთან მოდი.

— სად? — გაიღიმა.

— შენგან ერთი გაჩერებით ქვემოთ.

შეაგვიანდა მაიას. დაბნეული იყო, მაგრამ თავს ძალას ატანდა დასამშვიდებლად, თმა უკან გადაეწია, ნაწნავზე დიდი ბაფთა ეკეთა, მომწვანო, თვალის ფერს შეხამებული კაბა მუხლებს უფარავდა.

შესასვლელში, მოსასხამის გახდის დროს, აქეთ-იქით გაიხედა. შეკრთომა არ ეტყობოდა, უბრალოდ, გარემო ეუცხოვა. განსხვავებული ჩანდა დარბაზისაკენ დაძრულ ხალხში, თითქოს უმწეოც, გიორგი მშვიდად მისდევდა გვერდით. ისევ გახედა გოგომ გარშემომყოფთ, ერთი შეხედვით არაფრით რომ არ განსხვავდებოდნენ ქუჩაში მოსიარულე მილიონებისაგან. დუდუნით მიიწევდნენ ზევით კიბე-კიბე. ფეხს აუჩქარა მაიამ და ისეთი სახით გამოხედა ხალხს, თითქოს დარბაზში მიჰყავდათ დასასჯელად, აქამდე არცნობისა და დაცინვისთვის. თუკი მათ ნაბიჯს არ აჰყვებოდა, მაშინ ჯარად გადაუვლიდნენ, ფეხქვეშ ჩავარნილს.

შეჩერდა, ხელი მკლავზე წაავლო თავჩახრილ გიორგის, მიეკრა.

დინება შუაზე გაიყო და გვერდი აუარა წყვილს.

წარმოდგენის დროს რამდენჯერმე ჩუმად, გვერდულად ამოხედა. ბიჭის მოკლედ შეჭრილ შავ თმას, უდროოდ შერეულ ჭაღრას იდუმალ ბზინვარებას მატებდა სცენიდან არეკლილი თეთრი სინათლე.

სპექტაკლის შემდეგ, კიბის საფეხურებს აჰყვნენ ვიწრო დერეფნამდე და საგრიმიოროში შევიდნენ. პატარა ოთახში ორი ბიჭი და ერთი გოგო კონიაკის ბოთლის გარშემო ისხდნენ. ფეხზე წამოუდგნენ ახალშემოსულებს. გიორგიმ გოგო გააცნო. მაიას თვალებში დაბნეულობა მოულოდნელ სიხარულს შეეცვალა, აქამდე სამივეს მხოლოდ ტელევიზიიდან და სარეკლამო აფიშებიდან იცნობდა.

დიდხანს ისაუბრეს. დამშვიდობებისას, შეხვედრა დათქვეს.

მერე რამდენიმე დღე აღარ უნახავს. წამოსვლის წინა დღეს სახლში აკითხა.

კარი, საშუალო ტანის, ორმოცს მიტანებულმა, შავთმიანმა ქალმა გაუღო.

— მაია სახლშია?

— თქვენ ვინ ხართ?

— მე გიორგი ვარ, მაიას მეგობარი.

— თქვენ დარეკეთ, არა?

— დიახ, მერეც დავრეკე და არავინ გამაგონა.

— მობრძანდით!

ორი სუფთად დალაგებული ოთახი, უცხოური ნივთებით იყო სავსე. სუნამოს მძაფრი სუნი იდგა. გემოვნებით შეზავებულ ფერებში, საწოლის თავზე, წითლად ანთებული ღამის ნათურა იქცევდა ყურადღებას.

— ლარისა! — თავი ოდნავ დაუკრა. — დაბრძანდი, მე ეხლავე მოვალ, — სამზარეულოში გავიდა. მალე შემობრუნდა, შამპანურის გახსნილი ბოთლითა და ორი ჭიქით. ხილიცა და ჭიქებიც გიორგის წინ, ჟურნალების დაბალ მაგიდაზე დადგა. ჩამოჯდა. შიშველ ტანზე გადაეცვა მწვანე ფერის სპორტული მაისური. — მაია მე არაფერს მიმალავს, — ჭიქები შეავსო.

— ერთად ცხოვრობთ?

— ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, — ცოტა მოსვა, — კოლია როგორ არის?

— კარგად, რატომ მკითხე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდი ხანია იცნობ?

— საკმაოდ. თვითონ საიდან იცნობ?

— ჰოო, — გაეღიმა ქალს. — ჩვენ საქმიანი ნაცნობობა გვაქვს. ამ უბანში, რამდენიმე კაცს, კოლიასთან მიაქვს ის, რასაც ჩვენ მათ ვუხდით მშვიდი მუშაობისთვის. იმას ვისთან მიაქვს, ჩემი საქმე არ არის, ის ვიცი, არავინ ემდურის, ზრდილობიანია, პატრონობაც იცის.

— მაია მალე მოვა?

— არ ვიცი. კარგი მუშტარი ჰყავს, — სიგარეტს მოუკიდა, — ალბათ, ორ-სამ საათში მოვა.

გაჩუმდნენ.

თვალი ოთახს მოავლო გიორგიმ. ქალის მშვიდ სახეს მიაჩერდა. შეპარული ასაკის კვალი ყელზე და ხელებზე ეტყობოდა მხოლოდ, რაღაცის თქმა დააპირა, თანაგრძნობის გამომხატველი, მაგრამ თვალებში, ეშმაკურად აქეთ-იქით მარბენალ გუგებს ჩახედა თუ არა, მიხხვდა, აზრი არ ჰქონდა რაიმეს თქმას. ესენი იმას აკეთებენ, რაც იციან და სხვა არც აინტერესებთ არაფერი, თუკი გამოსარჩენს ვერ ნახავენ.

— არასდროს არ გაგხსენებია, რა გრძნობით მოგყავდა სახლში ქუჩაში ნაპოვნი ლეკვები ან კნუტები?

— ხვალ-ზეგ, აღარავის ვენდომები, უკან, წვალების და დამცირების მეტი არაფერი დარჩა, ასე რომ გახსენებას მომავალზე ფიქრი სჯობია.

გიორგი წამოდგა. კარისკენ წავიდა, — ხვალ, ხუთი საათისთვის მივფრინავ, მაიას მოკითხვა გადაეცი, — უკან არ მოუხედავს, ისე გავიდა.

სცრიდა. ბინდმორეული ქუჩები ხალხით იყო სავსე. ყველა ჩქარობდა. ხალხს შერეული, ნელი ნაბიჯით დაუყვა დაღმართს. უკნიდან ვიღაც ქვევით მიმავალი დაეჯახა, ზემოთ მიმავალმა გვერდი გაჰკრა, ვიღაცამ გვერდზე გასწია, ვიღაცამ ფეხი დაადგა. ნაბიჯს მოუმატა. ზოგი გასწია, ზოგს შუაში გაუძვრა, ზოგს მოსახვევში შეასწრო, ზოგსაც პირდაპირ დაეჯახა, არავის არაფერი გაჰკვირვებია, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. ცოტა დააკლდა, გაქცეოდა დინებას; როცა დაძაბულობა და სიმძიმე იგრძნო, გაჩერდა, უკან მიიხედა.

უწესრიგოდ ადი-ჩამოდიოდნენ ჭიანჭველებივით მოფუსფუსე ადამიანების თავები. ბოლო არ უჩანდა დინებას.

გვერდზე გადადგა. ამოისუნთქა.

ტელეფონის ჯიხურთან, როგორც ყველგან, რიგი იდგა. დარეკა. კოლია შინ არ იყო, მაგრამ დაებარებინა, შვიდზე მოედნის საათთან მოვიდესო.

კარგა ხანს იბორიალა სასტუმროს წინ, ლამაზად მოპირკეთებულ პატარა მოედანზე. ისევ დარეკა.

— მაია მინდა!

— შენ რომელი ხარ?

— გიორგი.

ცოტა ხანს გაურკვეველი ხმები ისმოდა, მერე კი დაუკიდეს ყურმილი.

კოლია ორ უცნობ, გარეგნობით გამორჩეულ გოგოსთან ერთად მოვიდა. ნასვამი იყო.

გაუმჭვირვალ მინებში ჩამჯდარ შესასვლელს ახორხოცებული ხალხი შემოხვეოდა. არავის უშვებდნენ, მაგრამ კოლიას თვალი მოჰკრა თუ არა, კარი უცებ გააღო შავ კოსტიუმში გამოწყობილმა თეთრთმიანმა თადარიგის პოლკოვნიკმა. ოფიციანტმა „კარგ" ადგილას დასვა. ჩუმად ისიც შესთავაზა, რასაც სხვის სუფრაზე ვერ ნახავდით.

რამდენიმე ჭიქის მერე, ბახუსით გამთბარ გიორგის გონებას, უცხო გოგოების ცივი, უაზრო თვალები შეხვდა. დარბაზში ცეკვა დაიწყეს. არავინ იცოდა, რას ცეკვავდა, მაგრამ ყველას, ალბათ, საუკეთესო ეგონა თავისი თავი.

კოლიამ, გოგოებს და უაზროდ მოღიმარ ოფიციანტს კიდევ ერთხელ გააცნო გიორგი, მერე მოჰყვა, როგორ გადაუსხა სისხლი მაშინ უცნობმა შავგვრემანმა, ქუჩაში უპატრონოდ დაგდებულს და დაჩეხილს, მერე ყველამ ერთად ადღეგრძელა გიორგი. შებრუნებულ ოფიციანტს აღარ ახსოვდა მოსმენილი, არც გოგოებს გაახსენდებოდათ პირველივე ცეკვის შემდეგ.

თეძოებზე ხელების სმით აღგზნე-

ბულნი, გამძღარნი და გამთბარნი, სხვებთან ერთად აიშალნენ სუფრიდან. წინასწარ შეკვეთილ ნომერში ლაქიამ ააცილა. ღიმილით გააღო კარი და ღიმილითვე ამოაძვრინა იღლიიდან ერთი ბოთლი.

პატრონის მედიდური ღიმილით მიეძალა ქალს. ვნება სიშლეგემ შესცვალა და გიორგიც, ათასი ხელით ნაჭყლეტ, ნათურის შუქზე ვერცხლისწყალივით მოელვარე სხეულს დაეკონა. და, ალბათ, აღარც ახსოვდა ვიღაცის შიმშილი, ვიღაცის ტირილი, ვიღაცის გვემა სიმართლისათვის, ვიღაცის ტანჯვა უქონლობისათვის.

დაცლილი და დაღლილი, მძიმედ სუნთქავდა. დაჩაგრულივით შერცხვა უცებ. სიცარიელემ დაამძიმა და გაქცევა მოუნდა. ყველაფერს მისცემდა ეხლა, ოღონდ გაქცეულიყო, გაქცეულიყო და ეყვირა, რაც ძალა დარჩა. ქალს გაგდება დაუპირა, მაგრამ შეხედა თუ არა ჩამქრალ, უაზრო თვალებში, შეებრალა. — დაიძინეო, — მშვიდად უთხრა. გულის რევის შეგრძნება ყელში ადგა. მკლავი თვალებზე დაიფარა.

ზაფხულის არდადეგებზე სოფელში ჩამოსულმა, მეზობლის თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგონებმა მეგობარი ჩამოიყვანეს, ხათუნა ერქვა, გრძელი, ქერა თმა და დიდი, ლამაზი თვალები ჰქონდა.

ყველას და ყველაფერს ავიწყებდა იმის ნახვა ცამეტი წლის ბიჭს. ხშირად საბანაოზეც არ მიჰყვებოდა ტოლებს, როცა ისინი მინდორში ეგულებოდა. გზადაგზა მინდვრის ყვავილებისაგან თაიგულს შეკონავდა კლდის ჩრდილში, ხეობას გადამყურეებს რომ წაადგებოდა თავს, იმხელა ძალას გრძნობდა, მზად იყო, მეზობლის გათამამებულ მოზვერსაც შებმოდა, ხანდახან, პატრონს გამოქცეული, ხალხს რომ დააფეთებდა ხოლმე.

ძილის წინ, მწველი და მტანჯველი ოცნებით ივსებოდა, იმის ნატვრაში იყო, მალე გაზრდილიყო. სწამდა, მაღალი და ლამაზი გაიზრდებოდა, სადმე, შემთხვევით, ხათუნას მტირალს თუ ნახავდა, მოეფერებოდა. გაშლილ თმას უკან გადაუწევდა, ხელში აიყვანდა და ისიც ნაზი ხმით პატიებას სთხოვდა, სინანულით მიადებდა მკერდზე თავს...

ხშირად დასველებია თვალები ასეთ ფიქრებში.

საღამოობით, ტოლ-სწორებში გარეული, ჩუმად ადევნებდა თვალს მოკისკისე ხათუნას და თუკი ეტყოდა, ჩვენთან დაჯექიო, თან უხაროდა, თან კი, სწყინდა. სწყინდა იმიტომ, რომ ვერ ხვდებოდა მათი ერთად ყოფნის იმ საიდუმლოს დაფარვის აუცილებლობას, რომელიც თითქოს ორივეში გაჩენილიყო.

დიდი ბიჭებიც ხან რას აბარებდნენ ხათუნასთან და ხან რას. ესეც ყველაფერს საქებრად აკეთებდა და ისე მიჰქონდა, მაგრამ თუ ხათუნას ესიამოვნებოდა, გიორგის სწყინდა.

ორჯერ თენგომაც დააბარა რაღაც. ზუსტად არ ახსოვს, რა, მაგრამ შეულამაზებლად გადასცა ყველაფერი. არ უყვარდა თენგო, ვერც სხვები იტანდნენ ამ უქნარას. პატარებს არად აგდებდა, თუმცა, თავისზე უფროსებიც გამწარებული ჰყავდა. მეზობელი სოფლის „დღეობაში“ ვიღაცის დაჭრასაც ხომ მას აბრალებდნენ, მაგრამ პირში თქმას ვერავინ უბედავდა. თუ ხასიათზე არ იყო, ფეხბურთსაც არ ათამაშებდა არავის, ან სულაც გამოჰყრიდა მოედნიდან.

ერთხელ, ცხენით მივიდა საბანაოზე. როცა უთხრეს, მაგარია და შეიძლება გადმოგაგდოსო, შუადღემდე არბენინა. მერე კი, გაოფლიანებულსა და პირგაქაფულს, ალვირი მოხსნა და ხარხარით, მთელი ძალით გადაუჭირა წელზე. ცხენი განზე გახტა, სიმწრით რამდენჯერმე დაიფრუტუნა და გვერდულად წამოხედა მხედარს. ბიჭებს სიგარეტის წევით მიუახლოვდა. წყალი მომიტანეო, გიორგის სხვათაშორის გახედა. ყველამ გაუცინა, მხედრობაც მოუწონეს, გიორგიმ კი, შორია და მეზარებაო, მეტი ვერაფერი გაუბედა.

წიხლი როგორ მოხვდა, არ დაუნახავს, არც ტკივილი უგრძვნია, ტირილით კი იმიტომ იტირა, რომ უძლურო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ გაამწარა. სახლისკენ წამოსულმა ბევრი იფიქრა, როგორ დახვდებოდა და როგორ დასჯექდა პაპის ნაქონი თოფი, მაგრამ იმავე საღამოს, როცა ხათუნასთან ძალიან თბილად დააბარა რაღაც, ინანა ნაფიქრალი და ბოდიშიც მოუხადა, მოუყვა ყველაფერი. თენგო ახარხარდა, ბიჭებს დაუძახა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიცილით გადასცა მოსმენილი.

მიუხედავად ყველაფრისა, ხათუნასთან მისულმა დანაბარებიდან მაინც არაფერი გადააკეთა.

დღეები გადიოდა, ერთ დილით, ბიძას მთელი კოლოფი უცხოური სიგარეტი მოჰპარა და გოგოებს შინ შეუარა. არ დაუხვდნენ. მინდორში ავიდა, არც იქ იყვნენ. სოფლისკენ მეორე, მოკლე გზით წამოვიდა. ციხის ნანგრევებთან ქვის ნაშალ ღობეს გადაევლო, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და გახევდა. იქვე, კლდის ძირას, თენგო და ხათუნა, თვალდახუჭულები ეხვეოდნენ, კოცნიდნენ ერთმანეთს. ცოტა ხანს გარინდული უყურებდა, მაგრამ, როცა ბიჭმა კაბა წამოხადა, მოჰკურცხლა.

საღამომდე ხმა არ ამოუღია. ნანახი არ სცილდებოდა თვალიდან, ადრე დაწვა და გულამომჯდარმა იტირა. დილით სულ სხვანაირმა, უცხოდ დამძიმებულმა გაიღვიძა. წყალთან ბიჭები შეკრებილიყვნენ. შუაში თენგო იჯდა და ყველაფერს დაწვრილებით ყვებოდა. იმ დღეს ხათუნაც ჩვეულებრივი, შეფაკლული ღიმილით შეხვდა.

რამდენიმე წლის მერე, იმავე სოფელში, ნათესავის ქორწილში შემთხვევით შეხვდა თენგოს. დაცოლშვილებულს, ქერა ხუჭუჭი თმა მუქ ლურჯ თვალებს უფავრავდა. ისევ ისეთი როხროხა და შარიანი ჩანდა. გვიან ღამით წავიდნენ გიორგი და მისი მეგობარი შინ, გზაზე თენგო წამოეწიათ ცოლთან ერთად.

— მოდით აქ, რომლები ხართ?

გაჩერდნენ, არ განძრეულა.

თვითონ მიუახლოვდა. რამხელა გაზრდილხარო, ლოყაზე უჩქმიტა.

გადაუთეთრდა იქაურობა და თავისი ხელი თვითონვე დაინახა. ქალის კივილზე გამოერკვა. შორიახლოს თენგოს აყენებდნენ, წარბიდან სისხლი მოსდიოდა. იმ წუთას, ოდესღაც ნანახი, ნაცემი ცხენის თვალები ჰქონდა. ბევრჯერ ინანა ის ხელის გაქნევა.

გოგოს სულ შიშველს ეძინა გვერდით. თავი ნაზად დაედო გიორგის მხარზე.

ადგა. ჩუმად ჩაიცვა და ოთახიდან გავიდა. ლაქია კი გააფრთხილა, დილამდე ხელი არ ახლო, დაიძინოსო, მაგრამ წავიდა თუ არა, ლაქიამ ჯუჯღუნით გააგდო გარეთ, ნახევრად შიშველი ქალი.

წამოსვლისას, ბოლო წუთამდე ელოდა მაიას აეროდრომზე. ძალიან უნდოდა მოსულიყო და მიზეზი ეთქვა გუშინდელის გამო.

— გიორგი ბიძია! იქა ხესა ჭრიან!

— ჰა, რასა ჭრიან? — წინ ხუთი წლის მსუქანი პირმოთხუპნილი ბიჭი იდგა.

— წყალს რო გვასხმევინებ ხოლმე, ჰო, იმ ხესა ჭრიან.

ხმაურით დადიოდა სიცოცხლე შემოდგომის მზით გამთბარ ქუჩებში. სახლთან მისულიყო.

წარბები შეჭმუხნა და ადგილს მოსწყდა. ბავშვიც ყვირილითა და ყიჟინით მიჰყვა უკან.

ხესთან რამდენიმე ცულიანი კაცი იდგა. ოთარს ხერხი ეჭირა. მივიდა, ხერხი წაართვა და ხეს მიეყრდნო. ბავშვები ხეზე აძვრნენ, გაისუსნენ.

ცოტა ხანს თვალით ზომეს ერთმანეთი. ბუზღუნით წავიდნენ კაცები.

შუაღამეზე ხმაურმა გააღვიძა რამდენიმე მოსახლე. აივნებიდან ჯერ ხის მჭრელებს გადმოხედეს, მერე გიორგის სახლს. სინათლე არ ენთო და ჩუმად შევიდნენ სახლებში.

დილით ძირში მოჭრილი ეგდო გაყვითლებული ხე.

მოწმენდილ ცაზე ძალას იკრებდა ამომავალი მზე.

თენდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნოდარ კობერიძე

# რომ გაიმარჯვო, ერეტიკოსი უნდა იყო

რომანი

თბილისის მიწაზე ფეხს ვადგამ და უცბად ვშრიშდები. რაღაც მოუსვენრობის გრძნობა მეუფლება. ღამის არის, დამახრჩობ. ოცდაათი დეკემბრის ღამეა. ახალი წელი კარზეა მომდგარი, ყველა ჩქარობს, ფუსფუსებს, მეც ვიმუხტები.

საზეიმოდ აბდღვრიალებულ ქუჩებს ვაკვირდები. საათს ვუყურებ. მალე წლის ბოლო დღეც დადგება. მანქანაში გასუსულები ვსხედვართ. დოდიკა ისე მემშვიდობება, საახალწლოდ არც მპატიჟებს.

მარტო ვრჩები. თითქოს ამოვისუნთქე. ნუკის გაბრწყინებული თვალების წარმოდგენა გულს მიჩქროლებს. ჩანთას ხელით ვსინჯავ — შიგ ნუკისთვის ჩამოტანილი ნაძვის ხის სათამაშოები მეგულება. ვითომ მარტო ნუკისთვის? იქნებ, ჩემთვისაც. ნეტავ ნაძვის ხე გამართული არ ჰქონდეთ. მე მგონი, არც ექნებათ. სალომემ იცის, როგორ მიყვარს მისი მორთვა. ალბათ, მოუთმენლად მელიან.

აგერ ჩვენი ფანჯარაც. გაჩირაღდნებულია. გაბმულად ვასიგნალებ. ნუკი! ნუკი! ნუკი! ნუკი იყურება, სიხარულისგან აჩირაღდნებული სახე უჩინარდება და წამს ორნი ბრუნდებიან. სალომეც იღიმის. მისი ღიმილის ხიბლს უკუნეთშიც გავარჩევ.

მანქანის საბარგულიდან საგულდაგულოდ შეფუთულ ყუთებს ვიღებ. გუშინ მთელი დღე მაღაზიებში სირბილს მოვუნდით.

ნუკი ლიფტის კართან მელის. მეხუტება. სალომე სიხარულის დაფარვას ამაოდ ცდილობს.

სახლში შევდივართ. ოთახში აელვარებულ ნაძვის ხეს რომ ვხედავ, გული მწყდება, მაგრამ არ ვიმჩნევ. სალომეს ჩურჩულს, არ შომიხვენა. მანამ არ დამადგმევინათ, ბედნიერება მოაქვს. ჩანთას ვხსნი, ლამაზ ბურთულებს ვიღებ, სამივე ერთად ვამატებთ ნაძვის ხეზე. ახლაღა ვამჩნევ, სალომეს სახე ალანძვია.

— სიცხე ხომ არა გაქვს? — შევეკითხე შეშფოთებული.

— ჰო, ცოტა გავცივდი.

ეეხ, ოპერაციის შემდეგ, რაც უნდა სჭირდეს, მაინც ამბობს, კარგად ვარო. აშკარაა... ახლა არ არის მაგის დრო, მერე ლევანს დავურეკავ, იქნებ გასინჯვაზე დაიყოლიოს.

— გეშიება. შენი საყვარელი ჩაშუშული მოგიმზადე, — ვხედავ, მელანქოლია ღრღნის, — ციკნის ხორცი, მოგვიტანა ზაქრომ, ჩემს ძმას უყვარსო. მთელი სალამო ვხარშე დაბალ ცეცხლზე, თან ვნერვიულობდი, ვაითუ, დაიგვიანოს-მეთქი.

წელზე ხელს ვხვევ, ვიზიდავ, საფეთქელთან ვკოცნი.

— გამხდარხარ, თავს არ უნდა მიხედო?

ხელს მაშვებინებს, ცდილობს, შეუმჩნევლად გაისწოროს მკერდზე აკრული პროთეზი. ცოდვისგან ვიმდულრები, ნაძვის ხესთან მოფუსფუსე ნუკისთან მივდივარ, ხალიჩაზე ვჯდები.

— რა იყო, მამა, მოხმარება ხომ არ გინდა?

— ნათურები ხან ინთებიან, ხან არა. აი, ახლაც, მანამ არ შევარხიე, არ აინთო.

ტელევიზორში „პინპრაქალდან" სცენებს აჩვენებენ. სამოციან წლებში „პინპრაქის" დადგმას არ ვაკლდებოდით. რა მოდაში იყო მაშინ „ტრაქტორი" ბათინკები?

— მოგწონს? — ვეკითხები ნუკის.

ნუკი იცინის, თვალს მიკრავს.

— უხ, შე ეშმაკო, მოდი, გაკოცო, — ნუკი დამალვას ცდილობს, მოკუნტული თავს კაბის კალთაში იდებს, — როგორ მომენატრე, შე საძაგელო, — ხელში ვიტაცებ. — მამაჩემი როგორაა? — გავძახი სალომეს.

— სუსტადაა, ოცდათერთმეტში გელოდებით; დაურეკე, ნერვიულობს, ალბათ, მამუკა-

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც გიკითხა, ახალ წელს ბავშვი უნდა მოვანათლინოთ.

— ახალ წელს მონათვლა რამ მოაგონა?

ტელეფონთან მივდივარ, ვრეკავ.

„გისმენთ, ბატონო".

„როგორ ბრძანდებით, ბატონო შოთა?" — ვცდილობ, ხმაზე ვერ მიცნოს.

„ვერ გამაცურებ, შე გაფუჭებულო. როდის ჩამოხვედი?"

„ეს წუთია. ჯერაც არ მივაზმშვია. ხვალ დილიდანვე ყველანი გამოვცხადდებით".

ვგრძნობ, გული წყდება, გზად რომ არ გამოვუარე. რაც უნდა იყოს, ავადმყოფი დავტოვე. ასეთი რამ არ უნდა მეშლებოდეს.

„შემოვლა მინდოდა, მაგრამ ვიფიქრე, გვიანაა-მეთქი," თავის მართლებას ვცდილობ.

ვგრძნობ, რა მრავალმნიშვნელოვნად იღიმის.

„მაშინ არ გერიდებოდა, დილის ხუთ საათზე ბიჭები რომ მოგყავდა, სუფრა გაგვიშალეთო?"

„დედა როგორაა და, საერთოდ, რას შვრებით?"

„ვართ რა, ნელთბილად. მოსკოვში რა ამბებია, რა არის ახალი?"

„ისეთი არაფერი, რესტორანი „არაგვი" ჯერ არ გადაუტანიათ".

„არ იშლი, არა, შენსას? დაბერდი და ისევ მასხარად დარჩი. ნუკის თუ არ ძინავს, დამიძახე".

ყურმილს ნუკის ვაწვდი. ახლა ბაბუა-შვილიშვილი იჭიკჭიკებენ.

სამზარეულოში გავდივარ. პურს წვენში ვაწობ.

— იფ, იფ, განუმეორებელი კულინარი ხარ.

ვითენთები. დაწოლას ვაპირებ. ტელეფონი რეკავს. ნუკის ვინ მიასწრებს.

— მამა, ტელეფონთან

— ჩამოხვედი და დაიწყო, მანამდე არავის გავახსენებივართ, ცოცხლები ვიყავით თუ მკვდრები, — ბუზღუნებს სალომე.

— დაიწყე ახლა... რა იცი, ვინ არის.

„ინებეთ ჩამობრძანება, თქვენო აღმატებულებავ?" — დევი ძნელაძე თავის სტიქიაშია.

„ოო, დიდ ჰუმანისტს ვახლავართ. საიდან რეკავ?"

„მოხვალ თუ?..."

„სულ მაგ ქუჩაზე ვარ, ახალი წელი ჩავიშხამო".

„რა საჩუქრები ჩამოგვიტანე საახალწლოდ?"

ნაყლაპია და ლაპარაკის სადერლელი აშლია.

„ბებიაშენის გაქეთებული ჩურჩხელები. აბა, დამდეგ ახალ წელს გილოცავ, კარგად იყავი" — ვინც არ უნდა დარეკოს, შინ არა ვარ, — გავძახი ლოჯიაში ტელევიზორთან მოკალათებულ დედა-შვილს.

აბაზანიდან გამოსული თვალს ვასწრებ, სალომე მალულად რაღაც წამალს სვამს. ავი წინათგრძნობა გულს მიკაწრავს.

— ძილს ვაცხადებ! — გავძახი.

დაღლილს მალე მეკიდება რული.

ძილში ტირილის ხმა ჩამესმის. უცბად ვფხიზლდები.ირგვლივ უკუნეთია. სალომეს სახეზე ნაზად ვუსვამ ხელს — თითები ცრემლით მესამება.

— რა გატირებს, შე სულელო, — თვალებს ვუკოცნი.

— არაფერი... სულ აღარ გიყვარვარ?

— როდის დაგებადა ასეთი გენიალური აზრი?

— მითხარი, გეზიზღები?

— ახლა არ გამაბრაზო!

ვცდილობ, სადღაც მიძინებული ვნება გამოვაფხიზლო. ვგრძნობ, მთელი არსებით მიყვარს, მაგრამ... თვალს ვხუჭავ; ევას ვნებით ანთებული თვალები მიცოცხლდება, მისი სხეულის არომატსაც შევიგრძნობ, ღვივდება ცეცხლი და...

დარცხვენილი საბანში ვიმალები, მაგრამ ძილი საპატარძლოსავით გაპარულა.

მთელი მეორე დღე მოუსვენრად ვარ, ადგილს ვერ ვპოულობ. მხოლოდ თორმეტის ნახევარზე, როცა სასმისები წარაფით ივსება და მთელი ოჯახი სუფრას ვუსხდებით (რა თქმა უნდა, ცირას გამოკლებით), ოდნავ ვმშვიდდები. რაღაც გაურკვეველი ნაღველი მეუფლება გამუდმებით, თან გაუცნობიერებელი შიშიც მაწვალებს. ნეტავ, რას მოასწავებს ყველაფერი ეს? წინათგრძნობის ყოველთვის მჯეროდა. ღმერთო, მშვიდობიანი ახალი წელი გაგვითენე.

პურობა პირველ საათამდე გრძელდება. მამამ გვითამადა. ამან ყველას აგვიწია ტონუსი. ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, არც ფხიზელი მეთქმის, არც მთვრალი. სიამოვნებით მივაკითხავდი, როგორც დედაჩემი იტყოდა, ჩემს რომელიმე დამქაშს, მაგრამ, არ მინდა, სალომეს ახალი წელი ჩავუმწარო.

ოთახში ორნიღა ვრჩებით.

— სალომე, დაუკარი და იმღერე რამე, გთხოვ... — წამომცდა უნებურად.

გაოცებულია. ვეღარც ვიხსენებ, ბოლოს როდის დაუკრა, იმ დღის შემდეგ კი, თავის „გალა-კონცერტზე" რომ მიმიწვია, აღარ უმღერია. მე კი ერთხელაც არ გამხსენებია, ერთხელაც არ ამოვდგომივარ მხარში. ნუთუ რაღაც არარაობებისკენ სწრაფვამ ყოველივე ადამიანური ჩაკლა ჩემში?!

ვუახლოვდები. ცრემლით ავსებულ თვალებში მკვლელი სევდის ზარბოშს ვხედავ. ტუჩები უთრთის. მინდა, მოვეფერო, დავკოცნო... პიანინოსთან მიმყავს. თითები სერფინგის დაფასავით ლაღად დაჭრიან კლავიშებზე. მუსიკა გაუხედნავი ცხენივით ბრდღვინავს. სადაცაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიწყვეტს და წალეკავს. გადასვლაც განუმეორებელია — „მხოლოდ შენ ერთს...“ მინდა, დავიხარო, ვაკოცო, მაგრამ ვიცი, ახლა ყოველი ჟესტი დაარღვევს ჰარმონიას. შოპენის ნოქტიურნზე კვლავ ღელვა მიპყრობს, ვუახლოვდები.

სიჩუმე უცბად ისადგურებს. მუხლის თავებს ვუკოცნი, აკანკალებული მომყვება. მზად ვარ, ვნებით მოვაშთო...

კმაყოფილებით აღვსილი გულაღმა ვწევარ, ვნეტარებ... პირი გამიშრა, ვდგები, ჭიქას შამპანურით ვავსებ, სულმოუთქმელად ვცლი...

„გილოცავთ, გილოცავთ! სძინავს, არა, იმ ზარმაცს!“ ჩამესმის ხმა — ოთახში მცხეთელი ჰუმანისტი და მამუკა მონიავა იჭრებიან.

— მეც გილოცავთ, — ორივეს ვკოცნი,— რა იყო, თქვე ოხრებო, სახლიდან გამოგყარეს? — ვბუზღუნებ.

— ადე, ადე, წავედით, ბავშვი უნდა მომინათლო, — მამუკა მონიავა ნუკის შოკოლადის ფილას აწვდის.

— ხომ არ გააფრინე, რა დროს ნათლობაა ამ ახალი წლის დღეს.

— დედაჩემმა ისეთი სიზმარი ნახა, გადადების ვარიანტი არ არსებობს!

— სად მოვნათლოთ? — ვეკითხები ხვედრს შეგუებული. სვიტერს ვიცვამ.

— სადაც შენ გაგეხარდება.

— მაშინ — სამების ეკლესიაში. — ვუსვამ ბეჭედს.

პირს ვიბან. სალომე სააბაზანოში შემოდის, კარს ხურავს. ოქროს ჯვარს მაწვდის.

დედაჩემი ბიჭებს სუფრასთან პატიჟებს.

— მხოლოდ ერთი ჭიქა, დაგლოცავთ, — ამბობს ჰუმანისტი.

— მზად ხარ? წავედით, თორემ ლევანს მოთმინება დაელევა, — მომძახის მამუკა.

— ვერ ამოიყვანეთ?

— მერე საჭესთან შენ დაჯდები?

მოესწრო მამუკას შვილები. თალიკო, მე რომ უნდა მოვნათლო, უკვე თვრამეტი წლისაა. ბიჭიც მეთერთმეტე კლასშია. ახლა მაგათი დრო დგება! აი, სიბერის პირველი ნიშანიც, — ვწუწუნებ.

სამ საათზე უკვე სუფრას ვუსხედვართ. თამადა ნიკა ლომთაძეა, რა ბიჭია, ვინმეს დაუთმობს?!

სალომე, დიდი ხანია, ასეთ ჩინებულ ხასიათზე არ მინახავს.

საღამოთი ლევან ჩიქობავასთან გადავინაცვლეთ, ქეიფს იქ ვაგრძელებთ. სალომე ცოტა ადრე წავიდა, დაიღალა, „ვრემია“ დაწყებულა. წასვლის დროა. ლევანს არ ვაგებინებ, ჩუმად ვტოვებ მოქეიფეებს.

თოვს. ახალი წლის დღეს თბილისში თოვლი არც ისე ხშირია. არადა, ქალაქს როგორ უხდება! ცოტა სევდიან იერს აძლევს, მაგრამ როდის ყოფილა თბილისის საკარნავალო ქალაქი? მას მუდამ ტანჯვისა და წამების დაღი აჩნდა.

მათოვს. თეთრად ვიმოსები. რაღაც კაეშანი მეძალება. „ეჰ, ასეთია ჩემი ცხოვრება, იანვარს მოძმედ არ ვეძნელები...“

ნინო...

მიცემული პირობა თავს მახსენებს. ნეტავ თუ მელოდება? რა მივუტანო?

ხუთთუმნიან სუნამოში ას მანეთს ვიხდი, ბედად, შამპანურსაც ვშოულობ.

ნინო გახარებული შემომცქერის.

— აი, სიტყვაც შევასრულე. გილოცავ, მოდი, ჩამეხუტე.

მკოცნის, თავს მხარზე მაყრდნობს. ხელს ვხვევ, ოთახში შევდივართ. შამპანურს მაგიდაზე ვდგამ, ჯიბიდან სუნამოს ვიღებ. რა ბედნიერია!

— იყო ვინმე?

— დილით ჩემი შინაბერები იყვნენ.

— ო, მაგათი მეშინია. ყველანი მწარეები და დაუნდობლები არიან. ყველანაირად ვცდილობ, მაგათ საზოგადოებაში არ მოვხვდე.

— შენ წარმოიდგინე, უკვე მეც მაღიზიანებენ, — სახეზე ტკბილი ღიმილი დათამაშებს.

— ახლა რას აკეთებდი?

— არაფერს, ტელევიზორს ვუყურებდი.

— არ მელოდი?

მხრებს იჩეჩავს.

— რომ გითხრა, კი-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ იმედი მაინც ბჟუტავდა.

— მოგენატრე? — დავუსვი მეც თავის თავზე შეყვარებული ბიჭუკელას კითხვა.

მეხუტება.

— ძალიან, — ჩურჩულებს.

— ხომ არ ნანობ? — მეც ვეჩურჩულები.

იტრუნება.

— მითხარი, გთხოვ.

— ნეტავი შვილი მეყოლოს.

მართლა რომ გააჩინოს ბავშვი, რას ვიზამ? რა უნდა ვქნა, ოღონდ თავს ეულად ნუ იგრძნობს და...

შუაღამისას ვემშვიდობები.

სახლში შესული ყველა ოთახს ვაჩირაღდნებ. ტანთ ვიხდი, საბანში ვეხვევი.

ევას ნათელი მაღვიძებს, დინჯად ვიცვამ, ფანჯარასთან მივდივარ, თენდება. „დღეს ბედობაა,“ — ვამბობ ხმამაღლა, უჯრიდან ვალიდოლს ვიღებ. უკვე ვიცი — იმ ზღვისპირა ქალაქში უნდა წავიდე — დღეს ბედობაა!

სალომეს სახლამდე ფეხით მივუყვები. მანქანა ეზოში მელოდება. სიგნალიზაციას ვთიშავ, ქურდულად მივაგორებ. ბავშვობაში ბაიკალზე რომ ვიპარებოდით, ის მახსენდება. ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ ვერავინ გადამიდგება წინ! ლალად ვილიმი. მანქანას ვქოქავ. კარგი ამინდია, იქნებ ულელტეხილზე თოვლი არ იყოს.

სად მივდივარ? ვისთან, რა მინდა?

წავედი!

გზაჯვარედინზე გავდივარ. ეს ვიღაცაა, რა შლეგივით მოდის, აშკარად მთვრალია. ვაიმე, მგონი, მეჯახება!..

უველაფერი დამთავრდა. ახლა მთავარია, გავუძლო, ვიდრე ვინმე გამომიყვანს ამ დაწყევლილიდან. მკერდის არეში ტკივილი მიძლიერდება. „არა უშავს, მთავარია, ცოცხალი გადავრჩი, კარგი რამაა სიცოცხლე!" თავის ქალაში ნერვიული სენსორები ილიმიან. აი, ვიღაც მიახლოვდება, მაკვირდება, ცოცხალი ვარ თუ არა, აგერ მეორეც, მესამეც.. ხელით ვანიშნებ... ნეტავ რას ვანიშნებ? ალბათ, მინდა, მივახვედრო, რომ ცოცხალი ვარ. ახლა ნაღდად აღარ მოვკვდები!

რაა?

მეორე ოდისეაც მარცხით დასრულდა?! არა უშავს, ოდისევსი ხომ ცოცხალია!

II

ზაალ მინდიაშვილს იანვრის ბოლომდე მოუწია ლოგინში კოტრიალმა. გაუმართლა, მხოლოდ ნეკნები აღმოაჩნდა გატეხილი. ცხვრის დაკვლა მოგიწევსო, ეხუმრებოდნენ ექიმები. თავს უკვე მშვენივრად გრძნობდა (ბოლოს და ბოლოს, მის ცხოვრებაში მესამე შემთხვევა იყო, როცა არ მოქმედებდა და განა ერთი პირი ძილი წყალსაც არ უნდება?). აი, მტრის ურდოებივით შემოჭარული ეს ფიქრები რომ არა...

რას ფიქრობდა, რა აწუხებდა, რა აგოლგოთებდა?

სიმშვიდის პირველი გოდოლი ხალომემ დაუნგრია. კითხვით დაღლილს რული მოეკიდა, სულ ხუთი წუთით ჩათვლიმა. თვალი რომ გაახილა, სალომე შენიშნა, დაღლილ-დაქანცულს სავარძელში ჩასძინებოდა. სიტყვა „თავზარდაცემა" მთლიანად მაინც ვერ გამოხატავს იმას, რაც ზაალ მინდიაშვილმა შეიგრძნო იმ წამს: ცხადლივ დაინახა, სალომე ძარღვებად ქცეულიყო და ისინიც ძლივსღა ფეთქავდნენ. გული შეეკუმშა, თითქოს გასკდომას აპირებდა. „შეც როგორ დავეხმარე!" — გაუელვა.

სალომე, რაც ზაალს შეხვდა, მუდამ ორ ცეცხლშუა იყო — იქით სიყვარული ეგულებოდა, აქეთ — ოჯახი და ახლობლები. ზაალთან მის ურთიერთობას ხომ ვერა და ვერ დაარქმევდი იდეალურს — საყვარელიაო, ხშირად აგონებდნენ. ნუკისთვის გვარი რომ არ მიეცა და მამობა არ გაეწია, ალბათ, დიდი ხნის წინ დაუსვამდა ყოველივეს წერტილს, მაგრამ ნუკის გამო ყველაფერს ეგუებოდა, ანდა, ვინ იცის, მარტო ნუკის გამო? ირგვლივმყოფთა გამკირდავი მინიშნებები, ზაალს სხვაც ბევრი ჰყავს შენნაირიო, გულს უკოდავდა, მაგრამ მის გარეშე ყოფნა უკვე ვეღარ წარმოედგინა.

ყოველივე იმ დღეს ბრალდების ერთ დიდ კონად უცბად აზვირთდა და შეცბა ზაალი. პირველად გაუსწორა თვალი რეალობას, რომელსაც მთელი ეს წლები გულდაგულ ემალებოდა.

## ზაალ მინდიაშვილის დღიურიდან

15 აპრილი

დედის მოულოდნელმა გარდაცვალებამ უცებ დამაბრუნა ცხოვრების რიტმში. ეს სასაფლაოზე ადგილის შერჩევა და ყიდვა (ნიკას ავტორიტეტმა და ათასმა მანეთმა გაჰრა), ეს ქელეხისთვის მზადებაო და სხვა ათასი საზრუნავი იმის დროსაც არ მიტოვებდა, მიცვალებული დამეტირებინა. მხოლოდ დაკრძალვის მეორე დღეს გავისიგრძეგანე თავს დამტყდარი უბედურების მთელი ზარი. უცბად მომეძალა მარტოობის სევდა. იმავე დღეს სალომე და ნუკი საბოლოოდ გადმოვაბარგე ჩემთან, ხოლო კვირის ბოლოს ქორწინება ოფიციალურად გავაფორმეთ. ჯიბეში ქორწინების მოწმობა რომ ჩავიდე, თითქოს შვება ვიგრძენი.

„შეგეშინდა და იმიტომ აჩქარდი".

რისი უნდა შემშინებოდა?!

„ცოდვის, სალომეს ცოდვის".

კი მაგრამ, ამ ცოდვას ვინმე მომკითხავდა?

„ნამუსი".

ესე იგი, მაშინაც ვთამაშობდი?

„არა, მაგრამ ამაში ხედავდი ერთადერთ გამოსავალს, რათა თავი დაგეხსნა დაუკითხავად ატორლიალებული სინდისის ქენჯნისგან".

ახლა ხომ ყველაფერი თავისი რიგით წავა?

„ვითომ ზვიად გამდობილის ნათქვამს ბოლომდე ჩაწვდი?"

რატომ ხითხითებ, ნუთუ არ მოგბეზრდა? აბა, გამოსავალი არ მქონია და ეგ არის...

„გამოსავლის რა მოგახსენო, მაგრამ, ხომ გრძნობ, გზის კონტურები აშკარად გამოიკვეთა".

ვნახოთ.

სალომე რომ გადმოვაბარგე და სახლის დალაგებასაც მოვრჩით, თვალი მაშინღა გავუსწორე. რაღაც ნაღველში არეული ბედნიერი ღიმილი დათამაშებდა, ლალი განწყობა დამეუფლა, მივუალერსე, ვკითხე:

— ერთი მითხარი, როგორ მოახერხე, რომ, როგორც არ ვეცადე, შენს კალთას მაინც ვერსად გავექეცი.

თმაზე მომეფერა, ჩამჩურჩულა:

— აღმოსავლური სიბრძნეა: ქალი მუდამ სიმშვიდით სძლევს მამაკაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურში გავედი. საცაა, რამაზ გაგუას პროცესი განახლდება. ახალი მასალების შესწავლას შევუდექი. სხვა საქმეც ავიღე. ახლა უფრო იშვიათად მახსენდება, რომ ზღვისპირა ქალაქში ჩამეკარგა ოცნების ქალი. ნინოს ამბავიც მაწუხებდა. მთელი ორი თვე ქალაქში არ იყო, ბოლო, როცა მის ფანჯარაში სინათლეს მოვკარი თვალი, მაშინვე მივაკითხე.

ჩემს დანახვაზე შეცბა.

— საიდან გაიგე, რომ ჩამოვედი? — მკითხა.

— რა იყო, ხომ არ გეწყინა ჩემი მოსვლა, ან იქნებ, უდროო დროს მოვედი? — უცბად იხარა ეჭვის ჭიამ.

შეიფაკლა.

— ნუ ფანტაზიორობ, უბრალოდ, არ გელოდი. შემოდი.

— სად დამეკარგე, გული გამისკდა, რამე ხომ არ მოხდა-მეთქი.

— რა უნდა მომხდარიყო — შვებულება მქონდა, მერე შეუძლოდ ვიყავი და დასთან შევრჩი, ქუთაისში.

შევათვალიერე და... ერთხანს თვალს არ დავუჯერე.

— რა ფერი დაკარგე, — ნინო სკამზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე შემოიწყო, — კი, ბავშვი მეყოლება, მაგრამ, მერწმუნე, ეს ამბავი შენ არავითარ ხლაფორთში არ გაგხვევს.

ნინოს სიტყვებმა თითქოს ლოყა ამიწვა, ცხოვრებაში პირველად სათქმელი, დამეკარგა.

— მე თუ არ გამხვევს, აბა, ვის გახვევს?— ამოვიბურტყუნე ფრაზა-შედევრი.

ნინოს სახე დედოფლის მოწყალე ღიმილმა დაუფარა.

— სწორად ვერ გამიგე. უბრალოდ, შეგიძლია, გულდამშვიდებით იცხოვრო-მეთქი. ჩვენ, — ეს სიტყვა ყურს ტყვიასავით მოხვდა, — არ შეგაწუხებთ.

— მაშ, მე ულაყი ვყოფილვარ, — ახლაც ალტაცებაში მოვყავარ ჩემს პასუხს!

— აბა, როგორ გინდოდა? განა შენ იმ წუთებში სხვა რამეზე ფიქრობდი? — გაიღიმა, მაკოცა. — მაპატიე, ნუ მებუტები. ახლა ჩემს ცხოვრებას აზრი მიეცა. დედობის მოლოდინში უბედნიერესი ქალი ვარ.

ჩემი პასუხები უფრო და უფრო „იხვეწებოდა".

— ჩემთვის არაფერი უნდა გეკითხა?

— შენ რა, მკითხე, ამ ოთახში რომ შემოიჭერი და მთელი ცხოვრება თავდაყირა დამიყენე?

იმ წამს ყველა მოლოდინს გადავაჭარბე ჩემი მჭევრმეტყველებით:

— რამდენადაც მახსოვს, დიდად არც შენ გამოგიდვია თავი.

— ჰოდა, ხომ ხედავ — არცა ვნანობ. ახლა შეგიძლია მიბრძანდე!

შეურაცხყოფილი რა ზიზღით მიყურებდა. უსიტყვოდ გამოვიძურწე, რაღა მეთქმოდა? იმის მაგიერ, გამემხნევებინა, გამეთბო, შევაგინე ჩემი შვილის მომავალ დედას! ახლა ერთადერთი იმედი მასაზრდოებს — ბავშვი რომ გაჩნდება, იქნებ მერე მაინც შემინდოს.

კიდევ ერთი ამბავი — ლევან ჩიქობავას ცოლი მოჰყავს!

იმ დღეს გამოგვეცხადა და მოგვახარა: დღეს ქალს ვნიშნავ და შენ, დოდიკა, მონიავა და მცხეთელი ჰუმანისტი უნდა წამომყვეთ სასიმამროს ოჯახშიო.

— ჰუმანისტი რაღა ეშმაკად გინდა, შეიძლება მაგის გამოჩენა ასეთ ადგილზე? ხომ დააფრთხო ხალხი!

— ეგ ჩემი საქმეა და, თუ ვინმეა დასატოვებელი, ეს შენ ბრძანდები, მაგრამ, როგორაა: „გულს რა ვუთხრა, გულს..."

ნიშნობამ, როგორც იტყვიან, უმაღლეს დონეზე ჩაიარა. როგორც კი ავიშალეთ, დევიკომ ხელკავი გამომდო და დავწინაურდით.

— ნანული რომ თხოვდება, თუ იცი? — მკითხა, როგორც კი ბიჭებს დავშორდით.

— რომელი ნანული? — ვერ მივუხვდი.

— სანდრიკას ქვრივი.

არ გამკვირვებია. მეტიც: დიდი ხანია, მოველოდი კიდეც ამას.

— ვის აბედნიერებს?

— რა ვიცი, ჯანდაბისკენ გზა ჰქონია, საქმე ისაა, რუსიკო დეიდას და მაიკოს ქუჩაში ტოვებს.

— მაიკო ხომ თავისი შვილია, კაცო, რაფერ გამოაგდებს?

— ვა! თან არ მიჰყავს, ბინიდან ორ წილს თხოულობს და, გამოგდებაა, აბა, რა ჯანდაბაა?!

— მაგის გამბედნიერებელი, რაო, ზედსიძედ მობრძანდება?

— არა, სახლი აქვს, მაგრამ ნანულის ეს ორი ოთახი ბიჭისთვის უნდა, პირველი ქმრისგან რომ ჰყავს. აივანზე სარეცხის თოკიც კი ჩამოუხსნია, ჩემია და დედამთილმა სარეცხი არ გაფინოსო.

— გადაირია ეგ ნაბოზარი?

— რა მოვახერხოთ?

— შენი ამბავი რომ ვიცი, სიძეც გეცოდინება, ვინ არის.

— ვიცი და გადაირევი, რომ გაიგებ. ოცდაექვსი წლის ბიჭია.

— მერე, იმ უპატრონოს ჭკუის დამრიგებელი მაინც არ ჰყავს?

— ერთი ქლიავია, მშობლები აღარ ჰყავს, თავად მგონი არფაზე უკრავს, — დაიჯღანა.

უცბად მივხვდი, ბოლო ცნობა დააბრეხვა.

— ნუ ახურებ, — გამიღიმა, — ისე, აუწყვია ნანულის საქმე და ეგ არის. კი, მაგრამ ამხელა ინფორმაცია შენ საიდან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რუსიკო დეიდამ დამირეკა, მიშველეთ, დამეხმარეთო. მანამდე თავისიანებისთვის უთხოვია, მაგრამ იმათ თავი შორს დაუჭერიათ: შენი ბოზი რძალი უკადრებელს იკადრებს და ოჯახებს ვერ ავიწეწავთო.

— შენ რომ იცოდე, არა ტყუიან. ეგ ისეთი წუნკალია, ყველაფერზე წავა. რა მოვიფიქროთ?

— მივიდეთ, დაველაპარაკოთ, დავემუქროთ, იქნებ რამე გამოვიდეს.

— დაემუქრები და ისე დაგემუქრება, სახლში მისულიც არ იქნები, მთელი უშიშროების კომიტეტი თავზე დაგადგება. ხომ არ გგონია, კანონები არ იცის. ერთ ჩემს კოლეგასთანაც დაქალობს, რა ქვია, ღმერთო, გამახსენე. ხო, ეთერი, მაგათ ახლა ყველაფერი გათვლილი ექნებათ. ეჰ, მეტი გამოსავალი მაინც არა ჩანს.

მეორე დღეს კვირა თენდებოდა. გადავწყვიტეთ პირველი საათისთვის ვსტუმრებოდით. დევიმ იმავე ღამეს დაურეკა, ბიჭები ამოსვლას ვაპირებთ და სახლში დაგვხვდიო. დილაადრიან მოქმედების გეგმა უკვე შედგენილი მქონდა.

როგორც მოველოდი, ეთერიც ნანულისთან დაგვხვდა, ეს ჩემს წისქვილზე ასხამდა წყალს. ახლა მთავარი იყო, არ შეჩქარა.

— კოლეგას ვახლავარ, როგორ გიკითხოთ? — მოვიკითხე დიდი ამბით.

— ყავას ხომ დალევთ, ბიჭებო? — ნანული უცებ გაგვიშინაურდა.

— გმადლობთ, მე არ მინდა, — ფანჯარასთან მივედი, ფარდა გადავწიე, — მოვიდა გაზაფხული. კარგ დროს ცვლით ბინას, ამ ზაფხულს რემონტსაც მოასწრებთ.

ნანულიმ ცრემლი გადმოყარა.

— ხანდრიკას შემდეგ აქ ველარ ვჩერდები. დედამთილსაც ვერ ვეგუები და რა ვქნა, იძულებული გავხდი, გადამედგა ეს ნაბიჯი.

— იმიტომაც მიგაქვს ორი ოთახი? — შეუბღვირა დევიკომ.

ნანულიმ სიგარეტს მოუკიდა, ეთერს გადახედა, ის კი ყავის ჭიქას ჩაშტერებოდა და ხმას არ იღებდა. ამან ნანულიც დაამშვიდა, ოღონდ ეგაა, გაბოროტებულ თვალებს ვერაფერი მოუხერხა.

— დევი, გთხოვ, დამაცადე, — სავარძელში ჩავეშვი.

— ვერავინ ვერც ბინის გაცვლას დაგიშლის და ვერც გათხოვებას, — ნანული წამოენთო. — შენი საქმის შენ იცი, მაგრამ მთელი ბინა რომ მიგაქვს და ბებია-შვილიშვილს ერთი პატარა ოთახისამარა ტოვებ, ეგ როგორი საქციელია?

— აგრე არაა, თაყათ, შენ რომ მამული გაბყავთ, — ჰუმანისტის სიტყვები ბოლო წვეთი აღმოჩნდა.

— თქვენ ვინ გეკითხებათ! — უხსენებელივით იწივლა. — ეთერ, დაო, ამათ დამაქვრივეს. — საჩვენებელი თითი შხამიანი მახვილივით მოგვაბჯინა, — წაიყვანდნენ, დაათრობდნენ, დააპროგრამებდნენ. მოვიდოდა ის უბედური, გამოლენჩებულ თვალებს დააბრიალებდა, მილეწ-მოლეწავდა ყველაფერს და მიეგდებოდა. თვეები გადიოდა და გვერდზე კაცი მეწვა თუ იალაკის საწმენდი ჯოხი, ვერ ვიგებდი. ბოლოს წამლებით სულდგმულობდა, მთელი ჩვენი ბიუჯეტი წამლებში მიდიოდა. რამდენჯერ დავურეკე ამის ცოლს, — ჰუმანისტზე მიანიშნა, — თორემ ამას ცოლი ვინ მიაქვავა, — გადმომკრა, — შევევედრე, ჩამოგვაცილე როგორმე შენი ქმარი-მეთქი, მაგრამ მოგცლია. მერე უფრო მეტი შემართებით დაუწყეს გაგიჟება. ისიც კი დამწამეს, უფროსთან გლალატობსო. ამისთვის გაილახა კიდეც საცოდავი. ესენი კი მაინც არ მოეშვნენ, მანამ ბოლო არ მოუღეს. ვერ გაიხარებთ ჩემი ცოდვით, არ შეგრჩებათ, არა, ჩემი ასე გამწარება! — ცხვირი მოიწმინდა, სიგარეტს მოუკიდა. — ხომ ხედავ, ახლა რა მოუგონიათ — თხოვდებიო.

— არა ხართ სწორი, ზაალ, არ გეკადრებათ მარტოხელა ქალის ასე დაჩაგვრა, — ჩაერია ეთერი.

— რა უნდათ ჩემგან, მეც თავი ხომ არ უნდა მომაკვლევინონ?

მივხვდი. სიტუაცია მომწიფდა. ეთერს შევხედე, სიგარეტის კოლოფი კოჭივით ავაგდე. — არ დაჯდა, არ გიმართლებთ, — გავუღიმე.

— ეთერ, საყვარელო, ერთი ის მითხარით, იმ საცოდავს. — გვარი და სახელი ნაღდად არ ვიცოდი, ამიტომ უნდა მეთამაშა, — ორმოცდაათი ათასი რომ გამოართვით და მაცივარში წილში ვერ გაიყვანეთ, ეს საქმე აქტივში გეთვლებათ თუ პასივში? ერთი კი ვიცი, თქვენი მსხვერპლი გაჩუმებას არ აპირებს, ორი დღის წინ რჩევისთვისაც მომმართა, — თუ ბლეფია, ბლეფი იყოს. — გავიფიქრე; წამს შინაგანმა იმპულსმა მამცნო, მიზანში მოხვდა, — ხვალზეგ, ალბათ, საჩივარს შეიტანს პროკურატურაში. რა თქმა უნდა, მოუხსენიებელი არც ჯემალ დოლიძის სახელი დარჩება, რადგანაც დარწმუნებულია, ისიც გადის საქმეში. საჩივრის შავი პირი მანქანაში მაქვს. ახლა დაუფიქრდით, რა სუნი ასდის ამ საქმეს და უახლოესი წლების განმავლობაში რამდენადგილიანი კამერა დაგჭირდებათ. — იქედნურმა ღიმილმა სახეზე ტალღასავით გადამირბინა, — აბა, გამოთვალეთ, აწონ-დაწონეთ და მერე მიპასუხეთ.

დარტყმა იმდენად ძლიერი და მოულოდნელი იყო, გაოგნებულები ერთხანს ხმას ვერ იღებდნენ.

დავახანე, მერე მკვლელი ღიმილით განვაგრძე.

— ვთქვათ, ყველაფერს შევეშვით და საქმე უფრო მარტივად წარმოვიდგინეთ. მე რომ ჯემალ დოლიძესთან მივიდე და ვუთხრა, შენი ნასაყვარლევი შენი სახელით შენს ზურგს უკან საქმეებს აკვარახჭინებს-მეთქი, როგორ გგონია, ეს მაფიოზა თავზე ხელს გადაგისვამს თუ ყელში სამართებელს? მით უმეტეს, თუ მივახვედრებ, რომ არ გამიჭირდება მის უწყებებში სათანადო ორგანოს დაგეშილი ნაგაზები შევუშვა. იცის მან, რომ ძვლებსაც არ დაუტოვებენ გამოუხრავს.

კარგი. ჯემალ დოლიძესაც შევეშვათ ერთი წუთით. აი, იმ სახივრის შავი პირი კოლეგიაში რომ წარვადგინო, როგორ გგონია, შენს იურისტულ პრაქტიკას დიდი დღე უწერია?

ახლა დუმილი მთელი საუკუნეც რომ გაგრძელებულიყო, ხმის ამომღები აღარ ვიყავი. უკვე ვერსად წამივიდოდნენ, ყოველ ზედმეტ სიტყვას კი, შეიძლება, ნაადრევად ჩაეკეცა ხაფანგი. საჭირო იყო ლოდინი!

— რას მოითხოვთ? — ეთერმა ყავის ჭიქას თავი ანება.

— ორ ოთახს და კარგად იყავით.

— კარგი, მოვიფიქრებთ.

— არა, მოფიქრების დრო ხადაა! ხვალვე შეგაქვთ განცხადება გაცვლის ბიუროში. მეც დაგეხმარებით, ასე რომ, არ გაჭანჭლდება.

— მერე, გარანტია?

— რისი? აა, იმას ცოტა ხანს გავაჩერებ; მანამდე, ალბათ, ფულს მოუყრით თავს. სახივრის შავ პირს კი ორდერში გადაგიცვლით. მოდის?

ეთერმა დაქალს ოდნავ შესამჩნევად ანიშნა.

— მოდის! — ამოღერღა ნანულიმ.

— ალბათ, გაფრთხილება არ გჭირდებათ, რომ ჩვენი დიალოგი კონფიდენციალურია, — გასასვლელისკენ გავემართე.

— ქალბატონ რუსუდანთანაც არაფერი წამოგცდეთ, — ღევის ხმაში მუქარა გამოსჭვიოდა.

როგორც კი მანქანაში ჩავსხედით, მცხეთელი ჰუმანისტი მეცა.

— შე გაფუჭებულო, თუ ამდენი რამ გქონდა ხელთ, რაღას მანერვიულებდი, ვერ მითხარი დროზე?

გავიღიმე, მუხლზე ხელი დავარტყი.

— დამიჯერე, ყველა სიტყვა ბლეფი იყო. ამას წინათ ვიღაც ყვებოდა, ვერაფრით გამიხსენებია — ვინ, მაგ ამბავს, თორემ იმ უბედურის გვარსა და სახელს ხომ მაინც გავიგებდი. გამოსავალი აღარ გვქონდა და ავანტურაზე წავედი. შერლოკ ჰოლმსივით ყველაფერი დედუქციური მეთოდით გადავწყვიტე, — გავიბლინძე. — შედეგი კი ხომ ნახე — უსიტყვო კაპიტულაცია!

— შაგარი ხარ, მაგრამ, რომ გასკდეს?

— რას ამბობ, იმ უბედურმა, რამდენიც უნდა იძახოს, არ მიჩივლიაო, ახლა ვინლა დაუჯერებს. ერთი დაიმახსოვრე: ისტორიულად ინტრიგის მომხუსხველი ძალა კომპრომეტაციაშია.

— მართლა შაგარი ვინმე ხარ, — გაიმეორა. — ახლა მანქანა დააყენე და შამპანურს ვკისრულობ — დაიმსახურეთ, ბატონო ზაალ.

— კი, ბატონო, — უცბად შევიფერე.

— სად წავიდეთ? მომშივდა კიდეც. გახსოვს, ბიჭობისას რომ იძახდი, საჭმელი არ გვინდა, თორემ მუცელი მოგვექონება და ვეღარ დავთვრებითო?

— აბა, სასმელი მისდღემში არ გვყოფნიდა და...

შუაღამე კაიხნის მოტანებული იყო, იუზა სანებლიძეს რომ მივადექი, გაოცდა, შეცბა, ნამძინარევი თვალები ერთი სამჯერ მოიფშვნიტა, სამზარეულოში ფეხაკრეფით შემიძღვა.

— უბედურება ხომ არაა რამე?

— აუცილებლად უბედურება უნდა იყოს, კაცმა რომ მოგინახულოს? გაგაღვიძე, არა?

— არა უშავს, ადრე ვიძინებთ, დილით უთენია ვდგებით და... — მომიბოდიშასავით.

— ისე, მართალი გითხრა, საქმეზე ვარ, — სამზარეულოს თვალი მოვავლე, მზერა ჩაბნელებულ ოთახზე შევაჩერე. — მომენატრე კიდეც, როგორ ეტევით ექვსი სული ამ ერთი ციცქნა ოთახში.

— რას იზამ, საბანი სადამდისაც გვწვდება... ისე, მპირდებიან რაღაცას.

— საიქიოსაც გვპირდებიან ბედნიერ ცხოვრებას და დავიკრიფოთ, აბა, გულზე ხელი. რომელ კლასშია უფროსი?

— თინა წელს ამთავრებს სკოლას, დიმიტრი მერვეშია, გოგი — მეექვსეში, თამთა — მეოთხეში.

— მათემატიკური სიზუსტით გიმუშავია. რას შვრები, არაფრის დამლევი არა ვარ ახლა მე, — მაცივრის კარი მივუხურე. — შენ ეს მითხარი, ბინის გაცვლაზე რა აზრისა ხარ?

— ლამაზი თვალებისთვის ვინ გამიცვლის, ისე კი ვის რად უნდა ჩემი დაძონძილი ოთახნახევარი.

— მე მინდა, სალომე მთლიანად გადმობარგდა ჩემთან, გამოკეტილ ბინებზე კი, ხომ იცი, ახლა რა ამბავია. ჰოდა, დაკარგვას ისევ შენ გაგიცვლი. ამ ბინაზე მაინცდამაინც არ შემომედავებიან, იმას კი არავინ შეგვარჩენს, მეზობლებს უკვე გამზადებული ექნებათ საჩივარი. ასე რომ, შენც კმაყოფილი დარჩები და მეც.

— მაშაყირებ? ვითომ რაღა მე მიცვლი. ცოტაა ხალხი, ასეთ ვარიანტს გაფაციცებით რომ ეძებს და გვარიან ფულსაც უმატებენ. განა ჩემსავით არიან რო... — ბოლმა მოაწვა. — მერე რომელი ალმასკოში დაამტკიცებს ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცვლას, ვინ დაიჯერებს, რომ რაიმე ანგარებასთან არა აქვთ საქმე.

— კაცო, ეგ საქმე მე მომანდე. რაც შეეხება ანგარებას, მე, რა თქმა უნდა, მაქვს ჩემი მიზნები, — „რა მიზნები მაქვს, რა მოვიფიქრო?" — გამიელვა. — მაგრამ ეგ არაა შენი საქმე. შენ ხილი იგემე, მებაღეს რას კითხულობ.

— სიმართლე მითხარი, რა ჩაიფიქრე? — უჯრიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა.

— დამიჯერე, ნუ გეშინია, ხათაბალაში არ გაგხვევ. მითხარი, თანახმა ხარ?

— ზაალ, არ გეწყინოს. ხომ გიცნობ, რა კაცი ხარ: რამე ავანტურა რომ არ გქონდეს ჩაფიქრებული, არ არსებობს. რად გინდა, მაცდუნო, ბოლოს და ბოლოს, ჩემი შვილები მაინც არ გეცოდება?

ნერვები ამეშალა. ერთი ხანობა ვიფიქრე, წავალ და მოვრჩები-მეთქი.

— იუზა, ჩვენს სიყრმის მეგობრობას ვფიცავარ, — ხომ გჯერა ჩემი ფიცის, — არაფერი ცუდი ამ საქმეს არ მოჰყვება. დამიჯერე, მართლა ეგრე უნამუსო გგონივარ?

— არ ვიცი, მოვიფიქრებ, — საკმაოდ მშრალად მიპასუხა. — ისე, შენ ვინ რას წაგართმევს.

— მიდი, დაამთავრე, დაამთავრე, — წყენა ყელში მომაწვა, — სხვას არ წავართვა, არა? უკანასკნელად გეკითხები, თანახმა ხარ თუ არა?

— ვნახოთ, ქეთინოსაც ვკითხავ.

— ნუ შემშლი ჭკუიდან! აქ რაა საკითხავი?! ხვალ დილით სახლში მომიცადე და პირდაპირ გაცვლის ბიუროში წავალთ.

ულვაში მოიწიწკნა.

— ჯანდაბას, რაც არის, არის! ცხოვრებაში ერთხელ მეც გადავდგამ დაუფიქრებელ ნაბიჯს.

— ახლა გამოიღე, რაც მოგქონდა და ჩვენი საქმე დავლოცოთ.

ანკეტები მეორე დღესვე შევავსეთ. ყველაზე მეტად ხალომეს თანხმობის მიღება გამიჭირდა, მაგრამ, როგორც იქნა, დავარწმუნე, რომ გრანდიოზული საქმე მქონდა ჩაფიქრებული, რომელიც დიდ მოგებას მოგვიტანდა, ოღონდ ახლა თქმა არ შემეძლო.

სანებლიძეების ოჯახი ყოველ ჩემს ქმედებას ეჭვის თვალით კი უყურებდა, ყოველ ჩემს ნათქვამს ათასნაირად ზომავდა, მაგრამ მაინც მოჯადოებულებივით გვერდიდან არ მშორდებოდნენ.

ერთ კვირაში ყველა საბუთი მზად მქონდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ალმასკომმა უარი გვტკიცა, — აშკარად ანგარებიანი კომბინაციაათ. ახლა სასამართლოში შევიტანე სარჩელი — აქ კი ველარ დამამუხრუჭებენ.

„ხაით მიყავხარ ასეთ სახეცვლილებას, რატომ არ ფიქრობ?"

ადამიანურობისკენ, თორემ სიცოცხლე აღარ მინდა. აპრილის დასაწყისში გადავწყვიტე, ფული მომეგროვებინა. ვიფიქრე, რამაზ გაგუას ოჯახს დავეხმარები-მეთქი. მაგრამ... მოგცლია ერთი! ბიჭების უმრავლესობას კაპიკი ვერ გავაგდებინე. კაცს რომ უანგაროდ ათასობით მანეთის პატივი აქვს ნაცემი თითოეული მათგანისთვის, ამის გახსენება არავის უნდა. რამაზ გაგუა ახლა უკვე ანგარიშში ჩასაგდები აღარაა, ასე რომ, შეგიძლია ტყუილად არ დაიხარჯო, — აი, მთელი მათი ფილოსოფია.

„კარგი, რაც თქვი, მართალია, მაგრამ სალომეს რატომ უმალავ ბინის გაცვლის ამბავს. ადრე თუ გვიან ხომ მოგიწევს სიმართლის თქმა, ხომ გაიგებს, რომ არაფერი „გრანდიოზული" არ გქონია ჩაფიქრებული? დარწმუნებული ხარ, სალომე მოგიწონებს საქციელს?"

სალომე... სალომე.... სალომე?!

7

იუზა სანებლიძესთან ბინის გაცვლის საკითხი გაჭიანურდა. ზაალი ადგილს ვერ პოულობდა. ყველაზე მეტად მაინც ის აღელვებდა, რომ სალომეს სჯეროდა, მისი ქმარი რაღაც დიდ საქმეს აწყობდა და დიდ შემოსავალსაც გამომკრავდნენ ხელს; ჯერჯერობით არაფერში ეროდა, ფიქრობდა, ეს ქალის საქმე არ არისო, მაგრამ შედეგი რომ დიდ სიკეთეს მოუტანდათ, ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა. ზაალი კი სიმართლის გამჟღავნებას დღიდან დღემდე სდებდა...

ცხოვრება მიტაატებდა.

ნიკა ლომთაძე გაზეთის რედაქტორად გადაიყვანეს... მცხეთელი ჰუმანისტი, ყველასთვის მოულოდნელად, საავადმყოფოში გაიშოტა. ეს ამბავი მისმა მეგობრებმა ისე მიიღეს, როგორც მსოფლიოს მერვე საოცრება. ვერავის დაეჯერებინა, რომ შეიძლებოდა დევი ძნელაძე ავად გამხდარიყო. ვინ იცის, რას არ უგონებდნენ: ეს — საქმე დასაჭერად აქვს; ეს — სახლში უკმაყოფილება მოსვლია და გამოქცეულაო და სხვა ათასი. ლევან ჩიქობავას შეშფოთებულ სახესაც არად აგდებდნენ, მასშიც თამაშის ერთ-ერთი მონაწილის აზარტს ხედავდნენ. ზაალმა მეგობრის ავადმყოფობა მაშინ ირწმუნა, როცა ერთი კვირის თავზე საავადმყოფოში მოინახულა. ჰუმანისტი აღარ იცნობოდა: სახე დამშვიდებოდა, ფერზე მოსულიყო და, რაც მთავარია, სიყრმის მეგობრის თვალებში ძველებური სილაღე ჩასახლებულიყო.

ზაალს კაეშანი შემოაწვა. ბოლო დროს ხშირად იყო უხასიათოდ — ნამდვილი მიზეზი თავადაც არ იცოდა. ივნისის ბოლოს ცოტა იმან გაახალისა, რომ სალომე აგარაკიდან მოკეთებული დაბრუნდა, იმავე საღამოს ერთი მოულოდნელობაც აღმოაჩინა: ნუკი ქალობაში შედიოდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარძელში მოკალათებულმა შვილს თხოვა, ტელევიზორი ჩართეო.

— უჰ, — აბუზღუნდა ნუკი, — როგორც კი დამინახავს, რომ არ დამსაქმოს, ისე არ შეუძლია.

როცა ნუკი ტახტზე მოკალათდა და მუხლებზე კაბა შეისწორა, გაოგნდა. ამის შემდეგ ცდილობდა, შვილთან უფრო ახლოს ყოფილიყო, აღედგინა მეგობრობის ის უხილავი ძაფები, რომელიც სადღაც გაფანტვოდა. დროს მოიხელთებდა თუ არა, შვილს მანქანაში ჩაისვამდა და აღმა-დაღმა დაჰქროდნენ. ეს იყო, როგორც თვითონ ამბობდა, მისი ცხოვრების ბედნიერი წუთები და, ყოველნაირად ცდილობდა, ახლა მაინც აღარ დაერღვია ძლივს აღდგენილი ურთიერთგაგება.

ერთხელ სალომესთან ერთად საკონცერტო დარბაზსაც ეწვია, მაგრამ... პირველი განყოფილების დამთავრების შემდეგ მოსვენება დაკარგა, ძლივს გასძლო ბოლომდე, მერე კი გვიან ღამემდე დახეტიალობდა თბილისის უკაცრიელ ქუჩებში.

რაღაც შეუცნობელი ძალა ზვიად განდობილისკენ ექაჩებოდა, მაგრამ ენერგიის მაქსიმალური დაძაბვით ხძლია ცდუნებას.

სალომე პირველ ხანებში ქმრის ასეთ მდგომარეობას რაღაც თანაგრძნობით ეკიდებოდა, მაგრამ მერე და მერე იმასაც გალიზიანება დაეტყო.

— რა მოგდის, აღარ იტყვი? რაც ამ სახლში შემოვედი, გაღიმებული არ მინახიხარ. ასეთი არც ოჯახი მინდა და არც ცხოვრება. თუ შენს საქციელს ნანობ, აქ რომ გადმოგვაბარგე, თქვი და წავალთ, თორემ სულ გატყიურდი და ჩვენც ნერვები დაგვაცალე.

ზაალმა პასუხი დაუგვიანა, თითქოს აზრს თავს უყრიდა, აკი თავადაც არ იცოდა, რა ღრღნიდა. ბოლოს ნაღველშეპარული ხმით ამოღერღა:

— რაღაცა მჭამს. მეც ვერ გამირკვევია, რა მჭირს. ეს კი ვიცი: ახლა თქვენც რომ მიმატოვოთ, გიჟის ხალათს ვერ გადავრჩები.

სალომემ თავი დახარა.

— კაცმა რომ გკითხოს, სისხლსავსე ცხოვრება გაქვს და ხალხის სიყვარულით მოცულს თავის მოსაფხანი დროც არ გრჩება, მაგრამ, რომ გიყურებ, ასე მგონია, მარტოსული ხარ და მარტოს უნდა გაგელია შენი წუთისოფელი.

ზაალს ქალის სიტყვები გულზე მოხვდა, უფრო მოიქუფრა. პირველად ამდენი წლის განმავლობაში, სიტუაციას ვერ ფლობდა. ადრე თუ კარგი დირიჟორივით წარმართავდა თავისი ცხოვრების ორკესტრს, ახლა ორკესტრანტები თითქოს აღარ ემორჩილებოდნენ მის მაგიურ ძალას.

...ივლისის ათში სანდრიკას დაბადების დღე იყო. ბიჭებს გადაურეკა, სასაფლაოზე ავიდეთო. ვერც ერთმა, თვით დოდიკა ალექსიძემაც კი, ვერ მოიცალა, ბიძებად ქცეული ბიჭები უფრო სერიოზული საქმეებით იყვნენ დაკავებულნი!

## ზაალ მინდიაშვილის დღიურიდან

16 ივლისი

ვიდექი სანდრიკას საფლავთან და ვფიქრობდი: კაცი, რომელიც საკუთარ ძმაში არ გამოგვერჩეოდა, ასე უცბად, თითქმის უკვალოდ როგორ უნდა გამქრალიყო ჩვენი ცხოვრების გრაფიკიდან. ღმერთმა ადამიანს ყველაზე დიდ სასჯელად, ალბათ, სიყვარულის დავიწყების უნარი მოუვლინა.

„ტყუილად იწვალებ თავს, უჯიგროდ სიყვარული არარაობაა".

მერე ეს ჯიგარი სად გაქრა, ადრე ხომ თითქოს ჭარბადაც გვქონდა.

„აბა, მიმოიხედე და ერთ რამეს მაინც თუ დაინახავ, რაც ჯიგრით კეთდება, დაიჯერე, სვეტიცხოველი კიდევ აიგება!"

ვფიქრობ.

უსულგულობის, უჯიგრობის უამრავი მაგალითი მახსენდება: თუნდაც რუსთაველის პროსპექტის დასასრულთან ამოძირკული ჭადარი. განა შეეძლო თბილისზე შეყვარებულ კაცს, ეს ჩაედინა?

ადამიანში ადამიანობის დამადასტურებელი საბუთი, რატომღაც მგონია, გულისხმიერება უნდა იყოს. გულისხმიერი კაცი ღალატს და სიბოროტეს არ გაიკარებს. დღესდღეობით კი ყველაზე მეტად, ალბათ, სწორედ გულისხმიერება გვაკლია. ამბობენ, ეპოქის ბრალია, გულისხმიერების დრო წავიდაო. აბა, რისი დრო დადგა, რისი?

„როგორმე ყოველგვარი საშუალებით დღეცისმარე გაუმწარო მოყვასს და ამით უფრო უკეთ წარმოაჩინო საკუთარი პერსონის ძლევამოსილება".

მაგას ვერ დაგიჯერებ. შევარდენი ხომ მტაცებელია, მაგრამ ისიც კი თავისი ბუდის მახლობლად არ ნადირობს, არც სხვას აძლევს ამის უფლებას, რათა მყუდროება არ დაურღვიოს თავის კალთას შეფარებულ უმწეო ბარტყებს. ეს ბატმაც კი იცის და ამიტომ ბუდეს თავისი დაუძინებელი მტრის მახლობლად იკეთებს. ჩვენ კი, ნუთუ ისეთი უსულგულონი გავხდით...

●

აღდგომა დღეს დედის საფლავზე გავედით, მერე მე და დოდიკამ სანდრიკას საფლავს მივაკითხეთ. სანდრიკას საფლავს რომ მივუახლოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით, თითქმის ორივე ერთდროულად ადგილზე გავშეშდით: ხაფლავის ქვასთან ნაწული და მისი ახლად შერთული მეორე ნახევარი მოკალათებულიყვნენ.

ადამიანის გახრწნას, ყოველგვარი ზნეობრივი ნორმების უარყოფას შევსწრებივარ, მაგრამ ასეთი რამ პირველად ვნახე. გაგიგიათ, ხალხო, ქალს ქმრის საფლავზე მისი შესანდობარის დასალევად (აი, რა რქებს გადგამო) სარეცლის ახალი მოზიარე მიეყვანოს? ამას, ალბათ, მხოლოდ ურჯუკი დედაკაცის გახრწნილი გონება თუ დაუშვებს. მიცვალებულის ხსოვნის უფრო მეტი შეურაცხყოფა იქნება?

დოდიკას სახეზე თაგვისფერი ლასდებოდა და ერთიანად ცახცახებდა.

უცბად ადგილს მოსწყდა, ძლივს მოვასწარი, პიჯაკის კალთაში მივწვდი.

— რა ქუჩის ბიჭივით იქცევი. სირცხვილია.

— გამიშვი, მე მაგათი მანძუკი დედის... — იღრიალა.

— გაჩერდი, სანდრიკას ხსოვნას ეცი პატივი, ხომ ხედავ, ყველა ჩვენ შემოგვცქერის.

— სანდრიკას ხსოვნა რა შუაშია! ვერა ხედავ, მკვდარსაც არ ასვენებს. სწორედ თქვენისთანებმა მიიყვანეს ეგ საცოდავი მაგ ზომამდე.

— რეებს როშავ! — გული ამოვარდნაზე მაქვს, ძლივს ვსუნთქავ.

— რა მოგივიდა? გულზე მოგხვდა? ჰო, ჰო, შენ და შენისთანებმა გაიმეტეთ სასიკვდილოდ. აბა, სხვა რა სახელი შეიძლება დაერქვას თქვენს ნამოქმედარს. ყველა თქვენი სიტყვა, საქციელი აქეთ არ უბიძგებდა? ზვიად განდობილმა ორჯერ შეაჩერა. — „ნეტავ რა უთხრა?" — გამიელვა. — მაგრამ ვიდრე ჯალათებმა თქვენი მიწის არ ალასრულეთ, არ მოისვენეთ. გამიშვი ხელი, თუ ძმა ხარ, მე ჩემს გზას მოვნახავ.

ახლაც თვალწინ მიდგას საყვედურით და სიმწრით ავსილი დიდი თვალები.

თავქვე სირბილით დაეშვა. მე კი სინანულის თუ დანაშაულის მძიმე ტვირთი დამიტოვა, რომელიც სულს მიხუთავდა და მოშთობას მიქადდა.

უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ დამიბარა, გადავწყვიტეთ, მომავალ არჩევნებში მოსამართლის კანდიდატურად წამოგაყენოთო.

თავი სიზმარში მეგონა. ეს ხომ მთელი ჩემი ცხოვრების ფარული, ქვეცნობიერში ჩამარხული ოცნებაა. თავმჯდომარის კაბინეტიდან გამოსული დიდის საფლავზე ავედი, მიწაზე დავემხე და ავქვითინდი.

მოსამართლე!

მოსამართლის მიერ გამოტანილი განაჩენი ხომ კაცის განვლილი ცხოვრების ან დასტურია, ან უარყოფა, რომელსაც არა მარტო ბორკილი (ამას კიდევ აიტანს კაცი!), არამედ მთელი მომავალი ცხოვრების აზევება-დაღუპვა შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ, თუ ფრთხილად არ იმოქმედე და ადამიანს სიკეთის რწმენა ჩაუკალი, საშვილიშვილოდ მოსწყვეტ ადამიანურობას და შემდგომ არსებობას წამებად უქცევ.

მოსამართლე!

მოსამართლეს ისე უნდა ეპყრას პროცესის სადავეები, რომ იქ მომხდარი ყოველი ეპიზოდი მის წარმოსახვაში ცოცხლობდეს და, ამავე დროს, მოქალაქეობრივ, კაცურ, ადამიანურ სიმაღლეზე რჩებოდეს.

მოსამართლე მართალი კაცი უნდა იყოს და სიმართლის არ უნდა ეშინოდეს.

მოსამართლეს უნდა შეეძლოს მსაჯულად მოევლინოს საკუთარ თავს.

მითხარი რამე, რას დადუმებულხარ?

...მიგიხვდი. საკუთარი განწმენდით უნდა დავიწყო, არა?

დოდიკა კარის ზღურბლთან დგას და მიღიმის.

— ხომ არ გაგაღვიძე?

— როდის აქეთ ასეთი მორიდებული! შემოდი, რას უდგახარ.

— მაცივარში „ბორჯომი" გაქვს?

— ნახე, არ ვიცი, თუ გინდა, პიტნის ნაყენს დაგალევინებ.

— არ იქნება ურიგო.

— როგორ მოხდა, ნამთვრალევი სიფათი არ გაქვს? — ვიცვამ.

— ვისვენებ. ჰო, მართლა, შენი ვალი რამდენი მაქვს?

— რა ვალი, რას ლაპარაკობ.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოს. გამომივიდა მეორე ჰუმანისტი. თუ მხარში ამოდგომა გინდოდათ, ლოდინად კი არ უნდა ქცეულიყავით, ფულს როდისა გვთხოვსო; კარგად მოგეხსენებოდათ, უმუშევარიც ვიყავი და არც ჩემი წიგნი ჩანდა ჰორიზონტზე. მაგრამ არ გვინდა ახლა ამაზე. ხუთასი გეკუთნის, არა?

რა დაუნდობელი თქმა იცის! ხელები მიხურს. ბაქოში მიღებული კონვერტი მახსენებს თავს. როგორ ეწერა, ეს შენ დაგვპირდებაო.

— ჰო, ხუთასი, — ვლუღლუღებ, — მაგრამ არ მეჩქარება, სხვა დროს მომეცი.

— სხვა დროს მე არ მექნება. — ფულს მიწვდის.

— დაყარე მანდ, კომოდზე.

ვეუბნები და თავჩახრილი სამზარეულოში გავდივარ.

— პიტნა სიცოცხლის ელექსირია... დღეს რას აკეთებ? — ვაპარებ მორცხვად, იქნებ სადმე შევიტყუო.

— რესტორანში მპატიჟებ? ჯერ ერთი, არ ვსვამ, მეორეც — ეგ ფული იმისთვის არ მო-

მიტანია, ისევ მე დამაბარჯო. ისე, თუ გცალია, ბაზალეთზე ავიდეთ, ხინკალზე დაგპატიჟებ. სალომე სად გაქრა, წავიყვანოთ.

— სკოლაში ჩავიდა, ნუკისთან. შენ რა ქენი, მოძებნე შენი ადგილი იმ ნახატში?

ერთხანს სერიოზული სახით მიყურებს, მერე მოწყალედ მიღიმის.

— არა. ჯერ თქვენ გელოდებით.

— ჩვენ რა შუაში ვართ?

— ბოლომდე ხომ უნდა გაიხსნათ! ახლა ჩემთვის აჩქარება, შეცდომის დაშვება აღარ შეიძლება.

— როგორ გგონია, მალე მოხდება ეს? — ხმაში გალიზიანება მეტყობა.

— მეცხრე, სულ ცოტა, მერვე თვეში ხართ.

— მაშინ ერთი თხოვნა ამისრულე: „დარდად გამოყოლილი მოგონებები", აი, ის ნახატი, ბიჭები ტრამვაის რომ ახტებიან, მაჩუქე.

— ასეთი სურვილი ავტორს უნდა გაუჩნდეს, ისე არ მოხერხდება.

— მაშინ მომყიდე.

— რამდენს მომცემ?

— ათას მანეთს.

— ცოტაა.

— აბა, რამდენი გინდა?

— ოო, — დოდიკა გულის ჯიბიდან სიგარეტს იღებს, — მაგდენი არ გექნება.

— შენ შენი თქვი, იქნებ მაქვს.

— არა, ვერ გადამიხდი. გული არ მინდა დაგწყვიტო, ამიტომაც არ გეუბნები.

— რა ღირს ამისთანა, გამაგებინე. თუ მეფისტოფელივით სანაცვლოდ სულს მოითხოვ?

ისე იღიმის, ერთი სული მაქვს, ვლეწო.

— დაახლოებით... ათი ნაღდი ლექსი დამიწერე, და შენი იყოს.

— რამდენი? — წნევა მივარდება. „კაენი!"

— ათი ნაღდი ლექსი. დაუფიქრდი, კარგად დაუფიქრდი, რა გითხარი. ახლა წავედი.

— მოიცა, ბაზალეთზე აღარ მივდივართ? — სასა მიშრება, მაინც როგორ აშაკრა ჯვარს.

სადარბაზოსთან ვშორდებით, უხმოდ ვემშვიდობებით ერთმანეთს. მანქანას კი ვქოქავ, მაგრამ, საით წავიდე, რომ არ ვიცი?

ჰო, დღეს ჩემი სიძის დაბადების დღეა, უფრო სწორად, ყოფილი სიძის, რამდენი ხანია, აღარ მინახავს. თიკა მართლა დიდებული გოგო დადგა, მის ქმარსაც აქებენ. დღეს, ალბათ, გავიცნობ, საღამოს აუცილებლად მივალ, მაგრამ, — საათს ვუყურებ, ჯერ თერთმეტია, — ახლა სად წავიდე? ვის მივადგე. ათი ლექსი? ათი კი არა, ნეტავ, ერთი ნაღდი ლექსის დაწერა შემეძლოს...

გული მეწურება.

მაგრამ იქნებ ამ ცეცხლში გავლაც აუცილებელია, თემიდას უმწიკვლოდ რომ ვემსახურო? იქნებ უამისოდ ვერ შევძლო თემიდას სასწორზე სიზუსტის დაცვა?

იქნებ?

უცბად გადავწყვიტე — ზვიად განდობილთან მივდივარ!

ზვიადი, ჩემდა გასაოცრად, ეზოში, ვარდებთან ფუსფუსებს.

— არ მელოდი? — ვეკითხები.

თავს იქნევს უარყოფის ნიშნად.

— არა. მაგრამ კარგია, რომ მოხვედი.

— როგორ ცხელა, არა? — ვამბობ სხვათა შორის:

— შენ უსაქმოდ არ მოხვიდოდი, სახლში შევიდეთ. — მეუბნება.

ვარდებს შევყურებ. ზვიად განდობილის ოთახის წარმოდგენაც კი მთრგუნავს, წელში მწყვეტს.

— აქ მირჩევნია, — ვამბობ ნაჩქარევად.

— ჩამოჯექი.

ხის კუნძზე მითითებს.

— ერთი რაღაც მინდა გკითხო, — სიტყვას ვეძებ.

— ალბათ, გაინტერესებს, რითი ვცხოვრობ, რითი ვსულდგმულობ, — თვალებში სითბო უდგება, — მაქვს თუ არა კავშირი გარესამყაროსთან.

ჰო, მაინტერესებს.

— გარესამყარო ხომ თავადა ხარ, მეტი რა კავშირი მინდა. სხვა საზრუნავი მოსწავლეებს აქვთ ნატვირთი.

— მუსიკას ასწავლი?

— არა, პირველ რიგში, სიცოცხლის ტრფიალს.

— სიცოცხლის ტრფიალს?! ეგ როგორ უნდა ასწავლო?!

— ოთახში რატომ არ შემომყევი?

— აქ მირჩევნია და იმიტომ.

— აი, მაგას ნიშნავს სიცოცხლის ტრფიალი. მარტივია, მაგრამ ზუსტია და სწორი. ეგ — ხუმრობით. ახლა მითხარი, რისი თქმა გსურდა, პასუხი მანდაც იმალება.

აფორიაქებულმა არც ვიცი, რისთვის მოვედი. მერე ევა მახსენდება და წვრილად ვუყვები ჯერ მისი გამოცხადების, მერე შოსკოვში მასთან შეხვედრის ამბავს, მის სიზმარსაც ვუყვები

— რატომ გგონია, რომ სატანა იყო?

— ვიცანი.

— სხვა სახით გამოცხადებას, ნეტავ, თუ ირწმუნებდი?

— რას ნიშნავს „სხვაგვარად გამოცხადება?"

— ის, რასაც ძალუძს პოეტური სამყაროს შექმნა, უკვე ტრანსცენდენტალური სამოსით იფარება. ტრანსცენდენტალურის გააზრება კი შეუძლებელია ზებუნებრივი დაძაბვის გარეშე.

არასოდეს გიფიქრია, რატომ არის, რომ კაცი უჭმელი ორ თვემდე ძლებს, უსმელად — დაახლოებით ერთი კვირა, უჰაეროდ კი, ბევრი — ბევრი, სამი წუთი გასძლოს. — გინდაც გეფიქროს, ამას მხოლოდ ფიზიოლოგიურად ახსნიდი, მე კი სულ სხვა რამეს გეტყვი — ჰაერში სულ სხვა ღვთაებაა. ჰაერთან ერთად ღვთაებრივ ძალას ვისუნთქავთ. სწორედ ეგ აძლებინებს ადამიანს აქ, თორემ, დიდი ხანია, მისი სახსენებელი აღარ იქნებოდა. ჰაერით გვეძლევა ძალა, რომლითაც სიცოცხლეს შევიცნობთ. შენ იმ წყნარ საღამოს სატანა კი არა, სიყვარული გამოგეცხადა ევას სახით. ღმერთმა ამხელა მადლი გცხო, მაგრამ, რადგანაც ასეთი გამოცხადება არაფრით ეტეოდა გონიერების ჩარჩოებში, სატანურად მონათლე. ღვთის წყალობაში უწმინდური ძალა დაინახე, თუმც ღმერთმა კიდევ ერთხელ გიწყალობა: პირისპირ შეგახვედრა, მაგრამ აქაც ვერ დაინახე წყალობა. სწორედ მაგიტომ გადაგიკეტა შემდგომ გზა და, ოდესმე კვლავ რომ მოინდომო ევასთან შეხვედრა, უზარმაზარი განსაცდელი გადაგეღობება და დარწმუნებით იმასაც ვერ გეტყვი, კიდევ აქვს თუ არა თქვენს შეხვედრას აზრი.

— ახლა რა ვქნა?

სიბრალულით ალსავსე მზერას მაპყრობს.

— მე შენ ახლა იმ ჯვაროსანს მაგონებ, რომელმაც ქრისტეს საფლავზე მუხლმოხაყრილად მთელი სამყარო გადასერა, მერე, მუხლის მოყრის მაგიერ, ადგა და საფლავი გაძარცვა. ჩემი ნათქვამი გონით მოგისმენია, არადა, გულით უნდა გესმინა, გულით გეხილა და გზასაც დაინახავდი, თუმცა ჯერ კიდევ არაა გვიან. მიუგდე ყური შენი მაჯისცემას და მიხვდები, ეს იგივე დედამიწის მაჯისცემაა, მსოფლიო მდინარეების სრბოლა და შენი სისხლის მოძრაობის მიმართულება ერთ კანონს ემორჩილება, ვითარცა ოკეანეს, შენც გახასიათებს მიქცევა და მოქცევა, ღელვა და ტაიფუნი; ყური მიუგდე საკუთარი გულის ბაგაბუგს და მოგესმება დედამიწის გულში მომწყვდეული ლავის ხმაური. ვინ იცის, რამდენი „ინფარქტი" გადაუტანია დედამიწის გულს? ამის დასტურია უამრავი ჩამქრალი თუ მოქმედი ვულკანი. ბოლოს მაინც სუნთქვის შეცნობა სცადე, იქნებ ამით სამყაროს სუნთქვაც შეიგრძნო და, თუ ამას შესძლებ, გეცოდინება, როგორ მოიქცე.

ზვიადის სიტყვის ძალა მახევებს. მართლაც, სიტყვის ჰიპნოზს ვერაფერი შეედრება. პირველად იყო სიტყვა... ვფიქრობ, ვუთხრა თუ არა ჩემი მოსამართლედ წამოყენების ამბავი?

ვუთხრა თუ არა?

არა, არა, ეს ჩემი საქმეა და მევე უნდა გადავწყვიტო.

წასვლა მინდა, მაგრამ ადგილიდან ვერ ვიძვრი. ზვიადი ზურგით შებრუნებულა და ვარდს სხლავს. ვიძაბები, უჩუმრად, ფეხაკრეფით ვიძურწები, არადა, კიდევ ერთი კითხვა ამეკვიატა: ნეტავ, დიდხანს აპირებს სიცოცხლეს? დოდიკა რაღაცას ჩაწვდა, რაღაც ისეთი იგუმანა, რაც ჩვენთვის, ორივესთვის ჯერჯერობით შეუცნობელია.

ხეივანს მივუყვები. ვცდილობ, რაიმე კონკრეტულზე ვიფიქრო. მაგრამ ფიქრები შეთქმულებივით ირევიან და მოსვენებას ვკარგავ. წამის წინ გაელვებული თითქოსდა გენიალური აზრი მეორე წამს ან ატმოსფეროში შემოჭრილი მეტეორივით იწვის და აღარ მახსოვს, ანდა საოცრად ბანალური ხდება.

ორი სრულდება.

შუაღამე კაი ხნის გადასულია, სიძის კარზე ზარს რომ ვრეკავ. პირველი თამრიკო მეგებება.

— სად დაიკარგე, ასე უნდა? აღარც გელოდით, — მეხვევა, მკოცნის.

— რაღაც საქმეში გავეჩხირე, მაგრამ ამაზე მერე. ახლა პირველ რიგში შენი ქმარი გამაცანი.

ოთახში სუფრასთან ორნი შემორჩენილან — ვახტანგი და სიძე, ჩვენი სიძე!

— მოპუქპუკე სიძეებს ჩემი სალამი! თამრიკო, მოდი ჩემთან. ესაა შენი ქმარი, არა? მაშ, გავიცნოთ ერთმანეთი, — ჯიბიდან იაპონურ საათს ვიღებ, მაჯაზე ვუკეთებ, — დახედე დროს და დაიმახსოვრე: ამ წუთიდან ჩვენი სიყვარული მარადიულია.

— ოხ, ოხ, შენ რომ ეგ ენა არ გქონდეს...

— ვახტანგი მეხვევა, — დღეს რომ არ მოსულიყავი, ცხოვრებაში ხმას არ გაგცემდი.

8

ივლისის შუა რიცხვებში რომ დაცხა, მერე გაწვიმება აღარც უფიქრია. იუზა სანებლიძესთან ბინის გაცვლის საკითხი სასამართლოს დღე-დღეზე უნდა განეხილა. ქალაქიდან ვერც ზაალი და ვეღარც სალომე ვეღარ გავიდნენ ბოლო ხანებში სალომე მალულად ხშირად ისინჯავდა მარცხენა ძუძუს, სიცხეს აძლევდა, მაგრამ ექიმთან წასვლაზე ჯიუტად აცხადებდა უარს. ზაალს უძილობა შემოეჩვია. ნერვიული გადაღლის ბრალიაო, უხსნიდა ლევან ჩიქობავა. მართლაც, რამდენი რამ წაეწყო ერთმანეთს, მარტო სანდრიკას ამბავი რად დაუჯდა! „ამ ზვიად განდობილსაც ჩემდა ჰირად გადავეყარე. იმან სულ ამირია დავთრები", — ფიქრობდა გამუდმებით. ევას გახსენება აღიზიანებდა და, ამავე დროს, ანდამატივით იზიდავდა საპორტო ქალაქში ჩაკარგული ქალი. ერთიხანობა ირაკლი ქავთარაძისადმი მიძღვნილ წიგნზე მუშაობდა, მაგრამ ფაქტთა ღრმად წვდომამ და ზოგიერთთა ნიღაბჩამოხსნილი სახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანახვამ, ლამის იყო, კაცთა მოდგმა შეაძულა. ბოლო ხანებში წიგნზე მისჯილივით მუშაობდა.

აგვისტოს სამში ბინის გაცვლის საკითხი, როგორც იქნა, მოგვარდა. მალარიჩს რომ ხვამდნენ, იუზამ კვლავ წამოიწყო ამბოხი.

— არა, მე მაგ ბინაში ვერ შევალ.

— ვითომ რატომაო, ისევ შეგაწუხა იდეებმა?

— ამ საქმეში აშკარად რაღაც იმალება. მთელი სიცოცხლე გამაწამებს ეჭვი.

— კაცო, ხომ გითხარი, აგიხსენი. ახლა რა ბზიკმა გიკბინა?

— რაღაცას მაინც მიმალავ.

— ასეთი რა შემამჩნიე, სულ რომ აღარ მენდობი?

— შენი მთელი არსი ცხოვრების აბორდაჟით დაპყრობაა და ახლა გინდა, დამაჯერო, რომ მაინცდამაინც ამ საქმეს აკეთებ უანგაროდ?

ზაალი უკვე მოთმინებას კარგავდა. ერთი ხანობა იფიქრა, კარგად გამოვთათხავ და მოვაჰკუაზეო, მაგრამ მიხვდა, ამით საბოლოოდ დააფრთხობდა.

— კი, იმალება, — გამოუცხადა და გაიფიქრა: „რა მოვიგონო, რა ვუთხრა?“

— აკი გეუბნებოდი. ვიცოდი, რა! — იუზა სანებლიძე გამარჯვების ღიმილმა გაბადრა, — აბა, ამოღერღე.

„ვუთხრა, რომ, უბრალოდ, მინდა, დავეხმარო? რას დამიჯერებს!“ — გაუელვა.

— კაცობას გეფიცები, არავის ეხება. უბრალოდ, ჩემი საიდუმლოა, — თვალი მრავალმნიშვნელოვნად მოუჭუტა. — გამიგე, კაცები არა ვართ?

იუზა დაიბნა. კამათის გაგრძელება აღარ უნდოდა. გონს ადრევე მოვიდა, მაგრამ პატიოსნად გამოსვლის გზას ეძებდა. ახლა, როცა ზაალმა მიზეზი, ასე თუ ისე ვითომ აუხსნა, უცბად დამყვა, თუმცაღა მშვენივრად გრძნობდა — სიმართლე სულ სხვაგან იყო. არადა, იცოდა, ახლა რომ კომპრომისზე არ წასულიყო, სახლში ველარ დაბრუნდებოდა. ერთიც ამშვიდებდა: შინაგანად არაფერი აწვალებდა. პროტესტის ნიშანწყალიც აღარსად ჩანდა.

— ოღონდ ახლა ერთ რამეში მეც უნდა დამეხმარო.

— კი ბატონო, თუ რამე შემიძლია... — სათავგურში მომწყვდეული თაგვივით აწრიალდა იუზა.

— სიტყვამ თუ მოიტანა, სალომესთან იტყვი, გარიგების საიდუმლოზე ისეთი პირობა მომეცი, რომ ვერაფრით ვერ დაარღვევ. სალომე პატივს გცემს და არ ჩაგეძიება.

— მაგაზე გაწუხებს?

— მაშ, გაგვიმარჯოს. ავეჯი დილაზე გადავიტან-გადმოვიტანოთ.

მეორე დილიდან გაქაფული დარბოდა. შუადღისთვის უკვე მორჩა საქმეს. სახლში ქანცგაწყვეტილი მიბრუნდა და პირდაპირ მაცივარს ეცა. ყინულივით წყალი ერთბაშად ჩაცალა, ტახტზე წამოწოლილ სალომეს გვერდზე მიუჯდა.

— როგორა ხარ, საყვარელო? — სალომემ ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

— ოჰ, რახან ამ საქმეს მოვრჩი, რაღა მომკლავს.

— აბა, ეგა თქვი. კი ამოვიხრჩეთ აქ მთელი ზაფხული.

— ნუკი სადაა?

— ზემოთ, დანელიებთან.

— ხვალ შვებულებაზე განცხადებას დავწერ და პარასკევს ავუხვამთ შოვისკენ.

— ეგ კარგია, მაგრამ... მე რომ სხვა რამეც მაინტერესებს?

ზაალს გულმა რეჩხი უყო.

— მშია. საჭმელი გაქვს რამე? — წამოდგა.

— ერთ წუთს დაჯექი, რაღაც უნდა გკითხო.

ზაალი ტახტზე ჩამოჯდა, სახეზე ღიმილი გადაიკრა.

— აბა, გისმენ.

— ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მითხრა, რამდენი აიღე გაცვლაში?

ზაალ მინდიაშვილს პირი ექცა, დაიზაფრა. ამ კითხვას კარგა ხანია ელოდა, მაგრამ პასუხის გაცემა ახლა კი არა, კარგად იცოდა, საერთოდ გაუჭირდებოდა.

— რომ გითხრა, არაფერი-მეთქი, დამიჯერებ? — გამომწვევი მზერა მიაპყრო.

— აფერისტობას თავი ანებე. მე ხომ კარგად გიცნობ, რა შვილიცა ხარ. ბოლოს და ბოლოს, ის სახლი ჩემი იყო და ხომ მაქვს უფლება, სიმართლე ვიცოდე.

— დამიჯერე, მართლა არაფერი ამიღია.

— შენ მე სულელი ხომ არ გგონივარ. გაცვლაზე იმიტომ დაგთანხმდი, რომ ორი დღე დამრჩენია და მინდა, ბავშვს რაღაც დავუტოვო.

სალომეს პასუხმა არა მარტო შეხძრა, შეაშინა კიდეც. იმასაც მიხვდა, ახლა ამ ქალთან საერთო ენის გამონახვას ვერ შესძლებდა.

— სანებლიძეებთან ხომ ხარ ნამყოფი, — ზაალმა დაახანა, მერე, რაც არის, არისო, იფიქრა და განაგრძო, — მოდა, აბა, ან რა აქვთ, ან რისი მომცემები იყვნენ. ხელფასიდან ხელფასამდე თავი გაჭირვებით გააქვთ. სიდუხჭირემ დაიჩაჩანაკა იუზა ასე, თორემ... უჰ, შენ რა გახსოვს. როგორც გინდა, გაიგე, ისე გავაკეთე უველაფერი. კაცურად დავეხმარე. ჩვენ არც გვიჭირს და არც ამდენი ბინა გვჭირდება.

— ზაალ, ნუ გადამრევ! — სალომე სადაცაა იფეთქებდა.

ზაალმა კარადის თავზე მდგარი ლარნაკიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა. თავბრუ დაეხვა მაინც გააბოლა.

— სალომე, გაიგე: ვაჩუქე, ისე ვაჩუქე ის ბინა, — ზაალს სახეზე ყვედრება აღბეჭდვოდა. ახლა რომ ერთი თბილი სიტყვა წამოსცდენოდა ამ ქალს, მუხლებს დაუკოცნიდა.

— როგორ აჩუქე, — სალომემ კოპები შეიკრა, — ვისი აჩუქე? ვისი ქონებით ჩაიდინე ასეთი გმირობა, რა უფლებით დაგვტოვე დედაშვილი უსახლკაროდ?

— განა ეს ყველაფერი თქვენი არაა? — ზაალმაც აუწია ხმას.

— არა, ბატონო, ეს ყველაფერი შენი და იმ ქალისაა, ჩემს შემდეგ რომ მოაბრძანებ აქ. ნუკი კი გაძარცვე, უნამუსოდ გაძარცვე! თუ ასეთი ქველმოქმედი ბრძანდებოდი, შენი ბინა ვერ მიეცი? ჩვენ რას გვერჩოდი, რას!

სალომეს ცრემლი წასკდა. ზაალი აწრიალდა, დაიბნა.

— განა ეგრე არ მოვიქეცი? მე ხომ იქ ვეწერები, მერედა, ეს ბინა არ ჯობია იმას? მარტო რემონტი რად ღირს?

— მე არაფერი ვიცი. ფაქტია, რომ აქა გხედავ. მაგრამ, იმედი მაქვს, მეყოფა ვაჟკაცობა და გაგვეცლები. თუმცა... ანგელოზს მეთამაშები, ვინ იცის, რამდენი ჩაიჯიბე?

— რეებს ბოდავ, არ უნდა დაფიქრდე, ქალო! — იღრიალა ზაალმა.

— აა, გულზე მოგხვდა? წადი, წადი, გაეთრიე, აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!

სალომე პირქვე დაემხო. გაოგნებული ზაალი ადგილს მიჯაჭვოდა და, როგორ მოქცეულიყო, აღარ იცოდა.

უცბად გაახსენდა, შემნახველ სალაროში ორმოცი ათასი მანეთი ჰქონდა შეტანილი. შვება იგრძნო.

— კარგი, დაწყნარდი, ორმოცი ათასზე შევთანხმდით. ოცი უკვე მომცა, ოცს ცოტა ხანს ვაცლი, ახლა არა აქვს.

სალომემ თავი ასწია. მისი თვალებიდან მტაცებელი იმზირებოდა.

— ფული სადაა?

— სალაროში შევიტანე.

— გადამალე, არა? — ჩაიხითხითა, — ახლავე აქ მოიტან!

— კი, მაგრამ ოცი ათასი რომ მოსაცემი აქვს? — ზაალი უკვე დამშვიდებულიყო, ახლა, უბრალოდ თამაშობდა.

— იქნებ ისიც მოგცა, მაგრამ, არა უშავს, ოცს ისესხებ, არ გენდობიან თუ?.. დღესვე უნდა გავსწორდეთ, გადადება არ შეიძლება! ერთიც იცოდე: ამ სახლიდან ახანთის კოლოფსაც ვერ წაიღებ — ყველაფერი ნუკისაა, შენთვის კი, აი, ის ჩემი ნაქონი ავეჯიც საკმარისია.

— კარგი, ეგრე იყოს, — მწარედ ჩაიცინა.

— მიიღებ მაგ ფულს, ოღონდ, დაიმახსოვრე, ჩემი სახელი აღარ ახსენო.

— ძალიან მკირდები! წადი, ფული მოიტანე!

კაბინეტში შევარდა, პასპორტი და სალაროს წიგნაკი ჯიბეში ჩაიჩარა.

ქუჩა სირბილით გადაჭრა, სალაროში აღელვებული შევარდა, აკანკალებული ხელით ქვითარი ძლივს შეავსო.

— ეს თქვენ ხელმოწერას არა გავს. თუ შეიძლება, კიდევ შეავსეთ, — კონტროლიორმა ქვითარი უკან დაუბრუნა.

კიდევ ორჯერ შეავსო, როგორც იქნა, ხელმოწერა გამოუვიდა.

კარს წიხლი დაუშინა. სალომეს ზედ არ შეხედა, ფული იატაკზე დაყარა.

— აჰა, გაძეხი!

ზიზღნარევი მზერა მიაპყრო ქალს, რომელიც მტაცებლიდან თვინიერ გოშიად გადაქცეულიყო და გაყუჩებულ-გატრუნული მისჩერებოდა.

საწოლის ქვეშიდან ჩანთა გამოათრია. ერთხანს გაავებული ტენიდა ტანსაცმელს, მერე ჩანთა კედელს მიანარცხა, ეზოში გავარდა და მანქანა გიჟივით მოწყვიტა ადგილს.

კარგა ხანს უაზროდ დაჭქროდა, მერე რუსთაველზე შეაჩერა მანქანა. იჯდა და პროსპექტზე მოსეირნე ხალხს შესცქეროდა. ჯიბე მოიჩხრიკა: სამოცდათხუთმეტი მანეთი გადათვალა. „სულ ესაა ჩემი ქონება“, გაუელვა. წარმოიდგინა დაულაგებელი, აყრილ-დაყრილი, ბათქაშაცვენილი ახალი ბინა და საკუთარი თავი შეეცოდა. „ნეტავ ტელევიზორი თუ მაინც მუშაობს?“ გაიფიქრა, გადაწყვიტა, სახლში დაბრუნებულიყო და ბარგი წამოეღო, გაახსენდა, საწერი მაგიდის უჯრაში ათას შვიდასი მანეთი ჰქონდა. ამან ცოტა დაამშვიდა: „მიჰყევი შენს გზას, დაე, რაც უნდა, ილაყბონ კაცთა“ — ჯერ კიდევ როლისა თქვა დანტემ? მანქანიდან გადმოვიდა, ლაღიძის წყალი დალია, კაფე „ნარგიზთან“ გრანიტის ქვაზე ჩამოჯდა. „ერთ ნაცნობს ვერ ნახავ, დრო იყო, ყოველ ნაბიჯზე ვიღაცას ვესალმებოდი. მაგრად შეიცვალა რუსთაველი. არადა, რაა რუსთაველი მოსეირნე თბილისელების გარეშე?“

წამოდგა, ქუჩას დაუყვა. წარმოიდგინა, იუზა სანებლიძე ახალ ბინაში ფუსფუსებს. ერთხანს, ავალ, დავხედავო, გაიფიქრა, მაგრამ უმალ სძლია თავს. „ბოლოს და ბოლოს, ყელში ხომ არ უნდა ამოვუყვანო!“, ჩაილაპარაკა. მანქანასთან მისულმა გადაწყვიტა, დოდიკა გაეგზავნა სანებლიძეებთან, თავისი სახელი შემოესმა შემობრუნდა. მურთაზ ლობჟანიძე უღიმოდა. „საუკუნეა არ მინახავს“. სიხარული არ დაუფარავს.

— როგორა ხარ ბიჭო, სად დაიკარგე? — მიაყარა.

— სამი წელი სირიაში ვიყავი, სულ ერთი კვირაა, რაც დავბრუნდი.

— კარგია. ბავშვები, ალბათ უკვე დიდები არიან.

— კი, წამოიზარდნენ. უფროსი მეექვსეში გადავიდა, მეორე — მესამეშია ამ სიბერეში მესამეს ველოდებით...

მეგობრის სიტყვებმა გულზე გაკაწრა — ყოველთვის ოცნებობდა, ბევრი შვილი ჰყოლოდა.

— ყოჩაღ! ხომ იცი, თუ არ გავმრავლდით, გადაშენება კარს მოგვადგა. სპორტს სულ შეეშვი?

— ისე, ჩემთვის ვვარჯიშობ ხოლმე. შენ რას შვრები?

— ვარ რა... ერთი გოგო მყავს, ვერ ვივარგე.

— სამაგიეროდ, საზოგადოებრივ საქმიანობაში გაქვს წარმატებები. მთელი თბილისი გიცნობს. მართალი გითხრა, ეს ამბავი მეც მეამაყება.

— გმადლობთ კომპლიმენტისთვის. საით გაგიწევია?

— სახლში მივდივარ. ჰო, კაცო, შენ და დოდიკა ხომ ახლო მეგობრები იყავით?

— კი, ახლაც ძმები ვართ. რა იყო? — გული გადაუქანდა.

— არაფერი გაგიგია?

ზაალ მინდიაშვილს თვალები აუპრელდა.

— რა უნდა გამეგო? — იგრძნო, როგორ გაუცივდა ხელისგულები.

— ორი საათის წინ გული გაჩერებია, ტელევიზორს უყურებდაო და...

— რა თქვი? რა თქვი? ვინ გითხრა!

— წეღან გენო ცხვედიანი შემხვდა, ხომ იცნობ, დოდიკას თანაკურსელია. რა მოგდის, ზაალ!

— არაფერი, წაჟედი...

ზაალ მინდიაშვილმა იგრძნო, როგორ დაეკრუნჩხა ჯერ მარცხენა, მერე მარჯვენა ხელის თითები, მკერდის არეში თითქოს რაღაც გაეკვანძა, წელში მოხარა.

— მურთაზ, მურთაზ, მიშველე! — მთელი ხმით შეჰყვირა.

დაკრუნჩხული ხელები გაუწოდა.

ზაალ მინდიაშვილის დღიურიდან

198... წელი, 26 აგვისტო

მთელი კვირა უგრძნობლად ვიყავი. მურთაზი რომ არა... გონს მოსულმა პირველი, რაც გავიცნობიერე, ის იყო, რომ არავის ნახვა არ მინდოდა და არაფრის გახსენება არ მსურდა. სრული აპათია დამეუფლა. მთელი დღეები გაუნძრევლად ვიწექი და შიშით ველოდი საღამოს მოახლოებას. როგორც კი მწუხრი ჩამოწვებოდა, პანიკა მიპყრობდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ დილამდე ველარ გავაღწევდი. ვიწექი განათებულ ოთახში თვალდაჭყეტილი და ათასგვარი ხილვა მაწამებდა. განსაკუთრებით ერთი ხილვა ვერ მომეშორებინა: გემბანზე ევა იდგა, მე ცურვით უკან მივყვებოდი. უცბად საიდანღაც ალბატროსები გამოჩნდებოდნენ და საზიხელი ყაყანით დამტრიალებდნენ თავს. მერე ერთი მთელი სიმძლავრით მოიქნევდა ფრთებს და ჩემსკენ გამოექანებოდა. ჰა, წამიც და ჩამინისკარტებს თავში, მერე ნახვამდის, სიცოცხლევ! სიმწრის ოფლში მცურავი გონს ვეგებოდი და ღმერთს მადლს ვწირავდი, რომ ყოველივე ხილვა იყო. ალიონამდე თვალს ველარ ვხუჭავდი. ჩემდა ბედად, ზაფხულის მოკლე ღამეები იყო, თორემ, ალბათ, ვერ გავუძლებდი.

სარკმელში მზის პირველი სხივი რომ შემოიჭრებოდა, თვალს მაშინღა ვხუჭავდი. მეძინა დიდხანს, ღრმად, უშფოთველად. მაგრამ... მოაწევდა საღამო და ყველაფერი ისევ თავიდან იწყებოდა. ჩემი წამება მოულოდნელად დასრულდა. ერთხელ, როცა ალბატროსი კვლავ გამოექანა ჩემსკენ და შიშისგან აკანკალებული ევას თვალებში განწირულობაც დავინახე, უცბად ცა გაიხსნა და დედაჩემი გამოჩნდა. წამს გაქრნენ წყეული ფრინველები. დედას ხელში სანთელი ეჭირა და ჩემთვის ლოცულობდა. იმ ღამეს მშვიდად მეძინა, დილით კი ვიცოდი — გადავრჩი!

რომ დავმშვიდდი, მერეღა გამახსენდა ერთი ბევრის მნახველი მეზღვაურის ნაამბობი: თურმე ალბატროსი ზღვაში მოცურავე ადამიანს რომ დაინახავს, წამოეპარება, თავში ერთს ისეთს ჩაუნისკარტებს, რომ ქალას ჩაუხვრეტს და, ვითომც არაფერიო, ფრენას განაგრძობს. მოცურავე კი, რაღა თქმა უნდა, ზღვის ბინადართა ალაფი ხდება.

ეტყობა, მეზღვაურის ნაამბობი ჩემს არაცნობიერში ჩაიმარხა და მერე ყველაზე მძიმე წუთებში გამაწამა.

„რომ იცოდე, აპათიამაც გადაგარჩინა",

ვერ მიგიხვდი?!

„სიმშვიდე, სიმყუდროვე, — აი, აუცილებელი პირობები, რომლებიც აქეთ მოგაბრუნებდნენ. შენისთანა კაცისთვის ეს ყველაფერი როგორი მისაღწევია? ჰოდა, თვითგადარჩენის ინსტინქტმა ყველაზე სწორი გზა გამონახა — აპათია მოგივლინა მხსნელად".

გონს რომ მოვედი და სალომეს სახე გავარჩიე, პირი ვიბრუნე. იმ დღის შემდეგ პალატაში აღარ გამოჩენილა, თუმცა ნუკი ყოველდღე მოყავდა.

რატომ გავაკეთე ეს? მეზიზღებოდა, მძულდა? არა, მაგრამ, რაც მოხდა, იმისი პატიება მე არ შემეძლო.

„მე მგონი, უკვე საკუთარი ცხოვრება გენანებოდა, რომელიც კიის ერთი დაკვრით ბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიარდის ბურთებივით დაფანტულიყო. გეგონა, ყველაფერი დაკარგე, მაგრამ სიცოცხლემ იძალა, თანაც მოსამართლის მანტია და განდობილის შეგონებაც მხარში ამოგიდგა"

ზღურბლთან დგახარო, რომ მითხრა? იქნებ გადავაბიჯე კიდეც.

„ყოველ შემთხვევაში, ის წამი შორს აღარ უნდა იყოს".

უკვე განწირას მიპირებდნენ, ნოდარ კარგარეთელმა და ნიკა ლომთაძემ რომ მინახულეს.

— სად დაწყვილდით პროკურორი და რედაქტორი? — მივაგებე.

— ერთობლივ რეიდს ვატარებდით, — ნოდარმა საქაღალდე მაღლა ასწია, „ისევ რეიდომანია", გავიფიქრე.

— ვის უპირებთ გამოქვეყნებას? — ნიკას გადავხედე.

— ბრიგადა შევქმენით. სამუშაო საათებში დავიარეთ თბილისის ახლო მდებარე რესტორნები და უამრავი მუქთახორა აღმოვაჩინეთ, სამსახურის საათებში რომ ქეიფობდნენ. საეჭვო თავყრილობებსაც გადავაწყდით, სადაც აშკარად საქმიანი გარიგებები ხდებოდა. ერთგან რევიზორებს აქეიფებდნენ, მეორეგან ორგანოს მუშაკები ვნახეთ არასასურველ გარემოში...

— ახლა რას აპირებთ? — უკვე ვნანობდი, ამ საკითხზე საუბარი რომ გავაბი.

— ახლა რას ვაპირებთ და შევისწავლით მასალებს, მერე ზოგს ზემდგომ ორგანოებს გადავუგზავნით რეაგირებისთვის, ზოგს ჩვენ მივხედავთ, ნაწილის ცხოვრების მავნე მხარეს პრესა წარმოაჩენს. ასე და ამგვარად, საქმესაც გავაკეთებთ და წესრიგსაც დავამყარებთ.

— საოცარი ხალხი ხართ, — სიბრაზეს ვეღარ ვერევი, — რით ვერ შეიგნეთ, რომ უკვე სხვა დროა. ახლა ქვეყანაში ლიბერალიზაციის პროცესი მიმდინარეობს და არა რეპრესიების. კაცო, თუ ადამიანი კანონს არ არღვევს, რა დაშავდება, რევიზორმა, ორგანოს თანამშრომელმა და უბრალო მოკვდავმა ერთად პური ჭამონ. ადამიანები გვქვია, მგონი, ჭერჭეროობით, მგლები ხომ არა ვართ. ნუ მიწყენთ და, თქვენს ლონისძიებას უზნეობის ელფერი დაჰკრავს.

ორივე გაშრა. უცებ ნიკამ შემომიტია.

— შენი პროფესია ლაქლაქია და კაცი სიტყვას მოგიგებს? სინამდვილეში კი საქმის არაფერი გაგეგება! — სახეზე იქედნური ღიმილი აუთამაშდა.

— განა პირველად არ იყო სიტყვა? — სარკაზმი არ დამიფარავს, — ახლა ქვეყნის მოამაგედ რომ მეცხადები, ამას წინათ არ იყო, ერთ დამსახურებულ კაცზე დაწერილმა წერილმა წრუწუნასავით რომ დაგაფრთხო?

— ერთი დაგინახავ, მოსამართლედ რომ აგირჩევენ, რას იზამ? — ნოდარ კარგარეთელიც გაცხარდა.

— დღემდე კიდევ ვმერყეობდი, მაგრამ ახლა მტკიცედ გადავწყვიტე, რომ არჩევნებზე უნდა დავთანხმდე, ადამიანებს თქვენისთანა კანონმდებლებისაგან უცილობელი დაცვა ჰჭირდებათ, ახალი კანონიც მომცემს ამის უფლებას!

— ერთ კითხვაზე მიპასუხე და მერე დაგიჯერებ, — ნიკა ლომთაძემ თვალი მოჭუტა,— ჰუმანისტი რომ მოგვგვარონ გასკვანჩული, მისი კომბინატორული მაქინაციები ხომ ყველა ჩვენთაგანისთვის ცნობილია, როგორ მოიქცევი?

ეს კითხვა მეც მღრღნიდა, მაწვალებდა, მაგრამ ახლა პასუხის გაუცემლობა არ გამოდიოდა.

— ახალი კანონი, — მძიმედ დავიწყე, ყოველ სიტყვას ვწონიდი, — აღარ ზღუდავს კერძო სექტორში ადამიანის მოღვაწეობას. აღარ შეგვეშინდება ქონებრივი დიფერენციაციის — თუ პატიოსნად შრომობს, გამდიდრდეს კიდეც. მოგეხსენებათ, სხვა, საშიში სენად ქცეული დიფერენციაციაა უფრო სწრაფად აღსაკვეთი, — მრავალმნიშვნელოვნად გავუღიმე, — ჩვენ თუ დევისნაირ ხალხს ფრთების გაშლის საშუალებას მივცემთ, ისინი დანაშაულს არ ჩაიდენენ. აი, ბიუროკრატს კი ნაღდად ელის განსასჯელის სკამი და, მეც ისე გამოვუტან სასჯელს, ძილს წამითაც არ დავიფრთხობ.

— ნუ დავჭამთ ახლა ერთმანეთს. რაციონალური მარცვალი ყოველი ჩვენთაგანის ქმედებაშია. მთავარია, სწორი გზა ვაისახოს. აქტიურობა კი აუცილებლად გვმართებს, — რეზიუმე ნოდარ კარგარეთელმა გააკეთა.

— სარკეში ჩაიხედე, რა ფერი დაგედო. ძლივს გამოძვერი და ახლა შენი ცოდვა ჩვენ უნდა გვატვირთვინო? ბოლოს და ბოლოს, — ნიკას ჩაეცინა, — ჩვენც ხომ უნდა გამოგვიტანო განაჩენი.

— ცოტა გადავამლაშე. ნუ გამებუტებით. აქ სულ გამოვყრუვდი და... გესმით, არა? — სახეზე მორცხვი ღიმილი ამითამაშდა.

— აბა, სხვანაირი ნაღდად არ გვინდიხარ, — ნიკამ მაკოცა; სითბოც უცბად აღსდგა, მაგრამ შინაგანად ვიგრძენი, მომავალში თანდათან გაღრმავდებოდა უფსკრული, ჩვენს ურთიერთობაში რომ გაჩნდა.

— აქედან რომ გაეწერები, რას აპირებ? — ნოდარ კარგარეთელმა ფარდა გადასწია.

— რას უნდა ვაპირებდე — მუშაობას.

— დასვენებაზე არ ფიქრობ?

ნოდარის სიტყვამ ზარივით ჩამრეკა. სასწრაფოდ ვუპასუხე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ვიცი, ალბათ, ერთხანს ფოთში წავალ.

— რატომ მაინცდამაინც ფოთში? — ნოდარ კარგარეთელმა თავი გადაიქნია, — რა კაცი ხარ, რა კაცი...

— იქნებ რამე საქმეც გამომიძებნო.

— მაგაზე ადვილი რაა, მაგრამ, რა გინდა, რაზე მიდიხარ?

აღარ ვუსმენდი. ცნობიერი ევას ზურმუხტისფერ თვალებს გაენათებინა და თავისკენ მიწვევდა.

მეორე დღეს ჰუმანისტს წერილი გავუგზავნე, ვთხოვე, ჩემს ბინაში ცოტა წესრიგი დაემყარებინა. საავადმყოფოში უკვე ვერავითარი ძალა ველარ გამაჩერებდა.

„გაქცევასაც რომ ვერ რისკავდი?"

სწორი ხარ, მაგრამ, თუნდაც გამებედა, გავგიჟებულიყავი, სად წავიდოდი? მთელი ცხოვრება იმისთვის ვილეწოდი, საკუთარი, მყუდრო ბუნაგი მქონოდა, საზოგადოებრივი მდგომარეობა შემექმნა და ახლა საით უნდა გამერეკა, საით?! ვიღაც... არა, არა! ბინის კარი რომ შევიკეტე, იმ გარემოში მოვხვდი, რომელიც აბსოლუტური განმარტოების გარანტიას იძლეოდა. შვებით ამოვისუნთქე. გახალისებულმა „ლიტერატურული საქართველო" გადავფურცლე, ტელევიზორიც ჩავრთე, რაღაც მულტფილმს უჩვენებდნენ. სავარძელში მოვკალათდი და ვიგრძენი, უაზრობაა რაღაც ზებუნებრივი მიზნის ძიება, რადგანაც სიცოცხლე ადამიანს ცხოვრებისათვის ეძლევა და ათასგვარი მანიპულაციებით არ უნდა დაიმახინჯოს იგი. ხალხი რომ ამბობს, სული ტკბილიაო, ეს, ალბათ, სიცოცხლის ტრფობას ნიშნავს. ამით სამყაროს ჰარმონიულობასაც შეიცნობს, ყოველივე ერთად კი ადამიანური ბედნიერების იმ ატრიბუტსა ჰქმნის, რომელიც აზრს აძლევს ჩვენს გამუდმებულ ბრძოლას არსებობისათვის.

ნელ-ნელა წიგნის კითხვასაც დავუდე გული, ვფურცლავდი ადრეულ ასაკში წაკითხულ, ჩემს მეხსიერებაში სითბოშენარჩუნებულ ნოველებს და ისინი კვლავ ოცნებებით მავსებდნენ.

„ქვეცნობიერად გრძნობდი — მანდ იყო საშველი".

ამჯერად ვერ გაგიგე?

„წარსულის ზოგიერთი ეპიზოდის გახსენებაც თავზარს გცემდა, წიგნებით კი, მართალია, ილუზიურს, მაგრამ მაინც ახალ სამყაროს ჰქმნიდი, რაც შვებას გგვრიდა, მომავლის იმედსაც გინერგავდა".

ჰო, შეუცნობლად ვგრძნობდი — ასე, პირდაპირ, ძველ ცხოვრებას ველარ დავუბრუნდებოდი, ამისთვის რაღაც გზის გავლა მჭირდებოდა.

„ჰმ, რაღაც გზის გავლა?"

მყუდროებას მხოლოდ მამაჩემი მირღვევდა. ყოველდღე მოდიოდა, გააღებდა კარს, შემოვიდოდა, შეშინებულ თვალებს მომაპყრობდა (ეს შიში მაშინ პირველად შევნიშნე, გადასახლებიდან ჩვენ რომ გამოგვიშვეს, ის კი მარტო დარჩა), მაკოცებდა და დაზეპირებულივით იმეორებდა ერთსა და იმავეს:

„ალბათ, არ გისაუზმია. არც მე. მაშ, ახლავე მოვამზადებ რამეს".

საუზმის შემდეგ სავარძელში მოკალათდებოდა და საათობით კითხულობდა. თითქმის არ ვლაპარაკობდით. პირველ ხანებში ასეთი „ზედამხედველობა", ცოტა არ იყოს, მაღიზიანებდა (ერთი ორჯერ ისიც ვიფიქრე, ხალომეს მსტოვარი ხომ არ არის-მეთქი), მაგრამ მერე და მერე ისე მივეჩვიე (რაღაც შინაგან იმედად მექცა), რომ, საკმარისი იყო, დაეგვიანა, მოსვენებადაკარგული ადგილს ვერ ვპოულობდი.

იმ დილითაც, ზარი რომ დაირეკა, ვიფიქრე, მამაა-მეთქი. კარი ტრუსისამარამ გავაღე და... უცბად ვერც კი ვიცანი, რომ ეს სუფთად გაპარსული, გამოწკეპილი მამაკაცი განდობილი იყო!

— შეიძლება? — პირველად ვნახე მის სახეზე ლაღი ღიმილი.

— შემოდი, შემოდი, — დაბნეული შემოვუძახე.

უაზროდ მივჩერებოდი. ასეთი გარდასახვა?! რატომ, როგორ, საიდან? ვეკითხებოდი თავს და პასუხი ვერ მეპოვა, თანდათან ჩავწვდი: ზვიად განდობილს ამჟამად ცხოვრებაში მომბრუნებლის მისია ეკისრა; იმ დილამდე ხომ თავს ვიტყუებდი, ვამბობდი, ისეთი არაფერი მომხდარა, ძირეულად რომ შემძრას-მეთქი. ზვიად განდობილის გამოცხადება კი დოდიკა ალექსიძის დალუპვის დასტური იყო, დოდიკას მისია ზვიადს ეტვირთა; მას დაკისრებოდა სიცოცხლის სიყვარულის, ძველთა არდავიწყების დუღაბობა, მაშინვე იმასაც მივხვდი: ადამიანი, ეტყობა, ღმერთს იმიტომ ეთაყვანება, რომ აქ ეულად დარჩენილს მხარდაჭერა ვერ უპოვია, თანამოძმეს ვერ ენდობა, ღალატის ეშინია (არაცნობიერად გრძნობს: სატანამ, რომელსაც ანგელოზის სახე ჰქონდა, ღმერთს უღალატა და, მოღალატე ადამის მოდგმა რა ხეირს დამაყრისო). ღმერთი კი აბსოლუტია და მუდამ შენთან არის, მაგრამ, საკმარისია, გამოჩნდეს კაცი, რომელსაც რაღაც დიდი მისია აკისრია, ადამიანი ქვეხკნელამდე ისე წაყვება, ღმერთი აღარც გაახსენდება. თუმცა არის მეორეც, ეს მეორე მენი, ჩვენი ტვირთის ზიდვას კისრულობს და ამით გამარჯვების, სიკეთის, ბედნიერების გზას გვიჩვენებს.

ზვიად განდობილს უმწეო, დამფრთხალი მზერა მივაპყარი.

— დროზე ჩაიცვი, წავიდეთ.

მანქანა ახლაღა გამახსენდა, სად იყო, წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგენა არ მქონდა. საოცარია, ერთხელაც არ შევუწუხებივარ ამ ამბავს.

— შენი მანქანა სადგურის ქუჩის ბოლოში დგას, მიმხედავიც არ აკლია. აი, საბუთები და გასაღები, — ჩემი ფიქრი წაიკითხა.

— შენთან საიდან?

— სალომემ მომცა.

ახლა სულ ავირიე.

— სალომე სადღა ნახე?

— საავადმყოფოში, თუმცა ადრეც ვიცნობდი.

— გასაგებია, მაგრამ... არა, მერე მომიყევი.

— მზად ხარ? წავედით.

— მაინც სად მივდივართ?

— ერთ ადგილას. სწორად გამიგე: შენი ასეთი ინერტულობა უაზრობამდე მიდის. ახლა მთის დაგუბებული მდინარესავით ხარ და, თუ კალაპოტი დროზე არ გამოგიძებნე, მერე, შენით რომ იპოვი, რას მოიმოქმედებ, კაცმა არ იცის. დანარჩენს მერე გეტყვი.

— მანქანა ხომ არ გამომეყვანა?

— არა, მერე იყოს.

— რატომ?

— ნუ გამიმართე პრესკონფერენცია. ტაქსი გველოდება.

კუკიის სასაფლაოს აღმართს ავუყევით. ახლა ყველაფერი გასაგებია. ცხრა ძმის ქუჩაზე კლდეში აჭრილ კიბეზე ფეხი რომ შევდგი, სასა გამიშრა. მივაბიჯებდი და ყოველი ბუჩქის იქით დოდიკას გაღიმებულ სახეს ვხედავდი. მეჩვენებოდა, თითქოს ისიც ნახვის ნატვრით მელოდა.

ზვიადმა ხელკავი გამომდო, შეჩერდა.

— აი, ამ ნაძვის იქითაა. — ძლივს გასაგონი ხმით მითხრა.

ფეხს ავუჩქარე, ნაძვების ტოტები მივწიმოვწიე და სახელდახელოდ ბეტონშემოვლებულ, ახლად მიწამიყრილ საფლავთან აღმოვჩნდი. რატომღაც მეგონა, მარმარილოს ქვა და მასში ჩამჯდარი დოდიკას სურათი შემომეგებებოდა. მეც მზად ვიყავი, წამოვეჩოქე, დავეკოცნე, მაგრამ ახლა შევყურებდი ახლად მოყრილ ყვავილების ფხვიერ მიწას და გაოგნებული ვიდექი. მიწა მუჭით მოვსინჯე. თითქოს შვება ვიგრძენი, ჩამოვჯექი. მერე რა იყო, ზუსტად ვერ ვამბობ, ოღონდ დოდიკას ხმა ახლაც ჩამესმის.

„როგორა ხარ, ზაალ?"

„რა მიჭირს. მგონი, გადავრჩი".

„ჰო, ღმერთმა შეისმინა ჩვენი ვედრება".

„რომ ძალიან მენატრები, რა ვქნა?"

„რას იზამ, უნდა გაძლო..."

„ხშირად მოვალ ხოლმე".

„როცა გაგიჭირდეს, ამოდი. ყვავილები არ დამანახო, შესანდობარი კი, თქვენ იცით".

„მანდაც არ იშლი შენსას?" — ნუთუ მართლა ვიღიმოდი?

„აბა, მაშ, როგორ! დამკვრელებიც ამომიყვანე. „ჩემო ტკბილო მეგობარო" მიმღერონ. ხომ იცი, როგორ მიყვარს".

„ეგ არაა ძნელი საქმე. გინდა ახლავე მოვიყვან".

„ახლა არა, ახლა შენთან სალაპარაკო მაქვს".

„უნდა გამთათხო?"

„არა, სხვა საქმე მაქვს. ზვიადსაც იმიტომ ვთხოვე შენი ამოყვანა".

„რატომ შეაწუხე?"

„იქ, გამოკეტილ ოთხ კედელში დარდი შეგჭამდა".

„ახლა?"

„ახლა მჯერა, გამოუსწორებელი აღარ მოხდება".

„მართალი ხარ. თითქოს დავისვენე".

„ძალხშიც უნდა დაბრუნდე".

„ცოტას კიდევ დავისვენებ და..."

„ბიჭებს მოკითხვა. უთხარი, თავს ნუ მომანატრებენ და კიდევ ერთი"...

„რახან დაიწყე, მითხარი ბარემ".

„დაიმახსოვრე: როცა ვიგრძენი, ყველაფერი მორჩა — ამას, იცოდე, შეუცდომლად შეიგრძნობ, თუმცა, სამწუხაროდ, ყველაფერი თვალის დახამხამებაში ხდება და გამოხატვას ვერ ასწრებ, — უცბად იმისთანა გულდაწყვეტამ დამრია ხელი, რომ ღმერთს ერთს ვევედრებოდი: ედროვებინა, რომ პატარა ბავშვივით გულამოვარდნილს მეტირა. მეტირა იმაზე, რომ შვილს ვეღარ ვნახავდი. მეტირა უქმად გაფლანტულ დროზე, მელიასავით გაპარულ დღეებზე. შენ წარმოიდგინე, ჩემი ის გმირებიც მსაყვედურობდნენ, რომელთა სულის ჩადგმაც არა დამცალდა და გონში გამოკეტილები მოვახრჩე. უცბად ყველანი მომენატრეთ. აქეთ ვეცი, იქით, მერე ჩემგან განდევნილი ჩემი ნაღდი ცხოვრება ამეტორღიალა და აბსოლუტურმა სიცარიელემ მომიცვა. ამან საბოლოოდ ჩამწყვიტა გული. აი, ცრემლიც მომაწვა და... ვინ დაგაცალა!"

„მგონი, გავიგე, რატომ მეძახოდი".

„ჰო, კარგია. კაცი ყოველთვის უნდა ეცადოს, ცისარტყელამდე მიაღწიოს".

„შევეცდები".

„მანამ შანსი გაქვს, არ უნდა მოეშვა. ცხოვრების გაფლანგვა, დამიჯერე, დანაშაულია".

„გპირდები: აუცილებლად მივალ ცისარტყელამდე".

მხარზე ზვიადის ხელის შეხება ვიგრძენი. გამოვფხიზლდი.

— იყავი დაკრძალვაზე?

თავი დამიქნია.

— წავედით.

— ცოდვის ტირილი იქნებოდა...

წამოვდექი. ზვიადმა ბეტონიდან გადმოწეული ფიცარი გაასწორა.

— უფრო — თეატრალური სანახაობა.

ერთხანს დუმდა. მერე ისევ განაგრძო:

— რომ გავიგე დოდიკა გარდაიცვალა, თითქოს ცა თავზე ჩამომექცა. დამდუღრულივით გამოვვარდი, ვჩქარობდი. მინდოდა იმ ხალხთან ვყოფილიყავი, ვის სულშიც მწუხარების ბალღამი დუღდა, რადგანაც მწამდა, ყველა ერთმანეთს ვჭირდებოდით. პირველივე პანაშვიდმა გამაოგნა. დასაფლავებამ ხომ სულ მომიღო ბოლო. ალბათ, ფიქრობ, საერთო მწუხარების გამოო. არა, არა. გულწრფელ მწუხარებას ერთ-ორში თუ გაედგა ფესვი, თორემ ირგვლივ გამყინავი სიცივე და განურჩევლობა მეფობდა. იქ მოსულებს არც არავინ უყვარდათ, არც არავიზე გული არ შესტკიოდათ, ყოველივეს ფარისევლობის ნიღაბი გადაკვროდა. იდგნენ გაჯგიმულები, ამპარტავანნი, ერთმანეთს სალამსაც ამადლიდნენ, და ეს ყოველივე ხდებოდა იქ, სადაც ადამიანი განისვენებდა, განსვენებაზე ხომ მთლად დავიზაფრე — ქირქილებდნენ, არშიყობდნენ, ჰორაობდნენ, ერთმანეთს გესლავდნენ, თუმცა გარეგნულად ყველაფერს მწუხარების საბურველი მოსავდა. ცოტა მაკლდა, ვიღრიალებდი: ხალხო, ამაზე დიდი მკრეხელობა განა შეიძლება? კაცს მარადიულ სასუფეველში ვაცილებთ და რას ჩადიხართ-მეთქი! თავს მოვერიე. გვერდზე გავდექი. დოდიკა რომ გამოასვენეს, სახეზე ხელები ავიფარე. ცრემლი მახრჩობდა, სიკვდილი მენატრებოდა. ამ დროს ჩამესმა: ღმერთობამ მოკლა საწყალი... ჭკვიანი კაცი იყოო, მე კი ქარაფშუტად ვიცნობდი და... მართლა არ ჰქონდა ტვინი მაგ საწყალს, თორემ... ხომ არ გგონია, ამ „ადამიანურ“ გამონათქვამებში სადმე წუხილი იმალებოდა. არა, ქედმაღლობას, საკუთარი უპირატესობის შეგნებას შეეპყრო გაფხორილი ინდაურები. ყველა რომ წავიდ-წამოვიდა, სასაფლაოზე ამოვედი, მესაფლავეებთან ჩამოვჯექი და, ჩემს სიცოცხლეში პირველად, ღორივით გამოვტყვერი. იმ დღის შემდეგ ყოველდღე გამოვდივარ სახლიდან.

გახსოვს, პირველად რომ შეგხვდი, მაშინ თქვი: გულისხმიერების, სიყვარულის სწავლა გვჭირდებაო. ოთახში გამოკეტილი ჩემი ქმნილებები რა ბედენაა, თუ ცივ ზამთარში ადამიანს რწმენით არ ალავსებს. დოდიკას ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ თუ ხელოვანის შთაგონება ადამიანთა სიყვარულით არ დაიმუხტება, მისი ყველა ქმნილება მწირი იქნება და ია-ენძელას ვერასდროს ვერ ააყვავებს. მე ვიცი, „იერუსალიმამდე“ ძალზე ბევრი მაქვს სავალი, მაგრამ, ისიც ვიცი, რომ აუცილებლად უნდა გავიარო ეს ეკლიანი გზა და გავივლი კიდეც.

— მე რაღას მირჩევ?

— წადი. ევა ნახე.

— მერე?

მხრები აიჩეჩა.

— პასუხი მაინც გელოდინება.

— ვითომ პასუხი რამეს შეცვლის?

— სამყაროს მიზიდულობის კანონი ხომ სხვა არაფერია, თუ არა სიყვარულის ძალისხმევა.

გამეღიმა.

— შენ გინდა თქვა, რომ პლანეტებს უყვართ ერთმანეთი?

— რატომ გეღიმება? ხომ ცნობილია, რომ პლანეტებსაც გააჩნიათ ცნობიერება. შენ როგორ გგონია, პლანეტა უფრო სრულყოფილია თუ ადამიანი? და ბოლოს, ორმუზდმა ხომ საბოლოოდ უნდა სძლიოს არიმანს?

ზვიად განდობილის ეს პასუხი დღესაც ცოცხლობს და მოქმედებს.

დოდიკას სამარეს დავაკვირდი. აშკარად დავინახე, მიწა შიღიმოდა — დოდიკას ღიმილით მიღიმოდა.

გვერდზე მოვიხედე. ზვიად განდობილი დაღმართს ნელი ნაბიჯით მიუყვებოდა.

წამოვეწიე. დიდხანს უხმოდ გავყურებდით მწვანეში ჩაკარგულ საფლავებს. პირველი ზვიადი გამოერკვა.

— აბა, ზაალ, კარგად იყავი.

— დიდი მადლობა, იმედია, კიდევ შევხვდებით.

სახეზე რწმენა გამოეხატა.

— ეჭვიც არ მეპარება.

ერთმანეთი გადავკოცნეთ.

საპარიკმახეროში გავიარე. შინ მისულს მამა დაფეთებული დამხვდა. გაპარსულ-დავარცხნილი რომ დამინახა, ცრემლი მოადგა. მტვრიანი პორტფელი სველი ჩვრით გავწმინდე, სამგზავროდ მოვემზადე. გზად კოლეგიაში შევიარე. როგორც მკვდრეთით აღმდგარს ისე შემხვდებიან-მეთქი, ვფიქრობდი. მოგცლია ერთი! ვის ახსოვხარ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს სამსახური სულაც არ გამიცდენია.

აი, ნოდარ კარგარეთელს კი ნაღდად გულით გაეხარდა ჩემი გამოჩენა.

— გახსოვს, რომ დამპირდი, ფოთში საქმეს გაგიჩარხავო, — შევაპარე მოკითხვის შემდეგ.

— კი, ბატონო, მოგიხერხებ რაღაცას.

— კარგი, ჩავალ, ქალაქს გავეცნობი და ამ თვის ბოლოს დაგიკავშირდები.

— უცბად რომ დამჭირდე, სად გეძებო?

— შენ ჩემი მოძებნა არ გაგიჭირდება. მამუკას როდისა აქვს გოგოს ქორწილი?

— სექტემბრის ბოლოს აპირებს.

— ჰოდა, კარგია. მანამდე იქნებ გამოვჯანმრთელდე კიდეც და ცოტა ნუნუასაც გავუბედო.

— აი, ასეთი მიყვარხარ — იმედიანი, მებრძოლი, — ამირანივით, სხვა თუ წელიწადში, შენ — ერთ დღეში!

ტელეფონმა დარეკა. დავემშვიდობე. ქუჩაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო რომ დავრჩი, რაღაც მაჯლაჯუნასავით შემომაწვა. ჯერ ვერ გავერკვიე, მერე კი მივხვდი, ეს ხვალინდელი დღის გაურკვევლობა იყო. წინ ევას თვალები გადამიდგნენ.

„ხომ არ დავიგვიანე?“ — გამიელვა.

ისეთი შეგრძნება მქონდა, კუნძულზე მარტოდ დარჩენილი მეზღვაური მრავალი წლის ლოდინის შემდეგ გემს რომ შენიშნავს, მაგრამ ვიდრე რამეს მოიმოქმედებს, უკვე გვიანაა — გემი გასცდა და უსასოოს ისღა დარჩენია, ილაჯგაწყვეტილი მიუბრუნდეს თავშესაფარს. მაშინ გამიელვა: დაგვიანებით გამოწვეული სინანული ერთ-ერთი დიდი ტრავმაა-მეთქი! კაცის ცხოვრებაში.

ავტომატიდან ზვიადს დავურეკე. ბედად, სახლში დამხვდა.

„ვფიქრობ, უნდა წავიდე“, — უფრო ვეკითხები, ვიდრე ვამცნობ.

ერთხანს დააყოვნა.

„მეც ეგრე მგონია“.

„მერე, სხვა რომ დამხვდეს?“

დუმილი.

„სხვა გზა მაინც არა გაქვს“.

„კარგი, მაშინ ამაღამ მივდივარ“.

„გზა მშვიდობისა“.

მატარებლის ბილეთი ჯიბეში ჩავიდე თუ არა, ნუკი მომენატრა უსაშველოდ. ავწრიალდი. დავრეკე, არავინ მიპასუხა. მამასთან დავრეკე. სამი დღის წინ დედამისმა ერთი კვირით შოვში წაიყვანაო.

მივიხედ-მოვიხედე.

„მკვდარს თვალს იმიტომ უხუჭავენ, უკან რომ გზა ვეღარ გამოიგნოს“ — ჩავილაპარაკე. სიცხისგან სული მეხუთებოდა. ტაქსის გაჩერებისკენ წავედი.

შინ მისულმა აბაზანა მივიღე, წამოვწექი, მაგრამ თანაღრებამ მოსვენება დამიკარგა. არაფრისდიდებით წასვლა აღარ მინდოდა.

ტელევიზორი ჩავრთე. იქაც მოწყენილობა მეფობდა. „პოეზიის ხუთი წუთი მაინც ყოფილიყო“, ჩავიბურტყუნე. თვალი კედლის საათისკენ გავაპარე. ერთ წამს ვიფიქრე: მოდი, მანქანას გამოვიყვან და შოვში გავვარდები-მეთქი. ამ აზრმა ამიტაცა. მართალია, ცოტა კი შევექვდი, მთელი ფული ჯიბეში რომ ჩავიტენე, მაგრამ მანქანის გასაღები პორტფელში რომ ჩავაგდე, ვიცოდი, ფოთში მივდიოდი.

„არა, რაჭაში მივდივარ, ცოლ-შვილთან!“ — გამოვუცხადე სარკეში საკუთარ ორეულს. ამ სიყალბემ საბოლოოდ მომშალა. კვლავ საათს შევხედე. მატარებლის გასვლამდე ერთი საათი იყო.

პიჯაკი ხელზე გადავიგდე, პორტფელს დავწვდი, შუქი გამოვრთე და ოთახში ევას სახე ალიცლიცდა. ახლა მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა: ჩქარა, ჩქარა მენახა, ჩქარა!..

როგორც კი ხადგურზე ჩამომდგარ მატარებლებს თვალი შევავლე, დარდად მოვარდნილმა მოგონებების ტალღამ კინაღამ გამგუდა. მე და დოდიკამ ხომ თითქმის მთელი სტუდენტობა აქ გავატარეთ. სადგურის მოფუსფუსე რომანტიკული ატმოსფერო ანდამატივით იზიდავდა ჩვენს მეოცნებე სულებს. აი, ის ფარდულები, ახლა „ბორჯომით“ და „ხაჭაპურით რომ ვაჭრობენ, მაშინ კი... მოვიდოდით, ავილებდით ლუდს, ავეყუდებოდით ტიხარს და ვლაპარაკობდით, ვლაპარაკობდით. მხოლოდ გვიან საღამოს ვიშლებოდით. დოდიკა ყვებოდა, რის დაწერას აპირებდა, მერე, თუ ოდესმე ფული ვიშოვე — ამ დროისთვის, ალბათ, სახელიც მექნება მოხვეჭილი — სულ უნდა ვიმოგზაუროო, დააყოლებდა. ვერც ერთი ოცნება ვერ აისრულა. მისი დარჩენილი ლიტერატურული მემკვიდრეობა გაფრთხილებაა, გაფრთხილება იმაზე, რომ, თუ ადამიანი ყველაფერს შეეგუება, მასაც ბავშვივით ღრიალის სურვილი ჩაუმწარებს სიცოცხლესთან გამოთხოვების ბოლო წამებს.

ფარდულს მივუახლოვდი. ვიღაცას სიგარეტი გამოვართვი, მოვსრისე. თვალწინ ისევ დოდიკა დამიდგა.

ზამთარი იყო, ღამის სუსხი ძვალ-რბილში გვატანდა. რუსთაველის პროსპექტის ბოლოს გასტრონომის დამლაგებელს არაყი გამოვატანინეთ და, რა თქმა უნდა, სადგურისკენ გამოვწიეთ. სადგური ხომ ერთადერთი ადგილი იყო, სადაც არც ქიჭას დაგვამადლიდნენ და არც ყველსა და პურს.

ბოთლი რომ გავანახევრეთ, დოდიკამ თვალმოჭუტულმა გადმომხედა.

„გინდა, სადმე წავიდეთ“.

„სადაც ინებებთ. ხომ იცი, მე ჩიტივით თავისუფალი ვარ“.

„მაშინ, მოდი, ამ მატარებელს გავყვეთ“.

„სად მიდის რო?“

„რა მნიშვნელობა აქვს“.

●

თეთრად გავათენე. ფოთში ვარდების თაიგული ვიყიდე და ევას მივაკითხე. მეზობელმა გამომხედა, ევა თევზსაჭერ ტრაილერზეა რეისში და, როდის დაბრუნდება, ვერ გეტყვითო.

გამეცინა. ჩემს თავზე, ჩემს სიტუტუცეზე გამეცინა. მაგრამ, რახან ჩამოვედი, უკან დაბრუნება აღარ მიფიქრია. სასტუმროში ნომერი ავიღე, ნოდარ კარგარეთელს დავურეკე, ტელეფონის ნომერი მივეცი, გამოვეწყვე და პორტს მივაშურე.

ტურისტულ მაღაზიაში პანამა რომ შევნიშნე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ხელს მეზღვაურის მოკლესახელოიანი მაისური და შარვალი გამოვაყოლე და ბედნიერმა სასტუმროს მივაშურე. მერე გარდასახული ქუჩას რომ დავუბრუნდი, დოდიკა ვინატრე. მე ხომ მისი ოცნება მივისაკუთრე. ბავშვობიდან ნატრობდა:

ბიბლიოთეკა

ერთხელ მაინც ქუჩაში ასე გადაცმულს ევლო, ცოტა ხნით ეცხოვრა საპორტო ქალაქში და მერე ეწერა, იქაურ ცხოვრებაზე ეწერა, საპორტო ქალაქის განუმეორებელ კოლორიტზე. მის ქუჩებში ხომ ყოველთვის დაძრწის ვნება, რომელიც, რა დროს რა სახით მოგევლინება, არავინ იცის. ეწერა აქაური ქუჩების განუმეორებელ ხიბლზე, სიმარტოვის ელფერი რომ დაკრავს და ისე გატყვევებს, როგორც სატრფოს ღიმილი... არა, მოთხრობა უნდა დავწერო. მოთხრობას ერქმევა „დოდიკას აუხდენელი ოცნებები"...

თევზსაჭერ სამმართველოში მაინც შევიარე. ევას გემი ცხრა დღეში ფოთის პორტში ჩაუშვებს ღუზას. ახეა, წერას ვერსად გაექცევი...

ლექსის წერის სურვილი მიბრუნდება. ყოველდღე ვწერ თითო ლექსს. ევა რომ ჩამოვა, ცხრა იქნება, მეათეს კი მერე, გალაღებული, ჰიმნად გადმოვაფრქვევ.

დღეს დილით ტელეფონი გამოვრთე.

ჩემზე ბედნიერი კაცი ამქვეყნად არ დადის: ლექსს ვწერ, მოველი და... ცხოვრებას ბანქოს ვეთამაშები.

შორს, შორს, ჰორიზონტზე გემი გამოჩნდა. შუქურის ტელესკოპიდან კარგად ვარჩევ გემის კონტურებს. ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს შორეული ნაოსნობიდან ჩემი ოცნება ბრუნდება.

გუშინ ერთ ძველ ჩანაწერს გადავაწყდი. „ვოცნებობთ, ვიცხოვროთ საპორტო ქალაქში, სადაც მარად გესმიანება ნეპტუნის სუნთქვა, დადიან არყისგან გამოთაყვანებული, გალეშილი მეზღვაურები; სიცხიან ამინდში ქუჩები თევზის ქონის სუნით ყარს, მაგრამ ყოველ საღამოს ჰორიზონტზე ჩამავალი მზე და ცაში აჭრილი ცისარტყელა ოცნებებით გაბრუებს. იქ სიყვარულის გემოც იციან და ბოროტების ფასიც, ამიტომ თავისმოტყუებაში და უაზრო ფილისტერობაში დროს არ კარგავენ".

ეს ჩანაწერი ოცდახამი წლის წინათ არის გაკეთებული და ამ წუთში კვლავ ისადგურებს იდუმალი იმედი: იქნება ახლა მაინც შევძლო მივეახლო ცისარტყელას.

გემი უკვე სულ ახლოსაა. ნელ-ნელა მეზღვაურების სილუეტებსაც ვარჩევ. ქალი არაა მათ შორის. „კაიუტაში იქნება. იცის, არავინ ელოდება", — ვფიქრობ. ალბათ, რა ძნელია, როცა შორეული ნაოსნობიდან ბრუნდები და ნაპირზე არავინ გელოდება.

დახვეულ კიბეზე ჩქარი ნაბიჯით ჩავდივარ. აბა, ახლა პორტისკენ!

ღელვას ველარ ვიოკებ. გემი კარგა ხანია შემოვიდა, უკვე ტრაპიც მიაყენეს.

აი, მგონი ვილაცები ჩამოდიან. ჰო... აგერ, აგერ ისიც! ევა! ევა! ნაავადმყოფარივით ფერწასულია. ნუთუ მთელი ეს დრო ერთხელაც არ შეფიცხებია მზეს?

გამოსაჩენ ადგილზე ვდგები. მიახლოვდება. ჩემი მზერა აჩერებს. მიცქერის, მიცქერის, როგორ? აბა, რა ვიცი. ჩანთას ძირს დებს თვალებში ჩამდგარი ჩაშავებული ოკეანის დარდი უცბად იმოსება ნათლით. ახლა მესმის ლათინების, რომ ამბობდნენ. ქალი სულის სიკვდილიაო. ზუსტია!

ვუახლოვდები, ხელს ვხვევ. ჩანთას ვიღებ და მივდივართ. ვიცი, ცრემლი ახრჩობს, მაგრამ მეც რომ ვერ ვიღებ ხმას? ვგრძნობ: ახლა ბვერდით ჩვეულებრივი, ვნებისგან გათანგული ქალი მომყვება, რომელშიც არაფერია არც გრძნეულის, არც სატანის. მაგრამ განა ახლა აქვს მნიშვნელობა ამას? მთავარია, რომ ეს ქალი ჩემთვისაა გაჩენილი. ერთი სული მაქვს, მკერდში ჩავიკრა, ვნებით გათანგულის ცრემლი მეპკუროს. ქალი რის ქალია, ეს თუ ვერ იგრძნო. ისიც დამყოლი ხდება. მზადაა, ალერსად იქცეს. არის ამაში რაღაც ზებუნებრივი სიწმინდე და ჯოჯოხეთის ცეცხლიც. ახლა სიყვარული ბატონობს და ჩვენც ვემონებით.

კიბეზე ნელა ავდივართ, მაგრამ მარათონგამოვლილებივით მაინც ძლივს ვსუნთქავთ. ხელი კანკალებს, წვალობს — გასაღები ვერაფრით ვერ მოურგია. ვშველი... როგორც იქნა. კარს ვხურავ თუ არა, მონუსხულებივით ვაშტერდებით ერთმანეთს. თვალებში მორჩილება და სინაზე ჩადგომია. მეც ნაზად ვუკოცნი თვალებს, სახეს, ტუჩებს. შევიგრძნობ, როგორ ფეთქავს ქალის სხეული. ვულკანი ამოსაფრქვევად ემზადება. ხელში ვიტაცებ, საწოლზე ვაწვენ...

მერე ბალიშში თავჩარგული განცხრომას ვეძლევი.

ევა მკერდზე თავს მადებს, მეხუტება.

ფანჯარაში სინათლე შემოდის. მძინარე ევას ვაკვირდები. განთიადის მკრთალ შუქს წლების კვალი წაუშლია. რა მშვენიერია!

ვდგები. საათს ვუყურებ. თენდება. ნუთუ ამდენ ხანს გვეძინა?

ევაც იღვიძებს. გაღიმებულ სახეზე ცისკრის სხივი დათამაშებს. ქვეშ-ქვეშ მაკვირდება. თმაზე ვეფერები, ვკოცნი.

— თურმე როგორ მწყუროდი და ვერ ვხვდებოდი, — ვეჩურჩულები.

— თავი ზღაპარში მგონია, — იღიმის და კისერზე მეხვევა.

— ძალიან, ძალიან მიყვარხარ. რომ იცოდე, როგორ გელოდი... — ბუტბუტებს.

— რა იცოდი, რომ მოვიდოდი?

— მე შენ იმ წამიდან გიცნობ, რა წამსაც ჩემში ქალმა გაიღვიძა. მხოლოდ ერთი რამის მეშინოდა: ვაითუ ვერ გეცნე, შეხვედრით კი, ვიცოდი, აუცილებლად შეგხვდებოდი. ქმრის დასაფლავების დღეს სიზმარში რომ გნახე, ამაზე, მგონი, უკვე გითხარი, მაგრამ მთავარი სხვაა: როცა გამომეღვიძა, ავტირდი. ვტიროდი იმაზე, რომ ცხოვრება უაზროდ გაილია და ახლა დარჩენილი წლები მარტო მომიწევდა ყურყუტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ბავშვი მყავდა. ერთი ხანობა ცხოვრებამ კიდეც გადამავიწყა შენი არსებობა, მაგრამ არაცნობიერი მუდამ გელოდა, შენით ცხოვრობდა. იქ, აეროპორტში, როგორც კი შეგიცანი, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს დახუთულ ოთახში ჰაერი შემოიჭრა. სულშიც რაღაც აბრიალდა, აშკარად მომესმა როგორ აშლერდა სიყვარულის სიმფონია. მინდოდა მოგხვეოდი, კოცნით სიყვარულის დამლა დამესვა და შენში გადმოვსულიყავი.

ვკოცნი. ვენთები...

მზის სხივი მაფხიზლებს. ევას ვერ ვხედავ. დაფეთებული ვეძახი.

ევა შემოდის. თვალებში აფერადებული სიმწვანე გაზაფხულის მზესავით მათბობს. საწოლთან იჩოქებს, ხელებს მიკოცნის.

— რა იყო, რა დამფრთხალი მიყურებ!

— რომ ვერ დაგინახე, შევშინდი.

ევასგან გადმოსული სხივი ჩემი არსის ყოველ კუთხე-კუნჭულს წვდება.

— ახლა ვხვდები, პირველად რომ გამომეცხადე, სატანა რატომ მეგონე. ჩვენი ცხოვრების წესია, ყველაფერი დიდი, რაც ყოველდღიურობის ჩარჩოებში არ თავსდება, სატანას მივაწეროთ. მაშინაც ასე იყო. ქალურობის ასეთმა გამოსხივებამ შემაკრთო, დამაბნია. ქალმა ხომ სულ დაკარგა თავისი ქალურობა ჩვენს ზეემანსიპირებულ დროში.

— სამაგიეროდ, დამოუკიდებელი გახდა, — თვალები უციმციმებს, — სხვათა შორის, ამაზე მეც მიფიქრია. მთელი წლები ისე ვიცხოვრე, ქალობა არ შემიგრძვნია, მაგრამ როგორც კი შენი გავხდი, გარდავიქმნი, იქნებ მართლაც სატანა ჩასახლდა ჩემში?

— სატანა კი არა, ეს აფროდიტეს ღვთიური მადლია.

— ახლაც მაჯობე. — თმას მიწეწავს, — ადექი, ვისაუზმოთ.

— არა, ჯერ სასტუმროში ვარ მისასვლელი.

— რა გეჩქარება?

შინაგანად ვხვდები, რა აინტერესებს.

— თუ შენ წინააღმდეგი არა ხარ, ჩემს ბარგიბარხანას გადმოვზიდავ.

— სატვირთო მანქანა ხომ არ დაგჭირდება? — გაბრწყინებულია.

თვალებში ცრემლიც უციალებს. რაო განდობილმა: გალაქტიკების მიზიდულობის არსი სიყვარულშიაო?

— ხომ არ წამოხვალ?

— არა, მე აქაურობას მივალაგებ.

— კარგი. მერე ქალაქში გავიდეთ, მაჩვენე შენი ქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

— შენ რა, გგონია, მე ასე კარგად ვიცნობ აქაურობას?

— ცნობისმოყვარეობით რომ არ გამოირჩევი, ეგ სახის ფერზეც გეტყობა. მთელი ის დრო, გემზე რომ გაატარე, კაიუტიდან არ გამოსულხარ?

— როგორ არა. გამთენიისას და საღამოობით დელფინებს ვესაუბრებოდი.

— მერე რაო, რას გეუბნებოდნენ?

— მამხნევებდნენ, მე კი ჩემს ოცნებებს გავანდობდი ხოლმე.

— კიდევ?

— კიდევ დახმარებას ვთხოვდი ხოლმე.

— რაო, რას თხოვდი?

— იქნებ სადმე გადააწყდეთ კაცს, რომელსაც ოცნება თვალებში ნაღვერდალივით უკრება-მეთქი.

— რა კარგი მყავხარ! — ვეფერები.

ყავას ვსვამთ.

— ამოაბრუნე ფინჯანი, ჩავიხედავ.

— მე სამაგისო არაფერი მჭირს. ჰო, მართლა, შენი ტელეფონი რა ნომერია?

— ორმოცი-ორმოცდასამი. რად გინდა?

— სასტუმროს ადმინისტრატორს დავუტოვებ, შეიძლება დავჭირდე ვინმეს.

— უკვე გაიჩინე ნაცნობები?

— არა, მაგრამ, შეიძლება, თბილისიდან დამირეკონ. რაღაც საქმეს ხომ უნდა მოვკიდო ხელი, სულ ასე უსაქმურად მტერი იჯდა.

ლოყები ეფაკლება. ახლა ერთი რჩება: მკითხავს თუ არა. არა, არ მკითხავს. ვაი და..., თავის მოტყუება ურჩევნია. მე კი შევძლებ, გარკვევით ვუპასუხო? განა ვარ დარწმუნებული, რომ აქ სამუდამოდ დამრჩენი ვარ? იქნებ მართლაც ჯანდაბის გზას გავუყენო მოსამართლეობაც, შორეული მიზნებიც და ამბიციურობით შეპყრობილი დედაქალაქიც? მეც ხომ არ გადმომეცვალა ბინა? ხომ კარგად ვიცი: ვერსად ასე ბედნიერი ვერ ვიქნები. ხომ ვიცი?

რამდენ ხანს დავრჩები? თვეს, წელიწადს?.. აბა, რას მეტყვი, ჩემო ფრთამოფარფატე უფლისწულო? რაღაც გაწუხებს, რაღაცაში არ მეთანხმები. ძნელია? ვიცი, ვიცი, არადა, ოდესმე ხომ უნდა ვუპასუხო ამ კითხვას? თუ ისიც ჩემი ცხოვრების მსგავსად ჰაერში დავტოვო გამოკიდებული?

„რას ვაპირებ და ვრჩები!“ ვამბობ ხმამაღლა და სასტუმროს ფოიეში შევდივარ. ანგარიშს ვასწორებ, ნომერში ავდივარ. მაგიდაზე ჩემს დღიურს ვამჩნევ. ვფურცლავ. ვხედავ, რომ მთელი ცხოვრება სულ სადღაც მივისწრაფი, მაგრამ პოკერის მოთამაშესავით ვბლეფობ, ხელში ხომ სულ სხვა კარტი მიჭირავს. რვეულის ბოლოში სუფთა ფურცელს ვამჩნევ. დიდხანს უაზროდ დავცქერი, მერე ვწერ: „გამარჯობა, ზაალ მინდიაშვილო. როგორა ხარ? როგორ გგონია, მიაღწევ ცისარტყელამდე თუ უსაშველოდ დაგშორდა? იმას მაინც ხომ მიხვდი, რატომ უკრძალავდა მამაზეციერი ადამს აკრძალული ხილის გასინჯვას. იცოდა, ადამი თუ ქალის გემოს გაიგებდა, ღმერთისთვის სამუდამოდ დაკარგული იყო და ახეც მოხდა. ახლა რას ვისურვებდი? რას და, მინდა, დრო სამუდამოდ გაჩერდეს და... ეეხ, აზრი გამექცა და ჩემი გაქცევის დროცაა.

აბა, კარგად. ამის შემდეგ რაც უნდა მოხდეს, შენსკენ მომხედავი აღარა ვარ. ხომ ხვდები, რატომ?"

„ვხვდები".

მაშინ, მითხარი.

„ეს თვითშემუსვრის ტოლფასი იქნება".

როგორც ყოველთვის, სწორად გამოიცანი აბა, კარგად, ჩემო ერთგულო მეგობარო და ოპონენტო. გული არაფერზე დაგწყდეს, რას იზამ, სხვაგვარად არ გამოდის".

დავყურებ ნაწერს და სევდა მეძალება. ვგრძნობ, ნაღველის მწკლარტე ბალღამი როგორ მწამლავს. სახტუმროდან გამოსულს რაღაც ძალა უკან მექაჩება. რომ შემეძლოს, დავბრუნდებოდი, დავდგებოდი ფანჯარასთან, გავუშტერებდი ზღვას თვალს და მთელი დარჩენილი ცხოვრება ასე ვიდგებოდი.

ადმინისტრატორს ევას ტელეფონს ვუტოვებ. წამს სინანული მიპყრობს — ჩემი ხელით გამოვიჭერი ყელი!

ფოსტის შენობაში შევდივარ.

— ბანდეროლის გაგზავნა მინდა.

— კი, ბატონო, მომეცით, შევფუთავ.

დღიურს ვაწვდი. ვხედავ, როგორ იფუთება ჩემი განვლილი ცხოვრება. ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს მიწას მაყრიან.

— მისამართი დააწერეთ.

ერთხანს ჩაფიქრებული დავყურებ თხელი მუყაოს ქაღალდს. მერე ვწერ: თბილისი, მთავარი ფოსტა. ზაალ მინდიაშვილს. მოკითხვამდე.

მოხელე მისამართს კითხულობს.

— გამგზავნის გვარი, სახელი და მისამართი.

დაბნეული, შემცბარი ღიმილით შევყურებ.

— გამგზავნს მისამართი არა აქვს.

— ასე არ შეიძლება.

— რატომ?

— ჩვენში უმისამართონი არ არიან და თან ასეთ გზავნილს ვერ ჩავიბარებთ.

— მაშ, რა ვქნა? განა მარტო მაწანწალები არიან უმისამართონი?

— თქვენ გეხუმრებათ, მე კი ხალხი მელოდება, — კოპები შეიკრა.

მეტი გზა არაა, რაღაც უნდა მოვიფიქრო. ფოსტის თანამშრომელს ბანდეროლს ვართმევ და ვწერ: ზაალ მინდიაშვილი. ევას სახლის მისამართიც მივაწერე და დიდი ასოებით დავუმატე: „ზაალ მინდიაშვილის სიცოცხლეში არ გახსნათ!"

ფოსტის მოხელე ახლა უკვე თანაგრძნობით ალსავსე მზერას მაპყრობს და მეკითხება:

— თავის დახრჩობას ხომ არ აპირებთ?

სახეზე კეთილი ირონია დათამაშებს.

— ვგავარ ამ საქმის ჩამდენ კაცს?

ყურადღებით მაცქერდება.

— როგორ გითხრათ. რაღაც ატაცებული კი ჩანხართ...

— მერე ეს მარტო სიკვდილს მოასწავებს?

— თქვენ ხელოვანი ბრძანდებით?

— დავუშვათ.

— გეტყობათ, — ამოისუნთქა.

ქვეტექსტი გასაგებია: შე საცოდავო, რა მაგრად გაკლიათ.

— იმის თქმა გინდათ, რომ ჩემისთანები კარგად არ ამთავრებენ? მერწმუნეთ, მე გამონაკლისი ვარ. რამდენი მოგართვათ?

ფულს ვიხდი, გარეთ გამოვდივარ. ქვითარს დავცქერი, ოთხად ვხევ და ურნაში ვყრი. მახსენდება, ჩანთაში პანამა მიდევს. სასწრაფოდ ვილებ, ვიხურავ და ანცი ბიჭივით ცეკვის სურვილი მეძალება.

## ეპილოგი

ზაალ მინდიაშვილი ხარბად ეტანებოდა ყველაფერს, რასაც დროის შთანთქმა შეეძლო. კოშმარივით აწვებოდა ხვალინდელ დღეზე ფიქრი. ტელეფონის ყოველი ზარი ხომ პირდაპირ თავზარს სცემდა.

სახლში იშვიათად იყვნენ, უმეტეს დროს ქალაქში ატარებდნენ. სულ ერთი იყო, სად იქნებოდნენ, ოღონდ შინ არ ყოფილიყვნენ და და ტელეფონის ზარის ზრიალი არ გაეგონათ. ერთხელ ევამ ტელეფონი სპეციალურად გააფუჭა, მაგრამ ზაალმა თავისი დაიმართა და სასწრაფოდ შეაკეთებინა. ამან ევა საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ზაალი „უიმათოდ" ვერ გაძლებდა. ამას ზაალიც გრძნობდა, თუმცა თავსაც არ უტყდებოდა.

რატომ?!

ხომ შეხვდა ქალს, რომელზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა. ევასთან შეხვედრით ხომ ნეტარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მეტი რაღა უნდოდა, რა არ ასვენებდა? რატომ არ აეწყო ყველაფერი ისე, „ნაბიჯის გადადგმის" შემდეგ რომ უნდა აწყობილიყო? არადა, თითქოს ყველაზე რთული ხომ სწორედ ნაბიჯის გადადგმა იყო. თანაც სულისწაწყმედამდე უყვარდა ევა. იმის გაფიქრებაც თავზარს სცემდა, რომ შეიძლებოდა დაეკარგა ეს ქალი. მაგრამ, იცოდა, ეს გარდაუვალი იყო. ისიც იცოდა, სწორედ ეს აგოლგოთებდა. არაცნობიერი გაეცნობიერებინა და ეგრძნო: უსუსური იყო, უძლური. იცოდა, „იმათ" ბრძანებას წინ ვერ აღუდგებოდა. სწორედ ამიტომ ეშინოდა ასე ტელეფონის ზარის. საბოლოოდ დარწმუნდა: ცხოვრებამ ცხვარად აქცია და ფარის მწყემსები და მათი კბილებდაღრჭენილი ნაგაზები ასე ლოლიავით გამოზრდილ ჭედილას არავის დაუთმობდნენ. ყოველივე ეს გაიცნობიერა თუ არა, გული ჩაწყდა: ფუჭად გაბნეულ ოცნებებზე, უაზროდ დახარჯულ ცხოვრებაზე. გამწარდა კაცი, ლამის იყო, ყმუილი დაეწყო. მაინც არ ეკუთვნოდა იმათ ჯილაგს, ვისაც მორჩილებით ჩვევია ეშაფოტზე ასვლა.

— ევა, წავიდეთ აქედან, — თხოვა კვირის თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად?

— სადაც გინდა, ოღონდ აქედან წავიდეთ. ჯვარი დავიწეროთ და ვიცხოვროთ სადმე.

ევას სახეზე ნაღველმა რკალი მოხაზა.

— ვთქვათ, დაგიჯერე. წელიწადში, ბევრიბევრი, ორ წელიწადში ხომ სინანული და ჩემი სიძულვილი მოგიღებს ბოლოს. ილია გაიხსენე: უსამშობლოო და უწარსულო კაცი ბოგანოზე უარესი და უბედურიაო. არა, მაგის მიზეზი მე ვერ გავხდები.

ზაალ მინდიაშვილმა თავი დახარა, ძლივს ამოღერღა:

— გემზე დაბრუნდები?

ევამ თავი გააქნია.

— არა, პოლიკლინიკაში დავიწყებ მუშაობას. ახლა ამ სახლის გამოკეტვას ველარ შევძლებ.

ზაალმა უცებ ცხადლივ წარმოიდგინა, რომ ევას ველარ იხილავდა, ველარ დატკბებოდა მასთან ყოფნით და სურვილი მოეძალა, მოვარდნილ ტალღასავით ეღრიალა, მაგრამ...

იმ ღამეს ნუკის სევდიანმა გამოხედვამ დაზაფრა, მის სიღრმეში მთელი თავისი ცხოვრება დალანდა. ყველანი იქ იყვნენ: მამა, ზაქრო, ცირა, სალომე, ნინო, მამუკა, ნიკა, ლევანი, ჰუმანისტი, ნოდარი, ზვიადი, რამაზი, დედის საფლავი, დოდიკას საფლავი, სანდრიკას საფლავი... ყველა ერთად ექაჩებოდა პასუხისმგებლობის, მოვალეობის, სიყვარულის ჯაჭვებით. გარკვევით დაინახა მომზადებული უღელი, რომელსაც სარევოლამორიული ხნული უნდა ამოებრუნებინა. უხმოდ შეება. არაქათგამოცლილმა ერთი კი იფიქრა, ვერ შევძლებო, გაუჭირდა, მაგრამ ნუკიმ ხელი აიქნია და ყველამ ერთად ისე წაუჭირა ჯაჭვები ყელში, რომ სასწრაფოდ აითრია უღელი.

როცა გულამოვარდნილმა თვალები გაახილა, განძრევა ვერ შეძლო. მთელი სხეული ტეხდა. თვალი ევასკენ გააპარა. ქალიც მასავით გოდებდა. ამან საბოლოოდ დაარწმუნა: დასასრული კარს იყო მომდგარი.

მთელი ის დღე გარეთ არ გასულა. საღამოს შვიდ საათზე ტელეფონმა რომ დარეკა, უკვე იცოდა, ეს საფინალო სასტვენის ხმა იყო. ბრძოლა დასრულდა!

„გისმენთ“, — თავისდაგასაოცრად გაყინულ ხმაში ნერვის ნატამალი ვერ შენიშნა.

„სად დაიკარგე, კაცო, ქვეყანა შევძარი შენს ძებნაში. ეგრე როგორ იქნება!“ — ნოდარ კარგარეთელი აშკარად ბრაზობდა.

„ჯერ გამარჯობა თქვი და მერე მეჩხუბე, — როგორა ხარ?“

„მე რა მიჭირს, მაგრამ ეს რა ნომერი მომცეს, სადა ხარ, ვისთან ცხოვრობ? ქალაქის პროკურორს ვაძებნინე შენი თავი“.

„მოხდა რამე?“

„სასწრაფოდ უნდა წამოხვიდე“.

„ამოღერღე ახლა, — ხმა გაებზარა, — რა ამბავია ჩემს თავს?“

„სალომეა ძალიან ცუდად“

„საავადმყოფოში წევს?“

„ერთი კვირა იწვა, გამოწერეს — აზრი არა აქვსო, ექიმებმა. ახლა სახლშია“.

„მერე აქამდე სად იყავით, რატომ არ გამაგებინეთ?“

„თავს იკლავდა, არ ქნათო“.

„ახლა?“ — შეაწყვეტინა.

„ნუკი ლამის გაგიჟდეს, სულ შენს ხსენებაშია. სალომემაც, რაღაც მინდა ვუთხრა და, თუ შეუძლია, მოვიდესო“.

„კარგი. დილით მანდ ვიქნები, ოღონდ ერთი თხოვნაც: ეს ტელეფონი სამუდამოდ დაივიწყე“.

„მაგას არა მარტო პროფესიული, კაცური ეთიკაც მავალებს“.

„მაშინ, დროებით“.

„გელოდებით, გეყოფა ნავარდი“.

ნოდარ კარგარეთელის ბოლო სიტყვებმა შოლტივით გაუტყლაშუნა.

— მიდიხარ? — ევა ზურგშექცევით იჯდა.

— უნდა წავიდე.

— როდის?

— დღესვე.

— დაბრუნდები?

— არ ვიცი.

ამბობდა, არ ვიციო, მაგრამ იცოდა, ველარ დაბრუნდებოდა.

— შეჭამე მაინც რამე, მატარებლის გასვლამდე საკმაო დროა.

— არაფერი არ მინდა.

— მაშინ ტანსაცმელს ჩაგილაგებ.

— არა, არა, აქ იყოს, იქნებ ოდესმე...

— დაგელოდები.

— დიდხანს რომ მოგიწიოს?..

— თუნდაც მთელი სიცოცხლე.

— გჯერა, რომ დავბრუნდები?

— მჯერა, იმიტომ რომ დადგება წამი, როცა სიკვდილისა და ჩემს გარდა არავის დაჭირდები.

ზაალი წამოდგა, ქალის წინ დაიჩოქა, ხელები დაუკოცნა. ევამაც ჩაიმუხლა, ჩაეხუტა.

როგორც კი მატარებელში ავიდა, წამს აირია, მოსვენება დაკარგა. ახლა ერთი სული ჰქონდა, ჩქარა დაბრუნებულიყო. ღამე დერეფანში თეთრად გაათენა. მთელი არსით ნუკისთან და სალომესთან იყო; ახლა მთავარი იყო დროზე შინ დაბრუნება, შინ დაბრუნება! სადგურის ბაქანზე წამით შედგა, თავბრუ დაეხვა: ქალაქის მაჯისცემა უკვე ჩქარობდა, თავის რიტმში ჩაეთრია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბადების 60 წელი შეუსრულდა პოეტ **გურამ კლდიაშვილს.** ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია თავის მრავალათასიან მკითხველთან ერთად ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობას, შემოქმედებით წარმატებებს.

# გურამ კლდიაშვილი

## ვესალმები მესამოცე წელს

ჩემი თოვლი ჩამომდნარა უკვე,
ჩემი წვიმა დაწრეტია ცას,
ჩემი ქარი გაყოლია ღრუბლებს,
ჩემი ცრემლი გარევია ცვარს...

ჩამოფქულა ჩემი წილი მინდი,
წყეულ მაცილს მაინც არ ვთხოვ ზავს,
ჩემი წილი სინათლე და ბინდი
საგზალივით შემომაკლდა გზად.

თითქოს კბილით მიკავია სული,
ველარ ვასწრებ, რალაც მინდა ვთქვა,
ვერ ვისრულებ ორიოდე სურვილს,
აქამდე რომ ვიტყუებდი თავს...

ე, რა უცბად
შემომადნა წლები,
ვესალმები მესამოცე წელს,
ორის ნაცვლად
ცხრა საათზე ვწვები
და ვიტკივებ მუხლებსა და წელს...

მიწყევლია
დაბადების დღენი,
ბევრი მქონდა სიხარულის დღეც,
მიცხოვრია
ულუკმოდ და ღრენით,
მაგრამ მაინც არ ვემდური ღმერთს.

ქვეყნად მოსვლა
რადგან არვინ მკითხა,
ალარც წასვლას ვეკითხები სხვას,
რაკი მოველ,
უნდა ვიყო დიდხანს,
სამარეში რალა ჭიამ მხრას?!

ოღონდ როცა
დაკრავს წასვლის ზარი
და გაფანტავს გლოვანარევ ხმებს,
დე, მე ვიყო
ის პირველი მგზავრი,
აქაურებს რომ დაუქნევს ხელს...

. . .

ჩემი თოვლიც ჩამომდნარა უკვე,
ჩემი წვიმაც დაწრეტია ცას,
ჩემი ქარიც გაყოლია ღრუბლებს,
ჩემი ცრემლიც გარევია ცვარს...

გამელალა თვალწინ სიჭაბუკე
და სიზმრიდან ველარ ვარჩევ ცხადს...

## უთქვენოდ?

ზეცავ, —
გაშლილო თაბახო!
მიწავ, —
ძვალხორცის დილეგო!
გულო, —
იმედთა სამარხო!
ნაძვებო, —
ჩოხის ქილებო!

სვეტიცხოველო, — ზვიადო,
გარდასულ დღეთა ნათებავ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკუნისამდე გვინათოს
შენთან
ნანთებმა
სანთლებმა!

ჯვარო, —
ნისლებში შობილო, —
ჯვარდაწერილო ტაძარო!
მთვარევ, —
ნუგეშად ხმობილო!
მზეო, —
ხანძართა ხანძარო!

ღამევ, —
ლექების სამოსო!
გოგოვ, —
სიყვარულნასვამო,
მითხარი,
როგორ დაგლოცო,
შენ, ჩემი ბედის ვარსკვლავო?

უთქვენოდ,
უამყველაფროდ,
ღმერთმა ქვეყნად ნუ დამტოვოს!

. . . . .

რომ არ გახსენე, გელათო,
ხომ არ გეწყინა, ბატონო?

### იმერეთი

მე როცა სოფელში ჩავალ,
ყველანი მხვდებიან ცერზე,
ლობიო,
მუხუდო,
ჩალა,
ატანილი არის სხვენზე.
და ელოდებიან ყურძენს,
რადგან ულვინობა უმძიმთ,
გლეხკაცი სოფელში თუ ძლებს,
ალბათ ძლებს მხოლოდ ყურძნით...
ჩავალ და აფრინდება ქერი,
საკლავზე ილესება დანა,
კისერს იგრძელებენ ქები
და ყანჩებივით დგანან.
მორბის, მობუხუნებს ბაბუ,
ადგამს არშინიან ლაჯებს,
ბებიას დაესხმება თავბრუ, —
წელმა მატრიალებს სამჯერ.
თუ გაიზარდაო, მიმზერს, —
გამჩენს სამადლობელს უთვლის,
ბაბუა ჩამოჯდება ჯირკზე
და თავს მოიწონებს სუფრით..
ჭინჭილას აივსებს დოქით,
თუთუნს ამოიღებს ჭიქოდ,
ენით დაისველებს ორ თითს:
— ხომ არ გააბოლებ, ბიჭო?
სახე და თვალები გამთქვამს,
თუთუნს გაიმეტებს ცოტას:
— დავლიოთ, თვარა გათბა,
ეს გაუმარჯოს მომტანს!
და გადახედავს ბებოს,
ბებიას არ ესმის ვითომ,
ნიორწყალს უსინჯავს გემოს,
ლობიო კვაწარახს ითხოვს.
ბაბუა დაახვევს პრასას,
წარილში ჩააწებს დინჯად,
გამჩენმა შეარგოს, მაგრამ
არ ყოფნის თორმეტი ინჯრა.
— ბოშო, კარგად გვყავდეს ბიჭი! —
ეტყვის ბებიას და ყლაპავს,
ფრჩხილზე დაიწრიტავს ჭინჭილს,
ფილტვებში ჩაიფილტრავს ნაფაზს.
ბებია ააგდებს ცხელ ჭადს,
თვითონ წამოდგომა უჭირს,
(ბასარა რაღაცას ღეჭავს,
რას იტანს ძაღლის კუჭი?!)
ბაბუა ჩაიწმინდავს ყელს,
ღიღინი ემატება სუფრას:
— რამდენ ჩაფს ჩაასხამ წელს?
— რომელს მეკითხები? სუფთას?
ასე ოხუნჯობით აშლის
პურისჭამასა და მადას,
და ჩვენ გვეძინება მაშინ,
როცა ელვიძება მამალს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შარლ ბოდლერი

## გოლიათი ქალწული

რაც კი ბუნებამ თვის შემოქმედ ძალთა ნავარდით
იწყო ჩასახვა ცისმარე დღეს ბუმბერაზ ბავშვთა,
მსურდა, მეცხოვრა მე გოლიათ ქალწულის გვერდით,
როგორც დედოფლის ფერხთით ცხოვრობს ავხორცი კატა.

მსურდა, მენახა მისი სულის და მისი ტანის
თავისუფალი ზრდა წიაღში დევურ თამაშთა;
გამეგო, მიღმა ამ თვალების, წყალ-ნისლიანის,
ღვივის თუ არა სიყვარულის ფარული განცდა;

მსურდა, დიდებულ ნაკვთებისთვის თვალი შემევლო,
ცოცვით ვეება მუხლისთავთა კალთებზე მევლო,
და ზოგჯერ, როცა, დათენთილი მზის დასხივებით,

ის მთელი ტანით გაწვებოდა ხასხასა ველად,
მსურდა, მეთვლიმა მისი მკერდის ჩეროში შვებით,
როგორც სოფელი მთეჩის ძირში თვლემს უშფოთველად.

## გასაყიდი მუზა

ო მუზავ ჩემო, სასახლეთა ვისაც გწვავს ტრფობა!
როცა ზამთარი ცივ ქარბუქებს გამოაგელვებს —
თოვლიან მწუხრთა კაეშნის ჟამს გამოჩხრეკ ღველფებს,
რომ გალურჯებულ მაგ ტერფების შესძლო გათბობა?

გამოაცოცხლებს მარმარილოდ ნაქცევ შენს ხელებს
დარაბებს წიალ ღამეულთა სხივთ მოძრაობა?
როცა ჯიბეს და ყელს გაგიშრობს შენ უსახსრობა —
შესძლებ, ესესხო ოქრო-ვერცხლი ტატნობის ველებს?

დღეს შენ გჭირდება — რომ არსობის იშოვო პური —
საყდრის ბიჭივით აქანაო სულ საცეცხლური,
მარცვლო Te Deum, რომლისაც შენ აღარა გჯერა;

ან კუჭცარიელ ჯამბაზივით მალაყი ჭიმო
და დაფარული ცრემლების წილ ყალბად იღიმო,
რომ ახარხარო ყველა ჯურის ტლუ და ბენტერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოგზაური ბოშები

ბოშათა ტომი, ცეცხლისთვალა, მომავლის მჭვრეტი,
წუხელ დაადგა გზას, ზურგებზე აკიდებული
თავის ჩვილებით, რომელთ მადა აქვთ დიდებული,
რისთვისაც ელის მათ მრავალი რძიანი კერტი.

მამრნი მისდევენ — ზედ აუსხამთ ხმალი თუ კეტი —
ოთხთვალებს, სადაც მათ ჯალაბებს ერევათ რული;
ცისკენ სრიალებს მზერა მათი, დამძიმებული
აუხდენელზე ჭმუნვით, კუშტად მოგიზგიზეთი.

ქვიშის საფრიდან კუტკალია აყოლებს მზერას
გზად მიმავალებს და ამძაფრებს თავის სიმღერას;
მათი მფარველი, კიბელა, ზრდის სიმწვანეს უფრო,

კლდეს წყალს ადენს და უდაბნოში ამოჰყავს ია
ამ მგზავრთა თვალწინ, რომელთათვის გაღებულია
უცნობ მყობადის ახლობელი მიწა-საუფლო.

## ამაღლება

მთების, ტყეების, ღრუბლების,
ზღვების,
ხეობების თუ ტბორების ზევით,
ეთეროვანი სივრცის გარღვევით,
მიღმა ვარსკვლავთა უშორეს
ზღვრების,

სულო, შენ მკვირცხლად მიექანები,
და ვით დელფინი წყალში ნეტარებს —
ლაღად მიაპობ უსაზღვრო არეს,
ენით უთქმელ და რაინდულ ვნებით.

გაშორდი მიწის ბუდეებს ნავსებს,
ზევით შენ განგწმენდს სუნთქვა
ზენარი,
და შესვი, როგორც ღვთიური ცვარი,
ცეცხლი, რაც წმინდა სივრცეებს
ავსებს.

კურთხეულია ის, ვინც ტკივილებს —
რაც უხვად გვაწვიმს ყოფიერებით —
გადალახავს და ძალუმი ფრთებით
ელტვის სინათლის აუმღვრევ ველებს;

ვისი ფიქრებიც, ტოროლათ მსგავსნი,
ეშურებიან აისის ჭალებს;
ვინც ამ ცხოვრების თავზე სრიალებს
და სცნობს — რას ბჭობენ უენო
არსნი.

თარგმნა დათო აღიკაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჰერმან ჰესე

# პოეტი

ამბობენ, რომ ვინმე ჩინელი პოეტი, ჰან ფოკი, სიჭაბუკეში უცნაურმა ჟინმა შეიპყრო. ჭაბუკს სურდა, ყველაფერს ჩასწვდომოდა და ზიარებოდა, რაც კი პოეზიის ხელოვნებას განეკუთვნებოდა.

მაშინ ჰან ფოკი, სამშობლოში, ყვითელი მდინარის პირას ცხოვრობდა. საკუთარი სურვილით და მშობლების დახმარებით, დანიშნული იყო ერთ კარგ გოგონაზე და ქორწილიც ერთ სვებედნიერ დღეს უნდა გადაეხადათ. პოეტი ოციოდე წლის მშვენიერი, თავდაჭერილი, ნატიფი მიხრა-მოხრის და სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილი გახლდათ. მეცნიერებაში განსწავლულს, სიყმაწვილის მიუხედავად, რამდენიმე კარგი ლექსით თავისი ქვეყნის პოეტებს შორის სახელიც ჰქონდა განთქმული. სიმდიდრე რომც არ მოეხვეჭა, ისედაც ჰქონდა თავისი სამყოფი მემკვიდრეობა, რასაც საცოლეს მზითევიც ემატებოდა და რადგან საცოლეც ლამაზი და ჭკვიანი იყო, ჭაბუკს ბედნიერებამდე არარაფერი აკლდა. ამისდა მიუხედავად, ჰან ფოკი მაინც გულნაკლული იყო, რადგან დაუცხრომელი სურვილი ჰკლავდა, რომ ნამდვილი პოეტი გამხდარიყო.

ჰან ფოკი მარტო დასეირნობდა მდინარეზე გამართულ ლამპარების დღესასწაულის დღეს...

ჰან ფოკი მარტო დასიერნობდა მდინარის მეორე ნაპირზე, მერე მდინარეზე გადახრილი ხის ძირს მიეყრდნო და წყალში მოციმციმე ლამპარების ანარეკლს დააცქერდა, მდინარეზე ნავებით და ტივებით მოცურავე ქალებს, კაცებს და გოგონებს შეავლო თვალი, რომლებიც ერთმანეთს ესალმებოდნენ და მშვენიერი ყვავილებივით ბრწყინავდნენ.

პოეტს ჩაესმოდა ლამპარებით განათებული წყლის ჩუმი დუდუნი, მომღერალთა ხმები, ფლეიტის ტკბილი ჰანგები, ამასთანავე ხედავდა მოლურჯო ღამეს, მოლივლივე ტაძრის გუმბათს რომ წააგავდა და მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, რადგან ამ სილამაზეს როგორც მარტოსული მაყურებელი შორიდან უთვალთვალებდა. გული კი მაინც იქით მიუწევდა, უნდოდა გაღმა გასულიყო, თავისი მეგობრების და საცოლეს სიახლოვეს ყოფილიყო და მათთან ერთად დამტკბარიყო ზეიმით, მაგრამ მაინც სულ უფრო შორეულსა და მიუწვდომელზე ოცნებობდა. სურდა ყოველივე ეს, როგორც მგრძნობიარე მაყურებელს ისე აღექვა და ღამის სილურჯე, წყალში არეკლილი შუქის ციმციმი, მოზეიმეთა სიხალისე და მდინარეზე გადაზნექილ ხეზე მიყრდნობილი ჩუმი მაყურებლის მწველი სურვილი, ერთ მშვენიერ ლექსად ექცია. რატომღაც უეცრად იგრძნო, რომ ამქვეყნად ვერც ერთი დღესასწაული თუ ნეტარების დიადი გრძნობა ვერასდროს დაიპყრობდა მის გულს მთლიანად და რომ ცხოვრებაში, ასე თუ ისე, მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვის უცხო, მარტოსული მაყურებლის როლში დარჩებოდა.

პოეტმა შეიგრძნო, რომ მის სულს, სხვებისგან განსხვავებით, ისეთი თვისება ჰქონდა, რომელსაც ერთდროულად ამქვეყნიური სილამაზის და უცხოთა სურვილების შეცნობა შეეძლო, ამიტომაც დანაღვლიანდა და ამ სურვილის ასრულება ინატრა.

ჰან ფოკი ველარ გარკვეულიყო, ეძინა თუ ეღვიძა, როცა ჩუმი შრიალი შემოესმა და ხის ძირთან იასამნისფერი ტანსაცმლით შემოსილი მოხუცი შენიშნა. პოეტი წამოიმართა და ისე მიესალმა უცნობს, როგორც მოხუცებს და კეთილშობილთ ესალმებიან.

უცნობმა გაიღიმა და რამდენიმე ლექსი წარმოსთქვა. ლექსშიც სწორედ ის იყო ნათქვამი, რასაც ახალგაზრდა კაცი სულ ორიოდე წუთის წინ განიცდიდა.

ლექსები ისე სრულყოფილად, ლამაზად და ოსტატურად იყო შეთხზული, რომ ჭაბუკს გაოცებისაგან გული გაუჩერდა.

„ო, ვინა ხარ! — შესძახა მან და მდაბლად დახარა თავი. — შენ შეგიძლია ჩემს სულში ჩაიხედო და ისეთი მშვენიერი ლექსები წარმოსთქვა, ჯერაც ჩემი მასწავლებლებისაგანაც რომ არ მსმენია.

უცნობმა ამჯერად გამოსათხოვარი ღიმილით გაიღიმა და უთხრა:

„თუ გსურს, რომ პოეტი გახდე, მაშინ წამოდი ჩემთან. ჩემს ქოხს ჩრდილო-დასავლეთის მთებში, დიდი მდინარის წყალშესაყართან იპოვი. ჩემი სახელი „სრულყოფილი სიტყვის ოსტატია".

ამ სიტყვებით მიეფარა მოხუცი კაცი ვიწრო ხის ჩრდილს და თანდათან გაუჩინარდა.

ჰან ფოკი ამაოდ ეძებდა უცნობს და როდესაც მის ნაკვალევსაც ვერსად მიაგნო, მტკიცედ ირწმუნა, რომ ეს ყოველივე დაღლილობისგან გამოწვეული ზმანება იყო.

იგი სწრაფად გაემართა ნავებისკენ და მოზეიმეებს შეუერთდა. მაგრამ ლაპარაკსა და ფლეიტის ჰანგებს შორის ისევ და ისევ უცნობის საიდუმლოებით მოცული ხმა ესმოდა და რადგან უცხოსავით იჯდა მხიარულ ადამიანებს შორის, რომლებიც მას თავიანთი ლაციცით აღიზიანებდნენ, თავისი სული უცნობის სულთან შეწყვილებული ეჩვენა. რამდენიმე დღის შემდეგ ჰან ფოკის მამამ გადაწყვიტა, მეგობრებთან მოეთათბირა, რათა ნიშნობის დღე დაენიშნათ. მაშინ ჭაბუკმა წინააღმდეგობის გაწევა გაბედა და სათქმელი შეჰკადრა მამას: „მაპატიე, მამა, თუ წინ აღვუდგები იმ მოვალეობას, რომელიც შვილს მამის წინაშე ეკისრება. მაგრამ შენ იცი, თუ რა დიდია ჩემი სურვილი, რომ პოეზიის ხელოვნებაში სხვებისგან გამოვირჩეოდე და თუკი რამდენიმე ჩემი მეგობარი ჩემს ლექსებს შეაქებს, მაშინ უკვე ნამდვილად ვირწმუნებ, რომ ახალბედა, გზის პირველ საფეხურზე მდგარი პოეტი ვარ. ამიტომ გთხოვ ნება დამრთო, რომ ცოტა ხნით კიდევ განვმარტოვდე, გაკვეთილებს დაეწაფო, რადგანაც მგონია, რომ თუ ჯერ ოჯახი მეყოლება მისახედი, მაშინ ეს ყოველივე ჩემს საქმეებს ჩამომარჩენს. ეხლა ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ჩემი მოვალეობებისგან თავისუფალი ვარ, ამიტომ მინდა კიდევ რამდენიმე ხანს განვმარტოვდე და მხოლოდ ჩემი ხელოვნებისთვის ვიცხოვრო, რომლისგანაც მხოლოდ დიდებას და სიხარულს მოველი".

ამ საუბრით გაოცებულმა მამამ უთხრა შვილს: „ეტყობა, პოეზია ყველაფერზე მეტად გიტაცებს, რადგანაც მისი გულისთვის საკუთარი ქორწილის გადადებაც კი გსურს. თუ რაიმე მოხდა შენსა და შენს საცოლეს შორის, მითხარი, იქნებ დაგეხმარო, ერთმანეთს შეგარიგოთ ან სხვა საცოლე გამოგიძებნო". ჰან ფოკმა დაიფიცა, რომ თავისი საცოლე გუშინდელზე ნაკლებად არ უყვარდა და რომ მათ შორის

ბიბლიოთეკა

ჩხუბის ჩრდილიც კი არ გამკრთალიყო. და მერე მოუყვა მამას თუ ლამპარების დღესასწაულის დღეს, ოცნებაში გართულს, როგორ გამოეცხადა ერთი ოსტატი, რომლის მოწაფედ გახდომასაც უფრო თავდავიწყებით ნატრობს, ვიდრე ყველა სხვა ამქვეყნიურ ბედნიერებას.

„კარგი, წადი, — უთხრა მამამ. — ერთი წლის ვადას გაძლევ. ამ ხნის მანძილზე შეგიძლია შენს ოცნებას მისდიო, რომელიც, ალბათ, ღმერთისგან გაქვს ნაბოძები".

„ვინ იცის, შეიძლება ყველაფერი ეს ორ წელიწადსაც გაგრძელდეს"! — ჩაილაპარაკა ჰან ფოკმა ყოყმანით.

მაშინ დანაღვლიანებულმა მამამ შვილს წასვლის ნება დართო. პოეტმა კი ბარათი გაუგზავნა თავის საცოლეს, ყველას გამოემშვიდობა და გზას გაუდგა.

და როცა ბევრი ხეტიალის შემდეგ მდინარის წყალშესაყართან ააღწია, დიდ სიმარტოვეში ჩადგმული ბამბუკის ქოხი დაინახა.

ქოხის წინ, ჰილოფზე მოხუცი იჯდა. სწორედ ის მოხუცი, მდინარის ნაპირზე ხის ძირთან რომ ნახა.

მოხუცი იჯდა და ბარბითზე უკრავდა და როდესაც სტუმარი შენიშნა, რომელიც შეცბუნებული სახით უახლოვდებოდა, არც ამდგარა და არც მისალმებია. მხოლოდ გაიღიმა და ნატიფი თითები სიმებზე აათამაშა. მომჯადოებელი მუსიკა მოვერცხლილი ღრუბელივით გადმოიღვარა ხეობაში. ყმაწვილი კი გაკვირვებული იდგა, ტკბილ ოცნებებში ჩაფლულს, ყველაფერი გადაავიწყდა. ბოლოს „სრულყოფილი სიტყვის ოსტატმა" თავისი პატარა ბარბითი გვერდზე გადასდო და ქოხში შევიდა. შეცბარი ჰან ფოკიც უკან გაჰყვა მოხუცს და მასთანვე დარჩა, როგორც მისი მსახური და მოწაფე.

ერთი თვის შემდეგ ჰან ფოკმა შეისწავლა ყველა ის სიმღერა, რომლებსაც აქამდე გონებაში თხზავდა. ოსტატი სიტყვასაც არ სძრავდა, მდუმარედ ასწავლიდა პოეტს ბარბითზე დაკვრის ხელოვნებას, სანამ მოსწავლის არსება მთლიანად მუსიკამ შეიპყრო.

ერთხელ ჰან ფოკმა დაწერა პატარა ლექსი, სადაც შემოდგომის ცაზე ორი ჩიტის ნავარდი აღწერა. ლექსი თვითონაც მოეწონა, მაგრამ ვერ ბედავდა, რომ ოსტატისთვის ეჩვენებინა. ოსტატს ძალიან მოეწონა ლექსი, თუმცა სიტყვა მაინც არ დასცდენია.

მოხუცი მხოლოდ თავის ჩანგზე უკრავდა მშვიდად და მღეროდა, შებინდებულზე, შუა ზაფხულში, როგორ გრილდებოდა ჰაერი და გარუხებულ ცაზე როგორ მიფრინავდა ხეტიალის ჟინით შეპყრობილი ორი ყანჩა. ეს ყოველივე ჰან ფოკის ლექსთან შედარებით იმდენად მშვენიერი და სრულყოფილი იყო, რომ პოეტმა თავი უხერხულად იგრძნო, დანაღვლიანდა და დადუმდა.

მოხუცი ყოველთვის ასე იქცეოდა და როდესაც ერთი წელი გავიდა, ჰან ფოკმა ბარბითზე დაკვრა შეისწავლა. ლექსის წერა კი ისევ და ისევ ძნელი და მიუწვდომელი ეჩვენებოდა.

გავიდა ორი წელი და ყმაწვილს ძალიან მოენატრა სამშობლო, საცოლე და თავისიანები. ოსტატთან მივიდა და სთხოვა, რომ წასვლის ნება დაერთო.

ოსტატმა გაუღიმა, თავი დაუქნია და უთხრა: „შენ თავისუფალი ხარ, ჰან ფოკ, და შეგიძლია, სადაც გსურს, იქ წახვიდე. გსურს, იქ დარჩი, გსურს, ისევ დაბრუნდი, როგორც გენებება!" ჰან ფოკი მართლაც წავიდა, ბევრი იხეტიალა, სანამ მშობლიურ ნაპირს მიადგებოდა და თაღიანი ხიდიდან თავის სამშობლოს გადახედავდა. პოეტი ჩუმად შეიპარა მამისეულ ბაღში და საძილე ოთახის ფანჯრიდან მამის სუნთქვა შემოესმა. მერე ფეხაკრეფით შევიდა საცოლის ხეხილის ბაღში, მსხლის ხეზე აცოცდა და კენწეროდან თავისი საცოლე დაინახა. გოგონა ოთახში იდგა და თმას ივარცხნიდა. და როდესაც საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარი თვალით დანახული იმ სურათს შეადარა, რაც სამშობლოს დანატრებულმა თავის ოცნებაში წარმოიდგინა, მისთვის უკვე ნათელი გახდა, რომ ნამდვილად პოეტი უნდა გამხდარიყო.

ჰან ფოკი მიხვდა, რომ პოეტის ოცნებებში მშვენიერება და სინარნარე ბინადრობდა, ყოველივე ამის ძიება კი ამქვეყნიურ საქმიანობაში ამაო იყო. ჭაბუკი ხიდან ჩამოცოცდა, ბაღჩიდან ნაჩქარევად გავიდა, ხიდი გადაიარა და ისევ მთებში, მაღალ ხეობაში დაბრუნდა. ისევ დაინახა ქოხის წინ ჭილოფზე მჯდარი მოხუცი. მოხუცი თითებს ათამაშებდა ქნარზე და მისალმების მაგივრად, ორი ლექსი წარმოსთქვა ხელოვნების მადლზე. ლექსი ისე ღრმა, გულში ჩამწვდომი იყო, რომ ჭაბუკს თვალები ცრემლით აევსო და გადაწყვიტა დარჩენილიყო „სრულყოფილი სიტყვის ოსტატთან“. რადგან ბარბითზე უკვე მშვენივრად უკრავდა, მოხუცი ოსტატი ახლა უკვე ციტრაზე დაკვრას ასწავლიდა. თვეები კი ისე იფანტებოდა, როგორც თოვლი დასავლეთის ქარში. კიდევ ორჯერ მოენატრა ჭაბუკს სამშობლო. ერთხელ ღამით გაიპარა ჩუმად და სანამ მდელოს უკანასკნელ მოსახვევამდე მივიდოდა, ღამის სიომ ქოხის კარში დაკიდებულ ციტრას წამოუქროლა. მისი ჰანგები გზაზე წამოეწია ჭაბუკს და უკან მოუხმო. ჰან ფოკმა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო და მიბრუნდა.

მეორეჯერ პოეტს დაესიზმრა, რომ ნერგს რგავდა საკუთარ ბაღში. ცოლიც გვერდით ედგა. მისი შვილები კი ხეს რძით და ღვინით რწყავდნენ. როდესაც გამოეღვიძა, მისი ოთახი მთვარის შუქით იყო განათებული. აღელვებულმა წამოიწია და გადახედა ოსტატს. მოხუცს მშვიდი ძილით ეძინა მის გვერდით და თეთრი წვერი ნელა უტოკავდა. ჭაბუკი მწარე სიძულვილმა შეიპყრო ამ ადამიანის მიმართ, რომელმაც, როგორც ეჩვენებოდა, მთელი ცხოვრება დაუნგრია და მომავლის გზის არჩევანში შეაცდინა. ჰან ფოკს მოუნდა სცემოდა მოხუცს და სიცოცხლე მოესწრაფა მისთვის. სწორედ ამ დროს გაახილა მოხუცმა თვალები და გაიღიმა მშვიდი, ნაღვლიანი ღიმილით. ამ ღიმილმა ჭაბუკი მაშინვე განაიარაღა.

— „გაიხსენე, ჰან ფოკ, — უთხრა მოხუცმა მშვიდად, — შენ თავისუფალი ხარ და შეგიძლია, რაც გსურს, ის აკეთო. შენ შეგიძლია, შენს სამშობლოში დაბრუნდე და ხეები დარგო, შეგიძლია, გძულდე და სიცოცხლეც მომისწრაფო. ეს არცთუ ისე ძნელია. — „ო, როგორ შემეძლო, რომ მძულებოდი!“—შესძახა პოეტმა აღელვებით. ეს ისევეა, ადამიანს ცა რომ სძულდეს. ისევ დარჩა ჰან ფოკი მოხუც ოსტატთან. ჯერ ციტრაზე დაკვრა ისწავლა, შემდეგ — ფლეიტაზე. ცოტა მოგვიანებით კი, ოსტატის რჩევით, ლექსების წერაც დაიწყო. ნელ-ნელა ეუფლებოდა ამ იდუმალ ხელოვნებას. პოეტს შეეძლო მკაფიოდ უბრალოდ და სადად ეთქვა თავისი სათქმელი და მსმენელის სულში ხელები ეფათურებინა, როგორც ქარი აფათურებს ხელებს წყლის ზედაპირზე. პოეტმა აღწერა მზის ამოსვლა, თუ როგორ მერყეობს მზე მთების კიდეზე. თევზების უჩუმარი სხლტომა, ჩრდილებივით რომ დალივლივებენ წყალში. აღწერა ჯეჯილის ლივლივი გაზაფხულის ნიავის წამოქროლაზე. და როცა ყოველივე ამას ისმენდა კაცი, ეს მხოლოდ მზე, თევზების თამაში და მდელოს ჩურჩული კი არ იყო, არამედ გეგონებოდათ, რომ უცაბედად ცა და ქვეყნიერება ერთ სრულყოფილ მუსიკად ჟღერდა და ყოველი მსმენელი სიხარულით თუ ტკივილით ფიქრობდა იმაზე, რაც უყვარდა და სძულდა: ბავშვი თამაშზე ფიქრობდა, ყმაწვილი — შეყვარებულზე, მოხუცი კი სიკვდილზე.

ჰან ფოკმა უკვე აღარ იცოდა, რამდენ ხანს დაჰყო დიდი მდინარის წყალშესაყართან. ხშირად ეჩვენებოდა, თითქოს გუშინ საღამოს შემოდგა ფეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხეობაში და მოხუცი ოსტატი ბარბითის ჰანგებით შეეგება. ხშირად კი ეგონა, რომ მას აქეთ დიდმა დრომ განვლო, ადამიანთა თაობებმა ჩაიარა მის თვალთა წინ და უკვალოდ გაქრა.

და აი, ერთ დილას, როცა გაიღვიძა, ქოხში მარტო იყო. სად არ ეძება და სად არ ეძახა მოხუცს, მაგრამ ველარსად იპოვა. სრულყოფილი სიტყვის ოსტატი გამქრალიყო.

თითქოს იმ ღამით შემოდგომა დამდგარიყო. ცივი ქარი ძველ ქოხს აზანზარებდა. მთის ქედზე კი გადამფრენი ფრინველების დიდი გუნდი მიფრინავდა, თუმც გადაფრენის დრო ჯერ არ დამდგარიყო. მაშინ ჰან ფოკმა თავისი პატარა ქნარი აიღო და მშობლიურ მიწა-წყალს დაუბრუნდა. სადაც კი მივიდოდა, ყველანი ისე ესალმებოდნენ, მოხუცებს და დარბაისელთ რომ შეჰფერის და როდესაც თავის მშობლიურ ქალაქში მივიდა, მამაც, საცოლეც და ნათესავებიც ყველანი იმქვეყნად წასულები დახვდნენ. მათ სახლებში კი სხვა ადამიანები ცხოვრობდნენ.

საღამოს, მდინარეზე ისევ გაიმართა ლამპარების დღესასწაული. ჰან ფოკი მდინარის მეორე, ჩაბნელებულ ნაპირზე იდგა ბებერი ხის ძირს მიყრდნობილი და როდესაც თავის პატარა ბარბითზე დაკვრა დაიწყო, ქალები ოხვრას მოჰყვნენ და ალტაცებულები და შეცბუნებულები იმზირებოდნენ ღამის წყვდიადში, ყმაწვილი კაცები კი ბარბითზე დამკვრელს უხმობდნენ, მაგრამ ვერსად პოულობდნენ.

ხმამაღლა გაიძახოდნენ, რომ არც ერთ მათგანს ჯერ არსად სმენოდა ბარბითის ასეთი ტკბილი ჰანგები.

ჰან ფოკი კი იღიმებოდა, მდინარეს ჩაჰყურებდა, სადაც ათასობით ლამპართა ანარეკლი დაცურავდა და როგორც ლამპარების ანარეკლს ველარ არჩევდა ნამდვილი შუქისგან, ასევე ველარ იპოვა თავის სულში სხვაობა ამ დღესასწაულსა და იმ პირველ დღესასწაულს შორის, როცა სულ ახალგაზრდა მდინარის ამ ნაპირზე იდგა და უცნობი ოსტატის მომაჯადოებელ სიტყვებს უსმენდა.

თარგმნა ᲗᲐᲛᲣᲜᲘᲐ ᲖᲐᲛᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მკითხველს ვთავაზობთ ციალა არდაშელიას და უშანგი ბახტაძის წერილებს, რომლებიც კარგა ხანს იდო რედაქციის პორტფელში და გარკვეული მოსაზრებებით გამოქვეყნებისგან თავს ვიკავებდით. როგორც უკანასკნელი პერიოდის მოვლენებმა ცხადყო, ცენტრის გარკვეული ძალები კვლავ ცდილობენ ერთი მუჭა ექსტრემისტების წყალობით თავგზა აუბნიონ არაქართველ მოსახლეობას, დაუპირისპირონ ისინი საქართველოში გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეს დაპირისპირება და სეპარატისტული მოძრაობა უმეტესად, აგებულია ისტორიული პროცესის განგებ დამახინჯებას და ფაქტების უგულვებელყოფაზე. ვფიქრობთ, აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემებში, ამ ერებთან ქართველი ხალხის ისტორიულ ურთიერთობაში გარკვეულ სინათლეს შეიტანს წინამდებარე წერილები.

## უშანგი ბახტაძე

# იყო კი ხადი ძახილი?

1989 წლის 13 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის იაკობ ფუტკარაძის სტატია „ხალი ძახილი", რუბრიკით — „პოზიცია". სტატიის მიზანი კეთილშობილურია — გვიჩვენოს ქართველი და ოსი ხალხის ტრადიციული, ნორმალური თანაცხოვრება, რომელშიც ზოგჯერ მღვრიე ნაკადიც გამოერევა ხოლმე (ამის მოწმენი დღეს სამწუხაროდ ყველანი ვართ. ამ ცოტა ხნის წინათ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს საგანგებო სესიამ, ოლქი... საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა) (!). ავტორს სამართლიანად მიაჩნია საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მთლიანობის დარღვევად და მთელი ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფის მცდელობად ექსტრემისტ-სეპარატისტ ოსთა მიერ ოლქის ნაცვლად, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების მოთხოვნა.

ავტორი, სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო, თავს არიდებს ამ მეტად მტკივნეული პრობლემისადმი მრავალმხრივ მიდგომას და ეხება მხოლოდ ერთ კონკრეტულ, ისტორიულ, იურიდიულ ფაქტს, კერძოდ, საქართველოს შემადგენლობაში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების საკითხს, რაც ავტორს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია იმ თვალსაზრისით, რომ ეს „მკაფიოდ წარმოაჩენს ოსი ეროვნების მშრომელთა ჭეშმარიტად პატრიოტულ, მოძმე ქართველი ერისადმი უაღრესად კეთილგანწყობილ მტკიცე პოზიციას!.. თუმცა, იქვე, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებას, სავსებით სამართლიანად, უწოდებს ანტიქართულ გეგმას, რომ მას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს და გამოთქვამს ვარაუდს (ვარაუდს იმიტომ, რომ, ჩანს, მან, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ნამდვილი ფაქტები არ იცის), რომ იგი (ე. ი. გაერთიანების საკითხი) ..ჯერ კიდევ მანამდე დაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახა, სანამ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნებოდა...“,

ამ „ერთ კონკრეტულ იურიდიულ ფაქტად“ და „სალ ძახილად“ იაკობ ფუტკარაძეს მიაჩნია, 1925 წლის ივლისში, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე მოწვევის, მეორე სესიის მიერ, სხვა მრავალ საკითხთან ერთად განხილული, ჩრდილოეთ ოსეთის ოლქის საბჭოს თავმჯდომარის ძ. თაკოევის მოხსენება: — ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად გაერთიანების შესახებ. ეს მოხდა ამ სესიის მესამე სხდომაზე, 16 ივლისს, როდესაც საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარმა ვარძიელმა დაამთავრა მოხსენება სასამართლო წყობილების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების, აგრეთვე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესწორებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. ფ. მახარაძე მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს სიტყვას მოხსენებისათვის ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსულ სტუმარს ძ. თაკოევს. ეს ხდება დღის წესრიგის პირველი ოთხი საკითხის განხილვის დამთავრების შემდეგ.

ძ. თაკოევის მოხსენება სრულიადაც არ ყოფილა გატანილი სესიაზე ექსპრომტად, მოუმზადებლად და მოულოდნელად, არც იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ წინასწარი ვნებათაღელვა და უზრუნველეყოთ სასურველი გადაწყვეტილების უმტკივნეულოდ მიღება. სესიას ამ საკითხის განხილვა ყოველთვის შეეძლო, თუნდაც იგი მართლაც არ ყოფილიყო შეტანილი დღის წესრიგში წინასწარ, თუნდაც მიმდინარე საკითხების განხილვისას, თანაც სესიის აღფრთოვანებული რეაგირება ძ. თაკოევის მოხსენებაზე, სრულიადაც არ ადასტურებს ავტორის ეჭვს რაღაც წინასწარი მაქინაციების შესახებ. ვერც იმაში დავეთანხმებით ავტორს, რომ სესიაზე ამ მეტად საპირბოროტო საკითხის გამო, კამათი და მსჯელობა თითქმის არ გამართულა. სწორედ რომ პირიქით, საკმაოდ ვრცელი სიტყვით გამოვიდა თვითონ ამ სესიის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, აგრეთვე საქართველოს ყველა ავტონომიური ერთეულის წარმომადგენელი გეგელიას, გოგიჩეიშვილისა და ჯატიევის სახით. კიდევ მეტიც: აფხაზეთის წარმომადგენელმა, გეგელიამ, ფ. მახარაძეც კი გააკრიტიკა სიტყვებისათვის: „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება დიდი ნაბიჯია წინ, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ რესპუბლიკაში მოხდება ეს გაერთიანება“-ო და დასძინა, რომ „უდიდესი მნიშვნელობა სწორედ იმ გარემოებას აქვს, რომ ის უერთდება თავის მოძმე ქართველებს...“.

მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია ის, რომ ავტორმა ვერ დაინახა ძ. თაკოევის გამოსვლაში აშკარად ნაციონალისტური, ანტიქართული, ყოველმხრივ დაუსაბუთებელი პრეტენზიები, შენიღბული საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანების მოტივით: ვერ დაინახა მისი შორს გამიზნული განზრახვა საქართველოს მიწა-წყლის მიტაცებისა, რასაც ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსების გარკვეული ნაწილი ასე დაჟინებით ესწრაფვის მას შემდეგ, რაც საქართველომ თავისი სახელმწიფოებრიობა აღიდგინა და 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

როგორც ძ. თაკოევის საკმაოდ ვრცელი მოხსენებიდან ნათლად ჩანს, ჩრდილოეთისა და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი დიდხანს და საგულდაგულოდ მზადდებოდა ამ ორივე ავტონომიური ერთეულის მიერ. ვინაიდან სამხრეთელ ოსებს საკმაოდ ჰქონდათ გატეხილი სახელი ქართველი ხალხის თვალში, ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებისა და რსფსრ-ს შემადგენლობაში შესვლის დაჟინებული მოთხოვნის გამო, ამიტომ ახლა ეს ინიციატივა ჩრდილოელ თანამოძმეებს დაუთმეს. თუ ძ. თაკოევს დავუჯერებთ, 1925 წლის იანვრის თვეში ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების ყრილობას (თუმცა 7 თვეც კი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ოსეთი ცალკე ავტონომიურ ოლქად გამოეყო მთიელთა ასსრ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა 1920 წლიდან ყარაჩაელებთან, ყაბარდოელებთან, ჩეჩნებთან, ბალყარელებთან და ინგუშებთან ერთად) დაუსვამს საკითხი სამხრეთ ოსეთთან გაერთიანების შესახებ და სათანადო დადგენილებაც გამოუტანია, რათა აღძრულიყო შუამდგომლობა ცენტრალური ხელისუფლების წინაშე ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ (თუ რომელ ცენტრალურ ხელისუფლებაზეა ლაპარაკი, სამწუხაროდ, ძ. თაკოევის მოხსენებიდან არ ჩანს). არ გადის ორი თვეც და იმავე წლის 25 მარტს, სამხრეთ ოსეთის საბჭოების ყრილობაც იღებს ანალოგიურ დადგენილებას ისე, რომ თავის ჩრდილოელ კოლეგებისაგან განსხვავებით, ამის შესახებ არც წინასწარ და არც შემდეგ არაფერს აცნობებს საქართველოს ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს. სამხრეთ ოსეთიდან სასურველი პასუხის მიღების შემდეგ, ჩრდილოეთ ოსეთის აღმასრულებელმა კომიტეტმა აღძრა საკითხი უშუალოდ რსფსრ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი აპირებენ გაერთიანებას ერთ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად და საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლას. როგორც ძ. თაკოევის მოხსენებიდან ჩანს, არც სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და არც მის პრეზიდიუმს, რომელსაც წარედგინა გაერთიანების საკითხი განსახილველად, არავითარი საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გამო, ოღონდ მიუღია დადგენილება, რათა ეს საკითხი წინასწარ ყოფილიყო შეთანხმებული ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტთან, რომელშიც შედიოდა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, რომელშიც შედიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. სამწუხაროდ, ეს დადგენილება ჩვენ არ მოგვეპოვება, იგი არც ძ. თაკოევს წარუდგენია საქართველოს ცაკის სესიისათვის, მაგრამ ძნელი არ არის ეჭვის შეტანა, ძ. თაკოევის გულწრფელობაში, თუნდაც იმიტომ, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი კონსტიტუციურად სრულიად უფლებამოსილი იყო გადაეჭრა ეს საკითხი ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტთან, როგორც მისადმი დაქვემდებარებულ ორგანოსთან შეუთანხმებლად, თუ მას ექნებოდა ამაზე საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სფსრ-ს ცაკის თანხმობა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მაშინ საქართველოს სსრ.

ამასთან, ძ. თაკოევის მოხსენება, სხვა სიკეთესთან ერთად, წინააღმდეგობრივიც არის: ჯერ ამბობს, სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს არავითარი საწინააღმდეგო აზრი არ გამოუთქვამს გაერთიანების თაობაზეო, მაგრამ იქვე, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, დასძენს: „სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სცნობს, რომ საკითხი ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლის შესახებ, ჯერ კიდევ შემუშავებული არ არის და არ დააყენებს მას საბოლოო განხილვისათვის"-ო.

ძ. თაკოევმა შესანიშნავად იცის, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება გინდ საქართველოს, გინდ რსფსრ-ს შემადგენლობაში, არც რსფსრ-ს, არც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების და, მით უმეტეს, არც ჩრდილოეთ კავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის კომპეტენციაში არ შედის, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება „მთლად საბჭოთა კავშირს", რომ „ამ საკითხს საკავშირო ხასიათი აქვს და მისი საბოლოო გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში". მან ისიც შესანიშნავად იცის, რომ ჩრდილოეთ ოსეთის გამოყოფა და საქართველოს შემადგენლობაში შესვლა გამოიწვევს განსაზღვრულ ტერიტორიულ ცვლილებას ორ სუვერენულ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, მათი ტერიტორიული უფლებების შელახვას და რომ ამისათვის აუცილებელია საკავშირო ცენტრალური ორგანოების უეჭველი თანხმობა. მაგრამ იგი მაინც ჩამოდის საქართველოში არა რსფსრ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის რწმუნებებით აღჭურვილი, არამედ მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით, რათა აღძრას ეს საკითხი ჯერ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, ხოლო შემდეგ (დარწმუნებული იმაში, რომ ასეთ თანხმობას აუცილებლად მიიღებს, ვინაიდან ეს გაერთიანება საქართველოს შემადგენლობაში ხდება) — სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

იაკობ ფუტკარაძე თავის სტატიაში რატომღაც არ ამახვილებს ყურადღებას ამ არსებითი მნიშვნელობის იურიდიული ხასიათის ფაქტებზე, თუმცა თავიდანვე გვპირდება, რომ საუბარი ექნებოდა სწორედ კონკრეტულ, ისტორიულ, იურიდიულ ფაქტებზე. ძ. თაკოევი აშკარა ავანტიურისტია, მაგრამ მან მაინც შესძლო აეჩუყებინა გული არა მარტო სესიის წევრებისათვის, არამედ ჩვენი ავტორისთვისაც, რომელსაც იგი, ე. ი. ძ. თაკოევი, მიაჩნია იმ ჭკვიან ოს კაცად, „რომლის ბრძნული სიტყვები... პოლიტიკურ ანდერძად გაცხადდა და სამოქმედო პროგრამად დაისახა ამ სამოცდაოთხი წლის წინათ..." მაგრამ რა ვუყოთ იმ რვა წელს— დაწყებულს 1918 წლის მარტიდან 1925 წლამდე და შემდეგ მომდევნო წლებს, თითქმის დღევანდლამდე, რომელიც აღსავსეა ზოგიერთ ოსთა დაუცხრომელი სეპარატიზმით, აშკარა სიძულვილით ქართველი კაცისა და ყოველივე ქართულისადმი, რა სახელი ვუწოდოთ იმ ძრწოლვას, შიშს და იარაღით ხელში ბრძოლას, რომელიც ყოველთვის ძალუმად იჩენდა თავს, როგორც კი დღის წესრიგში დგებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, ქართველი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი? განა დღესაც იგივე არ ხდება? მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

მივუბრუნდეთ ისევ ძ. თაკოევს, მის ბაგეთაგან აღმომხდარ „სალ ძახილს", მოტივებს, რითაც ცდილობდა იგი ამ გაერთიანების აუცილებლობის დასაბუთებას. აი, ეს მოტივები: „არ შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელი ვითარების მიხედვით ოსეთის ორივე ნაწილში ნაციონალური ავტონომია იყოს. ჩვენ ნაციონალური ავტონომია არა გვაქვს, ჩვენ გვაქვს ტომობრივი ავტონომია"... რომ ეს „ტომობრივი ავტონომია" (მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის ავტონომია ბუნებაში საერთოდ არ არსებობს) თურმე მეტისმეტად აფერხებს ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის კულტურულ განვითარებას, ის, რაც მისაღებია ერთისათვის, მიუღებელია მეორისათვის და პირიქით; რომ ასეთი განცალკევებული არსებობის პირობებში, ამ „ტომობრივ ავტონომიებს" სამეურნეო განვითარების არავითარი პერსპექტივები არა აქვთ და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელი მისახვედრი როდია, რომ ძ. თაკოევის ყველა არგუმენტი, როგორც იტყვიან, ყურით არის მოთრეული. არათუ ტომებს, არამედ თვით ეროვნულ უმცირესობებსა და ეთნიკურ ჯგუფებსაც კი არავინ ანიჭებს ასე ადვილად ავტონომიას. კულტურას რაც შეეხება, კულტურულად სამხრეთელი ოსები ყოველთვის ქართული კულტურის ორბიტაში იყვნენ მოქცეულნი, ხოლო ჩრდილოეთელები — რუსეთის კულტურულ ორბიტაში. ამ ორი ერთეულის სამეურნეო განვითარება კი, არათუ მაშინ, არამედ დღესაც გართულებულია კავკასიონის ქედის გამო. ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს თვით როკის უღელტეხილი და გვირაბიც კი.

როგორც კულტურულად, ისე მეურნეობრივად ეს „ტომობრივი ავტონომიები" შესაბამისად საქართველოსთან, ან რუსეთთან იყვნენ დაკავშირებული. ძ. თაკოევი ამ შემთხვევაშიც ტყუის, და მაინც მან არა მარტო სესიის წევრების სიმპატიები დაიმსახურა, არამედ აღაფრთოვანა ჩვენი ავტორიც, როდესაც იგი ძ. თაკოევის მოხსენების იმ ადგილს გაეცნო, სადაც წერია: „...რატომ არის ორიენტაცია აღებული საქართველოზე? იმიტომ, რომ ოსეთი არსებობდა და ვიდოდა საქართველოს რესპუბლიკის მხარდამხარ. ეს იმიტომ, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მშრომელნი და მით უფრო პასუხისმგებელი მომუშავენი, თვალნათლივ ხედავენ, რომ ხალი ნაციონალური პოლიტიკა ისე მიზანშეწონილად არსად არ ხორციელდება, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში. ამ გარემოებამ საბოლოოდ დაარწმუნა ყველა, რომ „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის კულტურული და ეკონომიკური განვითარებისათვის საჭიროა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში შესვლა... სამხრეთ ოსეთი კატეგორიულად აყენებს საკითხს, რომ იგი მხოლოდ მაშინ გაუერთიანდება ჩრდილოეთ ოსეთს, უკეთუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება საქართველოს ს.ს.რ-ის შემადგენლობაში შესვლაზე. სამხრეთ ოსეთის მშრომელები აცხადებენ, რომ მათ კულტურულ მოთხოვნილებათ და სამეურნეო საჭიროებათ საქართველოს რესპუბლიკა მთლად, სრულად და უცილობლად აკმაყოფილებს" (ძ. თაკოევი კი ზემოთ, როგორც გახსოვთ, გვიმტკიცებდა, რომ გაერთიანების გარეშე მათ კულტურული და სამეურნეო განვითარების არავითარი პერსპექტივები არა აქვთ. როგორც იტყვიან, ტყუილს მართლაც მოკლე ფეხი აქვს).

აშკარაა, რომ სამხრეთ-ოსეთის ეს ხალი ძახილი (ეს სიტყვები ავტორმა თავისი სტატიის სათაურადაც კი გამოიტანა. უ. ბ.) ყოველმხრივ ყურადღების ღირსია.

იაკობ ფუტკარაძე ახკვნის: „ოსი მშრომელების ასეთი სულისკვეთება ნიშანდობლივი და... დასაფასებელია... ქართველი ერისადმი ოსების უაღრესი კეთილგანწყობილების გამოვლინება და ჩრდილოეთ ოსეთის ლტოლვა საქართველოსაკენ, რა თქმა უნდა, ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო და ნათელ ნიშანსვეტადაც დარჩება ამ ორი მოძმე ხალხის ისტორიაში..."

ავტორს გვინდა ვუსაყვედუროთ კიდევ ერთი „მცირე" უზუსტობა. სესიამ მოისმინა არა ძ. თაკოევის მოკლე ინფორმაციული გამოსვლა, არამედ საკმაოდ ვრცელი მოხსენება, არა ფ. მახარაძის მოკლე კომენტარი, არამედ საკმაოდ მოზრდილი სიტყვა, არა გეგელიასა და გოგიბერიძის რეპლიკები, არამედ მათი საკმაოდ მოზრდილი გამოსვლები. შემდეგ: გაერთიანების საკითხზე საქართველოს ცაკის სესიას წარედგინა არა ძ. თაკოევის რეზოლუციის პროექტი, არამედ თვითონ ფ. მახარაძის რეზოლუცია, რომელშიც ვკითხულობთ: „მოისმინა რა მოხსენება ამხ. ძ. თაკოევისა და ა. ჯატიევისა — ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანების შესახებ ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად, ადგენს: 1. სესია იწონებს ჩრდილოეთ და სამხრეთ-ოსეთის გაერთიანებას ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად; 2. რაც შეეხება ოსეთის მშრომელთა სურვილს, რომ ეს გაერთიანება მოხდეს საქართველოს ფარგლებში, სესია სავსებით უერთდება იმ დადგენილებას, რომელიც უკვე გამოტანილია ერთის მხრით რუსეთის ცენტ. აღმ. კომიტეტის მიერ და მეორეს მხრით — ჩრდილო კავკასიის... აღმასრულებელი კომიტეტის მიერ" (სესია მხურვალე ტაშით ხვდება ამ ამბავს).

საბოლოოდ სესიამ მიიღო ასეთი დადგენილება ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ:

„სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მესამე მოწვევის მეორე სესიამ, მოისმინა რა ძ. თაკოევისა და ა. ჯატიევის ინფორმაციული მოხსენებანი ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად გაერთიანებისა და ამ გაერთიანებული რესპუბლიკის საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ფარგლებში შესვლის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი — დაადგინა:

1. სრულიად საქართველოს ცაკის მესამე მოწვევის მეორე სესია მხურვალედ მიესალმება ოსეთის ორი განცალკევებული ნაწილის გაერთიანებას მიუხედავად იმისა, თუ რომელი საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში შევა ეს ახალი სახელმწიფოებრივი ერთეული და ხედავს ამ აქტში ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრას იმ ხალხთა მიმართ, რომლებიც იჩაგრებოდნენ ყოფილი მეფის იმპერიის არსებობის დროს.

2. რაც შეეხება გაერთიანებული ოსეთის საქ. სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვლას, სესია უერთდება იმ რეზოლუციებს, რომლებიც ამ საკითხის შესახებ მიღებულ იქნა ჩრდილო-კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტისა და ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების ცაკების მიერ".

დაკვირვებული მკითხველი მყისვე მიხვდება რომ სესიაზე წაკითხულ რეზოლუციასა და სესიის მიერ მიღებულ დადგენილებას შორის არსებითი განსხვავებაა. კერძოდ, საქართველოს ცაკის მიერ მიღებულ დადგენილებაში უკვე ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები არც რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება და, მით უმეტეს, სრულიად საკავშირო ცაკის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, თუმცა ძ. თაკოევი თავის მოხსენებაში ამ სესიისადმი ირწმუნებოდა, რომ ეს საკითხი უკვე იყო შეთანხმებული რსფსრ-სა და კავშირის ცენტრალურ ორგანოებთან და მისი საბოლოო გადაწყვეტისათვის საჭირო იყო მხოლოდ ამ საკითხის შეთანხმება ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტთან, რომელშიც შედიოდა ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, რომელშიც შედიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აღსანიშნავია ისიც, რომ ძ. თაკოევს. საქართველოს ცაკის სესიისათვის ამის დამადასტურებელი არავითარი ოფიციალური დოკუმენტი არ წარუდგენია, გარდა იმ რეზოლუციებისა, რომლებიც მიუღიათ ჩრდილო კავკასიის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს და ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების ცაკებს. ძ. თაკოევის მოხსენებაში კი ლაპარაკია არა ამ ორი ავტონომიური ოლქის ცაკებზე (სხვათა შორის ჩრდილოეთ ოსეთში ცაკი საერთოდ არ არსებობდა, იყო მხოლოდ აღმასკომი, ცაკი არსებობდა მხოლოდ სამხრეთ ოსეთში. უ. ბ.), არამედ ყრილობებზე.

შემდეგ, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ სამხრეთ ოსეთთან გაერთიანების იდეა წამოეყენებინა ჩრდილოეთ ოსეთს, რომლის ტერიტორიაც 8 ათასი კმ$^2$ იყო, 612 ათასი მცხოვრებით, ხოლო სამხრეთ ოსეთისა — 3,8 ათასი კმ$^2$, ამასთან მისი მოსახლეობა, ქართველების ჩათვლით, 89 ათასს არ აღემატებოდა. ასევე ყოვლად წარმოუდგენელია ძირითად ერს (ე. ი. ჩრდილოელ ოსებს უ. ბ.), რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და დაკავშირებული იყვნენ როგორც რუსებთან, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან — ჩეჩნებთან, ყაბარდოელებთან, ინგუშებთან, ბალყარელებთან, ყარაჩაელებთან და სხვებთან, რომლებთანაც ერთად 1920 წლიდან 1924 წლამდე, მთიელთა ასსრ-ში ადმინისტრაციულად იმყოფებოდნენ, ასე ერთბაშად გადაეწყვიტათ შეერთებოდნენ თანამოძმეთა ნაწილს. რომელიც როგორც ეროვნული უმცირესობა. თვით XX ს-ის ოციან წლებამდე გაფანტულად ცხოვრობდა საქართველოში (ფ. მახარაძის, ს. ორჯონიკიძისა და ბევრი მათი მსგავსი კომუნისტის წყალობით საქართველოს კუთვნილი ისეთი მიწაწყალი როგორიც სამაჩაბლოა სამხრეთ ოსეთის ავტონომიად გადაიქცა). მიუხედავად ქართველი ხალხის უდიდესი პროტესტისა, უკანონობამ გაიმარჯვა.

შემდეგ, ასევე ყოვლად წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, რომ ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოების ყრილობას აღეძრა შუამდგომლობა ჩრდილოეთ კავკასიის აღმასრულებელი კომიტეტის, რსფსრ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, ან მისი პრეზიდიუმის წინაშე, რომ აი, ჩვენ, ჩრდილოეთმა და სამხრეთ ოსეთმა, გადავწყვიტეთ გავერთიანდეთ ავტონომიურ რესპუბლიკად საქართველოს სსრ შემადგენლობაში იმიტომ, რომ ეროვნული საკითხი იქ, საქართველოში, უკეთ არის გადაწყვეტილი, ვიდრე აქ, თქვენთან, რსფსრ-შიო. ცხადია, ასეთი ბრალდება რევოლუციის აკვნისა და მისი მესვეურებისადმი, მიღებული იქნებოდა არა მარტო როგორც ცილისწამება, არამედ როგორც შეურაცხყოფაც.

საგულისხმოა ისიც, რომ მთელი საკითხი ისე განიხილეს, ერთხელაც არ გახსენებიათ, თუ სად უნდა ყოფილიყო ამ ახალი ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრი — ცხინვალში თუ ვლადიკავკაზში. ეტყობა, თავდაპირველად ასეთ ცენტრად განზრახული იყო ცხინვალი, ამას გვაფიქრებინებს სამხრეთ ოსეთის ცაკის თავმჯდომარის ა. ჯატიევის სიტყვები: „...ჩვენ ყველამ აქ ვნახეთ, როგორ უბრალოდ, ნათლად და ადვილად წყდება საბჭოთა პროლეტარულ რესპუბლიკაში უაღრესი მნიშვნელობის საკითხები... მეგონა, რომ ამ საკითხის გამო ჩრდილოეთ ოსეთის მცხოვრებთა შორის აღიძვროდა ზოგი რამ წინააღმდეგობა, რადგან მათ შორს მოუხდებათ სვლა აქ საქართველოში (ხაზი ჩვენია. უ. ბ.). ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების აქტი არის სალი და მშვენიერი საქმე" (ჩვენ მალე მოგვიწევს ა. ჯატიევის ამ სიტყვების გახსენება ისევე, როგორც ამავე ჯატიევის № პირველ სეპარატისტად დახასიათება).

საინტერესოა ერთი დეტალიც: ფილიპე მახარაძის რეზოლუციაში, რომელიც მან სესიას გააცნო, ლაპარაკია ძ. თაკოევისა და ა. ჯატიევის მოხსენებებზე, სესიის მიერ მიღებულ დადგენილებაშიც (დანართი № 1) ლაპარაკია ასევე ძ. თაკოევისა და ა. ჯატიევის ახლა უკვე ინფორმაციულ მოხსენებებზე, მაშინ, როდესაც ა. ჯატიევს ამ სესიაზე საერთოდ არავითარი მოხსენება (თუნდაც ინფორმაციული ხასიათისა) არ გაუკეთებია, გარდა იმ მოკლე სიტყვისა, რომელიც ოდნავ შემცირებული სახით აღვნიშნეთ ზემოთ

ძ. თაკოევს მართლაც რომ ჰქონოდა რსფსრ-ს ცაკის ან მისი პრეზიდიუმის მანდატი მოლაპარაკებოდა ამ საკითხზე საქართველოს ცაკს, მაშინ იგი თავისი სიტყვის დასაწყისში იტყოდა არა იმას, რომ „მე წარმოგზავნილი ვარ ჩრდილოეთ ოსეთის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ“, არამედ იტყოდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით მე აქ წარმოგზავნილი ვარ რსფსრ-ს ცაკის, ან მისი პრეზიდიუმის მიერ, რათა შევათანხმო საკითხი საქართველოს ცაკთან ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად გაერთიანების შესახებ. ეს რომ ნამდვილად ასე ყოფილიყო, მაშინ არც საქართველოს ცაკის მესამე მოწვევის მეორე სესია (რომლისთვისაც, ფ. მახარაძის წყალობით სულერთი იყო თუ სად, რომელი საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში მოხდებოდა ამ ერთეულების გაერთიანება) არ მიიღებდა ასეთ ორჭოფულ და უმისამართო დადგენილებას. იგი უბრალოდ კი არ მოიწონებდა ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტისა და ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის საბჭოების ყრილობების მიერ მიღებულ რეზოლუციებს, არამედ აღძრავდა შუამდგომლობას უშუალოდ რსფსრ-ს ცაკის წინაშე, რომ იგი თანახმაა მოხდეს ასეთი გაერთიანება გინდ საქართველოს, გინდ რსფსრ-ს შემადგენლობაში და სთხოვდა მას, ერთობლივად დაესვა ეს საკითხი სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე დასამტკიცებლად, ვინაიდან საკითხი შეეხებოდა სასაზღვრო ცვლილებებს ორ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკას შორის. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა კი, მაშინაც და ამჟამადაც მხოლოდ სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გამგებლობას განეკუთვნება.

ეტყობა, ჩვენი ავტორი იმდენად დააბნია და აღაფრთოვანა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების იდეამ, რომ სავსებით გამორჩა მხედველობიდან ესოდენ ელემენტარული იურიდიული საკითხები. ჩრდილოეთ ოსეთის ლტოლვა საქართველოსაკენ სრულიადაც არ ყოფილა „ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენა“ და „ნათელი ნიშანსვეტი“, არც ქართველი ერისადმი ოსების უაღრესი კეთილგანწყობილების გამოვლინება. ეს გაერთიანება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა საქართველოს ტერიტორიის გაფართოებას. პირიქით, კი ნიშნავდა მხოლოდ საქართველოს მიერ თავისი ისტორიული მიწა-წყლის დაკარგვას გოგიბერიძის მტკიცების საწინააღმდეგოდ. ასეთი გაერთიანება, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საზიანო იქნებოდა საქართველოსათვის დემოგრაფიულადაც. შემდეგ: თუ დღევანდელ ექსტრემალურ სიტუაციას გავითვალისწინებთ, ეს ავტონომიური რესპუბლიკა აუცილებლად მოითხოვდა საქართველოს სსრ შემადგენლობიდან გასვლას და, როგორც ერთი მთლიანი სახელმწიფო, უშუალოდ ერთიანი ფედერალური ცენტრისადმი დაქვემდებარებას. თუნდაც საქართველოს შემადგენლობაში მყოფი გაერთიანებული ოსეთი, ადრე თუ გვიან, როგორც სამართლიანად შენიშნავს იაკობ ფუტკარაძე, „დაყოვნებული მოქმედების ყუმბარასავით იფეთქებდა“ და აკი იფეთქა კიდეც.

„სალი ძახილის“ ავტორის მიერ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანებისათვის ამდენი დითირამბების მიძღვნის შემდეგ, თქმა იმისა, რომ „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის შეერთების ჩანაფიქრი, „გაერთიანებული ოსეთის“ საქართველოს სსრ შემადგენლობაში შესვლის პირობითაც კი, აბსოლუტურად მიუღებელია ქართული ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით“, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურად გაისმის.

შემდეგ ავტორი ლაპარაკობს „გაერთიანებული ოსეთის“ შექმნის გეგმაზე, როგორც ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების პროექტზე. ამ „გეგმას“ ი. სტალინის, ს. ორჯონიკიძისა და ა. მიქოიანის სახელებთან აკავშირებს. ამ ხალხს თავისი ცოდვებიც ეყოფათ, რომ ახლა კიდევ ეს მეტად ხელოვნური და მხოლოდ ვარაუდებზე აგებული ცოდვები არ ავკიდოთ. თუ ი. სტალინი მართლაც მხარს უჭერდა ამ „ოსეთის გეგმის“ განხორციელებას, მაშინ მის ნებას წინ ვერავინ აღუდგებოდა, მას ვერავინ შეაყოყმანებდა ან შეეპასუხებოდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. თუ რა პოზიციაზე იდგა საქართველოს მთავრობა, შესანიშნავად დავინახეთ ზემოთ. ს. ორჯონიკიძის მხრივ ამ საკითხის გარკვევას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს მისთვის ისედაც იყო ცნობილი. რაც შეეხება მიქოიანს, რომელიც მაშინ პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი იყო, მისთვისაც შესანიშნავად იყო ცნობილი ეს ე. წ. „ოსეთის გეგმა“, ვინაიდან ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო კომიტეტი, რომელმაც, ძ. თაკოევის სიტყვებით, საქმე სერიოზულად განიხილა, ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე თანხმობის მიცემას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაბედავდა, თუ წინასწარ არ შეუთანხმებდა პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანს ა. მიქოიანს.

დაბეჯითებით ი. სტალინის დეპეშაზე ს. ორჯონიკიძისადმი „ოსეთის გეგმასთან“ დაკავშირებით ვერაფერს ვიტყვით. წყარო უცნობია, არ ვიცით, თუ სად არის ეს დოკუმენტი, თუ ეს ტექსტი თბილისში მართლაც ორი კვირით ადრეა მოსული და გაშიფრული, ვიდრე საქართველოს ცაკის ეს სესია გაიხსნებოდა. თუ სტალინი მართლაც ძალზე ყოყმანობდა და ვერ წყვეტდა რაიმე რჩევის მიცემას „ოსეთის გეგმის“ გამო, ხოლო სტალინის, ორჯონიკიძისა და მიქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანის თათბირი ჯერ კიდევ გამართული არ ჩანს (ყოველ შემთხვევაში ამის დამადასტურებელი საბუთი არ გვაქვს). ასეთ შემთხვევაში საქართველოს ცაკის მოწვევა და მის მიერ ამ სამეულის მიერ ჯერ კიდევ შეუთანხმებელი „ოსეთის გეგმის“ განხილვა, მეტად საეჭვოდ გვეჩვენება: გამოდის, რომ პარტიის გენერალური მდივნის ავტორიტეტს არცთუ ისე დიდად სცემდნენ პატივს მაშინდელ საქართველოში, როგორც ეს დღემდე გვგონია. იქნებ სწორედ ი. სტალინის ყოყმანში უნდა ვეძიოთ იმის ახსნაც, თუ რატომ ვერ განხორციელდა თითქმის ყველასაგან მოწონებული ეს „ოსური გეგმა“, ან, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, რატომ იქნა მონათლული ასეთი გაერთიანების იდეა შოვინისტურად.

ოსთა სეპარატიზმი იწყება 1917 წლიდან, როდესაც რუსეთში გაიმარჯვა თებერვლის რევოლუციამ, ხოლო კულმინაციას აღწევს რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, როდესაც საქართველო გამოეყო რუსეთს, აღიდგინა 117 წლის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობა და გამოაცხადა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. სწორედ ამ მომენტიდან დადგა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით ე. წ. „ოსეთის გეგმა“, ანუ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი. მივმართოთ ფაქტებს:

1917 წლის ივნისი: ამიერკავკასიის ოსთა ჯავის პირველმა ყრილობამ მიიღო რეზოლუცია: „თუკი კავკასიის ხალხები მიიღებენ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას, მაშინ ოსებს (ლაპარაკია ჩრდილო და სამხრეთ ოსებზე), რომლებიც გაერთიანდებიან ერთ ეროვნულ ერთეულად, უნდა მიეცეთ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება“ (Архив ЮОАО, Э. 1. Л. 1).

1917 წლის დეკემბერი. რუსეთში გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ. ოსები დროებით უარს ამბობენ ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანებაზე, ვინაიდან ფიზიკურად შეუძლებელია და მოითხოვენ ავტონომიურ ერთეულად გამოყოფას საქართველოს ფარგლებში.

1918 წელი. ამიერკავკასიის სეიმმა იურიდიულად გააფორმა საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოშორება. სამხრეთ ოსეთში იფეთქა აჯანყებამ. მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და საბჭოთა რუსეთთან შეერთებას. მძიმე ვითარება შეიქმნა ცხინვალის რაიონში. სეიმმა ეს რაიონი კანონგარეშე გამოაცხადა. იქ „კომუნისტური ანარქიის“ ჩასახშობად გაიგზავნა რაზმი კოსტა ყაზიშვილის მეთაურობით. მან ასე მიმართა ხალხს: „თუ არ განიარაღდებით, თქვენ შეგიძლიათ დაღუპოთ საქართველო. რუსეთმა 117 წელია დაიმორჩილა და წაართვა თავისუფლება საქართველოს... ოსები მაშინაც, როგორც ახლა, ეხმარებოდნენ რუსებს კავკასიის დაპყრობაში. მაგრამ ოსები ხომ მოსულნი არიან. — ისინი ჩვენ შევიკედლეთ ჩვენს მიწა-წყალზე... იმის ნაცვლად რომ მადლიერნი იყვნენ, ყოველთვის მზად არიან ზურგში მახვილი ჩაგვცენ“ (Известия ЮОНИН, вып. стр. 2). აჯანყებულთა პასუხი ასეთი იყო: „...ჩვენ მოვითხოვთ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა განხორციელებას. ჩვენ შაშხანები საბჭოთა რუსეთმა მოგვცა და იგი შეიძლება მოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას მივცეთ“ (იქვე, გვ. 11).

ძირითადად აქედან იწყება ოსთა სეპარატიზმი, რომელიც შემდეგ ფანატიზმში გადაიზარდა. „ცხინვალის ამბებში“ მთავარი როლი ფილიპე მახარაძემ ითამაშა (სწორედ იმ ფილიპემ, რომლისთვისაც, როგორც დავინახეთ, სულერთი იყო თუ რომელი რესპუბლიკის ფარგლებში განხორციელდებოდა ე. წ. „ოსური გეგმა“).

გორის მაზრის კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობებდა: „აქ ცხინვალში და მთის ოსებში მიმდინარეობს ბოლშევიკების გაძლიერებული მუშაობა. მუშაობენ ფ. მახარაძე და კომპანია...“ (საქ. ცსსა. ფ. 282, ს. 2871, ფ. 5-7).

მაგრამ ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული.

ვითარება მკვეთრად იცვლება 1918 წლის 26 მაისის შემდეგ, როდესაც ქართველმა ხალხმა, როგორც იქნა, მოიპოვა სასურველი დამოუკიდებლობა.

ოსმა სეპარატისტებმა და მათმა მეხვეურებმა არ სცნეს ამ ისტორიული აქტის კანონიერება. უარი თქვეს დარჩენილიყვნენ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

1918 წლის 28 მაისი. ოსთა მესამე ეროვნული ყრილობა. საკითხი: ორი დღის წინათ გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა და მასთან ოსეთის დამოკიდებულება. ყრილობის მენშევიკურ ფრაქციას ხელმძღვანელობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ი. რამიშვილი, ბოლშევიკებისას რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი ფ. მახარაძე, ყრილობას თავმჯდომარეობს ესერი ა. თიბილოვი. ყრილობა უარს ამბობს განიხილოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობის საკითხი. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველებში. ეს იყო დაუჯერებელი ამბავი. ხალხი, რომელიც ისტორიულად შეიფარა და ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა ქართველმა ერმა, რომელსაც ყოველთვის გვერდში ედგა, პირშიც და ლხინშიც, ოფიციალურად ამბობდა უარს ეცნო ამ ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მისი კანონიერი მთავრობა და შესულიყო საქართველოს დემოკრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიული რესპუბლიკის შემადგენლობაში (იხ გაზეთები „ერთობა", 1918 წ. № 129; „ბორბა", 1918 წ. № 86, 87 და სხვ.). მით უმეტეს, რომ ამ მთავრობას არავითარი ცუდი არ განუზრახავს ოსების საწინააღმდეგოდ, პირიქით, მან დამოუკიდებლობის პირველსავე აქტში ჩაწერა, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს".

1918 წლის 15 ივნისი. ოსთა II ეროვნული ყრილობა. მენშევიკურ ფრაქციას ხელმძღვანელობს ცნობილი სოციალ-დემოკრატი ი. წერეთელი. ყრილობა, ბოლშევიკების გავლენით, ღებულობს ასეთ რეზოლუციას: „სამხრეთ-ოსეთის დელეგატთა ყრილობამ მოისმინა რა ი. წერეთლის მოხსენება „მიმდინარე მომენტის შესახებ" დაადგინა: სამხრეთ ოსეთის ხალხთა თვითგამორკვევის გადაწყვეტა გადაიდოს შემდგომ ყრილობამდე, რომელიც უნდა შედგეს... უფრო ფართო შემადგენლობით. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რომ კონსტიტუციის შემუშავების დროს ღიად დასტოვოს საკითხი ოსებთან ურთიერთობის შესახებ... ორიენტაციის შესახებ მოხდეს მოლაპარაკება და შეთანხმება ჩრდილოეთ ოსეთთან" (გაზ. „ბორბა", 1918, № 98): არგუმენტი: ოსები არ სცნობენ საქართველოს მენშევიკურ ხელისუფლებას, ვინაიდან არ სურთ ჩამოშორდნენ რუსეთის მოძმე ხალხებს.

პრესა აღშფოთებული იყო და გადაჭრით მოითხოვდა ბოლო მოღებოდა ასეთ მდგომარეობას, ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულიყო ურთიერთობა საქართველოსა და ოსეთს შორის (გაზ. „ერთობა", № 169, 1918 წ.).

1918 წელი. აგვისტო. ოსთა V ეროვნული ყრილობა. ბევრი დავის შემდეგ გადაწყდა, რომ ოსეთი მხოლოდ იმ პირობით სცნობდა საქართველოს მთავრობას და შევიდოდა მის შემადგენლობაში, თუ მას მიენიჭებოდა ფართო პოლიტიკური ავტონომია. ცხადია საქართველოს დემოკრატია წინააღმდეგი არ იყო ეროვნული უმცირესობებისა და ეთნიკური ჯგუფების თავისუფალი განვითარებისა, რომ მათ თვითონ გადაეწყვიტათ წმინდა ადგილობრივი, კულტურული, სამეურნეო, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული და რელიგიური საკითხები. იგი წინააღმდეგი იყო მხოლოდ ამ ხალხების მისწრაფებისა — შეექმნათ თავიანთი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები, გამოჰყოფოდნენ საქართველოს და შეერთებოდნენ საბჭოთა რუსეთს. აი, რას წერდა ამის გამო გაზეთი „ერთობა" (№ 129, 1918 წ.) „ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობენ პატარა ერები — ოსები, აფხაზები, სომხები და სხვ. რომელთაც სურთ გამოიყონ და შექმნან საკუთარი სახელმწიფოებრიობა. ეს რომ ასე მოხდეს ყველაფერი დაიღუპება. ჩვენ ისედაც განადგურებული ვართ და თუ ყოველი პატარა ერი მოისურვებს შექმნას თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, მაშინ დაიღუპებიან ისინიც და ჩვენც, ოსეთის ხალხი თავის შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ არ უნდა გამოეყოს საქართველოს". მაგრამ ოსებმა ყურად არ იღეს საქართველოს მთავრობის ეს გონივრული რჩევა.

1918 წელი. ოსთა VI ეროვნული ყრილობა. მან უარი თქვა ეცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ოფიციალურად დააყენა საკითხი ოსეთის საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ. ამ ყრილობის მიერ არჩეული IV ეროვნული საბჭო აშკარად დაადგა საქართველოს მთავრობისადმი ეროვნული დაუმორჩილებლობის გზას, არ სცნობდა მთავრობის კანონებს და მოქმედებდა, როგორც ერთადერთი სრულიად ავტონომიური ხელისუფლება ადგილზე. მან უარი თქვა, მონაწილეობა მიეღო საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში, გადაწყვიტა თვითონ მოეწვია საკუთარი დამფუძნებელი კრება, რომელსაც უნდა განეხილა „ოსეთის განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ოლქად გამოყოფა და მისი მართვა-გამგეობის გამომუშავება" (გაზ. „ბორბა", 15 აპრილი, 1919 წ.). ამ საბჭომაც გამოიტანა გადაწყვეტილება საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ, მაგრამ შემდეგ, რუსეთში სამოქალაქო ომის გამო, ეს გადაწყვეტილება შეცვალა და მოითხოვა ფართო პოლიტიკური ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში, შეიმუშავა „სამხრეთ-ოსეთის კანტონის კონსტიტუციის პროექტში". შემდგარი 5 თავისა და 47 მუხლისაგან და განსახილველად წარუდგინა საქართველოს დამფუძნებელ კრებას. ფაქტიურად ოსეთმა წარადგინა ისეთი პროექტი, რომელიც შორს სცილდებოდა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებს და აწესებდა საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე ცალკე სახელმწიფოს, რომელიც საქართველოს რესპუბლიკასთან ოდნავ, უფრო სიტყვიერად იყო დაკავშირებული. თვით სიტყვა „კანტონი" ნიშნავდა სახელმწიფოს და არა ავტონომიას. ამ კონსტიტუციით ოსები ფაქტიურად მოითხოვდნენ არა ავტონომიას, არამედ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას. ამასთან, ამ კანტონის კონსტიტუცია ცხადდებოდა კანტონის უზენაეს კანონად, რომლის საწინააღმდეგო სხვა კანონი გამოქვეყნებული ვერ იქნებოდა თვით საქართველოს რესპუბლიკის მიერაც კი. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ავტონომია არ არის სახელმწიფო, არის მხოლოდ სახელმწიფოს ნაწილი, რომელსაც სახელმწიფო თავის სურვილით ანიჭებს ფართო თვითმმართველობას, რომლის უკან წაღებაც მას ყოველთვის შეუძლია. ამრიგად, ოსეთის ეროვნული საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი ფაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიურად გულისხმობდა სამხრეთ ოსეთის ცალკე სახელმწიფოს დაარსებას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკასთან მხოლოდ რამდენიმე დარგში იქნებოდა დაკავშირებული (საქ. ცსსა, ფ. 18, ს. 188, ფ. 5-7). ცხადია, დამფუძნებელმა კრებამ უარყო ეს პროექტი.

გაზ. „ბორბა" აღშფოთებული წერდა (1919 წელი, № 92): „...შემოსული ცნობებით, სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ მთელი რიგი ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც აღემატება მის კომპეტენციას და იჭრება საქართველოს რესპუბლიკის საერთო მმართველობის სფეროში... მაგალითად, გადააყენა საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნული ჯავის კომისარი... გააუქმა სამხედრო ხელისუფალთა სხვადასხვა განკარგულებანი... დაბრკოლებებს უქმნიდა დამფუძნებელი კრების წარმატებით ჩატარებას, ახდენდა ახალ წევრთა არჩევნებს, ოთხსაფეხურიანი ფორმულით, იმ აშკარა მიზნით, რომ ამ დაწესებულებას საჯარო (ე. ი. სახელმწიფოებრივი. უ. ბ.) ორგანიზაციის ხასიათი მისცეს, რომელიც იურიდიულად განსაზღვრავს სამხრეთ-ოსეთის უფლებრივ მდგომარეობას, საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში... პოზიცია, რაც ოსეთის ეროვნულმა საბჭომ დაიკავა, ეს იგივეა, რაც ეროვნული ბრძოლის გამოცხადება ჩვენი რესპუბლიკისათვის..."

ცხადია, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მოითმინოს თავის წიაღში ისეთი ორგანოს, დაწესებულების, ან ორგანიზაციის არსებობა, რომელიც არ სცნობს მას, ეურჩება, ძირს უთხრის მის ავტორიტეტს, ცდილობს გამოეყოს მას და შეუერთდეს მტრულად განწყობილ სახელმწიფოს, საქართველოს მთავრობამ, მართლაც მოთმინების მაქსიმუმი გამოამჟღავნა ოსთა ასეთი თავაწყვეტილი სეპარატიზმისადმი, მაგრამ მოთმინებასაც, როგორც ყველაფერს, საზღვარი აქვს და საქართველოს მთავრობაც იძულებული იყო, დაეთხოვა ოსთა ეს 11 ეროვნული საბჭო.

1919 წელი. ოქტომბერი. ისევ აჯანყება. მიზანი საქართველოდან გამოყოფა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, საქართველოს მთავრობის დამხობა. აჯანყებულები ყოველ სოფელში აცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას. ქართველმა ხალხმა გულისწყრომით დაგმო ეს მორიგი პროვოკაცია მიმართული ქართველი ერის წინააღმდეგ, მოითხოვა განედევნათ საქართველოს ფარგლებიდან „ანარქისტთა ორგანიზებული ბანდები", ძირფესვიანად აღმოეფხვრათ ბოლშევიზმი ამ მხარეში, დაეცვათ თერგის ოლქთან გამავალი საზღვარი, ვინაიდან სწორედ აქედან ატყდებოდა ყველა უბედურება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას (საქ. ცსსა, ფ. 12, ს. 39, ფ. 275).

გორის მაზრაში ამ გამოსვლებთან დაკავშირებით გამოიყო მთავრობის კომისია. აი, რას სწერენ ამ კომისიის წევრები, დამფუძნებელი კრების დეპუტატი დ. ფაღავა და სენატორი ნ. მაჭავარიანი ნოე ჟორდანიას: „გორის მაზრაში გამოსვლების მთავარი მიზეზია ის, რომ გორის მაზრაში ცხოვრობენ ოსები. გორის მაზრაში მოქმედებს მათი ეროვნული პარტია და ორაგნიზაციები, რომელთაც ოსები ხელმძღვანელობენ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჯავის მეშვეობით. ეს არის დამღუპველი ფაქტორი, ეს არის ანტისახელმწიფოებრივი, ანტიდემოკრატიული, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სიცოცხლისუნარიანობის იდეისადმი დამღუპველი რამ... ოსები საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მტრულად არიან განწყობილნი... მაზრაში სწარმოებს ოსების მხრივ ფართო პროპაგანდა გორის მაზრის გამოყოფისა და მისი ოსეთისათვის შეერთების სასარგებლოდ. ისინი ამის მისაღწევად ყოველ ღონისძიებას მიმართავენ. მათი დიდმპყრობელური პოლიტიკა (ხაზგასმა ჩვენია. უ. ბ.) მთელი გაქანებით მოქმედობს" (საქ. ცსსა, ფ. 48, ს. 203, ფ. 1-2).

უკეთესად ვერ იტყვი. აქ, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ის, რაზედაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

უფრო უარესზე ახლა გვექნება საუბარი. აჯანყება დამარცხდა. აჯანყებულებმა ტრადიციულად როკის უღელტეხილით ჩრდილოეთ ოსეთს შეაფარეს თავი. ამ აჯანყებით მათ კიდევ ერთხელ ცხადყვეს თავიანთი სიძულვილი ქართველებისადმი, მათი ეროვნული, პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისადმი და ეს იმიტომ, რომ სწორედ დამოუკიდებელი საქართველო იყო მათთვის ის გადაულახავი ზღუდე, რომელიც ხელს უშლიდა ე. წ. „ოსური გეგმის" განხორციელებასა და ქართული მიწების ხელში ჩაგდების დიდმპყრობელურ მისწრაფებათა ახდენას. ამას ემატებოდა ბოლშევიკების ანტიქართული, ანტიეროვნული, ცილისმწამებლური პროპაგანდა, რომ თითქოს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას განზრახული ჰქონდა მოესპო ოსები როგორც ხალხი, მოეხდინათ მათი სრული ასიმილება და სხვა და სხვა, სახავდნენ ქართველებს მოძალადეებად და დამპყრობლებად.

1920 წლის მაისი. ყველაზე მძიმე, ყველაზე აღმაშფოთებელი, ყველაზე კურიოზული ხანა საქართველო-ოსეთის ურთიერთობაში. რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტი 1920 წლის 23 მარტს ადგენს, მოეწყოს სამხრეთ ოსეთში ახალი, რიგით მესამე შეიარაღებული აჯანყება საბჭოთა ჯარების დახმარებითა და უშუალო მონაწილეობით. ასეთი გადაწყვეტილება სამხარეო კომიტეტმა მიიღო პირადად ვ. ი. ლენინისა და პოლიტბიუროს მითითებით. შეიქმნა სამხრეთ ოსეთის რევკომი ს. გაგლოევის, ლ. სანაკოევისა და იმ ა. ჯატიევის შემადგენლობით რომელიც ასე აქტიურობდა ძ. თაკოევთან ერთად საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოს ცაკის ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ სესიაზე „ოსური გეგმის“ განხორციელებისათვის. მზადდებოდა უდიდესი შეთქმულება დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, მისი მოსპობის მიზნით. აჯანყება დაიწყო როკის რაიონში. წითელი არმიის ნაწილები უკვე გადმოსული იყვნენ ჩრდილოეთ ოსეთიდან. ეს ხდება მაისის დასაწყისში, როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკება სამშვიდობო ხელშეკრულების დადების თაობაზე.

1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულება დაიდო. რუსეთმა საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად აღიარა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილები, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები ყველა მაზრებითა და ოლქებით, აგრეთვე ზაქათალასა და სოხუმის ოლქები და ვალდებულება იკისრა, ხელი აელო საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე. რუსეთმა ყველა პირობის გარეშე სცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ამრიგად, აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც საქართველოს უდავო შემადგენელ ნაწილებად გამოაცხადა. მან ამ ხელშეკრულების ძალით უკან გაიწვია როკის რაიონში მყოფი წითელი არმიის ნაწილები. თითქოს ყველაფერი ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ასე როდი ფიქრობდნენ თვითონ ოსი სეპარატისტები. 8 მაისს, როკში გაიმართა სამხედრო რევოლუციური საბჭოსა და ადგილობრივი პასუხისმგებელი მუშაკების სხდომა.

გადაწყვიტეს, გაეგრძელებინათ აჯანყება ჯერჯერობით მხოლოდ როკის რაიონში გამოეცხადებინათ საბჭოთა ხელისუფლება, გადაექცათ ხეობა და შეერთებოდნენ საბჭოთა რუსეთს, თან ეს ფაქტი ეცნობებინათ მოსკოვისა და საქართველოს მთავრობებისათვის. მათ მართლაც 8 მაისს როკში გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო მთელი სამხრეთ ოსეთი რსფსრ-ს შემადგენელ ნაწილად. თან ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოიყვანეს შეიარაღებული რაზმები, რაც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების აშკარად დარღვევა იყო. თვითონ რაზმელები თავს ასე იმართლებდნენ: „რამდენადაც ჩვენ არ ვითვლებოდით წითელი არმიის რეგულარულ ნაწილებად, არამედ ვიყავით აჯანყებულები და ამასთანავე ვიმყოფებოდით არა მენშევიკური საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ სამხრეთ ოსეთში, სადაც ჩვენს მიერ გამოცხადებული იყო საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ეს ბრძანება ჩვენ არ შეგვეხებოდა და განვაგრძეთ შეტევა“ (Известия ЮОНИН, вып. 2. стр. 86).

როგორც ვხედავთ, ოსი ექსტრემისტები ბოლშევიკების წაქეზებით სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლებას ამყარებდნენ და მას შემდეგ რსფსრ-ს შემადგენელ ნაწილად აცხადებდნენ. თან „საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სრული დაცვით“ ოფიციალურად უცხადებდნენ საქართველოს მთავრობას, რომ ამიერიდან თქვენთან საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებითო. პირველი შეჯახება საქართველოს მთავრობის ჯარებსა და აჯანყებულთა შორის მოხდა 15 მაისს სოფ. კოშკთან. ამის გამო ჩვენთვის უკვე საკმაოდ ცნობილი ა. ჯატიევი სამხრეთ ოსეთის რევკომს ატყობინებს: „სოფელ კოშკის მახლობლად მენშევიკების სამი რაზმი დაესხა თავს ჩვენს საგუშაგო პოსტს — საქართველოს მთავრობა ხელყოფს საბჭოთა რუსეთის ნაწილს. გთხოვთ, აცნობოთ ეს ამბავი ხელისუფლებას, რომ დღეიდან ჩვენ საომარ მდგომარეობაში ვართ“ (Партархив ЮОАО, ф. 1, д. 2, л. 12). სოფელ კოშკთან მომხდარი შეტაკების ამბავი ეცნობა აგრეთვე საბჭოთა რუსეთის მთავრობასა და პირადად ვ. ი. ლენინს.

და აი, აქ ხდება მართლაც რომ კურიოზული ამბავი. რუსეთში უკვე ყველამ იცის, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, აფხაზეთიც და ოსეთიც ოფიციალურად არის აღიარებული და დადასტურებული საქართველოს უდავო შემადგენელ ნაწილებად, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში და სხვ. და ამ ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის შემდეგ სოფელ კოშკთან მომხდარ შეტაკებასთან დაკავშირებით, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი საბჭოთა მთავრობის დავალებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს უგზავნის ნოტას: „...ჩვენ შემთხვევით შევიტყვეთ, რომ სამხრეთ-ოსეთში, სადაც გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკა, ასეთი ხელისუფლების მოსპობისათვის გაგზავნილია ქვეითი ჯარები. თუ ეს სწორია, ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ, გაიწვიოთ თქვენი ჯარები ოსეთიდან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ოსეთს ისეთი ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნებოდა გაუმართლებელი ჩარევა უცხო საქმეებში“ (საქ. ცსსა, ფ. 13, ს. 69, ფ. 42).

რუსეთს, ორი წელი დასჭირდა, რათა ბოლოს და ბოლოს ეცნო დამოუკიდებელი სუვერენული დემოკრატიული საქართველო, სამაგიეროდ, სამხრეთ ოსეთი, რომელიც საერთოდ არ არსებობდა თვით უბრალო თვითმმართველ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულადაც კი, ვიდრე დამოუკიდებელ სუვერენულ საბჭოთა რესპუბლიკად. ჩიჩერინის ეს ნოტა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ უდავო ფაქტს, რომ რუსეთისათვის 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება მხოლოდ ფარატინა ქაღალდი იყო, რომლის დაცვასა და განხორციელებაზე მას სერიოზულად არასოდეს უფიქრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 1920 წლის 20 მაისის საპასუხო ნოტაში (ჩიჩერინის სახელზე) ვკითხულობთ: „საქართველოს მთავრობა უაღრესად შეცბუნებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს მთავრობის განზრახვაზე, იარაღის ძალით ჩაახშოს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, მივაქციო თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთი არ არსებობს, არამედ საქართველოს ფარგლებში არსებობს ოსური სოფლები, რომლებიც მდებარეობენ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. ეს სოფლები შეადგენენ საქართველოს უდავო ტერიტორიას... ეს ტერიტორია ხელშეკრულებით (ლაპარაკია 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებაზე. უ. ბ.) შედის საქართველოს საზღვრებში და იქ არავითარი სხვა ხელისუფლება, გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისა, დაუშვებელია“ (საქ. ცსსა, ფ. 13, ს. 69, ფ. 48, 68).

რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის ორგანიზაციების მეორე არალეგალურმა კონფერენციამ მემორანდუმით მიმართა სრულიად რუსეთის ცაკს, რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს, რკპ (ბ) ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტს, კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს და XI-ე არმიის პოლიტგანყოფილებასა და მის მეთაურს, და საქვეყნოდ განუცხადა მათ, რომ ოსი ხალხის შეურყეველი და უპირობო ნებაა — დარჩეს საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთის განუყოფელ ნაწილად (Партархив ЮОАО ф. 1, ა 1, л. 1). სხვათა შორის, ვ. ი. ლენინი, რომლის ლოცვა-კურთხევითა და მფარველობით ყოველთვის სარგებლობდა უველა, ვინც დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს დამხობისათვის იბრძოდა.

აჯანყებულები მიღწეულით არ დაკმაყოფილდნენ. მათ 1920 წლის 7 ივნისს აიღეს ცხინვალი და შექმნეს სამხრეთ ოსეთის რევკომი, რომლის პირველსავე ბრძანებაში ვკითხულობთ: „აჯანყებულმა გლეხებმა სამხრეთ-ოსეთიდან განდევნეს საქართველოს მენშევიკური ჯარები და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება ონიდან დუშეთამდე. მთელი ძალაუფლება აღნიშნულ ტერიტორიაზე ეკუთვნის სრულიად ოსეთის რევკომს, რომლის ადგილსამყოფელიც არის ცხინვალი. ეცნობოს რსფსრ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს სამხრეთ-ოსეთის ნება საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ“ (Известия. ЮОНИН, вып. 2. стр. 90). იმავე რევკომის მიმართვაში ქართველი ხალხისადმი ვკითხულობთ: „სამხრეთ-ოსეთის მშრომელებმა განახორციელეს ოქტომბრის რევოლუციის დიადი ლოზუნგები — თავიანთი სწრაფვა სრული თვითგამორკვევისათვის... გადაწყვიტეს, მოაწყონ თავიანთი ცხოვრება ისე, რომ არ აპირებენ ჩაერიონ საქართველოს შინაურ საქმეებში“ (იქვე. გვ. 125). ამაზე შორს ცინიზმი ვერ წავა. თანაც ამაზე იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო. გორის მაზრის მიტაცების ცდა აღარ იკმარეს და ახლა, საბჭოთა რუსეთის წაქეზებით, უკვე მთელი ხელისუფლება, თითქმის საქართველოს მესამედზე გაავრცელეს, ონიდან დუშეთამდე; თანაც „სამხრეთ ოსეთის“ ცნება უკვე „სრულიად ოსეთის“ ცნებით შესცვალეს. აქ, ალბათ, ჩრდილოეთ ოსეთსაც გულისხმობდნენ.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ოსთა მოძრაობის ძირითადი მიზანი ყოველთვის იყო ქართველი ხალხის მიწა-წყლის რაც შეიძლება დიდი ოდენობით მიტაცება, საქართველოდან გამოყოფა და ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად რსფსრ-ს შემადგენლობაში შესვლა. ეს იყო გამცემლობა და ქართველი ხალხის ღალატი. ამის მოთმენა უკვე მართლაც აღარ შეიძლებოდა. მოფერებითა და დაყვავებით არაფერი გამოვიდა. ასე დიდხანს ვერცერთი სუვერენული სახელმწიფო ვერ მოითმენდა თავის ტერიტორიაზე მცხოვრები რამდენიმე ათასი უცხოტომელის ასეთ დაუსრულებელ თავხედობას, ღალატს, გამცემლობასა და ათასგვარ სისაძაგლეს 12 ივნისს საქართველოს ჯარებმა აიღეს დაბა ცხინვალი. ოსი სეპარატისტები ვ. ი. ლენინსა და რკპ (ბ) ცკ-ს ატყობინებდნენ აჯანყების დამარცხების ამბავს, სთხოვდნენ დახმარებასა და ზრუნვას ლტოლვილთა ბედზე, კვლავ დაჟინებით იმეორებდნენ, რომ სამხრეთ ოსეთი არასოდეს არ შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკს შემადგენლობაშიო.

ამასვე იმეორებენ ისინი, 1920 წლის, 8 ივლისის დეპეშაში კომინტერნის, რკპ (ბ) ცკ-ის, ვ. ი. ლენინის, რსფსრ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრისა და გაზ. „პრავდის“ რედაქცის სახელზე, ხოლო 1920 წლის 15 სექტემბერს ბაქოში გამართულ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე ოსთა წარმომადგენლები თავსაც კი იწონებდნენ თავიანთი სეპარატიზმით, აჯანყებებითა და ძირგამომთხრელი საქმიანობით და დასძენდნენ: „...სამხრეთ ოსეთი არასოდეს არ შედიოდა და არ შედის მენშევიკური საქართველოს შემადგენლობაში, იგი რსფსრ-ს განუყოფელი ნაწილია და უშუალოდ შედის მის შემადგენლობაში... საბჭოთა ხელისუფლების გარდა არ არსებობს სხვა ხელისუფლება, რომელიც შეუძლია სამხრეთ-ოსეთმა მოითმინოს, არ არსებობს სხვა დროშა, გარდა მესამე ინტერნაციონალის დროშისა, რომლის ქვეშაც დაირაზმებოდნენ სამხრეთ-ოსეთის წითელი რაზმელები (Архив ЮОАО, ფ. 63, л. 17).

ჩვენ კიდევ უამრავი ფაქტის მოტანა შეგვიძლია იმის საილუსტრაცოდ, თუ სინამდვილეში რას ნიშნავს ეს ე. წ. „ოსეთის გეგმა“ და რა მიზნებს ისახავდნენ მისი ავტორები, მაგრამ ვფიქრობთ მოტანილიც საკმარისია.

სამწუხაროდ, ამ მოვლენებიდან არ გასულა ხუთი თვეც კი და თვითონ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა საბჭოთა რუსეთის მხრივ აგრესიის მსხვერპლი, მოხდა მისი ოკუპაცია და ძალდატანებითი გასაბჭოება. ოსებს არ დაუკარგეს „დიდი ამაგი" და სრულიად დაუმსახურებლად, ქართული მიწა-წყლის ხარჯზე შეუქმნეს უაღრესად ხელოვნური ერთეული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახით. ამასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, წინააღმდეგობებსა და უკიდურესობამდე მისულ დაძაბულობებზე ჩვენ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ეს ცალკე თემაა. „ოსეთის გეგმა" დროებით მოიხსნა დღის წესრიგიდან. საჭირო იყო რაღაც ახალი, განსხვავებული პოზიციისა და მიდგომის გამონახვა. ასეთი მიდგომაც მალე გამოიძებნა. თუ აქამდე „ოსეთის გეგმის" განხორციელების ინიციატორად და სულისჩამდგმელად სამხრეთ ოსეთი გამოდიოდა, ახლა, შეცვლილ ვითარებაში, მისი კვლავ ამ როლში გამოსვლა უკვე აშკარად უხერხულიც იყო და სახელის გამტეხიც. და აი, ჩრდილო ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის თავკაცებმა ძ. თაკოევმა და ა. ჯატიევმა, მათს უდიდეს მოამაგესთან ფ. მახარაძესთან წინასწარ შეთანხმებით, მოილაპარაკეს კვლავ დაეყენებინათ ე. წ. „ოსეთის გეგმა", მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ახლა უკვე თვითონ ჩრდილო ოსეთი აყენებდა სამხრეთ ოსეთთან ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად გაერთიანების იდეას და ისიც საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში იმ მოტივით, რომ, როგორც აღვნიშნეთ, თითქოს აქ, საქართველოში, და საერთოდ ამიერკავკასიაში, ეროვნული საკითხი უფრო კარგად იყო გადაჭრილი, ვიდრე რსფსრ-ში. ამით ისინი სამი კურდღლის დაჭერას აპირებდნენ ერთად: 1. მოიგებდნენ ქართველი ხალხის გულს; 2 ქართველი ხალხის თვალში ავტორიტეტს აუმაღლებდნენ ოს ხალხს, რომელმაც ამდენი ვნება მიაყენა ქართველ ერს, დაარწმუნებდნენ ქართველებს მათდამი ოსების უაღრეს კეთილგანწყობილებაში, იმაში, რომ ისინი ტრადიციული სეპარატისტებიდან, საქართველოს უერთგულეს მოკეთეებად გადაიქცნენ ძმობის კანონების ძალით; 3. რაც მთავარია, ფაქტიურად მათთვის სულერთი იყო, ფილიპე მახარაძისა არ იყოს, თუ სად, რომელ რესპუბლიკაში განხორციელდებოდა ეს „ოსური გეგმა", ყველა შემთხვევაში მათი მიზანი მიღწეული იქნებოდა ქართული მიწა-წყლის მიტაცების ხარჯზე.

ზემოთ მოტანილი ფაქტების შემდეგ მეტად უცნაურად გვეჩვენება ჩვენი ავტორის აღტკინება, რომ თითქოს „ოსეთის გეგმის" განხილვისას „თავი გამოიდო სამხრეთ ოსეთმა. ოსმა ქაცმა... არ უღალატა ძმობის კანონს... კატეგორიულად მოითხოვა თავის მოკეთე და მოჭირნახულე ქართველებთან ყოფნა. გაიმარჯვა სამხრეთელ ოსთა პოზიციამ".

ი. ფუტკარაძისათვის რომ ცნობილი ყოფილიყო ის სავალალო ისტორია, რაც ჩვენ ზემოთ ძალზე ფრაგმენტულად გადმოვეცით, იგი ალბათ თავს აარიდებდა მის სტატიაში ასე უხვად მიმოფანტულ საქებარ სიტყვებს.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების საკითხს რაოდენ ხანგრძლივი ისტორია ჰქონია.

ახლა ვნახოთ, როგორ განვითარდა მოვლენები შემდგომში: როგორც უკვე ვიცით, საქართველოს ცაკის III მოწვევის II სესიამ 1925 წლის 16 ივლისს, თავის მესამე სხდომაზე განიხილა და ერთხმად მოიწონა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება როგორც საქართველოს ფარგლებში ეროვნული საკითხის დადებითად გადაწყვეტის კონკრეტული გამოხატულება და, თავის მხრით, აღძრა შუამდგომლობა ამიერკავკასიის სფსრ-ს ცაკის წინაშე (თუმცა ეს III მოწვევის II სესიის მასალებიდან არ ჩანს), რომლის შემადგენლობაშიც იგი შედიოდა, მიეცა ამ საკითხისათვის სათანადო მსვლელობა. ამიერკავკასიის სფსრ-ს ცაკ-ის პრეზიდიუმმა იმავე წლის ივლისში (ოქმი № 13) განიხილა „ოსეთის გეგმა" და დადებითად მოეკიდა აღნიშნულ დადგენილებას გაერთიანების შესახებ.

გაერთიანების საკითხი კი კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა. ამის გამო ეს საკითხი კვლავ არაერთხელ განიხილეს ჩრდილოეთ ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის ცენტრალურმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა. მაგალითად, გაერთიანების საკითხი კვლავ განიხილა სამხრეთ ოსეთის საბჭოების როგორც VI, ისე VII ყრილობებმა. მათ არა ერთხელ მიმართეს ამის გამო სრულიად რუსეთის ცაკსაც კი. მაგრამ ცენტრალურმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა საკითხის ამგვარად დაყენება არ მოიწონეს და მას მხარი აღარ დაუჭირეს (სსრკ 1936 წლის კონსტიტუციის პროექტის განხილვის პერიოდში, სამხრეთ ოსეთში ადგილი ჰქონდა ცდას, კვლავ დაეყენებინათ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ერთხელ დაგმობილი ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი, ოღონდ იმ ცვლილებით, რომ ასეთი გაერთიანება ახლა არა საქართველოს, არამედ რსფსრ-ს შემადგენლობაში უნდა მომხდარიყო), ვინაიდან ორივე შემთხვევაში, სულერთია — გაერთიანება მოხდებოდა რსფსრ-ს თუ საქართველოს შემადგენლობაში, ეს ნიშნავდა უნდობლობას ან რუსი, ან ქართველი ხალხის მიმართ, რაც ხელისუფლებმა პოლიტიკური მოსაზრებებით არასასურველად მიიჩნიეს.

ახლა მოვუსმინოთ „ოსეთის გეგმის" მთავარ ინიციატორს ა. ჯატიევს, სამხრეთ ოსეთის რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვკომის ყოფილ წევრს, რომელმაც 1920 წლის მაისში ოფიციალური შეტყობინება გაუგზავნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას — „დღეიდან ჩვენ საომარ მდგომარეობაში ვართო". იმ ა. ჯატიევს, რომელიც, ახლა როგორც სამხრეთ ოსეთის ცაკის თავმჯდომარე, საქართველოს ცაკის მესამე მოწვევის მეორე სესიაზე ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების აქტი არის სალი და მშვენიერი საქმე... მტკივნეული ნაციონალური საკითხის სწორი და სალი გადაწყვეტა": დიახ, მოვუსმინოთ იმავე ა. ჯატიევს, რომელიც საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე ამავე „ოსეთის გეგმასთან" დაკავშირებით ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე აცხადებდა:

„... ამ საკითხის დაყენება (გაერთიანება. უ. ბ.) იყო ხელოვნური, რომ იგი არ წარმოადგენდა სამხრეთ ოსეთის სახალხო მასების მისწრაფებათა გამოხატულებას. საკითხის ასე დაყენება იყო არასწორი და ნაციონალისტური, რომელიც მიზნად ისახავდა დაერღვია მეგობრობა ქართველ და ოს ხალხს შორის, მეგობრობა, რომელიც ასეული წლების მანძილზე გრძელდებოდა".

საინტერესოა, იაკობ ფუტკარაძეს ყოველივე ამის შემდეგ, ჩრდილოეთ ოსეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად გაერთიანების საკითხი კვლავ მოეჩვენება თუ არ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იმ თვალსაზრისით, რომ იგი „მკაფიოდ წარმოაჩენს ოსი ეროვნების მშრომელთა ჭეშმარიტ პატრიოტულ, მოძმე ქართველი ერისადმი უაღრესად კეთილგანწყობილ მტკიცე პოზიციას"? ახლა მაინც, არა ვარაუდით, არამედ ნამდვილად, დარწმუნდება თუ არა ჩვენი ავტორი, რომ „ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების ანტიქართული გეგმა... ჯერ კიდევ მანამდე დაისახა, სანამ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნებოდა"! ალბათ, ავტორი იმაშიც დაგვეთანხმება, რომ თაკოევის მოხსენება საქართველოს ცაკის მესამე მოწვევის მეორე სესიაზე არ ყოფილა „ქართველი ერისადმი ოსების უაღრესი კეთილგანწყობილების გამოვლინება", არც „ჩრდილოეთ ოსეთის ლტოლვა საქართველოსაკენ" ყოფილა „ფრიად ღირსშესანიშნავი მოვლენა" და ამიტომაც ვერ დარჩება „ნათელ ჩიშანსვეტად" ამ ორი „მოძმე" ხალხის ისტორიაში. სწორედ რომ პირიქით, სწორედ ამ ფ. მახარაძეებმა, ს. ორჯონიკიძეებმა, თაკოევებმა, ჯატიევებმა და მათმა თანამოაზრეებმა გამოაწვრთნეს და აღზარდეს თანამედროვე „ადამონ ნიხასის" იდეური ბელადებისა და ხელმძღვანელების მთელი თაობა.

ამ ფონზე მეტად ყალბად ჟღერს „სალი ძახილის" ავტორის სიტყვები: „ქართველობა, სანამ ერად იწოდება, ცოცხალი თავით არ დათმობს თავის ეროვნულ ნასისხლ სამკვიდროს. ამ სამართლიან საქმეში მას... ოსების ნაცადი ძმური თანადგომაც ეიმედება".

მაინც რა უბედურება გვჭირს, როგორც კი საქართველო სალათას ძილისაგან გამოერკვევა, როგორც კი იმძლავრებს მასში ეროვნული თავისთავადობის, ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა, როგორც კი ფრთას გაშლის მძლავრად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, დაყრდნობილი დიდი ილია მართლის უკვდავ ლოზუნგზე — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს", მაშინვე წამოიშლებიან შინაური თუ გარეშე ძალები, რათა ზურგში მახვილი ჩასცენ ქართველ ერს მხოლოდ იმიტომ, რომ გაბედა და მოითხოვა, სწორედ ის იყოს თავის მიწა-წყლის სრულუფლებიანი პატრონი და გამგებელი, მხოლოდ ის იყოს და არა სხვა გადამთიელი ვინმე.

ყალბ ინტერნაციონალიზმს არავისათვის მოუტანია სიკეთე. ხალხებს ბუნებრივად უნდა უყვარდეთ ერთმანეთი და არა მოწოდებებითა და ლოზუნგებით. ეს იქნებოდა მართლაც სალი ძახილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალა არდაშელია

# ძე შეცთომილი*

აფხაზეთში სისხლი დაიღვარა. დაიღვარა სისხლი ქართველთა, შემდგომ აფხაზთაც. ტრაგედიაა? დიახ, ტრაგედია გახლავთ — საშინელი, საზარელი, მაგრამ... სამწუხაროდ, არა მოულოდნელი. არა უცაბედი. მოხდა ის, რაც ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. რაც ნასაზრდოები და საგულდაგულოდ გეზმიმართული იყო ათეული წლების განმავლობაში გარკვეული ძალების მიერ, როგორც თვით აფხაზეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

და მაინც, როგორ მოხდა, რანაირად, აგერ ჩვენს თვალწინ, ჩვენი ოდინდელი მოძმეები მოსისხლე მტრად რომ გვექცნენ? ასე უწყალოდ და ულმერთოდ რომ გაგვწირეს და სასიკვდილოდ გაგვიმეტეს? ხომ თითქოს ვიცოდით ამ სიძულვილის წყარო-სათავე, ვიცოდით აფხაზი ე. წ. ინტელიგენციის ერთი ნაწილის „ღვაწლი" ქართველთა მიმართ ამ სიძულვილის თესვის საქმეში, ვიცოდით, რომ ეს ხელოვნურად გაღვივებული გრძნობა ბოლოსდაბოლოს სადინარს იპოვიდა, გვახსოვდა 1978 წლის ამბები, გვახსოვდა 1989 წლის მარტის და აპრილის რბევა, „ლიხნის წერილი" და მაინც... მოსალოდნელი თითქოს მოულოდნელი აღმოჩნდა ჩვენთვის. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით აღვიქვით ყოველივე.

ვეღარ წარმოვიდგინეთ, არ გვეგონა, თუ ამ ზომამდე — სისხლის ღვრამდე მივიდოდა საქმე.

რატომ არ გვეგონა?

მე იქაური მკვიდრი ვარ, იქ დაბადებული და გაზრდილი, მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველად უნივერსიტეტში სწავლის დროს შევხვდი აფხაზ გურგულიას, კაციას, ფაჩულიას, კობახიას...

ჩემი მამიდაშვილების, ღალიძგის პირას მცხოვრები — დავარგულიების და აფხაზი გურგულიას წარმომავლობას ძირისძირობამდე რომ ჩავდიეთ, ისინი ერთი ფესვისანი აღმოჩნდნენ. ანდა რა ისეთი დიდი „აღმოჩენა" სჭირდებოდა გურგულიას თუ ფაჩულიას გვარის გენეალოგიის, მათი უეჭველი ნათესაობის დადგენას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა — ერთი ფაჩულია აფხაზი რომ იყო, მეორე ქართველი გახლდათ, ერთი კობახია რომ აფხაზობდა, მეორე — ქართველად თვლიდა თავს და ასე შემდეგ. რომელი ერთი დავასახელოთ!.. მიჭირდა გამერჩია — ვინ ვინ იყო, ისევე, როგორც 15-16 ივლისს დაღუპულთა სიიდან ვერ გამერკვია, რომელი მათგანი იყო ქართველი და რომელი — აფხაზი. ალბათ ყველა დამეთანხმება, ეს იმ დაღვრილ სისხლზე არანაკლები ტრაგედიაა, ეს მამლუქობა ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიის დანაშრევია, მისი წყლულია მოაქუამამდე მოღწეული.

დროთა განმავლობაში აფხაზ წერეთელსაც გადავეყარე და დოლიძესაც. რაც უფრო საყურადღებოა: გააფხაზებული კოლონია, პაპასკირი თუ დოლიძე აფხაზებზე უფრო „მართლმორწმუნე" აფხაზები იყვნენ. უფრო სწორად — რუსული ყაიდის, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთუმე აფხაზებს წარმოადგენდნენ, და, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, განსაკუთრებული მოძულეობით გამოირჩეოდნენ ყოველივე ქართულის მიმართ. აი, ეს სიძულვილი მაოგნებდა. კი, ბატონო, გააფხაზდი, აღარ ქართველობ, მაგრამ შენი ძირისა და ფესვისადმი ეს უსაშველო სიძულვილი რაღაა? (და საერთოდ, არის კი სიძულვილის გრძნობა სიკეთის მომტანი იმისათვის, ვინც მას ატარებს?..) მერე და მერე, ფსიქოლოგიურად „გასაგები" შეიქმნა ჩემთვის ამ ქართველთმოძულეობის საფანელი იმათი მხრიდან, ვინც, ასე ვთქვათ, ნებაყოფლობითი მამლუქობის სინდრომს შეეპყრო: გადარჯულებული პიროვნება, ნებსით თუ უნებლიეთ თავის ეროვნებას, რჯულს, ადათ-წესებს მოწყვეტილი — განსაკუთრებული თავგამოდებით ცდილობს დაუმტკიცოს თავის ახალ სამშობლოს თუ ახალ თანამოძმეებს — ერთგულება. ამ მეტისმეტი ერთგულების გამოჩენით ლამობს ფონს გავიდეს, ასე „გამოისყიდოს" ცოდვა — თავისი, თუ წინაპრის! მოკლედ რომ ვთქვათ: გახპარსელებული, გათურქებული თუ გარუსებული ქართველი სპარსზე, თურქზე და რუსზე უფრო დიდი მტერი იყო და არის თავისი ყოფილი

---

* იბეჭდება შემოკლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოსი, თავისი გვარის და ჯილაგის. სხვათაშორის, ამას ლენინიც აღნიშნავდა, გარუსებული ე. წ. ნაცმენების მისამართით: ისინი თვით ყველაზე ველიკოდერჟაველ რუსებზე უფრო რუსები არიანო (მხედველობაში ჰყავდა, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, სტალინი, ორჯონიკიძე, ძერჟინსკი და ძმანი მათნი). ასევე რამდენიც არ უნდა იფიცროს აჯინჯალმა (ჯინჯოლიამ) აფსუა ვარო, როგორადაც არ უნდა გადაიკეთოს გვარი — ჯინჯს მაინც ვერ ამოაგდებს თავისი გვარიდან მეჯლანუაშვილის ჯლანისა არ იყოს: (ჯინჯი მეგ. ძირს ნიშნავს). ვერა, ველარ დაფარავს თავის ძირს და ფესვს ვერასდიდებით. ძირი თუ არა, გვარის მაწარმოებელი უცვლელი რჩება: ეს სკუადან — უა — იქნება, სკირი, ია, თური, ში თუ სხვა. გინდა ა — მარშანი იყავი, გინდა გოგუა თუ ჩაჩხალია. ჰო, ჩაჩხალიაზე გამახსენდა: თურმე ერთ აფსუა ჩაჩხალიას ძლიერ გაუჭრია ხელი და სისხლი ღვარად წამოსვლია. როცა სისხლის დენა შეუწყვიტეს, „უხუმრია“: კარგია, მეგრული სისხლისაგან რომ დავიცალეო (დედა ყოლია მეგრელი). ისე გამოდიოდა, რომ დედის სისხლი „აწუხებდა“, თორემ სხვა მხრივ, კერძოდ, მამის მხრიდან წმინდა სისხლის ჰაბსბურგის ანდა ჰოჰენშტაუფენების გვარისა ბრძანდებოდა.

ამ რამდენიმე წლის წინ, სოხუმში რომ ვმუშაობდი ალმანახ „რიწაში“, ჩემთან, ოთახში, შემოვიდა ერთი მოხუცებული კაცი, მეო, ესა და ეს ვარ, წარმოშობით ბედიიდანო. თურმე კარზე ჩემი გვარი რომ უნახავს — დაინტერესებულა, რადგან ჩვენი ნათესავის, 37-ში რეპრესირებულის, მეგობარი ყოფილა. რუსულად მელაპარაკებოდა. გვარი რომ მითხრა, მორიდებით ვკითხე, ქართველი პოეტი ბრძანდებითმეთქი თუ.. Я — Абхазец-ო, მიპასუხა.

კი მაგრამ, თქვენი გვარი ხომ მეგრულიამეთქი, ერთობ ფრთხილად შევეწინააღმდეგე.

— Да, мои предки были мингрельцами, но я — Абхазец!-ო, — გაიმეორა კვლავ. თუკი შენი წინაპრები (იგულისხმება: ბებია, ბაბუა, ან სულაც დედ-მამა) მეგრელები იყვნენ, თქვენ როგორღა გახდით აფხაზი-მეთქი, მინდოდა მეკითხა (თანაც ბედიელი ბრძანდებოდა), მაგრამ თავი შევიკავე. ჯერ ერთი, არ ეგებოდა მოხუცთან დავა-კამათი და მეორეც—მაინც წყლის ნაყვა გამოვიდოდა. (ამ რამდენიმე ხნის წინ ტელევიზიით ვუსმენდი, თუ როგორ ცხარობდა ორი „აფხაზი“ ახალგაზრდა იმის გამო, გალის რაიონში აფხაზური გვარის თარბაია, ზუხბაია ქართველებად არიან თურმე ჩაწერილები. ტელევიზიის კორესპონდენტმა ბოლოს ჰკითხა ერთობ გაფიცხებულ ახალგაზრდას, თქვენ რა გვარის ბრძანდებითო?

— Я — Чкадуа! — განაცხადა ახალგაზრდამ რიხიანად. ახლა მეორეს მიუტანა მიკროფონი. თქვენო?

— Я — Микава! — მიუგო იმანაც ნიშნშეუცვლელად. (ალბათ უტუ მიქავაც არ წარმოთქვამდა ასე თავის გვარს!). კორესპონდენტმა სასწრაფოდ მოაცილა მიკროფონი ორთავეს. ისე ცხადი და ნათელი იყო ყველაფერი, კომენტარს არც საჭიროებდა ეს ეპიზოდი. მაგრამ ეს — ჩვენთვის იყო ნათელი და გასაგები, ხოლო იმ ორს, ვგონებ, არც უგრძვნიათ უხერხულობა. ძალაუნებურად უნდა იფიქრო, რომ ასეთები თავიანთ გარდა სხვას ყველას ბრიყვებად თვლიან, ან არადა... თუმცა, რა გასაკვირია — უმეცრება და უტიფრობა, როგორც წესი, ხომ ერთობ თავდაჯერებული და შემტევი გახლავთ.

...უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე მხოლოდ ერთი სემესტრი გვიკითხავდნენ საქართველოს ისტორიას. ამიტომაც, არ უნდა იყოს საკვირველი, ამ ვითომცდა ერთიანად წიგნიერ რესპუბლიკაში, უმაღლეს თუ საშუალო დამთავრებულთა რიცხვის მიხედვით პირველი ადგილი რომ უჭირავს ლამის მთელ მსოფლიოში, ახალგაზრდების უმრავლესობამ არ იცოდა თავისი ქვეყნის ისტორია, ვინაა, საიდან მოდის მისი ფესვი და ძირი, ანუ ვისი გორისაა (ეს მანქურთიზმი, რასაკვირველია, ხელს აძლევს საბჭოური ინტერნაციონალიზმის ადეპტებს). აქედან, ამ უმეცრებიდან იღებდა სათავეს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა ურთიერთუპატივცემულობა, უნდობლობა, ქედმაღლობა და აგრესიულობაც კი.

...უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი ვმუშაობდი ჩემს მშობლიურ ქალაქში, გალში (ყოფილი გოგიელი). სამსახურებრივი საქმიანობის გამო ხშირად მიწევდა ურთიერთობა აფხაზებთან და ამასთან, დღითი დღე იზრდებოდა ჩემი ინტერესიც აფხაზურ-ქართული პრობლემების მიმართ. რაკი გალი ვახსენე, უნდა აღვნიშნო ის ამბავი, რომ გალის სახელწოდება უთუოდ მოდის ღალიდან (მეგრ. ღალი ნიშნავს ღელეს). მაგრამ, რადგან რუსულს არ გააჩნია ღ ასო—ნიშანი, იგი გ-დ იქცა. ეს პროცესი მიმდინარეობდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, აფხაზეთ-სამურზაყანოს ინტენსიური რუსიფიკაციის პერიოდში. მსგავსი პროცესები ამჟამადაც გრძელდება. ამ რამდენიმე წლის წინ ღალიძგა (ღელის პირი — მეგრ.) შეიცვალა გალიზგად, შემდეგ ვითომ გასწორდა შეცდომა და გალი-ძგა „აღადგინეს“. რაც შეეხება ოჩამჩირეს, იგი ჩვენს თვალწინ გახდა ოჩამჩირა. როგორც ცნობილია ო-ე მეგრულში სიტყვის მაწარმოებელია. ამდენად, ო — ვერა, მაგრამ ე — მაწარმოებელი მაინც ამოაგდეს, რათა წაშლილიყო მისი „მეგრულობის“ კვალი. ასევე კვიტოული — კუტოლად მოგვევლინა, ტყუბუნი — თხუბუნად (ტყუბუნი მეგრ. ნიშნავს ტყუპს) და ა. შ. მაგრამ „ჯლანის“ არ იყოს, ფუძესიტყვის მოშლა ვერ ხერხდება (ფუძე, ან სუფიქს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეფიქსი — მაინც უცვლელი რჩება, რაც უეჭველობით ადასტურებს მის კოლხურ წარმომავლობას ტამიშის, დლამიშის, ონტაფას, ფოქვეშის და სხვათა არ იყოს. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ? ფიჭვინთიდან — ბიჭვინთა, წიფელთიდან — წებელდა, ჭანდარიდან — აჭანდარა თუ სხვ. (ცხუმი რომ რცხილას ნიშნავს სვანურად, ესეც ხომ საყოველთაოდ ცნობილია, გაგრა — სვან. კაკალია და ა. შ., ხოლო ლიხი თუ ლიხნი — საბასთან მაღალი ბუჩქნარია).

...დღევანდელ აფსუა ქართველებს არაფრით არ უნდათ სიმართლეს თვალებში შეხედონ: აფსუების გარემოში მოხვედრილთ, მათ ნებსით თუ უნებლიეთ თავს მოახვიეს ან თუ გნებავთ, მოიხვიეს, აფსუობა, მათი ენა, თორემ სისხლით, ხორცით, წარმოშობით, ანთროპოლოგიურად, რჯულით, ადათ-წესით ქართული (მეგრული) შტოსანი რომ არიან. ისტორიულად როგორ მოხდა ბევრი მათგანის „გააფსუება", ამაზე ცოტა ქვემოთ მექნება საუბარი, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, საიდანაც არ უნდა მივუდგეთ, სიმართლეს ვერსად გავექცევით. შექსპირის თქმისა არ იყოს, დედამიწაც რომ გადაეფაროს, სიმართლე მაინც არ დაიმალება. ანდა რა დიდი ლარი და ხაზი სჭირდება, ვთქვათ, ზუგდიდის, გალის თუ ოჩამჩირის მოსახლეობის მსგავსების დანახვას? რა ისეთი მკვეთრი ზღვარია მათ სიმღერებსა, ცეკვებსა, წეს-ჩვეულებებსა თუ ხასიათებს შორის? რა ისეთი უფსკრული დევს სივარადასა, ა-ზარსა თუ ჩელაშ შორის, რომლის ამოვსება ვითომცდა ვერაფრით ვერ ხერხდება? არაფერი, გარდა იმისა, რომ აფხაზობა დროთა ვითარებაში პრივილეგიად იქცა. ესაა და ეს. აქაა ძაღლის თავი დამარხული. აფხაზეთში ასეთი ანეკდოტი დადის: აფხაზს ეკითხებიან, რა პროფესიის ბრძანდებითო და გაკვირვებული პასუხობს: — Я — Абхазец! დიახ. აფხაზობა პროფესია, პრივილეგია გახდა, ხოლო პრივილეგიებს, კარგად მოგვეხსენება, როგორ არიან დახარბებული ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის ზოგიერთი წარმომადგენლები. პრივილეგია უგამოცდოდ უმაღლესში ჩარიცხვის, პრივილეგია დეპუტატობის, პრივილეგია რაიკომის მდივნობის, მაღალი თანამდებობის, უფროსობის და ათასი სხვა მსხვილმანი თუ წვრილმანი შეღავათებისა. მაძღრად ჭამა-სმას, მატერიალურ სიკეთეს ვერა და ვერ შელევიან ჩვენი თვისტომნი. აფხაზობა კი ამ „კაი ცხოვრების" გარანტიაა. (ერთი ჩემი მეგობრის ახლობელი, ოჩამჩირელი ახალგაზრდა კაცი ამ რამდენიმე წლის წინ მეუბნებოდა, წლების განმავლობაში უხამსახუროდ ვიყავი. არ მაძლევდნენ ადგილს. არადა, ოჩამჩირეში ვცხოვრობ, იქ დავიბადე, გავიზარდე. სხვაგან არსად არ მინდა წასვლა, ავდექი და პასპორტში აფხაზად ჩავეწერე. მაშინვე პარტიაშიც მიმიღეს და სამსახურიც მყისვე გამოიძებნა ჩემთვისო. და ეს ახალგაზრდა კაცი სულაც არ გახლდათ გამონაკლისი ამ ბოლო ათწლეულებში!).

დიახ. როჭიკისთვის ანუ ულუფისთვის სულგაყიდულები არ გვაკლდნენ არც ძველად და არც ახლა. როჭიკისთვის ანუ ულუფისთვის მიეყიდებოდნენ ხოლმე ძველად ხან ხონთქარს, ხან ყაენს და ხანაც რუსთ ხელმწიფეს. იგივე ხდებოდა ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში, ოღონდ ცოტათი განსხვავებული ფორმით, მაგრამ არსი — ერთი იყო: ამასთან, ეროვნების თუ რჯულის შეუცვლელადაც ახერხებდა ზოგზოგი გაეყიდა თავისი ბედკრული სამშობლოს მიწა-წყალი ფიორ-ფიორ, ნაწილ-ნაწილ და სახჯელის ნაცვლად ერთი თბილი, სარფიანი ადგილიდან მეორე, არანაკლებ თბილ და სარფიან ადგილზე მოეყუჩებულიყო, როგორც ნომენკლატურული პირი. ამ იუდა ისკარიოტელებისთვის (ისევე როგორც აფსუა ექსტრემისტებისთვის) ყოველგვარი დემოკრატია თუნდაც მოჩვენებითი — მომაკვდინებელია. ამიტომაცაა, გატრუნულნი, კბილების ჩუმი კრაჭუნით ელოდებიან თავიანთ ჟამს, ელოდებიან იმ ნანატრ დროს, როცა შესძლებენ ანგარიში გაუსწორონ ამ „პერესტროიკით". საჯაროობითა და დემოკრატიით გათამამებულ წინამასწარა უჩინო და ურანგო „ვაიპატრიოტებს". როგორადაც იყვნენ ისინი შერაცხილი ოფიციოზის და ე. წ. პარტიული ელიტას მიერ არცთუ ისე დიდი ხნის წინ.

...1962 წელს გალის საზოგადოებამ შეხვედრა გაუმართა ჩვენს სასიქადულო მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას. რაიონის კულტურის სახლში ხალხის ტევა არ იყო. საღამო თბილი, ამაღელვებელი გამოდგა. ბატონი კონსტანტინე კმაყოფილი ჩანდა. ბოლოს სიტყვაც წარმოთქვა როგორიც ჩვეოდა ხოლმე საერთოდ: მახვილგონივრული, შემტევი, პატრიოტული, ისეთი, სამუდამოდ რომ დაგამახსოვრდება.

ბანკეტზე, კოხორის მეურნეობაში, მეც აღმოვჩნდი როგორც ახალგაზრდობის წარმომადგენელი. თამადა გახლდათ რაიკომის ერთ-ერთი მდივანი. სუფრის თავში ისხდნენ სტუმრები სოხუმიდან, მათ შორის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ბატონი თემურ ბღაჟბა. მთელი სუფრის ყურადღება, ცხადია, მიპყრობილი იყო იუბილარისადმი. თვალს არ ვაცილებდი ჩემი სათაყვანებელი მწერლის ყოველ მიხრა-მოხრას, ჟესტს, მიმიკას. ისევ ისე კულტურის სახლში შეხვედრის შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი და იმ სიტყვის, იქ რომ წარმოთქვა.

ერთ-ერთმა პირველმა ბატონმა თემურ ბღაჟბამ უთხრა სადღეგრძელო ბატონ კონსტანტინეს მან მობოდიშებით დაიწყო: რუსულ ენაზე უნდა მოგმართოთ, რადგან, სამწუხაროდ, მე ქართული არ ვიცი, თქვენ კი — აფხაზურით. მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალია, დედა მეგრელი კი მყავს, მაგრამ მეგრულად ცუდად ვლაპარაკობ, თუმცა ყველაფერი კარგად მესმისო.

სუფრა გაისუსა. ბატონმა კონსტანტინემ, ფრიად ყურადღებით, მშვიდი იერით მოუსმინა ბატონ თემურ ბლაჟბას, ხოლო, როცა ბატონი კონსტანტინეს ჯერი დადგა, მან სამადლობელი სიტყვა მეგრულად წარმოთქვა: რაკი ბატონ თემურ ბლაჟბას მეგრული ესმის, მეგრულად ვილაპარაკებო, ხოლო რასაც ბატონი თემური ვერ გაიგებს, აგერ ჩვენი ვანო უთარგმნისო, და ბატონმა კონსტანტინემ თავის გვერდით მჯდარ ვანო თარბას მხარზე გადახვია ხელი.

სულგანაბული ვუსმენდით სუყველანი ბატონ კონსტანტინეს. რომ იტყვიან, ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი, ისეთი სიჩუმე იდგა ირგვლივ.

ბატონი კონსტანტინე შეეხო აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებს, მის ისტორიულ ფესვებს. მეო, ბრძანებდა ბატონი კონსტანტინე, ალბათ აქ ყველა დამსწრეს მოეხსენება, გარკვეული დამსახურება მიმიძღვის აფხაზთა წინაშე, ამასთან — ერთი ბებია აფხაზის ქალი მყავდა, ასე რომ, მე მაქვს უფლება განვაცხადო: ის, რაც აფხაზეთში ხდება ახლა და რაც ჩემს ყურამდე აღწევს, სასიკეთოს არაფერს მოუტანს აფხაზებს. ვიცით ყველამ, ვინც ამღვრევს წყალს ჩვენს შორის და ის, ვინც მას აყვება, უწინარესად, აფხაზი ხალხის მტერია. სანამ საქართველო იარსებებს, იქნება აფხაზეთიც. ეს დაიხსომოს ყველამ, მტერმა და მოკეთემაცო. ვინც ჩვენს შორის მტრობას და შუღლს თესავს, იმათ ვაფრთხილებ: ჭკუით იყვნენ, თავიანთი ხელით საფლავს ნუ ითხრიან. მე ჯერ კიდევ შემწევს ძალა კუდით ქვა ვასროლინო ასეთ ვაიპატრიოტებსო.

დაახლოებით ასე ლაპარაკობდა ამ ოცდაშვიდიოდე წლის წინ ბატონი კონსტანტინე გამსახურდია კოხორის საკრებულოში. ასეთი იყო დედააზრი მისი სიტყვისა, მახსოვს. თავჩაქინდრული უსმენდნენ მას აფხაზი სტუმრები. მაშინ უკვე მზადდებოდა თურმე 1967 წლის გამოსვლა, ხოლო შემდეგ და შემდეგ მეტი ინტენსიურობა შეიძინა ამ ანტიქართულმა მოძრაობამ და აი, 1978 წელს იგი ქართული წიგნების დაწვით, რუსთაველის ძეგლის დამხვრევით, ტერორით და ავაზაკობით დაგვირგვინდა. ასეთ რამეს ბატონი კონსტანტინე მაშინ, 62-ში ალბათ ვერ წარმოიდგენდა. მაგრამ თურმე კიდევ უარესი გველოდებოდა — 1989 წლის 15-16 ივლისი გვედო წინ.

1978 წლის ამბების შემდეგ, ასე ვთქვათ, ცხელ ნაკვალევზე დავწერე ისტორიულ-მხატვრული ნარკვევების წიგნი აფხაზეთ-სამეგრელოზე. იგი წლების განმავლობაში იდო გამომცემლობებში. არც ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებმა გარისკეს იქიდან თუნდაც ნაწყვეტების დაბეჭდვა. ერთმა რედაქტორმა „იხუმრა" კიდეც, ვის რაში სჭირდება შენი ისტორიული დოკუმენტები და სიმართლეო. ასეც გახლდათ, სიმართლე რაკი არავის სჭირდებოდა, მის ადგილს იკავებდა სიცრუე და სიყალბე (ვაკუუმი უნდა შეივსოს). ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. რა შედეგებსაც მივაღწიეთ ასეთი ტოტალური სიცრუით არა მარტო აფხაზეთის, არამედ ყველა სფეროში, თვალნათლივ ვხედავთ. თუმცა ჩემი წიგნი რა სახსენებელია, როცა აკად. ნ. ბერძენიშვილის წიგნი იჩეხებოდა, როცა სდევნიდნენ პ. ინგოროყვას — ლამის აიკრძალა მისი „მერჩულე". სხვა ცნობილი ისტორიკოსებსაც აკრძალული ჰქონდათ ისტორიულ სიმართლეზე ლაპარაკი, თუმცა ისიც უნდა ითქვას გულახდილად, თვით ჩვენს ისტორიკოსებში დღემდე არაა ერთსულოვნება ზოგიერთ საკვანძო საკითხებში, რაც აფხაზეთს ეხება.

რამდენიმე წლის წინ აწ განსვენებულ ბატონ ლევან რჩეულიშვილს ვთხოვე პასუხი დაეწერა „საბჭოთა აფხაზეთში" დასტამბულ ერთ უმსგავსო წერილზე, სადაც აშკარად, ურცხვად იყო გაყალბებული ისტორიული სიმართლე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ქართული არქიტექტურული ძეგლების შესახებ, არგუმენტები, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ზოგიერთ აფხაზ ავტორთან, 120 წლის ბებია ასინეთის ნათქვამის დონეზე იყო. რასაკვირველია, პატივისცემის ღირსია ყველა ბებია, მით უმეტეს, თუ 120 წლისაა იგი, მაგრამ როცა არსებობს ათასი წლის, თუ მეტის არა, ისტორიული წყაროები, ცოტა უხერხულია, მეტი რომ არა ვთქვათ, დაიმოწმო ბებია ასინეთი (სხვათა შორის, როცა პ. ინგოროყვა რომელიმე ტოპონიმს ხსნის, უსათუოდ იშველიებს ორ-ხუთ წყაროს მაინც როგორც ქართულს, ისე უცხოურს და მაინც თურმე, ზოგიერთის მტკიცებით, სარწმუნო არ გახლავთ მისი არგუმენტები).

ბატონმა ლ. რჩეულიშვილმა დაწერით კი დაწერა მაღალ პროფესიულ დონეზე, როგორც სჩვეოდა საერთოდ, პასუხი და იგი გავუგზავნეთ კიდეც „საბჭოთა აფხაზეთის" მაშინდელ რედაქტორს, მაგრამ წერილს დღის სინათლე არ უხილავს (ისევე, როგორც ბევრს სხვა სტატიასაც!). ვინაიდან ჩაწიხლული იყო სალი აზრი, ჭეშმარიტება, სიმართლე, სამაგიეროდ, იფურჩქნებოდა და შესაშური გულმოდგინებითა და წადილით ინერგებოდა სიყალბე, სიცრუე, ანტიქართული განწყობილება. ე. წ. ბორჯომის სიმპოზიუმებზე ზოგიერთი ისტორიკოსი ხალისით იძლეოდა ინტერვიუებს ვითომდა იმ სრულ თანხმობაზე, ურთიერთგაგებასა და ძმობაზე — ამ სიმპოზიუმებზე რომ სუფევდა აფხაზ და ქართველ ისტორიკოსებს შორის. არც მალავდა იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ას, თუ როგორ მახინჯდებოდა საქართველოს ისტორია, თუ როგორ ხდებოდა იგნორირება ისტორიული სიმართლისა. ამ სრულ „ერთობასა და თანხმობაში" გვარწმუნებდნენ პრესა, რადიო, ტელევიზია, ოფიციოზი. არადა, ჩვენი საზოგადოების, ჩვენი სწავლულების გარკვეული ნაწილი მაშინაც მოითხოვდა და დღესაც მოითხოვს სიმართლის გარკვევას, მოითხოვდა მრგვალ მაგიდას, დიალოგს, საჯარო განხილვას ყველა იმ საკითხისა, რაც აწუხებდა და აღელვებდა ყოველ პატიოსან ადამიანს. მაგრამ ხელისუფლებას და მასთან ერთად ჩვენს მოძმე ზოგ აფხაზ ისტორიკოსს პოზიციის გასარკვევად მრგვალი მაგიდის გაგონებაც კი არ სურდათ და არც ამჟამად არიან საამისოდ მაინცდამაინც დიდად მოწადინებული. ამ ცრუ ისტორიკოსებს, რასაკვირველია, ხელს არ აძლევს მიუკერძოებელი, მხოლოდ ფაქტებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით მსჯელობა, რადგან მაშინ ხომ ხუხულასავით დაინგრევა ესოდენ გულმოდგინედ ნაგები სიცრუის კოშკები, უბირი, უწიგნური პირებისთვის რომ არის გამიზნული.

სიმართლეს თვალებში უნდა შევხედოთ: დღევანდელი აფხაზების უმრავლესობას და არა რომელიმე ერთ ჯგუფს, როგორც გვინდა წარმოვაჩინოთ ხოლმე, არ უნდა ქართველის სახელის გაგონებაც კი. ჩვენი მიძალება, გინდა არ გინდა ძმები ვიყოთო, მათ მიერ აღიქმება როგორც ჩვენი სისუსტე, სილაჩრე, და უსუსურობა. და ამ უმრავლესობაში ე. წ. გააფხაზებული ქართველობა გახლავთ გადამწყვეტი ძალა.

...ვინ არიან ისტორიული აფხაზები? რა კავშირი აქვთ ძველ აბაზგებსა და აფშილებს დღევანდელ აფსუებთან? ამაზე ამ ბოლო დროს ბევრი რამაა დაწერილი და იწერება დღესაც. ზოგი გამოქვეყნებულია, ზოგიც — არა. მე, რასაკვირველია, არ შევუდგები აქ ვრცლად მიმოხილვას ისტორიისა, მაგრამ მცირე ექსკურსი მაინც მინდა შემოგთავაზოთ.

ზოგიერთი ქართველი მეცნიერის აზრით, აბაზგები და აფშილები დღევანდელი აფხაზების (აფსუების) წინაპრები არიან. სხვათა აზრით, ისინი ქართველური მოდგმისანი გახლავან. ერთი რამ კი ცხადია: აბაზგებსა და აფშილებს მხოლოდ I-II საუკუნეებიდან მოიხსენიებენ და მათი განსახლების ადგილი არასოდეს ყოფილა არამცთუ დღევანდელი გალისა თუ ოჩამჩირის რაიონები, არამედ ცხუმისაც (ცნობილია ცხუმის ქართული საერისთავო). ს. ჯანაშიას აზრით, აბაზგებსა და აფშილებს მათ დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე „წინ უსწრებდა ერთი მხრით, სვანური, მეორე მხრით ჭანურ-მეგრული მოსახლეობა". შემდეგ; ევსევი კესარიელის, იპოლიტე პორტელის და სხვათა მიხედვით, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე სანიგები ყოველთვის დაკავშირებული არიან სებასტოპოლისთან — ცხუმთან და, საერთოდ, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. იმავე ს. ჯანაშიას აზრით, „სანიგი — არის სახელწოდება იმ მეგრული ტომისა, რომლის არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აქ აფხაზთა დამკვიდრების უწინარესად არის საგულისხმებელი". ამ დებულების ერთ-ერთი უტყუარი საბუთი სწორედ ტოპონიმიკაც გახლავთ — არქეოლოგიურ მასალებთან ერთად — დღეს ესოდენ უგულებელყოფილი რომ არის ზოგი მეცნიერის მიერ.

... როგორც ცნობილია, VIII საუკუნის ბოლოს, არაბთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად დაეცა ეგრისის სამეფო. სამეფო დინასტიამ თავშესაფარი ჰპოვა უფრო დაცულ ჩრდილო-დასავლეთში, მომძლავრებულ აფხაზეთში. (ნიშანდობლივია, რომ აფხა — მეგრ. ნიშნავს მხარს).

მე-8 საუკუნის ბოლოს აფხაზთა მთავარი ლეონ II გათავისუფლდა ბიზანტიაზე დამოკიდებულებისაგან და მიიღო აფხაზეთის მეფის ტიტული. საზღვარმა ანაკოფიიდან მდ. კელასურზე, ანუ კლისურაზე გადაინაცვლა. ხოლო შემდეგ, ეგრისის დაუძლურების გამო, ეგრისის მთელი ტერიტორია მთლიანად შევიდა ამ ახლად ჩამოყალიბებულ სამეფოში.

ვინ იყო ეთნიკურად ლეონ II, ცნობილი არაა, მაგრამ ეს როდია მთავარი. მთავარია, რა საქმეს ემსახურებოდა იგი: მთავარია, რომ იგი იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის (მან თავის სამეფოს დედაქალაქად ქუთაისი აქცია), რომ მან ბერძნულის ნაცვლად ქართული დამწერლობა და ენა გააბატონა, ემსახურებოდა ქართულ კულტურას, აგებდა ქართულ ტაძრებს...

მაშ ასე: აფხაზეთის სამეფო, დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა. მოსახლეობის უმრავლესობას, ცხადია, ქართველები (ქართები, მეგრელები, სვანები) შეადგენდნენ. სახელმწიფოს და მოსახლეობის დიდი უმეტესობის სალაპარაკო ენა ქართული იყო.

მე-10 საუკუნეში, ზოგი მკვლევარის ვარაუდით კი უფრო ადრე მე-8 საუკუნეში აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსომ შეცვალა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ლაზიკის სამიტროპოლიტო და აბაზგიის საარქიეპისკოპოსო ეპარქიები. აფხაზეთის კათალიკოსის საკათედრალო ტაძარი, რომელიც ანდრია მოციქულის საყდრად იწოდებოდა, ბიჭვინთაში იყო. აფხაზეთის კათალიკოსი ბიჭვინთის კათალიკოსადაც იწოდებოდა და საქართველოს საპატრიარქოს ექვემდებარებოდა.

ქართული ენა და კულტურა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისთვის „მძლავრი იარაღი იყო უცხოელი ასიმილატორების, კერძოდ, ბიზანტიელების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ ბიზანტიისგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის ტენდენციას, რაც ასე სასიცოცხლო იყო ამ მხარისთვის და მისი მმართველი წრეებისთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან სდევდა ენასა და კულტურაში ბერძნულისგან დამოუკიდებლობისთვისაც ბრძოლაც. ეს უკანასკნელი კი შეუძლებელი იყო საკმაოდ განვითარებული ენისა და კულტურის დაპირისპირების გარეშე, რაც მხოლოდ ანტიკური ხანის მძლავრი იბერიის ენობრივი და კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება ყოფილიყო" (საქ. ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970 წ. გვ. 33-34).

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ, მხოლოდ მე-9, მე-10 საუკუნეში მოხდა დასავლეთ საქართველოში ქართული ენის „მომძლავრება, როგორც ზოგი ისტორიკოსი ვარაუდობს. დასავლურისგან განსხვავებით, აღმოსავლური ქრისტიანული აღმსარებლობა სახარების ქადაგებას მშობლიურ ენაზე მოითხოვდა. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში, როგორც ცნობილია, უკვე მეოთხე საუკუნეში იქცა სახელმწიფოებრივ რელიგიად — იბერიის მსგავსად, მაშასადამე, ქართები, ჭან-მეგრელები და სვანებიც უთუოდ ისმენდნენ ქადაგებას თავიანთ მშობლიურ, ქართულ ენაზე.

...მე-17 საუკუნის დასაწყისში სამთავროს სამხრეთი საზღვარი ხდება მდ. კოდორი (კორაქსი). ასეა ეს არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზეც (1654 წ.) და მის წიგნში „წმინდა კოლხიდა". ასეა ეს კასტელის, შარდენის, ფეჩევის და სხვა უცხოელ მოგზაურთა თუ ისტორიკოსთა ნაშრომებში. სწორედ ამ პერიოდში რუსეთის მეფემ მიხეილ თევდორეს ძემ გამოგზავნა ელჩობა სამეგრელოში. ელჩები აღწერენ სამეგრელოში შემავალ ღირსშესანიშნაობებს. აღწერილია ილორისა და მოქვის ეკლესიები, ე. ი. ყველაფერი ის, რაც კოდორამდე იყო. მაგრამ ლევან დადიანის შემდეგ (რომლის დროსაც აიგო ე. წ. აფხაზეთის დიდი კედელი), ვითარება შეიცვალა: უფრო გააქტიურდნენ აფხაზეთის ფეოდალები, განსაკუთრებით სუსტარ შარვაშიძე. შარდენი აღწერს მის თავდასხმებს სამეგრელოზე. სორეხ შარვაშიძის მიერ აყრილ ტყვეთა ადგილზე ასახლებენ აფსუებს. საზღვარმა ჯერ ღალიძგამდე გადაიწია, ხოლო მე-17 საუკუნის 80-იან წლებში საზღვარი ხდება ენგური. გამარჯვებით ფრთაშესხმული სორეხი ცდილობს ენგურის მარჯვენა ნაპირიც შემოიერთოს. მიუხედავად ამ ომებისა, აფხაზეთი, ისევე როგორც სამეგრელო და გურია, იმერეთის სამეფოში შედიოდნენ. მერე — თვით აფხაზეთის სამთავრო დაიყო ძმებს — როსტომ, ჯიქეშიასა და ყვაპუს შორის. (საუკუნეთა განმავლობაში როგორც დადიანების, ისე შარშვაშიძეების გვარი მთავართა აღმნიშვნელ ცნებად გადაიქცა. გვიანფეოდალურ ხანაში ამ წოდების მატარებლად ჩაჩბას გვარი ჩანს). „ხოლო უმრწემესსა ძმას ყვაპუს ჰრგებია ტერიტორია მდინარე ღალიძგიდან მდინარე ენგურამდე... ყვაპუ გარდაცვლილა რა, დაშთენია ძე მისი მურზაყან". (ვახუშტი). მურზაყანის სახელი მერე მთელ ამ მხარეს, ანუ ძველ საბედიანოს დარჩა, ეს ხდება უკვე მე-18 საუკუნის ბოლოსთვის. სამთავროებს შორის ამ გაუთავებელი ომებით სარგებლობდა თურქეთი და სპარსეთი. თურქთა გაძლიერებული ექსპანსიის შედეგად სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი გამუსულმანების საფრთხის ქვეშ დადგა. თურქეთი მარტო იარაღით რომ ვერაფერს ხდება, მიმართავს თავის ნაცად ხერხს — ფეოდალთა გადმობირებას, მოსყიდვას. სწორედ ამ მოსყიდულ ფეოდალებზე დაყრდნობით გაჩაღდა უზარმაზარი მასშტაბით ტყვეთა სყიდვა დასავლეთ საქართველოში, მაჰმადიანობის გაძლიერებული ქადაგება და დანერგვა, უძველესი მატერიალური და კულტურული ძეგლების მოსპობა, ადგილობრივი ტრადიციების დევნა, ენის შევიწროება და ა. შ. თურქეთის მთავრობის აზრით, ყოველივე ამას უნდა მოჰყოლოდა ეკონომიკისა და კულტურის სრული განადგურება, ხალხის სულიერი და ფიზიკური მოსპობა. ეს მეთოდები განსაკუთრებით ძლიერდება მე-17, მე-18 საუკუნეებში, როგორც მთლიანად საქართველოს, ისე განსაკუთრებით აფხაზეთის მიმართ: საჩუქრებით, დაწინაურებით, ალერსით მოსყიდული ფეოდალები გადადიან თურქეთის მხარეზე და იღებენ ისლამს.

მე-17 საუკუნის 80-იან წლებში უკვე აღარ არსებობს არც მოქვისა და არც დრანდის საეპისკოპოსოები, თურქთა მოძალების გამო ბიჭვინთიდან ზაქარია ქვარიანმა (დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა) კათედრა გადაიტანა გელათს (1657-1660). ცნობილია, როგორ ბარბაროსულად წვავდნენ და სპობდნენ თურქები საეკლესიო ნივთებს, ძვირფას წიგნებს, ხელნაწერებს. თუმცა თურქეთი ყოველ ღონეს ხმარობდა მკვიდრი მოსახლეობის გასამაჰმადიანებლად, მაგრამ მიზანს ყოველთვის როდი აღწევდა. საყურადღებოა ერთი გარემოება: როცა რუსთა ჯარმა დაიკავა ბიჭვინთა, საკურთხეველზე იპოვეს ქართული სახარება მე-15 საუკუნისა და სხვა საეკლესიო ნივთები, ვერც ქართული ენის ამოძირკვა შეძლეს თურქებმა: XVI-XVII საუკუნის აფხაზეთში (როგორც მანამდეც) ქართული ენა დარჩა ეკლესიის, წიგნისა და თავადური დაწესებულებების ენად.

ამასობაში მომძლავრებული რუსეთის დაწოლისგან ჩრდილო კავკასიელთა ტომებმა იწყეს საქართველოს ბარად ჩამოსახლება. ადიღეელები, ოსები, დაღისტნელები მძლავრ ნაკადებად მოეშურებოდნენ სამხრეთისაკენ: გაპარტახებული საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში. ნელნელა ხდებოდა შეთხელებული აფხაზეთის მოსახლეობის ასიმილაცია ადიღეელებთან. აფსუებმა თანდათან თავს მოახვიეს აფხაზურ ტომებს თავისი ენაც, კულტურულად, რელიგიურად და ისტორიულ-პოლიტიკურად დაშორიშორებული ტომების ჩამოსახლებამ კიდევ უფრო შეუწყო

ხელი გაუცხოების, ურთიერთუნდობლობისა და სეპარატიზმის ტენდენციების გაძლიერებას.

ჩრდილოეთის მთებიდან ჩამოსახლებული ადიღეური ტომი — აფსუა — თავისი კულტურულ-ეკონომიკური განვითარების დონით ერთობ დაბლა იდგა დამხვდურ მოსახლეობაზე. მათ თითქმის წარმოდგენა არ ჰქონდათ მიწათმოქმედების დარგებზე. წარმართი ანდა არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამუსულმანებული აფსუებისთვის უცხო და მიუღებელი დარჩა ის სულისმიერი კულტურა, რაც აქ დახვდათ ქრისტიანობის და ქართული კულტურის სახით (ეს გაუცხოება დღევანდელი მათი მემკვიდრეებისთვისაც დამახასიათებელი თვისებაა. მათ სულს არაფერს ეუბნება არც ბიჭვინთის და არც ლიხნის ტაძრები, არც ქართული ფრესკები და ხატები და არც ქართული წარწერები. თუმც უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლი, შარვაშიძეთა გვარი აღზრდით, განათლებით, მთელი თავისი არსებით ქართულ კულტურულ სამყაროს ეკუთვნოდა.

ძნელბედობის მიუხედავად, როგორც ითქვა, აფხაზეთი იმერეთ-სამეგრელო-გურიასთან ერთად ერთ მთლიანობას შეადგენდა. რუსული ოფიციალური ცნობებითაც კი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილი კავკასიის მმართველობას და მის წარმომადგენლებს, რუსეთის იმპერატორსაც კი ჩვეულებრივად ქართულად მიმართავს. ქართულის ცოდნა, რა თქმა უნდა, უმთავრესად, თავად-აზნაურობას ახასიათებდა. ვახუშტი წერდა: „ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული". ოსმალების მოძალეობის ჟამსაც, როგორც ითქვა, ქართული ენა კულტურის მთავარი ენაა როგორც სამთავროსათვის, ისე თვით მიხეილისთვისაც.

მდგომარეობა ამ მხრივ მკვეთრად შეიცვალა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, მაგრამ ისევ მე-17 საუკუნეს დავუბრუნდეთ. სწორედ ამ პერიოდიდან იმართება აფხაზთა, უფრო (სწორად, აფსუათა) ინტენსიური თავდასხმები სანაპიროებზე. ვახუშტის ცნობით და მისიონერთა ჩანაწერებით ირკვევა, რომ დიდძალ ტყვეებს იტაცებდნენ გურიის სანაპიროებიდანაც. „აფხაზები თავს ესხმოდნენ შურისძიების მიზნით სამეგრელოს საზღვრებს, მთლიანად აოხრეს ის, ხოლო მცხოვრებნი გაყიდეს მონებად და გადაასახლეს აფხაზეთში", — წერს ლამბერტი. გარდა ამისა, მერე და მერე, ბევრი ნებაყოფლობით გამორბოდა ოდიშიდან, და მკვიდრდებოდა აფხაზეთში, სადაც ბატონყმური უღელი ნაკლებ მძიმე ჩანდა.

რაციონალური იყო სამეგრელოდან, გურიიდან მოტაცებული ტყვეების გადაქცევა ყმა გლეხებად, რომლებიც ვალდებული იყვნენ გადაეხადათ ლალა თავიანთი მებატონეებისათვის, სამაგიეროდ, იღებდა მიწის ნაკვეთს, უფლება ჰქონდა შეექმნა ოჯახი და ა. შ.

თავის ნებით გადმოსახლებულ თუ ტყვე აგრუებს (მეგრელებს) და აგურუებს (გურულებს), ბუნებრივია, თან მოჰქონდათ თავიანთი ადათწესები, სულისმიერი კულტურა, სიმღერები, ცეკვები და ისინი ნელ-ნელა ერწყმოდნენ აფსუების ტომს, ანუ აფსუები ხდებოდნენ. ამგვარი გზით „გააფხაზებულთა" რიცხვი შემდეგშიც იზრდებოდა. ხდებოდა პირუკუ პროცესიც. ცნობილია ლევან დადიანის ბრძოლები იმერეთისა და აფხაზეთის წინააღმდეგ. დადიანის მიერ აყრილი ტყვეები ექცეოდნენ მეგრულ გარემოცვაში, თანდათან კარგავდნენ ენას და მეგრელდებოდნენ. აქედანაა სწორედ მეგრელი თარბაიები, ზუხუბაიები, აბულბაიები და ა. შ. მთავარი, როგორც ჩანს, მაინც ენა იყო. ენა გახლდათ ის ფენომენი, რომელიც განსაზღვრავდა ამა თუ იმ ტომის წარმომადგენელთა ეროვნულობას, თუმცა ეს შემდეგში მოხდა, ცხადია, ხოლო მაშინ ყმაგლეხის მოვალეობა მხოლოდ ლალის გადახდა იყო, სხვა რამ მას არ ეკითხებოდა, რამეთუ ეს ფეოდალური, შინაომები გახლდათ, დაშლილ, მაგრამ მაინც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. შემდეგ, მე-19 საუკუნეში ამ ფაქტორს დაემატა ცარიზმის პოლიტიკა: დაჰყავი და იბატონე: დაემატა „ჩინ-მენდლების" სიყვარული, სავარძლის სიყვარული და ეროვნულობის სასწორმა, როგორც დავინახეთ, იქითკენ იწყო გადახრა, საითკენაც მეტი იყო გამორჩენა — პირადული, ცხადია.

...ის, ვინც ეროვნული თავისუფლებისა და თვითგამორკვევისთვის იბრძვის, ბუნებრივია, მოკავშირენი ჰყავს ამავე მიზნებისთვის მებრძოლი სხვა ხალხების სახით. ბუნებრივი მოკავშირენი უნდა ყოფილიყვნენ ჩვენთვის თუნდაც ერთობ მცირერიცხოვანი აფსუები, თუნდაც ოსები, თუკი ისინი მართლაცდა თავისი ხალხის ბედ-იღბლით არიან დაინტერესებულნი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ, ქართველები, მათივე განცხადების თანახმად, ხელს ვუშლით მათ გარუსებაში, თვითმყოფობის დაკარგვის საფრთხის წინაშე მდგართ, წინ ვეღობებით — ეს კი, ჩანს, ქვეცნობიერ ბოღმას და ღვარძლს ბადებს მათში. შენ იბრძვი, მაშასადამე, შენ შანსი გაქვს გადარჩენის, მაშასადამე, შენ — ერი ხარ. მე კიდევ — არა მაქვს ეროვნულობის არანაირი სურვილი, რამეთუ ჩემთვის მთავარია შევინარჩუნო ის უპირატესი თანამდებობრივი მდგომარეობა, რაც მომანიჭა ხელისუფლებამ შენთან ჯიბრში და შენს გამოისობით, შევინარჩუნო ჩემი მატერიალური სიკეთე და უზრუნველყოფილების და პიროვნული თვითკმაყოფილების გრძნობა, თუნდაც ამბიციები დავარქვათ ამას. შენ კი — ხელს მიშლი ამაში, ე. ი. მტერი ხარ ჩემი.

არის კიდევ ერთი გარემოება: პანისლამიზმს სრულებითაც არ დაუთმია ამ ბოლო ათწლეულებში თავისი პოზიცია. პირიქით, იგი შეტევაზეა გადმოსული და მაშასადამე, არც იმ ე. წ. ფედერალურ ილუზიაზე — კავკასიის ჩრდ. დასავლეთით ისლამური რესპუბლიკის შექმნაზე აულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი. ყოველივე ეს კი, ერთ-ერთი, თუ გადამწყვეტი არა, ძირითადი „კოზირი“ გახლავთ აფხაზურ „სინდრომში“.

შემდეგ: სიძულვილსაც „საბუთები“. მტკიცებანი სჭირდება — მოსაჩვენებელი იქნება ეს თუ „რეალური“. აფსუათა მხრიდან, როგორც ცნობილია, ერთი უმთავრესი ბრალდებათაგანია სტალინისა და ბერიას ბოროტმოქმედებანი. აფხაზეთში პარტიულმა კადრებმა რომ ერთმანეთი ამოჟლიტეს — ეს ხელისუფლებას კი არა — ქართველ ერს ბრალდება... რაკი სტალინი და ბერია წარმოშობით ქართველები არიან. საინტერესოა ერთი გარემოებაც — აფხაზეთი თურმე ერთადერთი კუთხეა, სადაც პარტიულ კადრებს არანაირი დანაშაული არ მიუძღვით საკუთარი ხალხის წინაშე. ისინი, ასე ვთქვათ, უცოდველები არიან იმ რეპრესიებში, აფხაზეთში რომ დატრიალდა. ეშბასა და ლაკობას შორისაც თურმე არანაირი კონფლიქტი არ არსებობდა და ისინი სრული თანხმობით, ბოლშევიკურად „ილვწოდნენ“ ხალხის საკეთილდღეოდ. ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების და ბოლშევიკური პარტიის ყველანაირი ცოდო-ბრალი ჩვენმა თანამოძმეებმა ქართველ ერს აჰკიდეს ზურგზე, მხედველობაში, რა თქმა უნდა, არაა მიღებული ქართველობის დანაკლისი მთელ იმ საშინელ ბაკხანალიაში. ნათქვამია, თუ კაცს არ უნდა, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო. ქვებს ვინ ჩივის, ჩვენი მოძმეები ლოდებსაც ვერ ამჩნევენ და ჰთებსაც, რამეთუ ქართველი ერის უმძიმესი დანაკარგის დანახვა, მათი კონსტატაცია — ვერაფერი შვილი არგუმენტი იქნება დაპროგრამებული სიძულვილის განსამტკიცებლად. ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ჩვენც თითქოს აინუნში არ ვაგდებთ ამ ბრალდებებს (არა მარტო აფხაზთა მხრიდან, სხვათა შორის).

ჩვენ თითქმის არაფერს ვწერთ აგრეთვე მეგრელების გასახლების ვერაგულ სტალინურ გეგმაზე (თუ არ ჩავთვლით გ. ფაცაციას საინტერესო პუბლიკაციას). არადა ამ საქმის ზოგ-ზოგი ინსპირატორი ახლაც არხეინად არის მოკალათებული თბილ-თბილ ადგილებზე და თავს მშვენივრად გრძნობს.

აფსუათა ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია გახლავთ ისიც, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ასახლებენო ქართველებს. ისე გამოდის, რომ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში დასახლების უფლება ყველასა აქვს — ქართველის გარდა. როგორც ცნობილია, აჯრიდ და თურქეთში ძალით თუ ნებაყოფლობით გადასახლებულ-წასულთა ადგილზე მეფის მთავრობა ამკვიდრებდა უცხოტომელთ: რუსებს (მალაკნებს, კაზაკებს), სომხებს, ბერძნებს, ესტონელებს და სხვ. ასეთ ვითარებაში ქართველთა სწრაფვა მუჰაჯირთა მიწებზე დასასახლებლად, სრულიად ბუნებრივი და კანონიერი გახლავთ, ისინი თავიანთ ისტორიულ კუთხეს უბრუნდებოდნენ, (სხვათა შორის, მუჰაჯირთა დიდზე დიდ უმრავლესობას სწორედ გამუსულმანებულ-გააფხაზებული ქართველები — მეგრელები შეადგენდნენ).

დროა ყველამ უწყოდეს, რომ ნებისმიერ ქართველს არ სჭირდება არავის ნებართვა დასახლდეს საქართველოს რომელიც გნებავთ კუთხეში, (სხვათა შორის — ჩემი წინაპრები ოდითგან მკვიდრობდნენ იქ, სადაც ახლაც ცხოვრობენ — ე. წ. სამურზაყანოში, ანუ ძველ საბედიანოში, მაგრამ თუ საჭიროებამ მოითხოვა გინდ გაგრის ზონაში დასახლდებიან და გინდ სიღნაღის რაიონში).

ერთ-ერთი ბრალდება აფსუათა მხრიდან გახლავთ აგრეთვე ის, რომ ქართველებმა მათ თურმე ეროვნული სკოლები დაუხურეს, რომ 194[illegible] წელს მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმად აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ქართული ენის სწავლება შემოიღეს, რაც ნიშნავდა თურმე ყველა აფხაზური სკოლის დახურვას და მათ შემდგომ ქართულ ენაზე გადაყვანას, ხოლო სტალინის სიკვდილის შემდეგ აფხაზეთს დაუბრუნეს თითქოს მისი ენა — აფხაზური. როგორც ცნობილია, ამ აქციის გამო ბოდიშის მოხდაც მოითხოვა ქართველების მხრიდან ბატონმა ჰიუტმა (არც მეტი, არც ნაკლები, ქართველ ერს და არამთავრობას — მოსთხოვა აფხაზების წინაშე ბოდიშის მოხდა).

ბოლო პუბლიკაციებიდან კი ირკვევა, რომ „ეს იყო აფხაზური სკოლების არა დახურვა, არამედ რეფორმა, რომ ამის ინიციატორები იყვნენ მოწინავე აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომ აფხაზურ სკოლებში სწავლების რეფორმის შესახებ საკითხი აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ რამდენჯერმე იყო დაყენებული სხვადასხვა წლებში (ალ. მიქაძე, „საბჭოთა აფხაზეთი“). შემდეგ: „... აფხაზურ სკოლებში მისი რეფორმის შემდეგ აფხაზური ენის სწავლება არავის მოუშლია და არც კი შეუმცირებიათ (იქვე). ხოლო ისეთი საგნების სწავლება, როგორიც არის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ბოტანიკა, გეომეტრია, მათემატიკა და სხვ. გადაყვანილ იქნა ქართულზე, თანაც ეტაპობრივად (ადრე რუსულ ენაზე იყო და დღესაც რუსულ ენაზე მიმდინარეობს ამ საგნების სწავლება).

მე ვეკითხები აფხაზი ინტელიგენციის გარკვეულ ჯგუფს, იმათ, ვინც აშკარად თუ ფარულად აქეზებს თავის თანამოძმეებს ქართველების წინააღმდეგ:

რატომ აქვთ ალერგია იმ ენისადმი, რომელიც ათასი წლის წინ მათი სახელმწიფოებრივი ენა იყო, კულტურისა და რელიგიის ენა იყო და რომელ ენაზეც, სხვათა შორის, ლექსებს წერდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი გიორგი შარვაშიძე? და შემდეგ: სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აფხაზეთის სამთავროზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, ამ კუთხის ისტორიაზე ცნობები ხომ, უპირველეს ყოვლისა, ქართულ ენაზე დაწერილ წყაროებში და, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაშია“ შემონახული? და შემდეგ, თუკი არ თაკილობენ თავიანთ „დედა ენას“ დაარქვან: Ан Бан, დიახ, სწორედ ასე: ან-ბან-ი, თუკი არ თაკილობენ ბევრი ქართული ტერმინოლოგიის და სიტყვის ხმარებას, (მათ შორისაა „ადგილიც“), „აიდგილარას“ ლიდერებს ვთხოვდი, განემარტათ, სანამ აფხაზური საშუალო სკოლა შეიქმნებოდეს (რომლის წინააღმდეგნი თავად არიან) — რა ისეთი მიუტევებელი დანაშაული, რა კრიმინალი იყო იმაში, რომ, როგორც გააფსუებულ მეგრელებს, ისე სუფთა წყლის აფსუებს, შეესწავლათ ქართული ენა? ენა, რომლის დამკვიდრებისთვის იბრძოდა ლეონ II, რომელ ენაზე არის წარწერები თავად ლიხნის ტაძარზე, სხვებს რომ თავი დავანებოთ? ან ეგების გაუჭირდებოდათ ქართულ ასონიშანთა წ, ყ, ჭ, თ-ს და მისთანათა გამოთქმა, რასაც ახლა ესოდენ „უადვილებს“ თურმე მათ დამახინჯებული რუსული ალფაბეტი. სხვათა შორის, პირველი აფხაზური ანბანის ერთ-ერთი პირველი შემდგენელი სწორედ ქართველი კ. მაჭავარიანი გახლდათ, ისევე როგორც პირველად ქართველმა ი. გოგებაშვილმა მოითხოვა დაწყებით სკოლებში სწავლება აფხაზურ ენაზე ყოფილიყო, მაგრამ ამ ფაქტების გახსენება არამც და არამც არ აძლევს ხელს აფხაზ ექსტრემისტებს და როგორც ზემოთ აღვნიშნე, მზად არიან კვლავაც სიცრუითა და სიყალბით კვებონ თავიანთი გულუბრყვილო თანატომელნი.

მახსენდება ერთი შემთხვევა: მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ, როგორც ცნობილია, ითავა მსოფლიო ლიტერატურის „საუკეთესო ნიმუშების თარგმნა აფხაზურ ენაზე. ერთ-ერთ სარედაქციო სხდომაზე, ამ საკითხს რომ ეხებოდა, მეც ვესწრებოდი. მოწვეული იყვნენ სოხუმიდან მწერლები გ. ლასურია და გ. გუბლია. სხდომას ესწრებოდა აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის წარმომადგენელიც. ჰოდა, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა პირველი ტომის ტირაჟზე — ბატონმა ო. ნოდიამ ყოყმანით ხუთი ათასი დაასახელა. აფხაზეთის ორივე წარმომადგენელმა ხელები გაასავსავა: ათასი სავსებით საკმარისიაო. ბეჭდვითი კომიტეტის წარმომადგენელმა დაბნეული სახით ჩუმად გადმომილაპარაკა, ხუთი ათასის წინააღმდეგი რატომ არიანო. და თითქოს ამ კითხვის პასუხად გაისმა ამ დროს ბატონ გიორგი გუბლიას სიტყვები: არ გასაღდება მეტი ნამდვილადო. ათასი კი — გაიყიდებაო. თვალწინ დამიდგა სოხუმის წიგნის მაღაზიები, სადაც დასტობით აწყვია გაუყიდავი წიგნები აფხაზი ავტორებისა, აფხაზურ ენაზე. ნაცვლად იმისა, რომ საყველპურო აფხაზურით კი არ გადიოდნენ ფონს, არამედ საფუძვლიანად ასწავლონ ბავშვებს მშობლიური ენა, ანუ იზრუნონ ეროვნული სკოლებისთვის, აფხაზი და ოსი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ამჯობინებს მთელი თავიანთი მჩქეფარე ენერგია და უნარი წარმართონ ქართველობის წინააღმდეგ. ოღონდაც როგორმე ქართველობა გააშავონ, ოღონდაც როგორმე მჩაგვრელ და დამპყრობელ ერად წარმოუსახონ მსოფლიოს (აკი „იმპერიად“ მონათვლასაც მოვესწარით იმათ მხრიდან, ვისგან თანადგომას და გაგებას ველოდებოდით!), ამ „არწყინვალე“ მიზნისთვის მზად არიან ყველაფერზე წავიდნენ, თეთრი შავად მოაჩვენონ, შავი — თეთრად, დეზინფორმაციებით შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრიობა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, „ახალი ფერლანის“ მოწყობა ქართველობას გადააბრალონ და ა. შ. ამ საძუკვარი მიზნისთვის ელევიან ეროვნულ სკოლასაც და მშობლიურ ენასაც. დიახ, ეროვნული სკოლების გახსნას, სახელმძღვანელოების შექმნას ურჩევნიათ გააფთრებით ებრძოლონ „მჩაგვრელ“ ქართველებს და ამასთან, ცუდმედიდურ პოზაში დადგნენ და თავი მოიტყუონ იმით, რომ აქვთ: „აბხაზსკი უნივერსიტეტ!“

შესაძლოა, ერთობ მწარე სიმართლეს ვლაპარაკობ, მაგრამ სხვანაირად უკვე არ შეიძლება.

როცა ერის, ხალხის თვითმყოფობის თუ თვითგამორკვევის პრეტენზია გაქვს — 80 ათასი იქნება თუ 80 მილიონი, სულ ერთია, უნდა ძირისძირობამდე იცოდე, რისი გაკეთება ხელგეწიფება და რისი არა, რა შეგიძლია სასიკეთო მოიმოქმედო შენი თვისტომისთვის და რა ვერა, რაა მართლა ეროვნული, წმინდათაწმინდა და რაა დემაგოგიური, ამბიციური — პიროვნული განდიდების წყურვილით ნაკარნახევი, უნდა ერკვეოდე — ვინ არის შენი ერის მტერ-მოყვარე, ვის შესტკივა გული შენზე და ვინ გითხრის სამარეს, ბინძური თუ სუფთა ხელებით ეჭიდები დიდ საქმეს —ერის სამსახური რომ ჰქვია და სხვ.

... ერთმა ე. წ. არაფორმალური გაერთიანების ლიდერმა თქვა ჩემთან საუბარში, ვერაფრით ამიხსნია უცხოელებისთვის, როგორ ჩაგრავს მოსახლეობის 17 პროცენტი 44-ს, 80 ათასი ოთხ მილიონსო. ამ ნათქვამში მართლაც არის თითქოს სიმართლის მარცვალი. მართლაცდა როგორ?

კანონის წინაშე, ღმერთის წინაშე — ყველა — დიდი და მცირე ერი, თუ პიროვნება — ერთი უნდა იყოს! ის, რაც აფხაზებს ეკუთვნით კანონიერად, უსათუოდ უნდა მიეცეს და აქვთ კიდეც ჩვენს თანამოძმეებს (დიახ, თანამოძმეებს, რამეთუ უნდათ თუ არა, ჩვენ ერთი დიდი მუხის — იბერიელ-კავკასიური მოდგმის შტოები ვართ). მაგრამ კანონი და კანონიერება უძლურია ამ გაგანია საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებშიც კი შეასრულოს თავისი დანიშნულება, რაკი საქმე ეხება... აფხაზებს თუ ოსებს.

1989 წ. 15-16 ივლისს, როგორც ცნობილია, წინ უძღოდა არაერთი მოვლენა, რამაც შეაპირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა აპრილის და ივლისის ტრაგედიები. 15-16 ივლისს წინ უძღოდა „ლიხნის წერილი"—ეს ყოვლად უხამსი, ქართველი ერისადმი ცილისწამებითა და ინსინუაციებით სავსე ბინძური ეპისტოლე, რომლის მიფუჩეჩებასა და მიჩქმალვას აგრერიგად ცდილობდა ხელისუფლება. ამ მდაბალი, ბეზღობითა და ცენტრისადმი გულისამრევი ქვეშევრდომული მორჩილებით აღსავსე 77 გვერდიანი პასკვილის ხელისმომწერნი, დღესაც თავს არხეინად გრძნობენ, რადგან მათ მიმართ არ „მოქმედებს" ცილისწამებისა და ერთაშორის შუღლის ჩამომგდებთა საწინააღმდეგო კანონი.

15-16 ივლისს წინ უძღოდა პირველ აპრილს მშვიდობიანი მომიტინგეებზე თავდასხმა და რბევა, ხალხით სავსე ავტობუსის ხრამში გადაგდების მცდელობა, ხელში ნაჯახმომარჯვებულთა შევარდნა მილიციაში ქართველი სტუდენტების დასახოცად, სროლა, ცემა და ა. შ. ხელისუფლებისგან კი — არავითარი რეაგირება! კანონი და მართლმსაჯულება კვლავაც დუმდა.

1989 წ. ლესელიძეში, პირველ აპრილს გამართულ მიტინგზე მოვარდა ოზგანი და სცადა სახელდახელო ტრიბუნიდან ჩამოეგდო ეროვნული დროშა. როცა არ დაანებეს, მკლავში წვდა პერანგის კოსტავას: წადით და თქვენთან ჩაატარეთ მიტინგები, ეს ჩვენი მიწა-წყალიაო. ეს ჯერ კიდევ საკითხავია, ვისიაო, დინჯად, თავშეკავებით, მაგრამ მტკიცე ხმით მიუგო მერაბმა, მაგრამ გამწვავების თავიდან ასაცილებლად, რაკი მიტინგი ისედაც მთავრდებოდა, ჯარით ალყაშემორტყმული მომიტინგენი დაიშალნენ. აი, სწორედ შინისკენ მიმავალ ამ მშვიდობიან ხალხს დაესხნენ თავს ოზგანის მიერ წაქეზებული აფხაზი ექსტრემისტები. ამ შემთხვევაშიც ყველაფერი შერჩათ. თმის ბეწვი არ ჩამოვარდნია არც ერთ დამნაშავეს, და რომელი ერთი დანაშაული ჩამოვთვალოთ ამ ბოლო 30-40 წლის განმავლობაში, დაუსჯელი რომ დარჩა მხოლოდ იმის გამო, დამნაშავე აფხაზი ეროვნების წარმომადგენელი იყო. და ბოლოს ყოველივეს „გვირგვინი" 1989 წლის 15-16 ივლისი, რომელიც ერთობ გულდაჯერებით მოაწყვეს ექსტრემისტებმა, რადგან დარწმუნებულნი გახლდნენ, არაფერი დაუშავდებოდათ ამჯერადაც არც ინსპირატორებს და არც უშუალო შემსრულებლებს — წინასწარ დაწერილ სცენარში რომ უნდა ეთამაშათ თავისი შავბნელი როლი (ალბათ წინასწარ ჰყავდათ სასიკვდილოთ მონიშნული ვოვა ვეკუაც — ეს უშიშარი და უსპეტაკესი ვაჟკაცი!).

ამაზე საკმაოდ ითქვა, მხოლოდ ერთს დავამატებდით: უკანონობის, ასე ვთქვათ, დაკანონებამ, დანაშაულის მიჩქმალვამ, დაუსჯელობის შეგრძნებამ ანუ იმ პრივილეგიამ, როცა ქართველთან მიმართებაში ყოველთვის მართალი ხარ მართლმსაჯულების წინაშე — იქაურ მკვიდრ ქართველებში წარმოშვა მიუსაფრობის, უპატრონობის, უიმედობის შეგრძნება. ქართველთა ხიზნობა საკუთარ სამშობლოში დაკანონებულ საჩუქ იძენდა. ჯაყოიზმი წესად და კანონად ქცეულიყო. ამას ყველაფერს ემატებოდა ზოგ-ზოგში, ასე ვთქვათ, გენეტიკურად გადმოცემული სულიდამურის, ემატებოდა შიში, სიხარბე, შური — თანდაყოლილი თუ შეძენილი მანკიერებანი, რაც „აგვირგვინებდა" ზნეობრივი და სულიერი დაცემისა და გადაგვარების სურათს.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ამდენი ღალატის, ვერაგობის, გაუტანლობის, სისასტიკის ფონზე ქართველი ერი თავისი შინაგანი ბუნებით, გულისგულში მიაყვას ერად რჩება. იგი მოკლებულია სიძულვილის გრძნობას იმათ მიმართ, ვინც ამდენი უბედურება დაატეხა თავს და ვინც პირდაპირ გამზადებულია ყოველ ხელსაყრელ მომენტში ზურგში დანა ჩასცეს. აკი უძველესი დროიდანვე ცნობილი იყო ქართველი ერის ეს განსაკუთრებული თვისება. ჯერ კიდევ 11-13 საუკუნეებში მისი სწორუპოვარი შვილები იჩენდნენ ტოლერანტიზმს და ამით გამოირჩეოდნენ სწორედ დასავლური და აღმოსავლური ტირანიისგან, კაცთმოძულეობის და რჯულშეუწყნარებლობის ნიმუშებს რომ იძლეოდნენ თანამედროვე თუ მომდევნო თაობათა თვალში. აკი სისხლის წვიმების დროსაც, როცა ეგზომ გამწარებული იყო მაჰმადიან ერთა განუწყვეტელი შემოსევებისა და რბევისაგან, ქართველი კაცი ამბობდა: „თათარიც ჩემი ძმა არისო".

...ქართულ მოსახლეობაში, ქართველ ინტელიგენციაში, თბილისში, ოდითგანვე საოცარი თანაგრძნობა, ტრადიციული სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა სუფევდა აფხაზების მიმართ. მახსოვს, თბილისში, უნივერსიტეტში სწავლის დროს როგორი მზრუნველობითა და სიყვარულით ექცეოდა ყველა პროფესორ-მასწავლებელი აფხაზ სტუდენტებს. და ასე იყო ყველგან, ყველა უმაღლეს სასწავლებელში თუ კულტურის დაწესებულებაში. ბევრისთვის, ვისაც უშუალო კონტაქტი არ ჰქონდა მათთან, აფხაზი აკაკი წერეთლის, კონსტანტინე გამსახურდიას თუ ლეო ქიაჩელის პერსონაჟებთან იყო გაიგივებული.

„რაც მან დედამიწის ზურგზე თავი შეიცნო, მის დევიზად თავის დღეში არ ყოფილა, ქელეხი, დათრგუნვა, დაბრიყვება, დამონება, მიწასთან გასწორება რომელსამე ერისა. ჩვენი ერის ხმალი მღელვარებდა მხოლოდ თავის თავისუფლების დაცვისათვის და დამოუკიდებლობის შოუსპობლობისათვის. თუ ოდესმე დროთა ვითარება იძულებულს ხდიდა შემოერთებინა თავისთან რომელიმე უცხო ქვეყანა, ჩვენი ერი ანიჭებდა მას სრულს თვითმმართველობას და ხელუხლებლად იცავდა ყოველს მის უფლებას. თვით საქართველოშიაც სხვა სარწმუნოების მიმდევნი სარგებლობდნენ სრულის თავისუფლებით და თანასწორობით ქართველებთან. როდესაც გაბატონებულს საფრანგეთში ჰუგენოტებს არბევდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცის ყოველს უფლებასა და ბარბაროსულად ულეტდნენ მათ კათოლიკები, როდესაც საზელოვანს ინგლისში კათოლიკები იდევნებოდნენ უწყალოდ და ულმობლად, იმ დროს საქართველოში შემოხიზნული სომხები იყვნენ ყველაფერში გათანასწორებულნი ქართველებთან, ჰქონდათ მინიჭებული ყოველი პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება და ხშირად მეჭკვიდრეობით ეჭირათ უმაღლესი ადგილები ჩვენს სამეფოში, ამგვარივე თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული თვით ებრაელებსაც. იგინი... ყოველთვის სარგებლობდნენ ჩვენში სრული მყუდრო ცხოვრებით და მათ ერთხელაც არ გამოუცდიათ ის დევნა და ჟლეტა, რომლის მსხვერპლად ხდებოდნენ და ხდებიან ახლაც ევროპაში..." ჩვენი ერის სასიქადულო შვილის, იაკობ გოგებაშვილის ამ სიტყვებში წარმოჩენილია ქართველი კაცის დიდსულოვნება, შემწყნარებლობა და ლმობიერება უცხო ერის წარმომადგენელთა მიმართ, მისი განსაკუთრებული კეთილგანწყობილება ყოველი დევნილისა და დაჩაგრულის მიმართ.

შესანიშნავადა აქვს დანახული ჩვენი ერის ეს თვისებები გერმანელ მისან ქალს, ლინა ლიზის, რომლის სიტყვებითაც მინდა დავამთავრო ეს წერილი:

„ჩვენსა და... ქართველებს შორის დიდი განსხვავებაა... ჩვენ შეგუებული ვართ ბედისწერას და ვემორჩილებით მას. ქართველებს შეუძლიათ ტრანსფორმირება, შეუძლიათ ბედისწერის ვერდის ავლა. შეუძლიათ გასაჭირს გაუძლონ, მათი დაჩაგვრა შეუძლებელია. შეიძლება მათი ქვეყანა დაიპყრო, მაგრამ მათ ვერ დაიმორჩილებ. მათი ენა და სული მათი ცხოვრების უმაღლესი ინტელიგენტურობის გამოხატულებაა. მათი მუსიკაც ამაზე მეტყველებს. მათი სული ისე წმინდა და ნათელია, ისეთი ღრმა სპირიტუალურია, რომ წარმოუდგენელია მათი დამორჩილება. ისინი სულით ცხოვრობენ და არა გონებით. მაგრამ ეს არ მეტყველებს იმაზე, რომ მათ ინტელიგენტურობა აკლიათ. პირიქით, მათ მაღალი ინტელიგენტურობა აქვთ, სულის ინტელიგენტურობა, სიცოცხლის ინტელიგენტურობა. თუნდაც ის საოცარი უნარი ადამიანში, ყველა ადამიანში დაინახონ მოკეთე, საოცარია. ქართველ ხალხს განსაკუთრებული მისია აკისრია — სიყვარულის მისია. მათი ენა მათი სიყვარულის მისიის, მათი გულის ანარეკლია (ხაზგასმა ჩემია. ც. ა.) ბევრი ვერ გაუგებს ქართველს. მე კი მგონია, მსგავსი ხალხი არსად არ არის".

მთელ ამ გრძელ ციტატაში გამოვყოფდი სწორედ იმ აზრს, რომ ქართველ ხალხს სიყვარულის მისია აკისრია ამ ქვეყნად. თარგამოსიანთა მოდგმამ დასაბამიდანვე უწყოდა ქართველ ტომთა ამ მისიის შესახებ. ჩემის აზრით, დროა გავიხსენოთ იგი და შევახსენოთ სხვებსაც. დროა ვირწმუნოთ, რომ ყველანი ტოტები ვართ ერთი დიდი მძლავრი მუხისა, იბერიულ-კავკასიური რასა რომ ჰქვია. დროა, გზადაბნეული ლამურები დაუბრუნდნენ თავიანთ დიდ წიაღს, თუკი გადარჩენა სურთ. რამეთუ: „ყოველმან ხემან, რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლს დაედვას".

ნოემბერი-დეკემბერი,
1989 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლია სტურუა

# ცისთვის ქმნის ცისფერ სიტყვებს

## ლურჯი ფერი

გ. ტაბიძის ფერწერაში მოჭარბებულია
ლურჯი ფერი.

გალაკტიონში ლურჯი ფერია
და ჩემს ლექსიდან მოჩანს უფსკრული.
(ტ. გრანელი).

ლურჯი ფერი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მხატვრებისთვის ცივი ფერია, რომელსაც ანრი სიორას აზრით, შეესაბამება სევდიანი მუქი ტონი და სევდიანი ხაზი, რომელიც ეშვება ჰორიზონტიდან დაბლა.

„ლურჯი, როგორც ფერი — ეს ენერგიაა, მაგრამ ის დგას უარყოფით მხარეზე და თავის უდიდეს სიწმინდეში წარმოადგენს თითქოს ამაღელვებელ არარას. მასში შერწყმულია წინააღმდეგობრიობა — აღგზნება და სიმშვიდე.

ლურჯი ჩვენსკენ კი არ ისწრაფვის, არამედ გვისხლტება სულიდან. გვიზიდავს და მივყევართ თავისკენ".

ძალზედ უახლოვდება სიმბოლისტების დამოკიდებულებას ლურჯ ფერთან მხატვარ კანდინსკის განსაზღვრება:

„ლურჯ ფერს გაღრმავების საოცარი უნარი გააჩნია. რაც უფრო ძლიერია ლურჯი, მით უფრო მკაფიოდ ეძახის ადამიანს უსასრულობისკენ, აღვიძებს მასში სევდას უმანკო ზეგრძნობადის მიმართ".

ლურჯი და ცისფერი, როგორც უკვე ითქვა, იდეალის და მასთან დაკავშირებული ყველა საგნისა და მოვლენის სიმბოლოა პოეზიაში (მეტერლინკის ლურჯი ფრინველი, ნოვალისის ცისფერი ყვავილი, ბარათაშვილის „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს", ბლოკის უცნობი ქალი, გალაკტიონის ცისფერი მერი და სხვ.).

არის გადახვევებიც ამ წესიდან, ძირითადად, სიმბოლისტებთან. მაგ. ბოდლერის წითელი იდეალი, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი.

მე ვერ ვპოულობ შენს უფერულ ვარდებში
ყვავილს, რომელიც წითელ იდეალს
უახლოვდება.

ბოდლერის ამ ლექსისთვის კანონზომიერია წითელი იდეალი, რადგან იგი ლედი მაკბეტის ლანდს იწვევს მეხსიერებაში.

პ. იაშვილის მიერ დაწერილ ქართველი სიმბოლისტების მანიფესტში ნათქვამია:

„ხალხმა დაკარგა შეგნება სითამამისა. საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივმოსილობით და ოცნებადაკარგულ ხალხს ვასწავლით განწმენდილ გზას ცისფერი ტაძრისკენ".

აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანში" ლურჯი ფერი ნეგატიური შინაარსის შემცველია, სულიერი და ფიზიკური ტკივილის ფერია:

ბროლი და ლალი შეიქმნენ მე ულურჯესი
ლილისა.

ლაჟვარდისფერი სახის ფერს ედრება. ის ზიზის, მწუხარების ფერია.

შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლაჟვარდის
ფერად იანი.

ასევე ნეგატიურია ლურჯი ფერი ფირდოუსის მეფეთა წიგნში.

ვ. ნოზაძე აღნიშნავს, რომ შავი და ლურჯი ფერი გლოვის ნიშანი იყო გერმანულ ქვეყნებში, აგრეთვე იისფერიც. ხოლო 1500 წ. საბოლოოდ დამკვიდრდა გლოვინ ფერად შავი... როგორც ჩანს, რუსთაველის ეპოქაში ლურჯი ფერის უარყოფითი გაგება დამკვიდრებულ იყო არამარტო აღმოსავლეთში, არამედ ევროპაშიც.

გ. ტაბიძისთვის ლურჯი, ცისფერი ყოველთვის იდეალის ფერია.

იდეალი — მარადიული ქალისმიერობა (Das Ewigweibliche) და აღთქმული ქვეყანაა, რომლისკენაც მიისწრაფვიან ლურჯა ცხენები, რომელთანაც პოეტს ახლოვებს პოეზია და სიზმრები. სიზმარი სიმბოლისტი პოეტისთვის, როგორც აღნიშნული იყო, სულის განთავისუფლების ილუზიაა და ამდენად, მიახლება იდეალურ სამ-

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაროსთან. ამიტომ სიზმარი უფრო ხშირად ლურჯი ფერისაა:

თოვს, ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დალალული სიზმრით დამთოვა.

ჩემი კოცნების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.

ლექსში „ეს მშობლიური ქარია", სადაც პოეტი ლურჯ ფერებში გვაძლევს ფერწერულ, ხილულ სახეს სიზმრისას, სიზმარს უკავშირდება ლურჯი მოგონება და სხვა ლექსებში უკვე მყარად შემოდის ამ ლურჯი (ცისფერი) მოგონების ცნება, რომელიც დაკავშირებულია იდეალურთან და აშკარად უპირისპირდება რეალურს (აწმყოს):

არც ხმა, არც ჩურჩული,
ბინა — მინაგნები,
თვალებდალურჯული
ორთიან იალქნები.

ძილი მეგონება...
უცებ ქაოსიდან
ღამემ ამოზიდა
ლურჯი მოგონება.

გარეთ იასამანს
ბინდი ეფარება,
ბალი ედარება
ცისფერ მოგონებას.

ცვივა ლურჯი, ფარული,
მოგონება ფარული.

ლექსში „მთაწმინდის მთვარე" სიზმარეულ განწყობილებას, რომელიც გავს სიკვდილის სიახლოვეს და ქმნის ვარდისფერი სიკვდილის სახეს, უკავშირდება ისევ ცისფერი:

ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და
ხეებში აქსოვს.

ლურჯია (ცისფერი) მერი — აბსოლუტურად მშვენიერი და კეთილი მარადქალური საწყისი. მერის ფერწერული პორტრეტი დახატულია ლურჯ, ცისფერ, ირისისფერ და ოქროსფერებში:

ოცნებიანი ახალგაზრდა ქალი
ირისისფერი ტანსაცმელით
ოქროსფერი თმით,
ვერონიკას სახით
და ცისფერყდიანი წიგნით ხელში
ნელი ნაბიჯით მიდის ბილიკზე.

მერის თვალები „სანდომიან ცის ელვა და ფერია", წიგნიც კი, რომელიც მას ხელში უჭირავს, ცისფერყდიანია. ბგერათა კომპლექსი, რომლებისგანაც შედგება სიტყვა „მერი", იწვევს ცისფერის ასოციაციას, ისევე, როგორც ხმოვნები რემბოსთან, მუსიკალური ინსტრუმენტები რენე ხილთან და ჰოფმანთან.

აქ მრავალია ცისფერი ფერი,
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,
როგორც ქალწულის სახელი მერი,
არის ცისფერი და მწუხარება.

მომდევნო სტროფებში მერი აღარ არის ხახხენები, მაგრამ რჩება მისი განწყობილება და უკვე მისი სახელის წმინდა ჟღერადობა იწვევს ცისფერის ასოციაციას:

გასედე შორ მთებს, გახედე სერებს,
გასედე ტალღებს, ჩაქსოვილს ტბაში,
ცისფერი ისე უცხოდ იფერებს
სამოსელს ღლეთა ელვარებაში,
სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს,
ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს,
ვისთვის ეძებს ისფერ სიტყვებს
და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს.

იდეალი, მოგონება, სიზმარი, რომლის ფერითი სიმბოლო ლურჯია (ცისფერი), პოეტისთვის დადებითი შინაარსის მატარებელია, მაგრამ ლექსში „გზადაგზა", რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, ცისფერს უკავშირდება მწუხარება.

ერთის შეხედვით გ. ტაბიძე თითქოს წინააღმდეგობაშივარდება, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იდეალი, იქნება ეს აღთქმული ქვეყანა — პლატონისეული იდეალური სამყარო, თუ მარადქალური იდეა — მერი, მიუღწეველია („არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე"), ამიტომ ლურჯი ფერი ეძახის ადამიანს უსასრულობისკენ, აღვივებს მასში სევდას უცოდველი ზეგრძნობადისადმი, როგორც აღნიშნავს კანდინსკი, სევდას იმის გამო, რომ იდეალი მიუღწეველია. გ. ტაბიძის მერი კონკრეტული ქალია, ცისფერთვალება, ოქროსფერთმიანი და ირისისფერი ტანსაცმლით შემოსილი. ის ჯვარსაც კი იწერს, მაგრამ მისი სილამაზის ბუნება ზეგრძნობადია, ფიზიკური შეხება ამ სილამაზესთან, მშვენიერებასთან შეუძლებელია. ამიტომ:

რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები,
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,
ხელუხლებელი, როგორც მზის სხივი,
მიუწვდომელი, როგორც ედემი.

აქ ისევ ჩნდება ტრანსცენდენტური იდეალის თემა, ამიტომ თუ ლურჯს (ცისფერს) ამ შემთხვევაში ჩავთვლით იდეალის ფერით სიმბოლოდ, იოლად აიხსნება საიდან მოდის ის სევდიანი ელფერი, რომელიც მას ახლავს:

ნაზი ფერების კვდომად
ნაზო მერი,
დაჰქრის ლანდი ცისფერი...
შემოდგომა
შენს ბაგეებს მაგონებს...
ვწუხვართ...
მშვიდობით...
მერი...

ან:

ლურჯი, ლურჯი დღე არის,
განშორების დღე არის,
მე არ ველი უარესს...

ლექსებში მერიზე გ. ტაბიძე, მის პორტრეტს იმპრესიონისტულად ნათელი ფერებით ხატავს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურჯი, ცისფერი, ოქროსფერი, იისისფერი, არც ერთი მუქი საღებავი, არავითარი ბინდი ან სიშავე. იგი არ გავს გ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის ოფელიებს, კარმენსიტებს, კოლომბინებს. მერის ბევრი საერთო აქვს ა. ბლოკის „მშვენიერ მანდილოსანთან“ („Прекрасная Дама“), ხოლო ბლოკის „უცნობი ქალის“ („Незнакомка“), რომლის სახეშიც „მშვენიერი მანდილოსნისგან“ განსხვავებით დემონიური ელემენტი შემოდის, უცვლელი ფერითი ატრიბუტია ლურჯთან ერთად შავი „Дама в черном, черные шелка, черный шлейф, темная вдаль, черная коса».

გ. ტაბიძის ლექსშიც „ვინ არის ეს ქალი“ ცისფერი ქალის პარალელურად შემოდის ლიუციფერის თემა:

სადღაც შორს მუსიკა ქარივით კითხულობდა
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი,
ასეთი ცისფერი?

ჩახმახის წუთი, ბნელ სივრცეში აშლილი
ბოლი,
შავი ყვავილის სამუდამოდ მკვდარი
ფოთოლი.

ლიუციფერი:
ვინ არის ეს ქალი,
ვინ არის ეს ქალი
ასეთი ცისფერი?

შავი და ცისფერი, დემონიური საწყისი და მშვენიერი ქალისმიერობა, უბიწობა, რომელიც ბიბლიური შეცოდების მერე, ყოველთვის ატარებს თავის თავში ცნობადის ხისკენ სწრაფვას. აქედან გამომდინარე გასაგებია ამ მოპირისპირე ცნებებისა და ფერების დაჯგუფება (ლურჯი, ცისფერი) იდეალის ნაირსახეობაა ლურჯი ყვავილი:

ჯვარზე გაკრული ელვა,
ეს ჩემი დაა ლურჯი,
ლურჯ ყვავილების თელვა,
ახალგაზრდობა ურჩი.

გ. ტაბიძე იცნობს ნოვალისის „ცისფერ ყვავილს“, რომელსაც ანალოგიური მნიშვნელობა აქვს რომანტიკულ პოეზიაში:

იყო ირგვლივ ზიანება
და ყორნების ჩხავილი,
თოვლმა სილას მიანება
ნოვალისის ყვავილი.

ამ ცისფერ ყვავილზე წერს ტ. გრანელიც:

ეს წამება გაივლის,
თუ აისმა ინათა
და ცისფერი ყვავილი
დაეცემა მინასთან.

იგივე ცისფერი ყვავილია ვ. გაფრინდაშვილის იდეალიც:

თავიდან ცისფერ ყვავილის ლოთი,
მთვრალი ვარ მისი ზღაპრული ფერით.

მაგრამ მარადისობა რომ რამენაირად ნათესაური, ადამიანური ძაფით გამოაბას მიწას, ისევე როგორც საკუთარი თავი მყინვარწვერს, პოეტი ახერხებს ადამიანის სიტკბოსმოყვარულ პირს აარიდოს და სულს მონატროს ლურჯი კომში და ცისფერი ატამი, ლურჯი ფუტკარი მიუსიოს ღრუბელს, რომლის ფსკერზე უსათუოდ თაფლი იქნება დალექილი, თვალით დაუნახავი, მაგრამ სიტყვაში ჩაშაქრული:

ამოსაწუწნად მოდის ღრუბელი —
ლურჯი ფუტკარი.

ლაჟვარდების კიდეო,
დაბურულო ზმანებით,
ლურჯო მონტევიდეო
ვიწრო ხელთაითმანებით.

დაფენილი, თითქო ომში
ფშანია თუ ქალტამი,
ველად ყრია ლურჯი კომში
და ცისფერი ატამი.

არც ხმა, არც ჩურჩული,
ბინა-მინაგსები,
თვალებდალურჯული
თრთიან იალქნები.

ძილი მეგონება
უცებ ქოსიდან,
მთვარემ ამოზიდა
ლურჯი მოგონება.

ამ ბოლო ლექსით პოეტი, თითქოს გვარწმუნებს, რომ სულ იოლია მწერალმა გამოიყენოს მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც შეესაბამებიან ფერებს და გამოხატოს აზრი არა მრავალსიტყვაობის მეშვეობით, არამედ ისე, როგორც ამას აკეთებს მხატვარი, ხაზებს მისცეს — შემასმენელის მნიშვნელობა, ფერებს — ქვემდებარისა და ასე გამართოს ზუსტი, ტევადი, ფერწერული წინადადება.

## თეთრი ფერი

თეთრი ფერი, დაწყებული ქრისტიანული რელიგიიდან, სიმაღლის, სიწმინდის, სიმშვიდის, უმანკოების სიმბოლოა.

შოთა რუსთაველისთვის თეთრი, ან შაქრისფერი უმაღლესი ფერია. თეთრი და წითელი ერთად მიაჩნდათ შუა საუკუნეების ევროპაში ფიზიკური სილამაზის გამოხატულებად, ასე რუსთაველთანაც. „ვეფხისტყაოსანში“ არის ერთი საოცარი სახე — „შაქრისფერი ხმა“ პოეტის წარმოსახვაში ამ სასიამოვნო ხმის მოსმენის დროს მიღებულ განცდას სიტკბოების გემო მიუღია, შაქრის ფერი სიტკბოების განცდის მომგვრელი ფერია.

„გამოთქმაში „შაქრის ფერი“ ჩაქსოვილია რუსთაველის ღრმა განცდა, მაუწყებელი ფერებისადმი მისი განწყობისა. ცნობილი და საერთოდ აღიარებული ფერების ფიზიკის გვერდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს რუსთაველის ფერების მეტაფიზიკა" (მ. გოგიბერიძე „რუსთაველი").

ხმა მაქრისფერად გაუდის ვარდსა,
ხშირ-ხშირად პობილსა.

გ. ტაბიძესთანაც თეთრი ფერი იმავე აზრის მატარებელია. თეთრია სული. (ამ შემთხვევაში თეთრი და ცისფერი ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს), თეთრია ზამბახები და ორხიდეები, რომლებიც ყოველთვის უკავშირდებიან უკვდავებას, ამაღლებულს, მარადიულს. თეთრი და ცისფერია სიზმარი, რომელიც, „როგორც უკვე ითქვა, იდეალთან მიახლოების ბოლო საფეხურია.

თეთრ ფერს, ისევე, როგორც ცისფერს (ლურჯს), მისი პოზიტიური შინაარსის მიუხედავად, სევდიანი ელფერი დაკრავს იდეალთან სრული მიახლოების შეუძლებლობის გამო, ამაღლებულს, მარადიულსა და რეალურს შორის მკვეთრი კონტრასტის გამო.

თეთრი ფერი გ. ტაბიძესთან არასოდეს არ გამოდის ესთეტურის საზღვრებიდან, გარდა ამისა, ის ლურჯთან ერთად აბსოლუტურად კეთილი საწყისიცაა. ამიტომ თავისუფალ ასოციაციაზე დამყარებული ფერთა სიმბოლიკის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა ვ. ვერჰარნის „თეთრი საშინელება" ან, ტ. გრანელის „წამების თეთრი საათი", გ. ტაბიძესთან არ გვხვდება.

გ. ტაბიძესთან თეთრი ფერი შეიძლება სიკვდილსაც დაუკავშირდეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სიკვდილი ესთეტური ფენომენია. (დაახლოებით ისევე, როგორც ლექსში „მთაწმინდის მთვარე", სადაც სიკვდილის პირქუში უპირქუშო და შავი გზა ვარდისფრად იღებება).

ლექსში „ორხიდეები" უცნაური რამ ხდება — კვდება სული და სრულიად ბუნებრივია, ერთის შეხედვით, რომ სხეულის ფიზიკური სიკვდილის უცილობელი ატრიბუტები შავი ყორანი, შავი კუბო, თმაგაწეწილი ქარი და სხვა, იცვლება თეთრი ზამბახებისა და ორხიდეების სიმბოლიკით, რომელიც თან სდევს „ფერმკრთალი სულის" სიკვდილს:

ხავერდის კუბო, დათოვლილი თეთრი
ხამბახებით
იდგა მდუმარე, მგლოვიარე და დასევდილი.
ოჰ, იგი აქ წევს აბრეშუმის თეთრი
ტალღებით.

ამ ყვავილებში დავასვენე ჯერ ისევ დილით.

ასეთივე ესთეტურია გედის სიკვდილი სტეფან მალარმესთან:

თეთრ სიკვდილს მოარხევს მისი ყელი.

ან ვ. გაფრინდაშვილთან:

მოდი, ზამთარო, დამაყარე მკრთალი იები
და შენს თეთრ სიკვდილს მაზიარე შენაცვლები.

პ. იაშვილთან:

მიგასვენებენ თეთრი დები სიჩუმის ნავზე.

სიმბოლისტებისთვის, როგორც არაერთხელ აღინიშნა, რეალური ცხოვრება მხოლოდ დროებითი ფიზიკური აქტია. ამ პერიოდში სული, რომელიც ილტვის ცისკენ, თავისი პირველყოფილი სამშობლოსკენ, პლატონისეული იდეათა სამყაროსკენ, იძულებით ტყვეობაშია. იდეალური მდგომარეობა სულისა, მისი განთავისუფლება იწყება მხოლოდ სხეულის ფიზიკური სიკვდილის შემდეგ. რადგან სიმბოლისტების ფილოსოფიის ერთ-ერთი ამოსავალი დებულებაა სულის უკვდავება, ამდენად სული დაკავშირებულია პოზიტიურ ფერებთან თეთრთან და ცისფერთან: ლექსში „ორხიდეები" ისევე, როგორც „ლურჯა ცხენებში", გ. ტაბიძე ისევ სიმბოლისტების საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას. ეს არ არის არც მატერიალისტის და არც იდეალისტის პოზიცია... ეს პოეტური პარადოქსია. ამ ლექსში სული კვდება. ის ფიზიკური სხეულივით ასვენია კუბოში, მას აყრია ყვავილები, ხოლო ადამიანი განაგრძობს ფიზიკურ არსებობას, დასტირის საკუთარ სულს და თვითონვე მარხავს მას.

ორხიდეების მწუხარად იდგა მუქი შლეიფი.
განაზებულნი ჩემი ფერმკრთალ სულის
სიკვდილით.

ასევე თეთრ ფერებშია დახატული გულის სიკვდილი:

ზამბახთა შორის ყრია თეთრი ქანდაკებები.
თეთრი ძეგლები და იმათ ქვეშ ობლად
მარხია
გული, უგონო სიყვარულმა რომ შეარყია.

ამ ლექსში გულის სიკვდილი ჩვეულებრივი პოეტური გაპიროვნებაა. უგონო სიყვარულის გამო კვდება გული — ემოციური ფენომენი, მაგრამ რჩება გული — ფიზიკური ფენომენი, რომელიც შეიძლება მოკვდეს მხოლოდ ფიზიკურ სხეულთან ერთად.

სულის მატერიალიზებული ალქმა გვხვდება გ. ტაბიძის სხვა ლექსებშიც:

შენ სული გქონდა ისე კეთილი,
ოჰ, სერაფიმის ცისფერი სული.
ეხლა დაღლილი და დაფლეთილი
არის ქსოვილი ფერმილებული.

ასეთივე მატერიალიზაცია სულისა გვხვდებ ანდრეი ბელისთან:

«Душа одного — вся розовая зорька, задумчиво смеющаяся петленной радостью. Душа другого — бархат попьяный закатный пурпур, а вот — шкура рыси глянувшая с горизонта».

თუმცა ამ მატერიალიზაციას იქვე მოჰყვება დემატერიალიზაცია და აბსტრაჰირება: „Когда я один, родственные души не покидают меня, мы всегда вместе совершаем полет наш, возвращение наше — на голубую старинную родину. Ты близка нам, родина, голубая как наши затосковавшие о тебе души. Голубое пространство

ეროვნული ბიბლიოთეკა

наших душ и голубое небо, нам смеющееся — один символ.

რა თქმა უნდა, ანდრეი ბელისთვის დაუშვებელია სულის სიკვდილის შესაძლებლობა.

გალაკტიონის ლექსში „სამრეკლო ცის უდაბნოში" სული კვლავ თეთრ ფერთან და სევდიან ამაღლებასთან არის დაკავშირებული:

იანვრის თოვლი, იანვრის თოვლი
აჯკნობს ჩემს სულში ნაადრევ იებს
და ჩემი სული სწუხს:
ნაზი ფრჩხილების გრძელ ზამბახებს,
სწუხს
სხვაგვარ ცრემლებს,
თეთრ ბეჭდების თვლებს,
შიშველს, თეთრ ყვავილს
სწუხს ჩემი სული — ვით სამრეკლო
ცის უდაბნოში.

ლექსში შემოდის გრძელი ზამბახის თემა, ამაღლების, სულის ზეობის თემა. აქ ყველა საგანი და მოვლენა დაკავშირებულია სულთან, თეთრი ფერისაა, თოვლი, რომელიც აჭკნობს სულში იებს, ფრჩხილების ზამბახები, თეთრი ბეჭდების თვლები, შიშველი თეთრი ყვავილი. ყველა ამ საგანს და მოვლენას თითქოს ეცლება საგნობრივი საფუძველი და ენიჭებათ ერთადერთი უნარი — სიმაღლისკენ ლტოლვა:

სწუხს ჩემი სული,
ვით სამრეკლო ცის უდაბნოში.

გ. ტაბიძე სულს ადარებს ნივთიერს, საგანს — სამრეკლოს, მაგრამ ამ უკანასკნელსაც გამოცლილი აქვს ფიზიკური არსი, ის დემატერიალიზებულია, რადგან რეალური ეკლესიის სამრეკლო კი არ არის, არამედ უხეულო სამრეკლოა ცაში „თეთრი ფერი წარმოგვიდგება იმ სამყაროს სიმბოლოდ, საიდანაც ყველა სალებავი, ყველა მატერიალური თვისება და სუბსტანცია გაქრა. ამ სამყაროში მოდის დიადი დუმილი. თეთრი ფერი მოქმედებს ჩვენს ფსიქიკაზე, როგორც დიდი დუმილი, რომელიც ჩვენთვის აბსოლუტურია. ის მკვდარი არ არის. იგი სავსეა შესაძლებლობებით" — წერს კანდინსკი.

გ. ტაბიძისთვის თეთრი მშვიდი და რჩეული ფერია. ლექსში „ორნამენტი" სითეთრე, გარდა რეალური სიმშვიდისა, დაკავშირებულია იდეალური სამყაროს მისტიურ სითეთრესთან:

ამბობს, იცნობავ, რა ამაოდ დიდხანს
გვეძებე,
რომ შეგენახა ერთი ფერი, მშვიდი სითეთრე,
სითეთრე თოვლის, სისპეტაკე მხარეთ
ზეციურის,
რომ მას უმანკო ბავშვის ცრემლი არ
დასცემოდა.

თეთრი თოვლის ასოციაცია ზემო მხარეების სისპეტაკესთან ერთად ქმნის ნიადაგს სამშობლოს ცნების განზოგადებისთვის და მისი დაკავშირებისთვის თოვლთან. სამშობლოს გაიგივება თოვლთან მიუხედავად ამაღლებული და სპეტაკი განწყობილებისა, სევდიან იერს ატარებს:

რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია,
რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო.

უფრო გვიანდელ რეალისტურ ლექსში „არწივების თავდასხმა ჰაეროპლანზე" თეთრი ფერი კვლავ სიმშვიდისა და სიმაღლის სიმბოლოა:

კლდეები მშვიდი და ობიანი
მათი ქედრება —
დგანან, სდუმს თოვლით მშვიდობიანი
გადათეთრება.

ან:

მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ
მშვიდი დღეების თეთრი ბროლება.

თეთრი ფერი გ. ტაბიძისთვის რჩეული, კეთილშობილი ფერია, როგორც ლურჯი და ცისფერი და, ასევე, უკავშირდება ამაღლებული და ერთადერთი სიყვარულის გრძნობას:

ასეთია ნაზი ბედი,
ბედი რჩეულ ფერის,
სილურჯეში თეთრი გედი
მხოლოდ ერთხელ მღერის,
მხოლოდ თეთრი შადრევნებით
მოკისკისე ბროლი,
მაცდურ თვალის გადევნებით
მტანჯავს მიუბრუქმქროლი.

თეთრი ფერი დაკავშირებულია აგრეთვე სიზმართან. როგორც უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ, სიზმარი გალაკტიონისთვის არის იდეალურთან მიახლოების შესაძლებლობა, ამიტომ ის ყოველთვის ლურჯი (ცისფერი) ან თეთრი ფერისაა.

ქვეყნად კვლავ მოდის დაფარულთა ფერთა
ხსენება,
მტრედისფერ გზებზე უთეთრესი გედით
რხეულო,
იქ, სადაც მეფობს მისი ძილი და განსვენება,
სიმაღლეების სიზმრებია ზამბახეული.

გ. ტაბიძის ლექსში „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი" გვხვდება სახე „თეთრი ფიქრები":

გაიღო ფანჯარა. თოვლი იყო ირიბი,
ალმაცერი,
იფანტება თეთრი ფიქრები, იფერფლება
ხელნაწერი.

აქ უკვე საქმე გვაქვს იდეათა პირდაპირ ასოციაციაზე დამყარებულ სახესთან: ზამთარი, თოვლი ქმნის სითეთრის განწყობილებას, ფიქრებიც ილებება თეთრი ფერით. თეთრი ფერი ამ ლექსში კეთილშობილი, სევდიან განწყობილებას ქმნის. ამ განწყობილებას ამძაფრებს დიკენსის გმირთან შედარება ლექსის ლირიკული გმირისა. ასევე ცეცხლს უყურებენ და სევდიანი განწყობილება ეუფლებათ დიკენსის გმირებს, კერძოდ „დავით კოპერფილდში". ასეთივე სახე „თეთრი ფიქრები" გვაქვს ტ. გრანელთანაც:

ვამჩნევ თეთრია ფიქრთა კრებული
და ვუსმენ სკრიპკის ტანჯულ გოდებას.

უნდა აღინიშნოს, რომ თეთრი ფერის კულტი გ. ტაბიძის ადრეულ ლექსებში შეიმჩნევა. შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ მის ლექსებში ჩამოდის უფრო ინტენსიური ფერები. ლურჯი ფერი კი დომინირებს მთელს მის შემოქმედებაში.

## ყვითელი ფერი

შეიძლება ითქვას, რომ ყვითელი ფერი, თითქმის ლურჯის თანაბრად გვხვდება გალაკტიონის ლექსებში, მაგრამ ის, ძირითადად, ლურჯის საწინააღმდეგო შინაარსის შემცველია. მასთან დაკავშირებულია სევდის, ჭკნობის, შემოდგომის, ზოგჯერ სიკვდილის განწყობილებაც კი.

როგორც ცნობილია, ფერწერაში ყვითელი ფერი — თბილი ფერია, ლურჯი კი —ცივი. ამიტომ მხატვრები, განსაკუთრებით იმპრესიონისტები, ლურჯით ყოველთვის სევდიან ემოციებს გამოხატავენ, ყვითლით — დადებით, მძაფრ, ინტენსიურ ემოციებს.

გოეთეს აზრით, ყვითელი ფერი თავის უმაღლეს სიწმინდეში (სისუფთავეში) ახდენს კეთილშობილ და დიდებულ შთაბეჭდილებას.

მაგრამ თუ ის გაჭუჭყიანებულია და ოდნავ გადაწეულია ცივი ტონებისაკენ, მაშინ უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგ. გოგირდის ფერი, რომელსაც მომწვანო გადაკრავს.

კანდინსკი თავის ასოციაციებში შორდება ყვითელი ფერის წმინდა ფერწერულ გაგებას, მისთვის ყვითელი დადებითი და კეთილშობილი ფერი კი არ არის, ის ტიპიური მიწიერი ფერია, ის შეძლება განიხილო, როგორც ფერითი გამოხატულება სიგიჟისა, არა მელანქოლიის ან იპოხონდრიის, არამედ ბრმა გაშმაგების, აქტიური სიგიჟის (Буйное помешательство).

დოსტოევსკი, რომლის ფერწერა სულაც არ არის თვალშისაცემი ფაქტი, ასევე ნეგატიურად არის განწყობილი ყვითელი ფერის მიმართ:

«Цвет слишком резкий, слишком, как будто хочет выставиться человек».

„დანაშაულისა და სასჯელის" ფონი ფაქტიურად ყვითელია. რასკოლნიკოვის ოთახში ყვითელი შპალერია, რომელიც ამძაფრებს მის მძიმე სულიერ მდგომარეობას და თავისებურ ზეგავლენას ახდენს მასზე. სონია მარმელადოვას ოთახშიც ყვითელი ფერის შპალერია, მოხუცი მევახშე ქალის ოთახშიც, მაგრამ როცა მკვლელობის შემდეგ რასკოლნიკოვი შემოდის ამ ოთახში და ხედავს როგორ აკრავენ მუშები კედლებზე იისფერყვავილებიან თეთრ შპალერს, ეს შემზარავ გავლენას ახდენს მასზე.

საოცარია, მაგრამ ვან გოგი, რომელთანაც ყველა იმპრესიონისტზე უფრო მძაფრად იგრძნობა ყვითელი ფერი (ყვითელი ფერით და მზით გაჯერებულია მისი თითქმის ყველა ტილო, ის იჯდა მზეში და თავსაც არ იფარავდა ხოლმე. თავის ფიზიკური ტკივილი იყო ერთ-ერთი მომენტი, რომელიც ამძაფრებდა და ხელშესახებს ხდიდა ყვითელი ფერის და მზის შეგრძნებას მის ტილოებში), ერთ-ერთ თავის სურათზე, რომელსაც ჰქვია „კაფე" და რომელიც შესრულებულია ყვითელ ფერში, წერს: ჩემს „კაფეში" მე შევეცადე გამომეხატა, რომ ეს არის ადგილი, სადაც შეიძლება გაგიჟდე ან ბოროტმოქმედება ჩაიდინო".

„რუსთაველთან ძლიერი, სუფთა, წმინდა ყვითელი ფერი არის იაგუნდისა და ნარინჯის ფერი, ხოლო ქარვა, სპეტი, ამარტა ცუდი ყვითელი ფერია და ამ ფერებით სნეულის ავადმყოფი სახე აღინიშნება.

ჭირმა და ვაებამ ბროლი (თეთრსახე) და ლალისფერი (წითელლოყება) ავთანდილი ქარვაზე უფრო ყვითელი გახადა. ნარინჯისფერი სუფთა ყვითელია. არისტოკრატული ფერი, ჩინეთის იმპერატორთა, ბუდისტთა, რელიგიის მსახურთა სამოსელის ფერია. ნესტანს სახელმწიფო ნადიმზე ნარინჯისფერი სამოსელი აცვია. იგი მისი სოციალური უმაღლესობის ფერია. ზაფრანისფერი — სნეულების, ჯავრის, წუხილის ფერია".

ამგვარად, ზოგიერთი მხატვრისთვის და მწერლისთვის ყვითელი მხოლოდ უარყოფითი ემოციების მატარებელი ფერია, ზოგისთვის ყვითელი ფერის სხვადასხვა ელფერი შეიცავს თავისთავში დადებით და უარყოფით ემოციებს. სუფთა ყვითელი — დადებითს, ასევე ოქროსფერი, ხოლო მწვანისკენ გადახრილი ყვითელი — უარყოფითს.

რემი დე გურმონი წერს თავის „ნიღაბთა წიგნში", რომ ანრი დე რენიეს ლექსებში ყველაზე ხშირად გვხვდება სიტყვები — რითმა: Cr (ოქრო) და hicrt (სიკვდილი), მისი ორმოცდაათამდე ლექსი თავდება სიტყვებით: ოქროს ჩიტები, ოქროს გედები, ოქროს აუზი, ოქროს ყვავილი, მკვდარი ტბა, მკვდარი დღე, მკვდარი ოცნება, მკვდარი შემოდგომა.

ეს ძალზედ სიმპტომატური და საინტერესო მოვლენაა, რომელიც გამოიწვია არა ენის სიღარიბემ, არამედ დაუფარავმა სიყვარულმა ერთ-ერთი ყველაზე მდიდრული ფერისა, სევდიანი დიდებულებისა, რომელიც უცვლელად ქრება ღამის წყვდიადში, როგორც მზის ჩასვლა.

ამგვარად ოქროსფერს, რომელსაც, თავისთავად, პოზიტიური ფასეულობა გააჩნია, სევდიანი ელფერი დაჰკრავს ზოგჯერ, რასაც ამა თუ იმ პოეტის მსოფლშეგრძნება განაპირობებს. გ. ტაბიძესთან ყვითელი ფერის ორ, ერთმანეთის საწინააღმდეგო მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე. სუფთა ყვითელი, ოქროსფერი (ოქრო) და ქარვისფერი ყვითელი, რომელსაც ჭკნობისა და შემოდგომის განწყობილება ახლავს.

გ. ტაბიძის პოეზიაში მზე აბსოლუტური სიკეთისა და მშვენიერების საწყისია. („დღეს ყველგან მზეა და სილამაზე სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი"). ეს ამომავალი მზეა, ან მზე, რომელიც ზენიტში დგას. მაგრამ არის კიდევ ჩამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალი მზე („სხვაგვარ ტიბათვის დღეებს ივონებს ჩამავალ მზეთა მგლოვიარება“). ჩამავალ მზეს, მზის ჩასვლას სიმბოლურად უახლოვდება სიკვდილი, ქცნობა, სიბნელე, შავი ფერი, რომელიც არ უყვარს გ. ტაბიძეს („მზეო ტიბათვის, ყოფნა უმზეო, მზე მიიცვალა ღია თვალებით“). მზის გარდაცვალების ფაქტი არის ისეთი ტრაგიკული მოვლენა, რომ პოეტი მიდის დასკვნამდე:

მე გზა არ ვიცი უახლოესი,
ერთადერთი გზა არის სიკვდილი.

მზის ჩასვლა, მზის გარდაცვალება, რომელიც ყოველთვის გადაწყვეტილია ყვითელ ფერებში, იწვევს ადამიანის სიკვდილის ასოციაციას.

დღეს გაასვენეს შემოდგომით გაწვალებული
რეგიის ღერო,
მე მივყვებოდი მწუხარებას შეყვარებული
და ქარვისფერი.

ან:

საღამოვდება და მზის ჩასვლასთან
თანდათან მწუხრი მიახლოვდება,
მე აღარ ვდარდობ, რა მსურს, რას ველი,
ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი,
მეფობს სიკვდილი, ქცნობის მსურველი,
გაქრა სურნელი, დასჭკნა ყვავილი,
იხრავს კაერი ფოთლების ცვენით
ლონემილეულ მზის დაღალვაში.

ყვავილები, როგორც აღნიშნული იყო, გ. ტაბიძისთვის იდეალის ნაირსახეობაა. ყვავილთა სიკვდილიც ყვითელ ფერში აქვს გადაწყვეტილი პოეტს:

ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები,
საღამო კანკალებს შიშით და რიდობით,
საღამო ნელდება და კვდება ვარდები,
მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით.

მაგრამ ეს სიკვდილი — ყვავილების, ფოთლების, ბუნების, გალაკტიონთან იწვევს „ჩუმ ტკივილს“, მისი ყვითელი ინტენსიური, მკვეთრი, სიგიჟემდე მიმყვანი ფერი კი არ არის, არამედ ნაზი, მკრთალი, ჩუმი ტკივილით და ყვითელი ვარდებით სავსე. უფრო ხშირად ყვითელ ფერში ყვავილების, ცოცხალი ბუნების სიკვდილია გადაწყვეტილი, ვიდრე ადამიანის. თუ გავითვალისწინებთ გალაკტიონის დამოკიდებულებას ბუნებასთან, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, აღმოჩნდება, რომ გ. ტაბიძე უფრო დიდი ტრაგიზმით აღიქვამს ბუნების კვდომას, ვიდრე საკუთარს. არსად ცოცხალი ბუნების, მზის, ფოთლების, ხეების, ყვავილების სიკვდილი არ არის გადაწყვეტილი ვარდისფერ და ლურჯ ფერებში და არა აქვს მინიჭებული ის ოპტიმისტური განწყობილება, როგორიც მაგ. ადამიანის სიკვდილს „მთაწმინდის მთვარეში“. რადგან მზე და სილამაზე, რომელიც ახასიათებს ბუნებას, სიკვდილთან არიგებს პოეტს („დღეს ყველაგან მზეა და სილამაზე სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“), მხოლოდ მზის სიკვდილის შემდეგ მიდის პოეტი იმ აზრამდე, რომ ერთადერთი გზა არის სიკვდილი და ეს გზა უკვე აღარ შეიძლება ვარდისფერი იყოს. გ. ტაბიძემ, რა თქმა უნდა, იცის რომ ბუნება უკვდავია, ისევე, როგორც ადამიანი. შემოდგომას, მზის სიკვდილს მოყვება მზის აღორძინება გაზაფხულზე, ადამიანის ფიზიკურ სიკვდილს მისი გადაქცევა სხვა სუბსტანციად: ბალახად, მინდვრად; მისი სულის უკვდავება რომლის მიზეზია ღმერთი და გენიალური შემოქმედება. მაგრამ ამ დროებით სიკვდილს, სიყვითლეს, მწუხარებას ის უფარდებს საკუთარ სულიერ განწყობილებას და რადგან მას სჯერა ადამიანური სევდის მარადიული ბუნებისა, ცდილობს შეაჩეროს წამი და მარადიულად წარმოგვიჩინოს ცვალებადი მოვლენა, თან ადამიანური თვისებები მიანიჭოს მას: გულისტკივილი, სულის წუხილი...

ჭკნება, ყვითლდება საბრალო ბაღი,
ქარი უბერავს, ფოთლები ცვივა,
გამოურკვეველ მწუხარებაში
მზეს სული უწუხს და გული სტკივა.
ნოემბრის ქარმა ყვითელ ფოთლებით
კვალ-ბილიკები გადაიარა,
ფოთლები წყდება იმ გატაცებას
და შემოდგომის მეფობს იარა.

ლექსში „და სისინებდნენ, სისინებდნენ ჩალისფერები“ გ. ტაბიძე ქმნის ყვითელი სიკვდილის (ამჯერად უკვე ადამიანის სიკვდილის) ბრწყინვალე პოეტურ სახეს.

ჩალისფერები, ჩალისფერები, ყვითელი პარკები, მზე, რომლის ჩაგორებას უცხო სურნელის ფერი აქვს, ქმნიან ფონს გაყვითლებული ჯარისკაცის სიკვდილისთვის. ლექსში ლაიტმოტივივით მეორდება ფრაზა: „და სისინებდნენ, სისინებდნენ ჩალისღერები“, რომელიც სიკვდილის იდეის მატარებელია. გარდა ამ აზრობრივი დატვირთვისა, ის პოეტური რეფრენიცაა და ისევე, როგორც ბგერა „ბ“, ლექსში „ალაზანთან“ შავი ფერის ჟღერადი შესატყვისია, ასევე ბგერები „ს“ და „ჩ“ სიკვდილის, სიცივის, ყვითელი ფერის ბგერით განსახიერებას წარმოადგენენ ამ ლექსში:

მოჰქროდა ქარი სუსხიანი გიორგობისთვის,
ვრცელ ტრანშეებზე გასცქეროდა ვრცელი
სერები,
სანთლის ღეროებად ჩარიგებულ
ოქროობისთვის
საღამურებად სისინებდნენ ჩალისღერები,
გარეულ იხვზე მეოცნებე და სულწასული
სდუმდა ბათურა, დასერილი ჩალის ფერებით,
ყვითელ პარკებში აბრეშუმად ცაზე ასული
სულ სისინებდნენ, სისინებდნენ
ჩალისღერები...
მზის ჩაგორებას ფერი ედო უცხო სურნელის,
ჭილობის ქუდით იყო ველი და ნამქერები,
როგორც თითები მომაკვდავის.
გაყვითლებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერვიულობდნენ ჩამომხმარი ჩალისღეროები...
გაყვითლებული ჯარისკაცის კვდებოდა
გრძნობა.
ის დაჭრილია, რა ამაოდ მას ეფერება.
აგონდებოდა მას ქორწინა, დედა, ბავშვობა
და სისინებდნენ, სისინებდნენ
ჩალისღეროები...

რეფრენი თუ ლაიტმოტივი ისე შემოდის ლექსში, რომ ნელ-ნელა ხდება მისი აღმასვლა, გრადაცია, ოთხჯერ მეორდება იგი. ეს არის სიკვდილის თემა, რომელიც იწყება ნაზი, აბრეშუმივით რბილი ოქროსფერით და თავდება ჩამომხმარი ჩალისფერებით. ეს ფერის გრადაციაა, ხოლო აზრობრივი აღმასვლა შემდეგში მდგომარეობს: სიკვდილი შემოდის, როგორც ოქროსფერი მშვენიერი საწყისი, ჩალისღეროები ჯერ სალამურებივით სისინებენ, შემდეგ აბრეშუმივით ადიან ცაზე, მერე ამ ამაღლებას, რომელსაც გ. ტაბიძესთან სიმბოლიურად მცენარე ასახიერებს, მოჰყვება უეცარი ქცნობა და შემდეგ სიკვდილი:

1. სანთლის ღეროებად ჩარიგებულ
ოქროობისთვის
სალამურებად სისინებდნენ ჩალისღეროები.
2. ყვითელ პარკებში აბრეშუმად ცაზე ასულნი
სულ სისინებდნენ, სისინებდნენ
ჩალისღეროები.
3. როგორც თითები მომაკვდავის.
განუკურნელის.
ნერვიულობდნენ ჩამომხმარი ჩალისღეროები.
4. გაყვითლებული ჯარისკაცის კვდებოდა
გრძნობა..
და სისინებდნენ, სისინებდნენ ჩალისღეროები.

ეს ვარიაციები სიკვდილის თემისა ქმნიან ფონს ჯარისკაცის სიკვდილისთვის.

ყვითელ ფერს სიკვდილის სიმბოლოდ ასახელებს ტ. გრანელი:

ცოტა ხნის შემდეგ სისხლიც გაშრება.
ვხედავ სიკვდილის ყვითელ მანტიას.

პ. იაშვილის ლექსში „წითელი ხარი" გვხვდება სახე „ყვითელი სიკვდილი".

ან:

შენს სასახლეში ყეფს ყვითელი საშინელება.

გ. ტაბიძესთან ოქრო, ოქროსფერი საკმაოდ ხშირად გვხვდება და ყოველთვის ყვითელი ფერისგან განსხვავებით, დიდებულებისა და კეთილშობილების გამომხატველია. ზოგჯერ სევდიანი დიდებულებისა, მაგრამ მის პოზიტიურ დიდებულებაში არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ. ლექსის „და სისინებდნენ, სისინებდნენ ჩალისღეროები" დასაწყისში, სადაც ჩალის ღეროები შემოდის, როგორც მშვენიერი ბუნებისეული საწყისი ყვითელს ენაცვლება ოქრო:

სანთლის ღეროებად ჩარიგებულ
ოქროობისთვის
სულ სისინებდნენ, სისინებდნენ
ჩალისღეროები.

მარადიული ქალისმიერის იდეა ლურჯთან ერთად ოქროსფერიცაა. მერის, რომლის სახელის წმინდა ჟღერადობაც კი ლურჯის, ცისფერის ასოციაციას იწვევს, ოქროსფერი თმა აქვს და უკვე სხვა ლექსებში ბედნიერებას ახსივებს ოქროსთმიანი დღე:

დღე წამოიჭრა ოქროსთმიანი
დღე, ახალგაზრდა და გამბედავი.

ლექსში „კაფეში" ოქროსფერი დაკავშირებულია ბავშვებთან, ე. ი. სისუფთავის, სიწმინდის, სიმაღლის სიმბოლოა:

მე არა ერთი მინახავს ბავშვი,
პატარა, როგორც ოქროს წიწილი.

სხვა ლექსში ბავშვი უკავშირდება ამაღლების და სიწმინდის სიმბოლოს ზამბახს:

რომ შე წყნარი და ულრუბლო, ზამბახივით
ნაზი ბავშვი.

ან:

რუსთაველი მახსოვს ბავშვი,
ოცნებობდა ოქროს ნავში.

„ოქროს ნავები" მეორდება ლექსში „იშლება ყანები":

სამხრეთივით ვნებიან
მხარეს ეშურებიან
ჭომბების იხვები,
სიმაღლეებს მიყვება
ფიქრი ოქროს ნავებით.

შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი, სადაც ოქროსფერი რჩეული, კეთილშობილი ფერია, სამოთხის, ედემის დამახასიათებელი ფერია, კეთილი და მშვენიერი საწყისის განსხეულებაა.

მის წინ იშლება მთელი ედემი,
ზურმუხტისა და ოქროს ფერებით.

მთვარეს ჩვენი ხმა გაეგო
თითქოს შექაკანკალებით,
ჩვენს აივანზე დაეგო
რჩეული ოქროს ხალები.

მაგრამ არა მხოლოდ ოქროსფერი, არამედ თვითონ ყვითელი ფერიც გ. ტაბიძისათვის ყოველთვის სიკვდილი და უარყოფა როდია; თუ ზამთარს თან ახლავს თეთრი სიმშვიდე, არსებობს ისეთი შემოდგომაც, რომელსაც მოაქვს ყვითელი სინაზე და მყუდროება:

შემოდგომაა, ტკივილი ჩუმი
და ხელისგულთა ნაზი ქავილი.

მაგრამ ყვითელი შემოდგომა შეიძლება ომის გენიასაც გავდეს, რომელიც ძველი ჟანგივით ყვითელი ფერისაა და ამავე დროს ქმნიდეს სიმშვიდის, სინაზის, მყუდროების განწყობილებასაც.

ლექსში „ცამეტი წლის ხარ" პოეტის თვითმკვლელობის ფონია შემოდგომის ნაზი მზე:

და ყოველივე როგორ ნაზდება,
როცა ათლოა მზე შემოდგომის.

ხოლო ლექსში „შემოდგომის მოტივებიდან" ჩნდება სახე „შემოდგომის სიმაისე". ეს ისეთივე პარადოქსული სახეა, როგორც სულის სიკვდილი, ბედნიერებით გამოწვეული უბედურება ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას":

[illegible] ნაძვებს ძონძი გახადა.
მოვიდა ხელი [illegible] ფერები.
[illegible] მზე [illegible] გადაიარა
გაყვითლებული ჩალის ღეროები.
[illegible] სიმშვიდე არის ისეთი.
თითქოს დროებით ართმევს დროებას
ამ შემოდგომის სიმაისეთი
მოცემული სითბოს და მყუდროებას.

## შავი ფერი

შავი ფერი გ. ტაბიძისთვის თითქმის ყოველთვის ნეგატიური შინაარსის შემცველია. ის დაკავშირებულია სიკვდილთან და დემონთან (სატანა, ლიუციფერი).

სიკვდილის ტრადიციული ფერი შავია. გ. ტაბიძის ზოგ ლექსში, როგორც უკვე იყო აღნიშნული, სიკვდილი ვარდისფერია („სიკვდილის გზა არსა არის ვარდისფერ გზის გარდა"), ლურჯია („და მწუხარების მალენიავში მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები"), თეთრია, მაშინ, როდესაც ლაპარაკია გულის სიკვდილზე (ზამბახთა შორის ყრია თეთრი ქანდაკებები, თეთრი ძეგლები და იმათ ქვეშ ობლად მარხია გული, უგონო სიყვარულმა რომ შეარყია), ან სულის სიკვდილზე (ოჰ, იგი აქ წევს აბრეშუმის თეთრი ტალღებით, ამ ყვავილებში დავასვენე ჯერ ისევ დილით!).

სიკვდილის ამგვარი ფერითი ასოციაციები უცნობა მსოფლმხედველობრივ ფაქტორს, ფსიქოლოგიურ მომენტს, ესთეტურ მრწამსს. მაგრამ პოეტის ცხოვრებაში არის პერიოდი, როცა საკუთარი უკვდავების რწმენას მშვენიერის ფერად ხილვას, ჩრდილავს რეალური სახე სიკვდილისა, ისეთი სიკვდილის, როცა „ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია". ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში, წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია". მაშინ გ. ტაბიძე სიკვდილს უფრო რეალისტურ პლანში ხედავს. ჩნდება სიკვდილის ყველა ტრადიციული ატრიბუტი:

ათოვდა ზამთრის ბაღებს,
მიჰქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირაღებს
თმაგაწეწილი ქარი.
გზა იყო უდაბური,
უსაზო, უპირქუშო,
მოჰქონდათ კიდევ კუბო,
ყორნების საუბარი,
დარეკე, დაუბარე,
ათოვდა ზამთრის ბაღებს.

თოვლი, რომელიც გალაკტიონისთვის უფრო ხშირად ესთეტიკური ფენომენია, ამ ლექსში ამძაფრებს სიკვდილის, სიცივის განწყობილებას. ის ელვარე თეთრი ფერი, რომელიც აბასიათებს თოვლს, აქ თითქოს მუქდება და შავს უახლოვდება.

ასევე გადადის შავ ფერში თეთრი თოვლი, უფრო სწორედ, ქმნის შავი ფერის განწყობილებას. ლექსში „შემოდგომა" უმანკო ჩასახვების „მამათა სავანეში" სუფევს სრული უიმედობისა და ფატალურობის განწყობილება. აქ უკვე აშკარად ჩნდება სახე „შავი თოვლი":

ვიწვევი განდევნილ მამათა
უმანკო ჩასახვის სავანეს:
აქ შავი თოვლივით დამათოვს
ქვარტლი და ბურუსი თავანის.

მალარმეს ლექსი „გედი" არის სიკვდილის თეთრი ნირვანა. თეთრი გედი ატარებს თეთრი სიკვდილის იდეას:

თეთრ სიკვდილს მოარხევს მისი ყელი.

გ. ტაბიძის ლექსში „პოეტი ბრბოში" გვაქვს ძალზედ მსგავსი სახე. მაგრამ ამ შემთხვევაში გედი შავია. ამ ლექსში სიკვდილს უფრო სევდიანი უვითელი ელფერი დაკრავს, რომელიც შემდეგ შავ ფერში გადადის. მაშინ, როცა მალარმეს ზემოთხსენებული ლექსი ქმნის სიკვდილის ელვარების, მისი მისტიურობის, დიდებულების განწყობილებას:

ვიცი: ვიქნები მშვენიერი მიზნის სიძნელით
თუ კი მოვედი,
გადავიქანებ სიკვდილს მაღლა ამართულ
ყელით.

მე, შავი გედი.

ლექსში „ახალი მოსახლეობა" სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება ჩნდება სიკვდილთან. „იდუმალი ქვეყანა" საიქიო ნეტარებისა და სიჩუმის შემცველია. ამ ლექსში „ლურჯა ცხენების" საწინააღმდეგოდ, სიკვდილი მიჩნეულია არა მარტო ფიზიკური სხეულის კვდომად, არამედ სულის წვდომის შესაძლებლობად:

დავბრუნდით ბინაში და დაგვხვდა ცხედარი!
მივაგნეთ სულის კვალს! მე ნატვრას ვეალე!
ოჰ, დადგა ჩვენი დრო, ჩუმი და ნეტარი,
იდუმალ ქვეყნების ვართ ეხლა მოსახლე!

და სრულიად მოულოდნელად ასეთი მსოფლშეგრძნებისთვის ფინალში იხატება სიკვდილის შავი და მახინჯი სახე:

ვილაცა მახინჯი მწიარულ სიცილით
შემოგვხვდა... დაგვიწყო, დაგვიწყო პატიჟი!
ვინ იყო? საიდან? ჩვენ ის ვერ ვიცანით
და ყველა შევყევით შავი დღის ბადეში.

ან ლექსში „მე დავიბადე განთიადისას":

ბნელი ღამეა, მალე ინათებს,
ჩქარა, სიკვდილო, ოჰ, გევედრები,
გადმომივლინე ტკბილი ოცნება,
გადამაფარე შავბნელი ფრთები.

სიკვდილის წინაშე შიში ფატალური სტიქიური ძალაა. ის ზოგჯერ ართმევს ადამიანს გონიერი ურთიერთობის უნარს მოვლენებთან და ცხოველურ შიშად იქცევა. სიკვდილთან დამოკიდებულებაში ისეთი აბსოლუტურად მშვენიერი კეთილი სუბსტანციაც კი, როგორიც არის მზე შავი ფერისა ხდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ჩავა, ამოვა,
ყოველთვის შავია!
ნიავიც სავსეა
ხოლერით!

ლექსში „ალაზანთან“ შავი ფერის სიმბოლიკა თავის კულმინაციას აღწევს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ლექსში სიკვდილის ასოციაციას ქმნის არამარტო შავი ფერი, არამედ აიტყვა შავის წმინდა ჟღერადობა. ბგერებიც კი, ჯერ შ, შემდეგ მისი ნახევარტონები ჩ და ჟ აგრძელებენ ამ განწყობილებას, თუმცა არ არიან ისე მკვეთრად შავი.

ლექსი „ალაზანთან“ რომელიც დაიწერა 1923 წ., თითქოს პასუხია 1917 წ. დაწერილი ლექსისა „შრიალებს ჩალა“. ეს ლექსები ერთნაირი განწყობილებითაა დაწერილი. იგივე „შ“ ბგერის ალიტერაცია. მისი ნახევარტონები ჟ და ჩ. ამ ლექსში არსად არ გვხვდება სიტყვა „შავი“, მაგრამ ეს ფერი თითქოს ისმის სიტყვათა წმინდა ბგერით ჟღერადობაში:

შემოდგომაა. შრიალებს ჩალა,
აჩალეს ჩალა, ზიდავენ შეშას.
როგორ აფიქრებს საშშობლოს ქალა
ქაობის ვარდებს. დასილულ ნეშოს.
შემოდგომაა, დაყრუვდა შარა,
მოვიდა წვიმა, დამძიმდა ზვინი,
მოვა თუ არა. მოვა თუ არა?
ოხვრით კითხულობს ცეცხლის შიშინი.

ამ ლექსში არის შავი ფერის არასაგნობრივი, ჟღერადი განწყობილება, მაგრამ არსად არ არის ნახსენები სიტყვა „შავი“ — ე. ი. შავი ფერის აზრობრივი გამოხატულება, რადგან ჯერ კიდევ არის იმედი:

მოვა თუ არა, მოვა თუ არა?
ოხვრით კითხულობს ცეცხლის შიშინი.

ლექსში „ალაზანთან“ უკვე აღარ რჩება არავითარი იმედი. პოეტი გადაჭრით ამბობს: „ის დაიღუპა, ის აღარ მოვა“. ეს ლექსი ფერის წმინდა თვისების მიხედვით და აზრობრივადაც გადაწყვეტილია შავ ფერში. შავი ფერისაა ღამეც, უკუნი ღამე, რომელიც ასევე ნეგატიური და მახინჯი საწყისის მატარებელია:

და ვიცი ღელვათა საგანი,
როდესაც ღამეა უკუნი
და ჩემი მდუმარე საკანი
და ცეცხლის მფარველი გუგუნი.

ან:

უცხო მხარეები იგრძნეს ხომალდებმა,
ფარდა შეირხევა, როგორც ყრუ ფოთოლი,
კოშკთა სიმაღლიდან რეკავს მოლანდება,
ცივი უდაბნოა ღამე უშფოთველი.
თანაც გაიხედავ. შენაც დაღამდები,
ირგვლივ დამჭკნარია ფერი და ფერვალი,
ასეთ სანახავად — როგორც თანამდები
ბაღში შეშლილივით კვდება თებერვალი.

ღამე აქტიურად დაკავშირებულია სიკვდილთან და დემონთან. დემონიურის ცნება გ. ტაბიძესთან ორ მომენტს აერთიანებს: I. მისი შინაგანი დემონი, რომლის არსებობა გაპირობებულია პოეტის სულის გაორებით. ეს შინაგანი დემონიური ძალა მისი პოეზიის სიძლიერისა და სიდიდის წინაპირობაა და 2. დემონები, სატანა, ლიუციფერი — როგორც გარეშე, ნეგატიური ძალა, რომელსაც გ. ტაბიძე უპირისპირებს ღმერთს, მზეს, მშვენიერს.

ქართველი სიმბოლისტების ერთ-ერთი თეორეტიკოსი ვ. გაფრინდაშვილი, იხილავს რა პოეზიის ორ საწყისს, აპოლონიურს და დიონისურს, უპირატესობას აძლევს დიონისურს, მისი აზრით, აპოლონიური საწყისის მატარებელი პოეზია არის პოეზია მშვენიერი კოსმოსის, ხოლო დიონისური საწყისისა პოეზია ქაოსის.

ეს დემონიური ქაოტური საწყისი საკმაოდ ძლიერია გ. ტაბიძის კრებულში „არტისტულ ყვავილებში“.

წმინდა არს, წმინდა არს, წმინდა არს ქაოსი.
შენ, ჩემო გენია, გრიგალმა დარეკა.

გალაკტიონის დემონი ჰგავს ბლოკისა და ვრუბელის დემონს, როცა ეს გარეშე ძალა კი არ არის, არამედ საკუთარ სულში ამოზრდილი „შავი მცენარე“.

ტ. გრანელი წერდა:

გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია.

ერთ-ერთ უსათაურო ლექსში ლიუციფერი პოეტის მეორე მე-ა. ის ესადაგება ტოლსტოისეულ ფორმულირებას **Дьявол — это падший ангел**“ ლიუციფერი „ბნელი ცოდვილია“, რომელიც ავობით მძვინვარებს პოეტის სულში, მაგრამ მისი არსი — ბოროტი, იქვე შერბილებულია შემდეგი გარემოებით: ის დაკოდილია მრისხანე ვეფხვივით. გარდა ამისა, ის (ლიუციფერი) თავისი ნეგატიური ბუნებიდან გამომდინარე, ოცნებობს კონტრასტის კანონით უმანკო ნათელზე და ჰარმონიის სასწაულს ელოდება:

შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ ცოდვილს,
ლიუციფერს, ჩემს სულში ავობით
მძვინვარეს,
ლიუციფერს, მრისხანე ვეფხვივით
დაკოდილს
და ახლა მძინარეს.
შეუნდე, შეუნდე ჯოჯოხეთს, ჩემს თვალებს,
შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად დაღალულთ,
მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს,
მე ველი სასწაულს.

პოეტის სული ცვალებადი და წინააღმდეგობრივია. ერთ-ერთ უსათაურო ლექსში ასოციაციებით დატვირთული ყოველი სტროფის ბოლოს გალაკტიონი ლაპარაკობს სულის არსსა და ბუნებაზე. ამ პოეტურ რეფრენში სული განიცდის ასეთ ცვალებადობას:

I სტროფში: — სულო, ქაობზე უნოტიესო.
II სტროფში — სულო, იმ ცეცხლზე
უმხურვალესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III სტროფში — სულო, ლაჟვარდზე
უსპეტაკესო.
IV სტროფში — სულო, დემონზე
უბოროტესო.

ორ წყვილ ერთმანეთის მომდევნო სტროფში მოცემულია სულის არამარტო პოლარულად საწინააღმდეგო, არამედ ერთმანეთის გამომრიცხავი დახასიათება: სული ჭაობზე უნოტიოესია და, ამავე დროს, ცეცხლზე უმხურვალესი, სული ლაჟვარდზე უსპეტაკესია და, ამავე დროს, დემონზე უბოროტესი. რადგან ადამიანი და, მით უფრო, შემოქმედი ორი უკიდურესობის ერთმანეთზე ხეთქებასა და შელეწვის ნაყოფია ბოროტისა და კეთილის, მახინჯისა და ლამაზის, უმწიკვლობასა და ცოდვიანობის, ამიტომ დემონიური ძალა არამარტო შინაგანი, მასტიმულირებელი ძალაა, არამედ გარეგანი, ძლიერი და მახინჯი ძალაც. ის დაკავშირებულია ღამესთან და შავ ფერთან და ისევ, კონტრასტის კანონის მიხედვით მის გვერდით ჩნდება ცისფერის ცნება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ცისფერი პასიურია, ის თითქოს ანტურაჟია აქტიური შავი ფერისთვის:

ჩახმახის წუთი, ბნელ სივრცეში აშლილი
ბოლი,
შავი ყვავილის სამუდამოდ მკვდარი
ფოთოლი,
ლიუციფერი.
— ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი,
ასეთი ცისფერი?

ლექსში „შენ და დემონი“ დემონი ისევ, როგორც ბოროტი ძალა, უპირისპირდება ამაღლებულს — ეკლესიას და მის მხევალს, რომელიც „წმინდა არს“.

ლექსში „მაგრამ მე რა ვქნა“ პოეტის ცდა წინაღუდგეს ნეგატიურ საწყისს: ღამის ლანდებს, სიკვდილს, შოპენჰაუერის პესიმისტურ ფილოსოფიას („მე ღამით დავწვავ შოპენჰაუერს, რომ უფრო მძაფრად ვიცხოვრო დღისით“) მარცხით თავდება. ამ მარცხს ამძაფრებენ დემონები:

მე დემონები ქროლვით მარადით
მომაგონებენ დაფარულ შხამით,
რომ სულ ამაოდ მივქროდი ღამით
გატეხილ შუბით და მუზარადით.

შინაგანი დემონის ჰიპოსტასია ედგარ პო, ხოლო გარეგან მტრულ ძალას — დემონებს, უკავშირდება ღამე, ღამის ლანდები, სიკვდილი, ყორანი, რომელიც ედგარ პოს ყორანის ტყუპისცალია.

ლექსში „საუბარი ედგარზე“ გვხვდება სახე, რომელიც ისევე, როგორც „შავი მზე“ არაორგანულია გ. ტაბიძის პოეზიისთვის, ეს არის „შავი პოეზია“. ასე ხასიათდება ედგარ პოს პოეზია:

ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი,
როცა საუბარი ედგარ პოეზეა?
აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი
დასდევს განწირულთა შავი პოეზია.

ხოლო თვით ედგარ პოს ჩვენებას მოაქვს სიკვდილის ლანდი: სიკვდილი შემოდის პოეტის ალქმაში მისი მუდმივი კომპონენტებით: მდუმარებით, ფარდის შრიალით, ცივი, უშფოთველი ღამით:

მოვა შუაღამის ბნელი სტუმარივით
სანთლებს გაანელებს, დარბაზს დააბნელებს,
მოდის სავარძელთან სხვაგვარ მდუმარებით...
ფარდა შეირხევა, როგორც ყრუ ფოთოლი,
კოშკთა სიმაღლიდან რეკავს მოლანდება.
ცივი უდაბნოა ღამე უშფოთველი.

ლექსში „ფარდების შრიალი“ ასევე, „შავი იდუმალება“ და ფარდების შრიალი ქმნის სიკვდილის განწყობილებას:

და რად მაგონებს მშვიდ სამეფოს
მდუმარებისას
ფარდის შრიალი.

ამ ლექსში იქმნება კონტრასტი შავ იდუმალებასა და პოეზიას შორის, რომელსაც გ. ტაბიძე უწოდებს თავის ანგელოზ დას:

სადაც ბავშვური ძილით სძინავს
ჩემს ანგელოზ დას —
(ჩემს მოგონებებს, პოეზიას).

ლექსში „საუბარი ედგარზე“ კი პოეზია ისევე შავია, როგორც შავი იდუმალება — სიკვდილის წინაპირობა.

ლექსში „ედგარი მესამედ“ ედგარ პო ჩადგება ლექსის ლირიკულ გმირსა და ქალს შორის და სპობს იმ მისტიურ იდილიას, რომელსაც ქმნის ტაძრის სიახლოვე („იყო საღამო, ლოცვები, ზარი“). ტაძართან მიახლოების რომანტიულ განწყობილებას ცვლის სიკვდილის სიახლოვე:

მაგრამ უეცრად ვიღაც მესამე,
ვიღაც მახინჯი ჩადგა ჩვენს შორის
და ჩვენ გვესმოდა ყრუ საუბარი:
სადაა მოვა სიკვდილის წამი!
ტიროდა ქარი, კვდებოდა ქარი
და მივდიოდით ტაძრისკენ სამი.

ლექსში „ყორანი“ ეს უსახელო დემონიური ძალა ყორანში სახიერდება:

ყოველთვის მგონია გადიფრენს ყორანი
და სანთლებს ჩააქრობს თვალების ალვაში,
თვალები, ეს ლოცვით დამწვარი ქალ-ვაჟი
წვალებით მოკვდება (ოხვრა, პასტორალი).

ან:

იყო ირგვლივ ზიანება
და ყორნების ჩხავილი,
თოვლმა სილას მიანება
ნოვალისის ყვავილი.

ლექსში „მაგიდა ალემბიკებით“ გ. ტაბიძე დემონიურ საწყისს უკავშირებს საგანთა და მოვლენათა არსის გაცნობიერებისკენ, სამყაროს შემეცნებისკენ სწრაფვას, ამიტომ მისი სატანა გოეთეს მეფისტოფელის იდენტურია, თუმცა პოეტი თავისუფალი ასოციაციის საშუალებით სატანას არა მეფისტოფელთან, არამედ თვითონ გოეთესთან აკავშირებს:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აჩრდილმა მაღლა ლურსმნებს აჰკიდა
ჩონჩხები —ძვლები მაღალ რიგებით,
დაფარულია გრძელი მაგიდა
შავი წიგნით და ალებმიკებით.
ობობებიან კუთხეში დივანს
ვხედავ: ვით გიოტე, ზის იქ სატანა,
გადაეზმანა კედლებს, აივანს
და ღამემ სულში შემოატანა.

უნდა აღინიშნოს, რომ შავი ფერი გ. ტაბიძისთვის ნეგატიურია ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

მაგრამ მისი მსოფლმხედველობიდან და ესთეტური მრწამსიდან გამომდინარე სიკვდილი მისთვის შავი ფერისაა, როცა ის ადამიანის ფიზიკურ სიკვდილთან არის დაკავშირებული. თეთრი ფერისაა, როცა ლაპარაკია სულის სიკვდილზე; ვარდისფერი, როცა სიკვდილი ესთეტურ ფენომენად არის მიჩნეული და საკუთარი უკვდავების რწმენაც იწვევს სიკვდილის ვარდისფერსა და ცისფერში აღქმას. ყვითელი ფერი ხან სიკვდილის და მწუხარების შეგრძნებას იწვევს, ხან სითბოს, სინაზისა და სილბილის განწყობილებას.

როდესაც ღამე სიკვდილისა და მწუხარების სიმბოლოა, შავი ფერისაა, მაგრამ არის სხვა ღამეც: თეთრი, მოკამკამე, პოეტის სულის ორეული. თეთრი ფერი ცისფერთან ერთად გ. ტაბიძესთან მშვენიერი და კეთილი საწყისის მატარებელია. როგორც უკვე აღინიშნა, სიმბოლისტი პოეტისგან განსხვავებით, გალაკტიონთან ესთეტური კი არ გამორიცხავს ეთიკურს, არამედ უსათუოდ გულისხმობს მას:

თქვენთან რბიოდნენ ნათელნი დღენი
ლოცვა ბავშვური, ფერი გედური.

აი, ასეთი მშვენიერი და უცოდველი თეთრი ღამე ხდება ორეული პოეტის სულისა:

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
იცის, როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვეცნე და ვეწამე.
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე.

ლექსში „პრიმიტივი“ ასეთივე თეთრი ღამის განწყობილებას ქმნის მთვარის შუქი, ვარსკვლავები, ნათელი გარემო, რომლებიც არასოდეს არ ახლავს შავ ღამეს, რადგან ის სიკვდილის პოტენციური მატარებელია:

ყოველ თეთრ ღამეს, მთვარიან ღამეს,
ვიღაც სალამურს გრძნობით ატირებს,
ვარსკვლავენი რთავენ ამ დროს მიდამოს.
უცხო ღელეებს, ცისფერ ნაპირებს.

მაგრამ საკმარისია ღამეს შავი ფერი მიეცეს, იგი პოეტის ორეულიდან მის მტრად იქცევა:

განახლდა გული, დღეს ის აღარ ვარ,
რაც უწინ ვიყავ, ფერი ვიცვალე.
გზა დამიცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ, გზა დამიცალე.

ან:

შორს ჩვენგან, ღამის წყვდიადო,
შორს, შორს, ბურუსო გრძნეულო,
თვალის ამხვევად შექმნილო
და ბორკილებად ქცეულო.

ლექსში „აჰა, ბინდდება“ უკვე აღარ არის კომპრომისი და ღამის თეთრ ფერში ხილვის ილუზია. პოეტი პირდაპირ ამბობს:

აჰა, ბინდდება, კვლავ დამესია
მწყურვალებათა ფიქრი — ობობა,
ყოველგვარ შხამზე უშხამესია
შელამებებით ავადმყოფობა.

ზემოთნახსენებ სახეს „შავი მზე“ ფერწერულ პლანში უახლოვდება ხატი „შავი ცეცხლი“.

არის სიჩუმე, ბნელი ცხედარი,
მის ტანზე შავი ცეცხლის გაჩენა,
აპოკალიპსის მძაფრი მხედარი
ვინც ქაოსებში შემოაჭენა.

სული, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ასოციაციურად დაკავშირებულია მხოლოდ თეთრ, ვარდისფერ, ლურჯ (ცისფერ) ფერებთან. მისი არსებობაც და სიკვდილიც (როცა ამის შესაძლებლობას უშვებს პოეტი) ამ ფერებშია გადაწყვეტილი. მაგრამ გ. ტაბიძის პოეტურ სამყაროში არსებობს ისეთი მდგომარეობა სულისა, რომელიც მისთვის სიკვდილზე უარესია. ასეთ დროს შემოდის შავი ფერის ასოციაცია:

ხელები არ თრთის ხელთათმანებით
სული არ ტირის შავი ნილაბით.

მაგრამ ამ შავ გამოუსავლობას, ისევე, როგორც ცისფერ მშვენიერებას, მაინც ღმერთთან მიყავს პოეტი, სულისშემძრავ ლოცვასთან: „დაქრიან უდაბნოს ქარები, მტანჯავენ და ვიცი, ვახსოვარ“...

შავი ფერი, როგორც აღნიშნული იყო, ყოფაშიც, რელიგიაშიც, ლიტერატურაშიც ყოველთვის ნეგატიურია. ის გლოვის, სიკვდილის, წუხილის ფერია. „ვეფხისტყაოსანში“ ვ. ნოზაძის აზრით შავი ფერი წოდების აღმნიშვნელი ფერიცაა. დაბალი წოდება შავი ფერით აღინიშნება, მაშინ, როდესაც მაღალი წოდების სიმბოლიური გამომხატველი თეთრი და წითელია. ძირითადად, შავი სიმახინჯეა. მონები, ქაჯები — შავები არიან. ფატმანიც, როგორც დაბალი წრის, ვაჭართა წოდების წარმომადგენელი, შავია, მაგრამ მთლად კი არა, არამედ შავგვრემანი. ის ლამაზია, მაგრამ მისი სილამაზე განსხვავდება ნესტანისა და თინათინის სილამაზისგან, რომლის ფერითი სიმბოლო თეთრი და წითელია, შავი ფერის შემოტანა სილამაზის უფრო მდარე ხარისხზე ლაპარაკობს, სხვა ქალების უმაღლეს მშვენიერებასთან შედარებით. მაგრამ შავი ზოგჯერ სილამაზის სიმბოლოც არის, როცა ის სხვა ფერთან ურთიერთობაში გვხვდება, კერძოდ, თეთრთან და წითელთან, განსაკუთრებით, როცა ლაპარაკია ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიკურ სილამაზეზე: შავი თვალები, წარბები, წამწამები.

გ. ტაბიძესთან შავი ფერი აბსოლუტურად ნეგატიურია. ფიზიკური სილამაზეც კი არ გულისხმობს სხვა ფერებთან ერთად შავს. თუ ბლოკის მშვენიერი მანდილოსნის ფერითი ატრიბუტია შავი: შავი აბრეშუმი, შავი ნაწნავი, შავი ფუალი, გ. ტაბიძის მარადიული ქალისმიერი იდეის კონკრეტული განსხეულება მერი ცისფერთვალაა და ოქროსთმიანი.

ეს ფერები (ლურჯი, ცისფერი, თეთრი, უფითელი, შავი) ყველაზე ხშირია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში. და როცა ლაპარაკია მის თავისებურ, ყველასაგან განსხვავებულ კოლორიტზე, სწორედ ისინი იგულისხმება, განსაკუთრებით ლურჯი (ცისფერი), მაგრამ ყველა სხვა ფერი, თუნდაც ერთხელ ნახსენები, წვეთივით დაღვრილი მის პალიტრაზე, საოცრად ნაცერი და ბუნებრივია.

## წითელი ფერი

მე არაერთხელ მინახავს
რა ნაზად, დაუჯგუფელი
ჩემს ეფემერებს ინახავს
სამი ფერადი ღრუბელი.

ღრუბელი ცაზე ენთება
ლაჟვარდი, ოქროოეული,
ო, დროო, გამახსენდება
შენი გზა სიზმარეული.

წითლად ელვარებს მეორე
მრისხანე ეფემერადი,
ქარივით მომეტეორე
და ცვალებადით ფერადი.

და თეთრი, თეთრი ღრუბელი,
თითქო, მარადი ქაფია,
სიცოცხლე დაუგუბელი
და ცივი ეპიტაფია.

ცისფერი, წითელი, თეთრი, ცისფერი — აიზმარეული, იდეალური, მშვენიერი, თეთრი — უბიწო, წმინდა, მაგრამ ეპიტაფიის სიცივეეარეული, წითელი — მრისხანე, ეფემერადი, გაორებული ბუნების მატარებელია ამ ლექსში წითელი ფერი ის მრისხანეა, მაგრამ ეფემერადი, ცვალებადი, მის მრისხანებას (სისხლთან, ომის ღმერთთან კავშირის გამო) არბილებს მისი ეფემერულობა. გ. ტაბიძეს უყვარს ეფემეოა, ლანდურობა, სიზმრისეულობა ყოფის, იდეალთან მიახლოვების არამყარი წამი:

სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული,
სულს სწყურია საზღვარი, როგორც
უსაზღვროება,

პოეზიაც, რომელსაც დედამიწის თავზე დააფრიალებენ ლურჯა ცხენები, ეფემერულია.

ცხენთა შეჯიბრებაზე, ჩემი ლურჯა ცხენები ქროლნენ ეფემერული და ფერადი ქარებით.

ხოლო ლექსში „ეფემერა" ეფემერული მაგიური ძალა განაგებს პოეტის ბედს:

დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა
ემბაზი
ეფემერა მომექცეს, როგორც ღამეს ენებოს.

ეფემერულთან გ. ტაბიძის დამოკიდებულება ესთეტურ პლანში ეხმაურება იმპრესიონიზმის მთავარ დებულებას წამიერი შთაბეჭდილების ფიქსირების შესახებ. ეს შთაბეჭდილება აღარ მეორდება. ვან გოგის ვენა წამიერად არის წითელი, რადგან მზე სისხლისგან დაიცალა და დაიღვარა მასში, შემდეგ იგი კვლავ გაფერმკრთალდება და ყველაზე მუქ საგნებსაც სინათლით აავსებს. ეფემერა დაკავშირებულია არამარტო ერთ კონკრეტულ ფერთან, არამედ, მას, საერთოდ გააჩნია ფერადობის უნარი „ქარივით მომეტეორე და ცვალებადით ფერადია" იგი.

წითელი ფერი გ. ტაბიძესთან უფრო ხშირად წმინდა ფერწერული თვისების მატარებელია აზრობრივი დატვირთვის გარეშეც:

იგი მზეზე კრიალებს,
როგორც სისხლის იარა,
თითქოს აქ მოთქრიალე
წვიმამ გადაიარა.
აქ სიმკვეთრე სილბილის
ფერიფერებს ეხება,
საბურავი პილპილის
ელვარებამ შეღება.

სისხლი აქ არც ჭრილობას უკავშირდება და არც ტკივილს. პოეტი ხატავს მზეზე განათებულ წითელ სახურავებს, სადღაც პილპილის ჭცმას მიაგდებს, აბრდღვიალებულს, სადღაც ყაყაჩოებს დააწვეთებს, სიცხეს, ხვატს, გაკრიალებს სიტყვაში, თვითონ კი გვერდზე მიდგება და იქიდან უყურებს, ტკბება საკუთარი ნახატით.

წითელი ფერი მწერლობაში მგზნებარე, შთამნთქმელი სიყვარულის ფერია ვერჰარნის „მეწამული ვნებანი", ჰომეროსის „ილიადაში" ქალის სილამაზე ასეა აღწერილი — სპილოს ძვალი, სისხლისფერად შეღებილი, რუსთაველთან:

ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულურჯესი
ლილისა.

გალაქტიონთან:

გაიშალა ზეცა ბროლად,
მზე მოიყრის ლალებს.

გოეთესთან წითელი აქტიური ფერია, „პურპური კეთილშობილი არისტოკრატიული ფერია, მაგრამ როცა ის განსაკუთრებით აქტიურდება და ენერგიას იძენს, მაშინ დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვებზე და ველურებზე, ხოლო კარგად აღზრდილ ადამიანს ღრუბლიან ამინდში აღიზიანებს გამვლელის ხასხასა წითელი მოსასხამი".

წითელი ფერი უარყოფით გრძნობებსაც იწვევს, სისხლთან მისი ასოციაციის გამო. ალბათ, ასე იქმნება წითელი იდეალის ცნება შ. ბოდლერთან; საყოველთაო ლურჯ იდეალის საპირისპიროდ. იგი უფრო სისხლისფერია, ვიდრე წითელი და უკავშირდება ლედი მაკბეტს, რომლის გაიდეალება მხოლოდ სიმბოლისტ პოეტს შეუძლია, რადგან მისთვის მშვენიერი უჩვეულოა, მახინჯია, სასტიკია.

დაახლოებით იგივე დამოკიდებულება აქვს წითელთან თუ ლალისფერთან ვ. გაფრინდაშვილს:

ლალის დაისში გაჩაღდება ავი ბაქარა,
მეწამულ კარტებს შებრძოლებას ვერ
უბედავენ:
მაგრამ ყორნები ჩაყლაპავენ ლალებს
შხამიანს
ლალის სიგიჟე, ყირამალა და ხარაკირი.

ხოლო გ. ტაბიძესთან ლალი და ბროლი გარდა იმისა, რომ მთელი სარაინდო ლიტერატურისა არ იყოს, უმაღლესი სილამაზის გამომხატველია, ლალისფრად ილებება აგრეთვე უკვდავებისკენ მიმავალი გზა, ლალი საფეხური ხდება იდეალთან მიახლოებისა:

ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს,
არაა ძნელი მთების დადნობა,
რომ ცისკრისაკენ მაღალ ანგელოზს
ესაფეხურა ლალის ტატნობი.

წითელი ფერის სახესხვაობაა, აგრეთვე, ღვინისფერი. იგი აშკარად მიწიერი ფერია და, ამავე დროს, გულისხმობს უკვდავების მომენტსაც, რომელსაც სხვა შემთხვევაში განასახიერებს წითელი, ლალი, ვარდისფერი. დიონისური ემოციების მოჭარბება ქმნის ღვინისფერი უკვდავების სახეს, რომელიც სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა პოეტმა:

ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინისფერია,
იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე.
მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე,
რომლის გარეშე უკვდავებაც არაფერია.

ღვინისფერი, აგრეთვე, უკავშირდება ქალს, ვნებას, შეიძლება ითქვას, რომ იგი წითელის უფრო მიწიერი, გრძნობისმიერი სახესხვაობაა:

საყვარელ ხელებს შეშლილივით დავეწაფები,
ბროლის თითები, მზისგან სავსე ალისფერ
ღვინით
მე დამათრობენ...

ლექსში „ატმის ყვავილები“ ვარდისფერი ყვავილი კვდება და წითლდება. წითელი ვარდისფერის ფერისცვალებაა, ვარდისფერი კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, უკვდავების და მშვენიერების გამომხატველი ფერია, და რადგან მისი სიკვდილიც მშვენიერი უნდა იყოს, გ. ტაბიძე ამუქებს ვარდისფერის ყვავილების სისხლით აჯერებს მას და ქმნის წითელი სიკვდილის მშვენიერ სახეს:

ყვავილი იგი მოკვდა და ჩქარა
წითლად დათარა ბაღის ბილიკი.

ვარდისფერი ხე წუხს ყვავილების სიკვდილს, ჰქნობას, რომელიც ლექსის ფინალში მზეს სიკვდილსაც უკავშირდება, მზეც უმატებს თავის სისხლს დაცვენილ ყვავილებს და მწუხრი უიმედობით ავსებს პოეტის გულს:

მეფობს სიკვდილი ჰქნობის მსურველი
გაქრა სურნელი, დაჭკნა ყვავილი!

მაგრამ ეს სევდა განსხვავებით შავი თოვლისგან, ყორნის მკვეთრი სასიკვდილო ყივილისგან, ვარდისფერი სევდაა, ისეთივე ნათელი და ლბილი, როგორც შემოდგომის ჩუმი ტკივილი. გალაკტიონის ლექსებში, სადაც „სიმკვეთრე — სილბილის ფერი ფერებს ეხება“ ატმის ხეებს ვარდისფერი სევდა, ჩალისფერების აბრეშუმად ცაზე ასული ყვითელი ტკივილი უპირისპირდება შავ თოვლს, შავ ყორანს, გამოუსავლობას, შავ ღამესა და თვითმკვლელობას:

იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ,
იმგვარადვე მდევ, იმგვარადვე მკლავ.

ო, როგორ მომწყურდი, მწუხარეა დღე,
იმგვარივე ცა, იმგვარივე ხე

ან:

ნაპრალებზე გადაიმსხვრა ნარგი,
ახლა ზღვაა, ახლა სისხლის დროა
თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი,
ატმის რტოო, დალალულო რტოო.

ატმის ხის კი არა, ერთი პატარა ტოტის გადარჩენაც იგივე პოეზიის გადარჩენაა, დალლილი, ნატანჯი პოეზიის.

## იისფერი

ამ ფერს მხატვრები ღებულობენ ლურჯისა და წითელის შერევით. გოეთე ამ ფერს იისფერს კი არ უწოდებს, არამედ ლურჯ-წითელს „ლურჯ წითელი — აღმავალი აღელვება“.

ქრისტიანულ მწერლობაში იგი ნაცრისფერის თანაბრად არის ჭეშმარიტი მონანიების ნიშანი.

კანდინსკისთვის იისფერი, რომელსაც აქვს თვისება დაშორდეს ადამიანს, წარმოიქმნება ლურჯის მიერ წითლის გამოძევების მეშვეობით.

იისფერი არის გაცივებული, წითელი. ამიტომ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ასპექტში ამიტომ ის ავადმყოფურია, ჩამქრალი. დედაბრებს უყვართ იისფერი კაბები. ჩინელები ატარებენ იისფერ ტრაურს“.

ვ. გაფრინდაშვილის ლექსში „მე და ოფელია“ იისფერი სევდიანი ემოციების მატარებელია:

ვნახე ქალწული და იისფერ ცრემლით
ვეწამე.
მაგრამ იისფრად იმოსება წუთი მედგარი.

გ. ტაბიძისთვის იისფერი არ არის ასე მკვეთრად ნეგატიური, პირიქით ხშირად ის დადებით ემოციებს იწვევს ისევე, როგორც სხვა ფერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზი, იისფერიც ზოგჯერ მხოლოდ კოლორიტის შექმნას ემსახურება ლექსში:

[illegible] იისფერი [illegible]
[illegible] ცისფერ [illegible],
ნანგრევზე არის გაშლილი
დიდება და სილამაზე.

ეს ლექსი მთლიანად განმსჭვალულია ქართული ხუროთმოძღვრების მაღალი სულით. ხოლო მისი ფერწერული ფონია იისფერ-ცისფერი.

ლექსში „გზაში" იისფერი უახლოვდება წმინდა სიმბოლისტურ გაგებას ფერისას. თუ არტურ რემბოს „სონეტში ხმოვნების შესახებ", ყველა ხმოვანს დაძებნილი აქვს შესაბამისი ფერი, ამ ლექსში სიტყვა იისფერია. არა სიტყვის აზრი, შინაარსი, არამედ მისი წმინდა ჟღერადობა, ევფონია.

გალაკტიონი ერთ-ერთ ლექსში წერს: „იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს". ამ ლექსის განწყობილებას ქმნის მშვენიერთან შეხება. მაგრამ მასთან შერწყმის შეუძლებლობის გამო გ. ტაბიძის თითქმის ყველა ლექსი სევდასთან არის წილნაყარი. ამიტომ იისფერი არც უარყოფითია და არც დადებითი, ის სევდიანია. ლამაზად სევდიანი. მაგრამ კეთილი არ არის, რადგან აბსტრაქტული სიკეთე არ არსებობს. მზის სიკეთეც კი განყენებული ცნებაა, სანამ ის არ შეეხება მიწას, ხეს, პოეტს, რომელსაც სიკვდილთან არიგებს. ასევეა მერიც — იდეალი. მისი სიშორე პოეტს უქმნის სიახლოვის ილუზიას. „სიშორის შენის სიახლოვე მარადის მძაფრი".

მაგრამ როცა ამ იდეის განსხეულება — მერი სიმბოლიურად კი არა, რეალურად იწერს ჯვარს და შორდება პოეტს, როცა ის რწმუნდება იდეალის მიუღწევლობაში, მას ეუფლება სევდა, რომელსაც კიდევ უფრო ამძაფრებს იდეალის მშვენიერი და კეთილი ბუნება. ამიტომ არის ამ ლექსში ცისფერი და იისფერი მშვენიერად სევდიანი ფერები:

აქ მრავალია ცისფერი ფერი,
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება,
როგორც ქალწულის სახელი მერი,
არის ცისფერი და მწუხარება,
გახედე შორ მთებს, გახედე სერებს,
გახედე ტალღებს, ჩაქსოვილს ტბაში,
ცისფერი ისე უცხოდ იფერებს
სამოსელს დღეთა ელვარებაში,
სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს,
ვისაც სიზმარში უხსნიან ბაგეს,
იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს
და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს.

არის კიდევ ერთი მომენტი, რომელიც იისფერს აცლის უარყოფით შინაარსს. ეს არის იისფერის ასოციაცია იასთან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ყვავილები გ. ტაბიძისათვის აბსოლუტურად მშვენიერი და კეთილი საწყისია. ისინი არიან არ სტიქიურად, არამედ შეგნებულად კეთილი, ცნობიერი ბუნების ნაწილი. ამდენად, მხოლოდ ყვავილთან დაკავშირებით [illegible] რომ ცისფერი [illegible] იისფერი [illegible] ტიურ შინაარსს. [illegible] და მწუხარების [illegible] ერთი ფერის ასოციაციური მნიშვნელობა [illegible] ზიძესთან მდგრადი არ არის. ის [illegible] კეთილსა და ბოროტს შორის მერყეობს. ოქროსფერი დიდებულება და ყვითელი სიკვდილი, ცისფერი იდეალი და ცისფერი მწუხარება, თეთრი სიმაღლე და შიშველი თეთრი ყვავილი, რომელიც მწუხარებასთან არის დაკავშირებული და ა. შ.

გ. ტაბიძის ერთ-ერთ ლექსში კაცთმოყვარეობის უმაღლესი ფორმის — მტრისადმი სიყვარულის, მისი მოთვინიერების სიმბოლო ხდება:

ხანჯლებს დავფარავ ისეთ იებით,
მე მტერს იმავე ხმით ვემუქრები,
რომ მოვა ჩემთან მონანიებით.

ლექსში „თოვლი" ისევ ჩნდება მშვენიერი მწუხარების განწყობილება. ეს საოცრად ფერწერული და განწყობილებიანი ლექსი შესრულებულია იისფერ, ლურჯ და თეთრ ფერებში. ხოლო ზამბახების, სიზმრების, დაფნის და თოვლის სიმბოლიკა ქმნის ამაღლებისა და მშვენიერების განწყობილებას.

რაც უნდა ფერწერული იყოს გ. ტაბიძის პოეზია, მოყვარული და გამსულიერებელი ბუნების, მისთვის უფრო მთავარია სიტყვის ფერი, რომელიც არ არსებობს დამოუკიდებლად სიტყვის ჟღერადობის გარეშე. ხომ მშვენიერი ფერია ლურჯი, თავისთავად მშვენიერი, ასევე იისფერი, მასთან და სილურჯესთან სიახლოვის გამო. მაგრამ როგორ ფერს შეესაბამება ბუნებაში ქლიავისფერი, ლომფერი, ირისისფერი? ამ სიტყვების წმინდა ფერობა, წმინდა მუსიკა, ქმნიან სწორედ გალაკტიონის პოეზიის განუმეორებელ ხიბლს. როცა კედლებს ფერადი ფარშავანგები აცვივა ამ თვალისმომჭრელ სიჭრელეში შეიძლება, აზრი ოდნავ გამრუდდეს კიდეც, მაგრამ სიმრუდემ უფრო ლამაზი და დახვეწილი ფორმა მოგვცეს, რადგან სად ჩვეულებრივი თოვლი და სად თოვლის ქალწულებივით ხელიდან ფენა. პირდაპირი ინფორმატული აზრი ფერწერულ ხატში დაიხვეწება და დაილექება მის ძირზე. ე. ი. კი არ იკარგება, არამედ ზედაპირიდან ფსკერზე გადაინაცვლებს, ჩაღრმავდება, და დროშასავით აიფარებს სასწაულმოქმედ მეტაფორას:

ელვარე და ლომფერი იყო ცხრა ოქტომბერი.

ან:

გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის
ეს ჩემი სამშობლოს მთებია.

ან:

ალმოსავლეთის ქარი დაქროდა,
მიმოგონება, ზარი, თითბერი,
სახეს სითეთრე თოვლის დაჰყროდა,
სულს ბუსუსები ირისისფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივი ნორმალური ადამიანის ლექსი-კონი არ იცნობს ამ სიტყვებს, მაგრამ თუ მან იგრძნო და აჰაღლდა ჩვეულებრივობის, საშუა-ლობას. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] და მის [illegible]. [illegible] უნდოდათ [illegible] [illegible] ლარის-თვის გზა პოეზიის ცისფერი ტაძრისკენ უნდოდათ მოეხდინათ ესთეტიკური რევოლუ-ცია, რაც გაცილებით უფრო ძნელია და უტო-პიური, ვიდრე პოლიტიკური რევოლუცია. რად-გან რევოლუციაში მეტად მნიშვნელოვანია ჯა-რისკაცი და ჯალათი. ესთეტიკურ რევოლუციას კი პოეტები და მხატვრები ახდენენ, რომლებიც ვერც ჯარისკაცსა და ვერც ჯალათის როლს ვერ შეასრულებენ. ამიტომ მათი მისია წინასწარ გან-წირულია. რამდენიმე ადამიანს თუ ამოგლეჯენ ყოფის ჭაობიდან და მშვენიერის გამოცხადებას აჩვენებენ, ესეც საქმეა. ერთი კაციც, ყოველ-დღიურობიდან პოეზიისკენ წამოსული, დიდი გამარჯვებაა ესთეტიკურ ბრძოლაში. როდესაც ადამიანი იგრძნობს ამ სტროფს:

ქუჩაში მტვერში წაიქცა ბავშვი,
ნუკრის თვალებით, თმით მიმოზებით
და მწუხარების მალენიავში
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.

და არ იკითხავს რას ნიშნავს „მალენიავი“ რად-გან ქართულ ენაში ასეთი სიტყვა არ არსებობს, ან:

მთავაზობდით ღვინი ვადრით
და ამბობდით ლანდებით,
თქვენ ისეთი კარგი ხართ,
თქვენ პოეტი ბრძანდებით.

არ მოეჩვენება, რომ სრული უაზრობაა „და ამბობდით ლანდებით“ და გაუგებარია, ქართუ-ლი სალიტერატურო ენის რა ნორმებს ემორჩი-ლება ყოველივე ეს. იგი მკითხველი იქნება მშვე-ნიერი წიგნის და არა მისი გადამკითხველი... არავითარ ნორმებს არ ემორჩილება პოეზია და მაინც გხიბლავს, გაჯადოებს, გილექსავს უნიჭო ყოფას. თუ ამას იგრძნობ, ან პოეტი ხარ, ან პოეზიის მოყვარული, თუ არა და არც ლიტერა-ტურის „მცოდნეობა“ გიშველის არც ხელოვნე-ბისა და არც მუსიკის, რადგანაც თუ შემოქმე-დის ნაპერწკალი არ ღვივის ადამიანში, თუ არ შეუძლია წარმოიდგინოს მაგ. თარის დანაპკუზე, რომ მასზე დაკვრა მხოლოდ სადაფის წვიმაში შეიძლება, ხოლო სადაფის ცვენა თეთრია მტრე-დების სიკვდილსაც გავს და ღმერთის თეთრ კვა-რთხსაც, მისთვის იარსებებს მხოლოდ ტექსტი, წაკითხული და დაზუთხული. ქვეტექსტის წა-კითხვას კი ალღო და ნიჭი უნდა, რასაც არც თუ ისე იოლად.იმეტებს ღმერთი.

მაგრამ დავუბრუნდეთ გალაკტიონ ტაბიძეს.

რომლის ლექსში ისეთივე აუცილებელია ფერ-წერა და მუსიკა, როგორც აზრი, საოცრად ფერა-დარი აღმოჩნდა პოეტის პალიტრა, ხოლო მისი ლექსების პოლიფონიური მუსიკა ცალკე და [illegible] [illegible]. მაგრამ [illegible] [illegible] ერთი [illegible] ტაბიძე მხატვარია მაშინაც, როცა წმინ-[illegible] [illegible] ფერი მოიაწყდება [illegible] [illegible] დახვეწით გრაფი-კული [illegible] სიტყვებისა და სახეების პლასტიურობის, ნატიფი და სრულყოფილი ხაზისა და ფორმის გამო. გ. ტაბიძის პოეტური სახე არ არსებობს ვიზუალური ხატის გარეშე:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ქროლვის, სისოვლის
და ზამბახების წყებად დაწვენა.

თოვლი, იისფერიც რომ არ ყოფილიყო, მისი ქალწულებივით ხიდიდან ფენა საოცარი მეტა-ფორაა, სადაც სიტყვების უკან დგას ნახატი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ლექსისთვის, რადგან გალაკტიონი სმენის და ხედვის პოეტია ყოვ-ელთვისა და ერთდროულად. „მწუხარე გრძნობა“ ელერად-ობით ეხმიანება „წყებად დაწვენას“ ზამბახებისას და თავისთავად. ეს დაწვენილი ზამბახები ხომ გრაფიკული სურათია, ხოლო აზრობრივად — მოცელილი და დაწვენილი მშვენიერება მწუხა-რებას, სევდას იწვევს. ვიზუალური მეტაფორის საოცარი ნიმუშია ლექსი „ალვები თოვლში“.

დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს
იულისისფერი ყინვის თასებით,
სითეთრე შვენის მაღალ მწვერვალებს,
ვით სასძლოს ფარჩა და ალმასები,
მოკრიალებულ ჰაერში ოდეს
გულცივად ბრწყინავს ფარჩა ნათელი.
ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს
გადაზნექილი სიზმრების წელი.

ერთხელ კი გამოჩნდება ფერი ლექსში, მაგ-რამ სიტყვისმიერი, მუსიკალური, იმდენად სავ-აზრის გამომრიცხავი, რომ ლამის მტკივნეუ-ლი — „იულისისფერი ყინვა“. სიცხე-სიცივის მოპირისპირე მუხტების შენივთება ქმნის ამ სა-ხეს, რომლის წარმოთქმისას პირი უნდა გეწვო-დეს, სხვანაირად ასე მძაფრად და ხელშესახებად ვერ დახატავ სუსხის მდუღარე ბუნებას, რომელ-საც მოყვება უკვე გულცივი მაღალი ესთეტის მიერ დანახული კრიალა ჰაერი, ნათელი ფარჩა-ზამთრისა და არაადამიანური, სასწაული მეტა-ფორა:

ოჰ, ნეტავი არ შეირხეოდეს
გადაზნექილი სიზმრების წელი.

ასეთი ხატი რომ წამოგცდება თუ დაგეზარე-ბა გონებაში, ან მაშინვე უნდა მოკვდე, ან ასე-თივე სულ გაწყვეტამდე მისულ ნერვიული დაძაბულობით გააგრძელო „ოქროსხმებიანი“ პოეზია:

ხშირად მაგონდება ფოთლებშემოცლილი
სახე მიბნედილი ქალის მწუხარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც იფოთლება ჩვენი ჩუმი ეზო
შემოდგომაა. ტკივილი ჩუმი
და ბედის გულთა ნაზი ქაქილი.

რომ იმღერეს საიათნოვას
დაკარგული ბაღები.
თოეთოეის. მოეთოეის
კედლებს ფარშავანგები.

სარკოფაგიდან დგება მუმია. რა სიჩუმეა.
ხელი ლურჯი აბრეშუმია.

და მტანჯავს მწუხარების ყელით გადაქანება.
ბზის ჩაგორებას ფერი ედო უცხო სურნელის.

საიდან მოდის ეს სახეები? ოსკარ უაილდი, ამბობდა. საიდან თუ არა ფრანგი იმპრესიონისტებისგან მოდის ეს ყავისფერი ნისლები მორეული, დეფორმირებული სახლები, მკახე ფერები?

გ. ტაბიძის პოეტური ხატების წარმომავლობა ასე ადვილი გასარკვევი არ არის. მის პოეზიაში გვხვდება ბევრი მხატვრისა და კომპოზიტორის სახელი, რაც, ალბათ, განსაზღვრავს მისი ესთეტური სიმპათიების წრეს. მაგრამ თუ ა. ბლოკის დემონზე ამბობდნენ, რომ ის უფრო ახლო დგას მხატვარ ვრუბელის დემონთან, ვიდრე თავის პირველწყაროსთან — ლერმონტოვის დემონთანო, გ. ტაბიძის პოეზიაზე რომელიმე მხატვრის ასეთი უშუალო გავლენა, ალბათ ძნელი დასანახია იქნებ. ვერონეზესა და ბოტიჩელის ქალების შიშველი სხეული, ნათელი, პლასტიური, უფრო გავს გ. ტაბიძის ლირიკულ გმირს, ვიდრე იმპრესიონისტების მობანავე ქალები, ლოტრეკის ცირკის მსახიობები, რენუარის ფერხორციანი პარიზელი ქალები.

ვადარებდით ვერონეზეს ნახატს

ან:

ასე ნელდება ზამბულის ველის
და ქარიშხალის ცეცხლი შვენება.
მწვავს, რომ გოიას და ბოტიჩელის
სხვადასხვა ლანდი მომეჩვენება.

ლეონარდო და ვინჩისაც ახსენებს პოეტი, ვანდეიკსაც. მაგრამ, ჩემის აზრით, ყველაზე ახლობელია მისთვის მიქელ-ანჯელო. ამ სახელს არ შეიძლება პოეტური თავისუფლებით მოეპყრა, როგორც მაგ. ფრაგონარს, რომელსაც ერთ-ერთ ლექსში წმინდა ჟღერადობისა და რითმის გამო სვამს პოეტი. მიქელანჯელო, ალბათ, ყველანაირი ესთეტური მრწამსისა და მსოფლმხედველობის ადამიანისთვის ერთნაირად დიდი და სრულყოფილია. მას გ. ტაბიძე ვერ უწოდებს ქაოსის მხატვარს, თუმცა მისთვის უფრო ახლობელი და ძვირფასია ქაოსის, დიონისური საწყისის მატარებელი მხატვარი.

ვ. გაფრინდაშვილი წერდა: „პოეზიაში, როგორც ბუნებაში არის ორი სტიქია: აპოლონიური და დიონისური. არიან პოეტები ქაოსის და მშვენიერი კოსმოსის. ქაოსის პოეტებს ფრანგი სიმბოლისტები, ტიუტჩევი, სოლოგუბი, ანდრეი ბელის ადრე იღუპებიან, რადგან, როგორც კოლუმბები, თვითონ იკვლევენ გზას. პუშკინში იყო ორივე სტიქია: „აპოლონიური და დიონისური („ქეიფი ჟამიანობის დროს", და „ევგენი ონეგინი") ასევე შექსპირშიც. მაგრამ ყოველთვის სჭარბობს ერთ-ერთი. გოეთემ აირჩია აპოლონის პოეზია პოეტის დანიშნულებაა, რომ შეადუღოს თავის პიროვნებაში ეს ორი სტიქია. დღევანდელი პოეზია არის ქაოტური".

მიქელანჯელო არის ამ ორი საწყისის ბედნიერი შერწყმა, ისევე, როგორც გოეთე, ბახი, შექსპირი:

ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს,
არაა ძნელი მთების დადნობა,
რომ ცისკარისკენ მაღალ ანგელოზს
ესაფეხუროს ლალის ტატნობი.
ვერ შეაჩერეს მზეთა ტატანი,
ახალი დროის დიდი მესია,
მედგარი მხრებით რომ აიტანა
მთაზე დიდება და პოეზია.

და მაინც მიქელანჯელოს ტრაგიკული სული მისი ბუნებრივი ანომალია. მისი საშინელი სამსჯავრო, რომელიც იმდენი ადამიანური ტანისა და სულის აპოკალიფსისგან შედგება, რომ თითქმის დაუჯერებელია, რომ იგი ერთმა კაცმა შექმნა აპოლონიურ ზეოსტატობაში, კი სახიერდება, მაგრამ ფორმათა და მოცულობათა უნაკლო წესრიგში მაინც იჭრება დიონისური ბანგი და ის ღვთაებრივი ასიმეტრია, რომელიც მკვეთრად განასხვავებდა მიქელანჯელოს თუნდაც ფიზიკურ სახეს ლეონარდო და ვინჩის კლასიკურად ნათელი და ჭეშმარიტად აპოლონიური სახისგან.

ამიტომ გალაკტიონი, რომელიც ასევე ორ საწყისს აერთიანებს თავის თავში: ქაოსსა და მშვენიერ კოსმოსს, სულიერად უფრო უახლოვდება მიქელანჯელოს. სხვანაირად იგი ვერ იტყოდა „და მტანჯავს მწუხარების ყელით გადაქანება", მზეს ვერ მოკლავდა, როგორც კაცს, ვატანჯულს და თვალღიას, რაც აპოლონიურ პოზაში მდგომი კლასიკოსისთვის უბრალოდ უზერხულია.

ძნელია რაიმე ხელშესახები გავლენა მონახო ქართული მხატვრობისა გ. ტაბიძის პოეზიაზე, მაგ. ფიროსმანის ან ქართული ფრესკების. ფიროსმანს გაცილებით მეტი სიახლოვე აქვს ტ. ტაბიძესთან, გ. ლეონიძესთან, გალაკტიონს უყვარს იგი და მშვენიერ ლექსსაც უძღვნის „გადმოიფრენს ეს ყორანი". მაგრამ მის ლექსებს თითქმის არაფერი აქვს საერთო ნაივერ ხელოვნებასთან. მე უფრო ქართული საეკლესიო არქიტექტურის გავლენას ვხედავ გ. ტაბიძის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „ქებათა ქება ნიკორწმინდას".

ლექსის არქიტექტონიკა და რიტმი ქმნის ცაში ატყორცნილი, მსუბუქი გუმბათოვანი ეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლესიის შთაბეჭდილებას. თანდათანობითი გრადაცია გამიზნულია ამაღლების, ცასთან მიახლოების ის განწყობილების შესაქმნელად. ლექსის ასეთი ფორმა არ შეიძლება მიესადაგოს რუსულ ან სომხურ ეკლესიას რუსული უფრო ხატოვანია. ფერადოვანი. მრგვალგუმბათიანი ოქროსფრად აელვარებული. სომხური ეკლესიის ტექტონური ხაზები ვითარდება არა იმდენად შვეულად. რამდენადაც სივრცობრივად. რაც ქმნის მეტი სიმკვრივის, მიწიერობის განწყობილებას. ამ ლექსის წყობა არ გავს გოთურ ეკლესიისაც, იგი ნაკლებად დახვეწილი და წამახულია, რადგან ქართულ ეკლესიას ცისკენ სწრაფვასთან და შვეულ დინამიურობასთან ერთად. საერთო პროპორციები და დეკორი უფრო მიწიერ ხასიათს უნარჩუნებს:

მზერა ქართულია, სივრცის დაუნჯებით.
თვალი გართულია. ფრთიან ფასკუნჯებით.
ფრთები, ფრთები გინდა
კიდევ ფრთები გინდა
გინდა დაეუფლო სივრცეს,
ნიკორწმინდა.

ეს არის ლექსი ფრთებზე, რომლებიც უნდა ჰქონდეთ ნიკორწმინდას და გალაკტიონს, ალავერდს და ფიროსმანს, იმ ფრთებზე, რომელთა ფრთხიალი აუცილებელია იმისთვის, რომ ჩუქურთმა შუქურთმით გამოხატო და ასონანსურმაჯამურ-ღვათებრივად გარითმო, სილაჟვარდის და სილაში ვარდისა არ იყოს...

ალბათ, შეუძლებელია, რომელიმე ერის პოეზიაში მოიძებნოს იმდენი ლექსი სამშობლოზე, რამდენიც ქართველ პოეტებს დაუწერიათ, იქნებ, ამ ლექსებს ამძაფრებდა და ამრავლებდა შეგნება იმისა, რომ „იყიდებოდა საქართველო, თავისი მშვენიერი ენითა და ნაქარგი ფარჩახავერდით. ყიდდა ყველა — თავადი, მღვდელი ვაჭარი. დიდი და პატარა. სულელი და ჭკვიანი იყიდებოდა ნისიად. და უფასოდ. დროებით და სამუდამოდ".

ამიტომ. გულწრფელობის. სევდისა და მაღალი სტილის ძილმა ტალანტის აღგზნებული ნერვი ძგერს ამ ლექსებში და ამ ლექსებიდან. ალბათ, ყველაზე უფრო მტკივნეულია გალაკტიონის „ეს ერთი შეხება ნიავის".

გემიდან მშობლიურ მთების სიიავეს
შევხედე და ვიგრძენ, მგზნებია
გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის?
ეს ჩემი სამშობლოს მთებია.

ერთი ეროვნების ადამიანებს სამშობლო ერთი აქვთ და. მაინც, ისევე. როგორც არ არსებობს ბუნებაში ორი ერთნაირი ადამიანი, ან ორი ერთნაირი წყლის წვეთი. ყველას და. მით უფრო პოეტს, თავისი საკუთარი, სხვისგან განსხვავებული სამშობლო უდევს გულის სიღრმეში: გ. ლეონიძის ნოყიერ ველებს ისე ახლით ხიბლები როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი. ტ. ტაბიძე ციებიან ჭაობში დგას, „ორპირის ოქროპირი მელდაროორის" პოზაში პაოლო იაშვილი თეთრ ხელთათმანიან ქალაქსა და შაბიამნისფერ სოფელს შუა იგლიჯება, გალაკტიონი ქლიავისფერ მთებს ელაპარაკება. დგას იქ, სადაც ქარიშხალია და ყველაფერი ეს არის ქართული პოეზია, რომელსაც ვერაფერი დააკლო ომმა, სისხლმა, გაჭირვებამ, რევოლუციებმა და ვერც დააკლებს მანამ, სანამდე თუნდაც ერთ პოეტს ექნება უნარი ამ სიტყვების თქმისა:

სული ეძებს იმ უჩინარ ტყვეს.
ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს,
იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს
და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭუმბურიძე

# საბავშვო ლექსის ოსტატი

ამ ოთხი ათეული წლის წინათ ქართველ მწერალთა სასახლის კარი მორიდებით შეაღო ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსის სახელსა და გვარს ატარებდა. მიუხედავად სიყმაწვილისა, ის უკვე მდიდარი შრომითი ბიოგრაფიით მოვიდა მწერლობაში. ბუნებრივად მოხდა, რომ ამ ჭაბუკმა თავის მწერლურ სახეს სწორედ საბავშვო პოეზიაში მიაგნო და სულ მალე ნორჩ მკითხველთა საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. მე მგონი, მკითხველი უკვე მიხვდა, რომ საუბარი გვაქვს ცნობილ საბავშვო პოეტზე — გიორგი წერეთელზე.

„როდესაც დიდებისათვის ვწერ, მაინც სათქვენო ლექსი გამომდის", — გულახდილად უთხრა პოეტმა პატარებს ამ ორიოდე წლის წინათ გამოცემული რჩეული საბავშვო ლექსებისათვის წამძღვარებულ წინათქმაში და იქვე დასძინა: „თითოეული ჩემი ლექსისაგან შეიძლება დიდი ლექსი შექმნილიყო, მაგრამ პატარა ლექსები ვარჩიე, რადგან ვიცი, პატარებს პატარა ლექსები უფრო გიყვართ".

მართლაც, გიორგი წერეთლის ლექსები მოცულობით პატარაა, მაგრამ ნამდვილ სულიერ საზრდოს აძლევს ნორჩ მკითხველს. მათი თემატიკა ნაცნობია, მაგრამ ნოვატორულია თემის დამუშავება, — მხატვრული სახეები, მუსიკალური ჟღერადობა, ხალასი იუმორი, რაც განუმეორებელ ელფერს ანიჭებს ამ ლექსებს.

ვინ იცის, რამდენი ლექსი დაწერილა დედაზე, დედაშვილურ სიყვარულზე, ისიც ხშირად თქმულა, რომ „დედა" ქართულ ენაში ყველაზე ძვირფასისა და მნიშვნელოვანის ეპითეტია და ბევრი კომპოზიტის წარმოქმნაში მონაწილეობს, მაგრამ გიორგი წერეთლის დედისადმი მიძღვნილ ერთ პატარა ლექსში თაიგულივით შეკრული და აფორისტული აზრით განმსჭვალული ეს კომპოზიტები მაინც ორიგინალურ ჟღერადობას იძენს და სასიამოვნო ემოციას იწვევს.

გიორგი წერეთლის ლექსების კითხვისას ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, რომ ჭეშმარიტი პოეზიის შესაძლებლობანი ამოუწურავია. პოეტი განყენებულად, ზოგადად კი არ ესაუბრება პატარებს სამშობლოს სიყვარულზე, არამედ მეტყველი, ცოცხალი ფერებით ხატავს მშობელ მხარეს და ამით თავისთავად აღძრავს მისადმი სიყვარულს: „რა ეზო მაქვს, რა ბაღნარი, რა დედული, რა მამული... შიგ იზრდება სიმღერის ხე, სართულ-სართულ გადაბმული". ეს „სიმღერის ხე" ლერწამია, რომლის თითო-თითო სართული" სალამურად ითლება და „მშობელ მიწის სადიდებელს მღერის".

მსგავსი სურათია ბევრ სხვა ლექსშიც, სადაც დახატულია „ერთმანეთზე ორღობით და ბილიკებით გადაბმული" მამულ-დედული, „მუხის ფესვით შეკერილი, ვაზის ფესვით ჩალამბული, მამის სისხლით მორწყული და დედის ცრემლით დანამული" მიწა-წყალი.

ერთ მთლიანობაში აქვს პოეტს წარმოდგენილი სამშობლოს სიყვარული და შრომა. „კარგი საქმის საკეთებლად გაეზარდე საქართველოს!" — ლოცავს იგი პატარას, „დედა-სამშობლოს მოვხატავთ ლამაზ-ლამაზი ფერებით", — გვპირდებიან მისი ლექსის ნორჩი გმირები. „პატარების საქმე არის ყვავილების გაშენება, ყვავილების საქმე არის საქართველოს დამშვენება". პოეტის წარმოსახვით, წყაროც კი ცდილობს სასარგებლო შრომა გასწიოს და სამშობლოს გამოადგეს: „არ ვმდგარვარ, არ მძინებია, რაც დავიბადე მას შემდეგ, — წყურვილს ვკლავ, ღამეს ვანათებ, ვფქვავ, ვრეცხავ, ვხერხავ, ვაშენებ, ვახარებ ლამაზ ყვავილებს და ჩემს სამშობლოს ვამშვენებ", — შემეცნებასაც ამდიდრებს და შრომის სურვილსაც აღძრავს ასეთი სტრიქონები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ არ გქონდეს ფესვის ბეწვიც.
წკირი ალვის, ვარდის, ძეწნის,
ლეღვის ტოტი, ვაზის ლერწი —
დაარჭე და გაიხარებს,
გვაქვს ისეთი კარგი მხარე.

პოეტი თანმიმდევრულად უღვივებს ბავშვს მშობლიური ბუნების სიყვარულის გრძნობას, აცნობს სხვადასხვა ცხოველს, ფრინველსა და მცენარეს, უხსნის, თუ რა სარგებლობა მოაქვს თვითეულ მათგანს. ბებოს ბოსტანი ნამდვილი აფთიაქია, რადგან „ნიახურსა და ოხრახუშს აქვს სამკურნალო თვისება, ჭარხლის და გოგრის სურები უებარ წამლით ივსება. „აი, თელის ფესვი ადიდებულ მდინარეს ებრძვის, რომ მიწა არ გაატანოს: „მიწას უთქვამს: გაიხაროს, ნათელარზე იყოს თელა, რომ ვერაფერს ვერ მაკლებდეს მისი ხათრით რიკოთელა“. ხის ჯიშების მოხდენილი დახასიათებაა მოცემული ლექსში „ყველას თავისი მეფე ჰყავს“, რომელსაც შეიძლება „ხეთა ქება“ ეწოდოს.

პოეტის ნორჩი გმირები ფერადოვანი ბუნების წიაღში ტრიალებენ და ხალისით ეხმარებიან უფროსებს: კრეფენ ხილსა და ყურძენს, ეზიდებიან წყაროს წყალს, აძოვებენ პირუტყვს, — ერთი სიტყვით, აკეთებენ თავისი ასაკის შესაფერ საქმეს. მათ შორის ზოგი ზარმაცი და უქნარაც ურევია და პოეტი არც მათ გაკიცხვას ერიდება, მაგრამ ტაქტიანად, მოზომილად.

შრომითი საქმიანობის დახასიათებასთან ერთად პოეტი ბავშვის გონების ჰორიზონტსაც აფართოებს და მოხდენილი ფორმით აცნობს მას ამა თუ იმ საოჯახო და სამეურნეო ნივთს. აგერ ქოთანი, რომელსაც „დაებრაწება ლოყები და თიხის ქუდი უხდება, დიდ ცეცხლს ჩაქრობით აშინებს, როდესაც ათუხთუხდება“. აქვე ჭინჭილა და კვაწიაც გამოჩნდება და პოეტი ერთი ფრაზით იძლევა მათ ხატოვან განმარტებას: „ჭინჭილა დოქის შვილია, ქოთნის შვილია კვაწია“: ზოგიერთი ნივთის დახასიათებას კი მთელი ლექსი ეძღვნება. ამგვარი ზუსტი და მაღალმხატვრული პოეტური აღწერის ნიმუშია ლექსი „საცერი“:

გობს საცერმა შესჩივლა:
— იფნის თხელი ტკეჩი ვარ,
შემკრეს დაირასავით,
ხელებს მცემენ გვერდშია,
ფქვილი შენ და ქატო მე,
სხვას ვაჭმევ და მე მშია,
თუ სიკეთეს ჩავდივარ,
ცემას რალას მერჩიან? —
აჰეთ უსამართლობას
ტყეში ყოფნა მერჩია.

თანამედროვე ქართველი ბავშვისათვის ქალაქად თუ სოფლად, რა თქმა უნდა, ტექნიკის მიღწევებიც არ არის უცხო. მათ უკეთ გაცნობას და გაშინაურებას ხელს უწყობს ისეთი ლექსები, როგორიცაა, მაგალითად, „რადიოლა“:

ლაპარაკობს რა იოლად
პაწაწინა რადიოლა...
ენას მაშინ ამოიდგამს,
თუ აუნთებ ელნათურებს,
თუ გადართავ,
თუ გადმორთავ,
იცის ყველა ენა თურმე.

ამგვარი სხარტი დახასიათების შემდეგ, რასაკვირველია, საგანიც და მისი სახელიც მყარიოდ ალიბეჭდება ბავშვის მეხსიერებაში.

გ. წერეთლის ლექსებში ბუნებრივად არის ჩართული მოხდენილი იუმორი, რომლის მიზანია ბავშვის გამხიარულებასთან ერთად მისი გონების გავარჯიშება, ყურადღების გამახვილება და არა ვინმეს გაკილვა: „სათვალე რომ დაიკოსა, მაკამ ჰკითხა მაიკოსა: — ნეტავ ამით რასა ხედავს, უნდა ვკითხო მამაკოსა“, ანდა: „მე რომ ჯოხის ცხენი მყავს, არ გაგიცვლით ქურანში, — თუ არ სჯობდეს, შემირცხვეს ეს სიმინდის ულვაში“. ასეთივე შთამბეჭდავია ნაცარქექიასა და წიგნიჭექიას შედარება, ჩიტისა და მელას დიალოგი, რომელიც ცნობილი ხალხური ზღაპრის ასოციაციით არის შექმნილი, მაგრამ თემის სრულიად ახლებურ, იუმორით შეფერილ გააზრებას შეიცავს.

ბავშვმა ახალი საგანი რომ გაიცნოს და მისი სახელი იოლად დაიმახსოვროს, ამისათვის პოეტი არაერთ ხერხს მიმართავს. მისი შემოთავაზებული ზოგი სიტყვა სალიტერატურო ენაში ადრე არ შეგვხვედრია და ამდენად ჩვენთვის უფროსებისთვისაც საინტერესოა. „შეიმღვრა წყალქლიავი“, — წერს პოეტი და ცოცხლად წარმოგვიდგენს შემწიფებული ნაყოფის ფერს.

„ჩამოვარდა კუმპალი, გადაყლაპა კუმ ბალი“, — ესაა მთელი ლექსი, სადაც ნორჩი მკითხველისათვის უცნობი სიტყვა (კუმპალი) განუმარტავია, მაგრამ ის ისეთ კონტექსტშია წარმოდგენილი, რომ განუმარტავადაც გასაგებია. მის დამახსოვრებას კი ხელს უწყობს რითმა. საერთოდ, გ. წერეთლის ლექსები გამოირჩევა რითმის სიმდიდრითა და სიახლით.

პოეტი ხშირად მიმართავს სიტყვის გათამაშების ხერხსაც, რომელიც კარგად ცნობილია და განსაკუთრებით დამახასიათებელია ხალხური საბავშვო პოეზიისათვის. ასეთია გ. წერეთლის ლექსები: „ალათასა, ბალათასა“, „დამტიტარო, დიმტიტარო“, „ანასკვია, მანასკვია“ და სხვანი.

გ. წერეთელმა გამოაცოცხლა და ახალ მხატვრულ სიმაღლეზე აიყვანა ქართულ საბავშვო პოეზიაში ენის გასატეხი, ანუ როგორც თვითონ უწოდებს, „ენის სალესი“ ლექსები. გასათვლელები, გამოცანები, მისარითმები, „მაჯამურა“ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შიგპასუხა“ ლექსები, რომლებიც დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენენ პატარებზე და ენობრივ ალღოს უვითარებენ მათ.

აი გამოცანების ორიოდე ნიმუში: „გაძვრა, გამოძვრა ფარჩაში და გრძელი კუდი დარჩა შიგ“, „სულ მზისკენ მოღერილი თავზე ადგას ხონჩა, ხონჩიდან გემრიელი საკნატუნო მოჩანს“.

ომონიმურ რითმებზე აგებულ „მაჯამურა“ ლექსებში პოეტი უკანასკნელ სიტყვას მრავალწერტილით ცვლის, რომ პატარა „მკითხველმა“ თვითონ შეავსოს იგი: „დასხდნენ ბუხრის წინ დები, რომ მოქსოვონ....“, „თავი ბურთს მიგავს, ბოლო კი — თაგვის კუდს, მქვია....“. აქ ნაგულისხმევი სიტყვის ჩასმა ადვილია. მაგრამ ეს პროცესი ბავშვს თითქოს ლექსის თანაავტორად აქცევს და სიამაყითავსებს. ამავე დროს სიტყვის მნიშვნელობაზეც ამახვილებინებს ყურადღებას.

„ენის სალეს“ ლექსებში პოეტი მოხდენილად იყენებს ალიტერაციის ხერხს: „კატო კეტით კარებს კეტავს, კატა კუდით გაეკვეტა“. ანდა: „მჟავი ჭრელ გოჭს აჭამა, უმჟავოდ ჭამს საჭამადს“, ან კიდევ: „კიდე, კიდე; აკიდო კიდე-კიდე დავკიდოთ, აიკიდე, კიდელო, აი კიდევ აკიდო!“ და სხვა.

ბოლოს გვინდა პოეტს ვუსურვოთ შემდგომი შემოქმედებითი წინსვლა და წარმატებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი და დიქტორი: ილია კუჭუხიძე

# „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

ახლახან მიუნხენიდან მივიღეთ რადიო „თავისუფლების“ თანამშრომლის ბატონ **ილია კუჭუხიძის** (მინდია ლაშაური, მინდია ეგრისელი) წერილი და რადიო „თავისუფლების“ მიერ სხვადასხვა დროს გადაცემული „ცისკრის“ რეცენზიები. მკითხველს ნიმუშად ვთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს (გადაცემის სტილი დაცულია).

## ჟურნალი „ცისკარი“
(მუსიკა)

წამყვანი: რუბრიკიდან „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“, ეხლა მოისმინეთ ჩვენი ლიტერატურული მომხილველის ლაშა ეგრისელის საუბარი თემაზე: ჟურნალი „ცისკარი“.

მიკროფონთან არის ნუგზარ შარია

დიქტორი: ჩემს წინ დევს „ცისკრის“ 1988 წლის თებერვლის ნომერი. ეს ნომერი მეტად შინაარსიანია და მრავალფეროვანი. უხვად მოცემულია პოეტური ნიმუშები. ძალიან მოგვწონს გრიგოლ ჭულუხიძის პატარა ლექსი „იმედი“. მე მას ვუწოდებ მინიატურულ ლექსს და მოვიყვან მთლიანად.

დიდი რამაა იმედი
მაქვს ლატარიის ბილეთი,
გულში იმედი არ შრება
სანამდე გათამაშდება,
მერე კვლავ ახალს ვლებულობ.
ცუდი რა არის ამაში?
და მიდის ჩემი ცხოვრება,
სულ ასე თამაშ-თამაშით...

ამბობენ, რომ პოეტი ბევრ შემთხვევაში ბავშვსა ჰგავსო და ეს ლექსი უდარდელი და მალხაზი ბავშვის ტიტინს მაგონებს, ითამაშე ბატონო.

მწერალი ნოდარ წულეისკირი კარგი მომთხრობელია და დიდი სიამოვნებით იკითხება მისი რომანი „აფთარი“.

კარგი მუსიკალური და პოეტურად ჟღერადი ლექსები აქვს გიორგი ჩარკვიანს, მაგრამ ჩვენს გულს ძალიან მოხვდა ლექსი „ხაში“; ალბათ იმიტომ, რომ ჩემი სტუდენტობის დროს ყველაზე იაფი და საყვარელი საჭმელი მაინც ხაში იყო. პოეტური სტრიქონებია: „მედუქნეს ვეტყვი, პირისზიარებავ, ერთი მათლაფა ხაში მომიტანე! კაცი ხარ, ხაშს სჭამ, ვინ გეტყვის საყვედურს“.

ყოველთვის პოეტურად აჟღერებულია ბადათერ არაბულის ლექსები, მაგრამ საუკეთესოდ გააზრებულია მისი ლექსი „ლომი“.

სალამი ლომო,
ჩვენ შევხვდით კიდევ,
მდუმარედ წევხარ გალიის შიგნით,
დაღლილი თავი თითებზე გიდევს
დამძიმებული დარდით და ფიქრით.

სიამოვნებით იკითხება მანანა სანადირაძის მინიატურული მოთხრობები. ამ ჟანრის მოთხრობების წერა არ არის იოლი და არც ადვილია ის, რადგან ყველაფერი უნდა ითქვას მოკლედ და ამიტომ „შაირია მეტად კარგი“.

მანანა სანადირაძის ამ მინიატურებს რომ გავეცანით, შეიძლება თამამად ითქვას: მანანა სანადირაძე მინიატურების ნამდვილი ოსტატია.

ჩვენი გადაცემის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ „ცისკრის“ ეს ნომერი მრავალფეროვანია, მაგრამ გადაცემის დრო ნებას არ იძლევა ყველაფერს შევეხოთ და ნურავინ გაგვინაწყენდება.

ამ ნომერში ჩვენი ყურადღება მიიქცია თენგიზ ჩხაიძის სტატიამ „ქურუმი მზისა“. იგი მიძღვნილია ქართული მხატვრული სიტყვის საოცარი ოსტატის გრიგოლ რობაქიძისადმი.

როცა ბატონი ჩხაიძე ეხება გრიგოლ რობაქიძის საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ რომანს „გველის პერანგი“, ბრძანებს: „მართალია ერთმა ჩვენებურმა შინაზრდილმა ლიტერატორმა, ოდესღაც აგდებულად მოიხსენია „ფალესტრა“, უწოდა „ბულვარული“ რომანი. ოღონდ იმ დროს, როცა რუსთაველსა და ილიას ვაგინებდით და გრიგოლ რობაქიძეს რას დავაკლებდით ხელს...“ აქ ჩვენ გვინდა შევნიშნოთ შემდეგი: ეს შინაზრდილი ლიტერატორი, გახლდათ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც გიორგი მებუკე, რომელიც წერდა კრიტიკულს თუ ინტრიგულ წერილებს გ. მუშიშვილის ფსევდონიმით. რატომ გამორჩა ეს ფაქტი პატივცემულ ჩხაიძეს? კიდევ მეტი: მუშიშვილმა, ამ „შინაზრდილმა" ლიტერატორმა გრიგოლ რობაქიძის რომანში „ფაშისტი" აღმოაჩინა მაკაშის სახით და თავისი ინტრიგული სტატია დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „გრიგოლ პრობკა, გრიგოლ პრობკა..."

ჩვენ მაშინ საქართველოში ვცხოვრობდით და ამისი უტყუარი მოწმენი ვართ. თუ რა მძიმე პირობები არსებობდა მაშინ საქართველოში პიროვნების კულტის ფარფაშის დროს, „ჯოჯოხეთია მოსაგონებლად".

პატივცემული თენგიზ ჩხაიძე თავის საყურადღებო სტატიაში რაც მიძღვნილია გრიგოლ რობაქიძის ხსოვნისადმი, აყენებს საკითხს პრაქტიკულად რობაქიძის სამწერლო მემკვიდრეობის მთვლის შესახებ და საჭიროდ მიაჩნია შესწავლილი იქნას და გამოიცეს მისი ნაწერების სრული კრებული და ამისთვის ბატონ ჩხაიძეს საჭიროდ მიაჩნია შეიქმნას მუდმივი კომისია. კომისიის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი იქნება მწერლის არქივის მოპოვება და სათანადო დამუშავება. უწინარეს ყოვლისა, მოსაძიებელია ქართული ლექსები, გერმანიაში გამოქვეყნებული ნაწარმოებები და სხვა.

მეცნიერულ დონეზე აგებული ბატონ პარმენ ზაქარაიას სტატია „ეგრისის სამეფოს დედაქალაქი". ავტორს თავის სტატიაში მოჰყავს ჩვენი დიდი მეცნიერი, ქართული ისტორიის მეცნიერული სკოლის ფუძემდებლის, ამ 70 წლის წინათ, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის, ანუ სწორად რომ ვთქვათ, ჟამთა უბედობით შეწყვეტილი საუნივერსიტეტო ცხოვრების ტრადიციის განმანახლებელის დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: „რამდენ საიდუმლოებას ინახავს ქართული მიწა და კვლავ რამდენი ახალი მოსალოდნელი".

ბატონ პარმენ ზაქარაიას ხსენებული სტატიის გამოქვეყნებით ჟურნალ „ცისკრის" რედაქციამ კარგი საქმე გააკეთა, რაც მისალმებისა და მოწონების ღირსია. ბატონ ზაქარაიას ხსენებული სტატია ახალი სიტყვაა და იმედია მას მოჰყვება ბევრი რამ, რასაც დიდი ივანე ჯავახიშვილის ბრძანებისა არ იყოს „და კიდევ რამდენი ახალია მოსალოდნელი".

ჩვენ, საზღვარგარეთ მაცხოვრებელი ქართველები, რომლებიც სხვადასხვა ვითარებისა და მიზეზების გამო, ვიმყოფებით შორს, ჩვენი ძვირფასი სამშობლოს — საქართველოს გარეთ, გულს გვიხარებს თვითეული ქართველი ინტელიგენტის და მეცნიერის ახალი სიტყვა; რადგან ჩვენ ფიზიკურად დავშორდით ჩვენს ქვეყანას, მაგრამ სულიერად მასთან ვართ.

ამ გადაცემასთან დაკავშირებით დაგვებადა ორი აზრი, ორი ფაქტი, რაც გვინდა გავუზიაროთ ჩვენს პატივცემულ მსმენელებს: პირველი: განა ჩვენში, საქართველოში უმაღლესი განათლების ტრადიცია მხოლოდ 70-თი წლით განისაზღვრება? არა და არა! მას შორეული წარსული აქვს. საქართველოში ამ 800 წლის წინათ დაარსდა გელათისა და იყალთოს აკადემია, აკი, აწ განსვენებულმა რექტორმა ილია ვეკუამ ბრძანა ერთხელ: ჩვენში საუნივერსიტეტო განათლებას 800 წლის ტრადიცია აქვსო...

მეორეა ის, რომ მალე ჩვენი მეცნიერები, როგორც ეს ცნობილია, მოაწყობენ თბილისში დიდს საზეიმო იუბილეს ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტის დაარსების 70-ათ წელთან დაკავშირებით და საზღვარგარეთ მყოფი ქართველები და ისინიც, ვინც აღვიზარდენით ჩვენს სახელოვანსა და საამაყო უნივერსიტეტში, გულისფანცქალით მოველით ცნობას თუ ამ სახელოვან იუბილეზე ვის სახელს მიაკუთვნებენ მას! ამ საკითხში ჩვენი ჩარევა ზედმეტია. საქართველოში ბრძანდებიან უხვად განსწავლული მეცნიერები და მათ ჩვენზე უკეთ იციან თუ რა უნდა ჰქნან... ჩვენი მითითება მათ არ სჭირდებათ, მხოლოდ გვინდა გავაცნოთ ჩვენს თანამემამულეებს საქართველოში ჩვენი დიდი სურვილი, რომ თბილისის უნივერსიტეტს ეწოდოს სახელი იმ ადამიანისა, რომელმაც ჰლალადჰყო მისი დაარსება და საფუძვლის ჩაყრა... ეს არის სახელი დიდი, სახელგანთქმული ივერიელის ივანე ჯავახიშვილისა.

ეს მხოლოდ ჩვენი სურვილია... ამ სურვილის გამოთქმის უფლება გვაქვს და ვიმედოვნებთ არავის შეურაცჰყოფს იგი.

რადგან ვახსენეთ დიდი ივანე ჯავახიშვილი, გვინდა აქ მოვიყვანოთ მთლიანად პოეტ ირამ ქემერტელიძის შესანიშნავი ლექსი მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილისადმი:

დიდი ივანე — ბატონი!  
რამხელა საქართველოს პატრონი!  
კოლხობით, იბერობით, ქართობით,  
მთელი მოდგმითა და გვარტომით...  
სახეზე რამდენიმე ნაოჭი, მცხოვრები:  
პერეთსა და ტაოში, შუბლზე უამრავი ხაზი...  
და ზედ ქართველობის აზრი...  
თვალებში შიგა და შიგ ბრაზი,  
სახლი დაკეტილი რაზით...  
თმაში უხსოვარი თოვლი,  
ხოვლით, ყოველით და ყოვლით..  
სხეული გალეული ზორვით  
დიდი მოსავლელის მოვლით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ბიძინა მინდაძე

ჟურნალის ამ ნომერში მისი ლექსები იბეჭდება. იგი ცოტა ხნის წინ თვითონ მოიტანა ბიძინამ რედაქციაში, საგანგებოდ ქათქათა, კრიალა ქაღალდზე გადაბეჭდილი, აკურატულად დალაგებული და ზემო, მარცხენა კიდესთან სამაგრით შეკრული...

ჟურნალის ამ ნომერმა კი ცოტა დააგვიანა... იქნებ, უფრო ბიძინამ იჩქარა...

ფაქიზი კაცი იყო ბიძინა, წმინდა სულისა და ალალი გულის... დიდად კეთილი და მომფერებელი, უზომოდ მოყვარული და უშურველი, ღვთისნიერი, — ღვთის განგებას მინდობილი. ეს ზეგარდმო ნიჭი და მადლი წინაპართაგანაც მოსდგამდა: იგი იყო ღირსეული შვილი, ღირსეული მამა, ღირსეული მეუღლე, ღირსეული მეგობარი თავისი მრავალრიცხოვანი მეგობრებისა, რომელთაც ბიძინასი არა მარტო დიდი სიყვარული, დიდი ხათრიც ჰქონდათ, რადგან იგი თვით იყო სიკეთისა და პატიოსნების საზომი.

ალბათ ამ პიროვნულ თვისებათა გამოა, რომ მისი ლექსიც სუფთაა და აუმღვრეველი, თბილი, ალერსიანი... და, ამავე დროს, ამაღლებული, პირდაპირი და ვაჟკაცური; ისეთი, გულზე მალამოდ რომ წაგეცხება...

შეიძლება დამთხვევაა, მაგრამ ალბათ ისევ პიროვნულ თვისებათა გამოცაა, რომ იგი პატარების მკურნალი ექიმი გახლდათ, პატარებისა, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ სითბო, ალერსი, მოფერება, რაც მისგან არავის დაკლებია.

ორივე პროფესიით ბიძინა მინდაძე, არც მეტი, არც ნაკლები, თავისი ქვეყნის ერთი თავწარგული და ერთგული მკურნალი გახლდათ: კალამთან ერთად მას ხელში ხვალინდელი საქართველოს პატარა მოქალაქეთა მაჯა ეჭირა და მათ პულსს უსმენდა; ერთი ყურით რომ მათი გულების ფეთქვას ამოწმებდა, მეორეთი მშობელი მიწის ძახილს უსმენდა...

მისი ცარიელი კაბინეტის კარს ერთ ხანს ისევ ხშირ-ხშირად შეაღებენ, როგორც იტყვიან, „პატარა პაციენტების“ მშობლები და გულდაწყვეტილნი გამობრუნდებიან... „ცისკრის“ მკითხველებიც სინანულით წაიკითხავენ ამ გამოსათხოვარსა და უკანასკნელ ლექსებს, რომლითაც იგი მუდამ ამშვენებდა არა მარტო ჩვენს ჟურნალს, თბილისს, მთელ საქართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „ცისკრის" 1990 წლის ნომრების შინაარსი

## მოთხრობა, რომანი, პიესა


აბაშიძე გრიგოლ — უკაცური აული. მოთხრობა. № 9.
არდაშელია ციალა — რატომ მოკლა მონადირემ შველი. მოთხრობა. № 3.
ბიჭიაშვილი გარსევან — კიბე. მოთხრობა. № 2.
გელაშვილი ნაირა — მოთხრობები, № 6.
გემაზაშვილი ზურაბ — მგელთავა მეფე. ისტორიული მოთხრობა, № 6.
გეწაძე აკაკი — ღამის გაფრენა. მოთხრობა, № 8.
დავლიანიძე ჯემალ — მოთხრობები, № 8.
დაუშვილი აკაკი — საპასუხო გრძნობების გარეშე. მოთხრობა, № 2.
დოლიძე მამუკა — მოთხრობები, № 4.
ენუქიძე ზაზა — მარტოდმარტო მარტოობის გარეშე. მოთხრობა, № 2.
ერემაძე ნელი — ხისა მისგან ცნობადისა... არა სჭამოთ. მოთხრობა, № 10.
თაბუკაშვილი ლაშა — ნატაძრალზე. პიესა, № 8.
თურმანაული ომარ — მოთხრობები, № 1.
თუთბერიძე გიგა — აჩანჩურას ამნისტია. მოთხრობა, № 12.
კალანდია ზაურ — ზღვარი. მოთხრობა, № 10.
კაკაბაძე ირაკლი — ALLEGRO, ანუ ერთი წლის ქრონიკა. მოთხრობა, № 9.
კასრელიშვილი ზაალ — ტყუპის ცალი. მოთხრობა, № 12.
კეკელიძე ირმა — მოთხრობები, № 8.
კეჭაღმაძე გიორგი — ნადირობა ტყის გაღმა, ტყეში. მოთხრობა, № 4.
კობერიძე ნოდარ — რომ გაიმარჯვო, ერეტიკოსი უნდა იყო. რომანი, № 11, 12.
კობიაშვილი გული — მოთხრობები, № 3.
ლანჩავა თეიმურაზ — მტკაველი მიწისთვის. მოთხრობა, № 3.
მიშველაძე რევაზ — ნოველები, № 1. ნაპრალი. პიესა, № 10.
მდივანი ნინო — ქურდი. მოთხრობა, № 6.
ომანაშვილი ემზარ — სიძე. მოთხრობა, № 8.
სამადაშვილი ნიკო — მეხვედრეები და სინანული. № 3, 4, 5, 6.
სამადაშვილი შაქრო — მოთხრობები. № 9.
ფალავანდიშვილი გურამ — ჩანახატები, № 2.
ფიფია თენგიზ — მეზღვაურული ჩანახატები, № 6.
ყამბეგაშვილი ეთერ — რატომ არ თხოვდები? მოთხრობა, № 12.
ყაჭეიშვილი იუზა — მსხვერპლი. მოთხრობა, № 7.
ხეცურიანი ლაშა — ვინ არიან ისინი. ნოველა, № 1.
ჭანტურია მურად — რომელმან აღაშენა სახლი. მოთხრობა. № 7.
ჯაფარიძე რევაზ — ღვთის კაცი. მოთხრობა, № 1. ქვამლი ღრუბლებს ერთვოდა. მოთხრობა. № 9.
ჯიქიძე ჯანგულ — შემეცნების პრაქტიკუმი. რომანი, № 1, 2, 3, 4, 5.


## ლექსები, პოემები


აბულაშვილი ანზორ — ლექსები, № 1, 12.
აბულაძე თეიმურაზ — ლირიკული პოემა, № 12.
აბუთიძე გოჩა — ლექსები, № 7.
ალხაზიშვილი გივი — ლექსები, № 1.
ადეიშვილი ნოდარ — ლექსები, № 3.
არაბული ბადათერ — ლექსები, № 2.
ახათიანი ლია — ლექსები, № 5.
ასანიძე ამირან — ლექსები, № 11.
ბართაია ნომადი — ლექსები, № 4.
ბაზაძე ირაკლი — ლექსები, № 4.
ბატიაშვილი დარეჯან — ლექსები, № 8.
ბაქრაძე ნოდარ — ლექსები, № 3.
ბექიშვილი თედო — ლექსები, № 7.
გაბური ალექსანდრე — ლექსები, № 9.
გონაშვილი მაყვალა — ლექსები, № 7.
გოჩიაშვილი ელა — ლექსები, № 7.
გიგაური თოთია — ლექსები, № 5.
გურგენიძე ნანა — ლექსები, № 3.
გუგუშვილი ბადრი — ლექსები, № 9.
გვიშიანი დოდო — ლექსები, № 9.
დანელია ბათუ — ლექსები, № 3.
დავითაშვილი ნანა — ლექსები, № 5.
თევზაძე ბადრი — ლექსები, № 8.
თოიძე მალვინა — ლექსები, № 3.
იორამაშვილი თადეოზ — ლექსები, № 1.
იათაშვილი შოთა — ლექსები, № 9.
კალაძე ამირან — ლექსები, № 11.
კალანდია რენე — ლექსები, № 8.
კაზიძე მედეა — ლექსები, № 4, 11.
კვარაცხელია გუჩა — პოემა, № 6.
კვიტაიშვილი ემზარ — ლექსები, № 6.
კვიტაიშვილი დავით — ლექსები, № 2.
კვანტალიანი შარლოტა — ლექსები, № 2.
კვიცარიძე დავით — ლექსები, № 11.
კუხიანიძე ზურაბ — ლექსები, № 9.
კორძაია ჯანსუღ — ლექსები, № 7.
კლდიაშვილი გურამ — ლექსები, № 12.
ლორთქიფანიძე ზურაბ — ლექსები, № 3.
ლობჟანიძე ზურაბ — ლექსები, № 5.
მაღრაძე დათო — ლექსები, № 2.
მამფორია ნინო — ლექსები, № 11.
მახხულია ლანდა — ლექსები, № 4.
მარღია ელგუჯა — ლექსები, № 7.
მებურიშვილი ტაგუ — ლექსები, № 2.
მინდაძე ბიძინა — ლექსები, № 12.

ბიბლიოთეკა


მილდიანი ჯულიეტა — ლექსები, № 3.
ნიშნიანიძე შოთა — ლექსები, № 1, 10.
ნეკერიშვილი ნაილი — ლექსები, № 5.
ოდიშარია გურამ — ლექსები, № 5.
სულაბერიძე ლადო — ლექსები, № 1, 10.
სიხარულიძე ნინო — ლექსები, № 1.
ტურიაშვილი ომარ — ლექსები, № 9.
უშვერიძე ირინე — ლექსები, № 5.
ფოცხიშვილი მორის — ლექსები, № 1.
ფხოველი ჯარჯი — ლექსები, № 4.
ქავთარაძე შოთა — ლექსები, № 11.
შამანაძე ნოდარ — ლექსები, № 8.
შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 4.
შალვაშვილი მერი — ლექსები, № 8.
ჩალაური თენგიზ — ლექსები, № 8.
ჩილაჩავა რაულ — ლექსები, № 5.
ჩიტიშვილი მანანა — ლექსები, № 10.
ჩიგოგიძე ეთერ — ლექსები, № 7.
ციგროშვილი ირაკლი — ლექსები, № 8.
ციხელაშვილი მერი — ლექსები, № 3.
ხარანაული ბესიკ — მრავალწერტილი. ლექსი, № 1.
ძმალაძე მარინე — ლექსები № 11.
ხორგუაშვილი გიორგი — ლექსები, № 9.
ხორნაული ვაჟა — ლექსები, № 4.
ჯაბუშანური გაბრიელ — ინვენქტივა-მონუმენტი. პოემა, № 2.
ჯელაძე დარეჯან — ლექსები, № 7.
ჯულუხიძე გრიგოლ — ლექსები, № 11.


## კრიტიკა, პუბლიცისტიკა, პუბლიკაცია


ადეიშვილი ავთანდილ — პუბლიცისტური პოლემიკის ეთიკა, № 8.
ალექსიძე ლელა — „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“, № 8.
აპრილიდან — აპრილამდე, № 4.
არდაშელია ციალა — ძე შეცთომილი, № 12.
ბახტაძე უშანგი — იყო კი სალი ძახილი? № 12.
ბაქრაძე აკაკი — მიზოლოგია, № 1.
ბადრიაშვილი მერი — შემოქმედი და სინამდვილე, № 8.
ბერდიაევი ნიკოლოზ — თანამედროვე მსოფლიოს სულიერი მდგომარეობა. თარგმნა თედო ბექიშვილმა. № 5.
გამრეკელი გიორგი — ისტორიული სიმართლის ძიებაში, № 2.
გოგოლაძე ანდრო — დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, № 11.
გურგენიძე ვახტანგ — გზა ასიმილაციისაკენ, № 9.
დანელია კორნელი — ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან, № 8.
დემურხანაშვილი სოლომონ — ბევრია წვეული, ცოტაა რჩეული, № 9.
დურმიშიძე სერგი — საპატიო დირექტორი, № 6.
თავისუფლების გაკვეთილები, № 5.
კანკავა გია — ილიას „სარჩობელაზედ“ და ისტორიის ზოგიერთი ფოკუსი, № 2.
კუჭუხიძე ილია — „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“ № 12.
კვანტალიანი შარლოტა — „შესაწირავი რაა მესამე...“ № 7.
კვესელავა მიხეილ — გიორგი გურჯიევის გახსენება, № 9.
მანჯგალაძე მერაბ — დემოგრაფიული პროცესები, ზოგიერთი სოციალური და სამედიცინო ასპექტი, № 3.
მაღრაძე ელგუჯა — რეზო თაბუკაშვილი — მაღალი ზნეობის მადლით ცხებული, № 9.
მჭედლური ზინა — ვაჟა-ფშაველას ზოგიერთი ლექსისა და პოემის ტექსტოლოგიისათვის, № 7.
მირიანაშვილი თემურ — „მესამე დასი“ ვაჟა-ფშაველას მიხედვით, № 2.
ნარმანია ზურაბ — „არ შეიძლება ასე ცხოვრება, როგორც ჩვენ ვცხოვრობთ“, № 1.
ნანობაშვილი ბიძინა — ქიზიყის საფლავის ძეგლთა საკითხისათვის, № 11.
ჟურნალ „ულდუზის“ რედაქციას, № 5.
სარჯველაძე სოფიო — „სულისა“ და „სამშვინველის“ აღმნიშვნელი ლექსიკა ძველი აღქმის წიგნთა ქართულ თარგმანებში, № 11.
სტურუა ლია — იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს, № 11, 12.
ქავთარია გრანი — „ღვთაებრივი ალმაფრენის“ თაყვანისმცემლები, № 7.
ფხაკაძე ნარგიზა — ივანე ჯავახიშვილი — საუნივერსიტეტო განათლების სულისჩამდგმელი, № 11.
ფირცხალავა სამსონ — ემიგრანტული წერილები, № 8.
ჩხენკელი თამაზ — ქართული პრესა და ებრაელთა საკითხი, № 4.
ჩვენი პოზიციის განმარტებისათვის — მასალები მოამზადეს დავით მჭედლურმა და ბადრი გუგუშვილმა, № 9.
ჭუმბურიძე ზურაბ — საბავშვო ლექსის ოსტატი, № 12.
ხანანაშვილი დანიელ — ქართველ ებრაელთა სამადლობელი, № 7.
წლიური სარჩევი — № 12.


## აკაკი — 150


აბაშიძე გრიგოლ — ერის მგოსანი, № 10.
აკაკი წერეთელი — რჩევა მოძრაობის დროს. ლექსი, № 10.
გოზალიშვილი შალვა — აკაკი წერეთელი და მიხეილ თამარაშვილი, № 7.
დადიანი შალვა — ჩემი წარმოდგენით, № 10.
ერაძე ლეილა — „ერთობა ჩვენთვის ტახტია...“, № 8.
ენუქიძე ზაზა — „მოვა დრო...“, № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თურნავა სერგო** — აკაკი წერეთლის შემოქმედება უცხოელთა თვალთახედვით. № 10.
**ლაშქარაძე დავით** — ეროვნული ლიტერატურა აკაკის წერილებში. № 5.
**ლაისტი არტურ, გრიგოლ რობაქიძე, იონა მეუნარგია, სოფრომ მგალობლიშვილი, იოსებ იმედაშვილი.** № 10.
**მიშველაძე რევაზ** — ერის სიყვარულის წრეში. № 10.
**მჭედლური დავით** — აკაკისა და ვაჟას პოლემიკის გამო. № 10.
**ნადირაძე ელდარ** — აკაკის ეთნოგრაფია, № 10.
**სადუნიშვილი გენადი** — აკაკი წერეთლის პირადი ბიბლიოთეკა. № 9.
**ვაჟა-ფშაველა** — აკაკის საიუბილეოდ. ლექსი, № 10.
**ქართველ მოღვაწეთა წერილები აკაკისადმი.** მასალები მოგვაწოდა **შალვა გოზალიშვილმა,** № 10.
**ხინთიბიძე აკაკი** — საშვილიშვილო გალობა. № 10.
**ჯავახაძე ვახტანგ** — აკაკი და გალაკტიონი. № 10.

## ეროვნული თვალსაზრისი

**ადვაძე ვალერიან** — საქართველოს ეკონომიკა. გზა საბაზრო მეურნეობისაკენ. № 6.
**აუცილებელია პარტნიორობა და კოლეგიალობა. დალი დავითაშვილის** ინტერვიუ **გიორგი სიხარულიძესთან,** № 9.
**გვესაუბრება გ. ჭანტურია** — № 4.
**ინტერვიუ ზვიად გამსახურდიასთან,** № 2.
**მიწიშვილი ილამაზ** — საქართველოზე ფიქრით... № 6.
**მჭედლური დავით** — მოვლენები და დაკვირვებები. № 3.
**ვახანია ზურაბ** — წარსული, მომავალი... № 6.
**რედაქციისაგან.** № 6.
**ღვინჯილია ჯანსუღ** — ქართველი კაცის სინამდვილე. № 3, 4, 5.
**შეკითხვა საქართველოს სამხედრო კომისარს,** № 5.
**წიკლაური მამუკა** — იერიშები უკანასკნელ იმპერიაზე. № 1, 2.

## ახალი თარგმანები

**აგათა ქრისტი** — ეგვიპტური სამარხის გახსნა. მოთხრობა. თარგმნა **ეთერ მოისწრაფიშვილმა,** № 10.
**ავგუსტ სტრინდბერგი** — მოჩვენებათა სონეტა. დრამა. თარგმნა **აკაკი ბრეგვაძემ,** № 5.
**ანატოლი უიგულინი** — ლექსები. თარგმნა **თენგიზ პატარაიამ,** № 6.
**ვასილი გროსმანი** — „ყველაფერი იცვლება". თერგმნეს **ეთერ ბალიაშვილმა და ლია შარვაშიძემ,** № 11, 12.
**უილიამ შექსპირი** — ვნებააშლილი პილიგრიმი. ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი ნიშნიანიძემ,** № 11.
**შარლ ბოდლერი** — ლექსები. თარგმნა **დათო ადიკაშვილმა,** № 12.
**ჰერმან ჰესე** — პოეტი. თარგმნა **თამუნია მამისაშვილმა,** № 12.

## ლიტერატურული ნააზრევი

**ბალანჩივაძე ამირან** — სინათლე და სინათლის აღქმა გოეთეს მსოფლმხედველობასთან მიმართებაში. № 10.

## ლიტერატურული პორტრეტები

**ინანიშვილი რევაზ** — ბატონი, ბატონი კონსტანტინე. № 5.
**კოტეტიშვილი ნანა** — სახელოვანი მამის ღირსეული მემკვიდრე. № 5.

## ცისკრის ანკეტა

**ბაქრაძე აკაკი, შენგელია ირაკლი,** № 9.

## მოგონებები

**შანიძე ალექსანდრე** — მარადისობის ლაჟვარდები. № 2.

## ჩვენი მილოცვა

**აბაშიძე გრიგოლ** — ოთარ ჩხეიძე, № 11

## გამოსათხოვარი

**მინდაძე ბიძინა** — № 12.

## დაბრუნებული სახელები

**ბახტაძე უშანგი** — აკაკი წერეთლის უცნობი წერილები. № 7.
**რობაქიძე გრიგოლ** — ზეინაბ. № 1.
**სულხანიშვილი ალექსანდრე** — მოგონებები. შეფიცულთა რაზმზე. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.
**მანველიშვილი ალექსანდრე** — საქართველოს ისტორია. ფრანგულიდან თარგმნა **სოფიკო ბუნდიაშვილმა,** № 10.

## პოლემიკა

**მუჩაიძე გ.** — მცირე განმარტება „მიმომხილველს". № 7.
**მჭედლური დავით** — „კრიტიკაზე განმარტების მიცემის უფლებით, № 7.

## ისტორიის თეთრი ფურცლები

**ავტორხანოვი აბდურახმან** — სტალინის სიკვდილის საიდუმლო, თარგმნა **ზურაბ ნარიმანიან,** № 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9.
**ნაზაროვი გერმან** — იაკობ სვერდლოვი — სამოქალაქო ომისა და მასობრივი რეპრესიების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზატორი. თარგმნა ე. მეტრეველმა, № 11.

შენ, ჩემო ბედის ვარსკვლავო..

დრუიდების ჰოროსკოპი — თარგმნეს გულო პირველმა და ბალათერ არაბულმა. № 6

მკითხველი, ქრონიკა, ფაქტი, კომენტარი, № 4, 5, 12.

სატირა, იუმორი, პაროდია

ცინცაძე ვანო — რით გვჯობნიან კაპიტალისტები? № 8.

Ежемесячный литературно-художественный
и общественно-политический журнал
«ЦИСКАРИ»

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, მარქსის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილის — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-38; განყოფილებების — 98-36-43; საკორექტორო — 98-64-38.

გადაეცა ასაწყობად 27.11.90 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.01.91 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14, ააღრ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 2535. ტირაჟი 47 000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა,
380009, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло»,
г. Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთერ ჭამბეგაშვილი

დაიბადა მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში. აქვე დაამთავრა საშ. სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრის პედაგოგად. პარალელურად კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლოესი ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე. პირველი მოთხრობა დაბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში.“

ზაალ კასრელიშვილი

დაიბადა 1962 წ. ქ. თბილისში. 1979 წელს დაამთავრა მე-14 საშ. სკოლა. 1984 წელს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობა-მევენახეობა და ტექნოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად არის მრავალდარგოვანი ფირმის „ტიტანი“-ს დამფუძნებელი დირექტორი.

1988 წელს პირველი მოთხრობები გამოაქვეყნა „ლიტერატურულმა საქართველომ“ და „ნობათმა“. არის პუბლიცისტური წერილების ავტორი.

„ცისკარში“ იბეჭდება პირველად.

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76286

6158/24

ეროვნული ბიბლიოთეკა